


ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities  
ქართული ენის ინსტიტუტი  
Institute of Georgian Language

**სამეცნიერო შრომების კრებული**  
**ქართულური ენათმეცნიერება**

**III**

**COLLECTED SCIENTIFIC WORKS**  
**KARTVELIAN LINGUISTICS**

ედღვნება პროფ. ჰაინც ფენრიხს  
Dedicated to Professor Heinz Fähnrich



კრებულში შესულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ქართველური ენათმეცნიერების და ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევების კათედრების, პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო ნაშრომები.

კრებული ეძღვნება ცნობილ გერმანელ ქართველოლოგს, იენის უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორს, ჰაინც ფენრიხს.

**რედაქტორები:** პროფ. დარეჯან თვალთვაძე  
პროფ. რამაზ ქურდაძე

**პასუხისმგებელი მდივანი** პროფ. რუსუდან ზექალაშვილი

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015

ISSN 2346-8106

## შ ი ნ ა ა რ ს ი

ჰაინც ფენრიხი – ღვანლმოსილი ქართველოლოგი .....	7
<b>დამანა მელიქიშვილი</b> დროის სამწვერა სისტემის ჩამოყალიბების ისტორიისათვის ქართულში .....	11
<b>ვახტანგ იმნაიშვილი</b> „დაღონებული“ – ძველ ქართულ ენაში .....	27
<b>ლელა ციხელაშვილი</b> ი-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნათა ერთი თავისებურება ძველ ქართულში .....	40
<b>დარეჯან თვალთვაძე</b> შავი მთის სამონასტრო ცენტრების კულტურული გარემო XI საუკუნეში .....	85
<b>რამაზ ქურდაძე</b> ტრანსპოზიციის მნიშვნელობისათვის ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების დროს .....	105
<b>რუსუდან ზეჯალაშვილი</b> მსაზღვრელი ნაწევრებისა და ნაცვალსახელების შესახებ „ვეფხისტყაოსნის“ ენაში .....	113
<b>სალომე ოშიაძე</b> კონცეპტ „ქართული ენის“ ნომინაციური ველი .....	133

<b>კახა გაბუნია</b> -და ბოლოსართის შედგენილობის საკითხისათვის ქართულსა და ზანურში.....	142
<b>მაია ლომია</b> მიმღობური სემანტიკის შემცველი კონსტრუქცია მეგრულში....	150
<b>ქეთევან მარგიანი-სუბარი</b> თურმეობითობისა და ხოლმეობითობის ურთიერთმიმართებისათვის სვანურ გარდამავალ ზმნებში .....	155
<b>ინგა სანიკიძე</b> შუშანიკი – ვარდანი თუ ვარდანდუხტი?! .....	166
<b>მერი ნიკოლაიშვილი</b> მორფოსინტაქსური კონსტრუქციებისა და სიღრმისეული სემანტიკის ურთიერთობის საკითხი ქართულ ზმნაში.....	178
<b>ლეილა გეგუჩაძე</b> რომ კავშირის პოლისემიურობისათვის.....	186
<b>თამარ მახარობლიძე</b> კვლავ მესამე სერიისა და ინვერსიის შესახებ.....	196
<b>ქეთევან გოჩიტაშვილი</b> „არაძირითადი“ პოლიტიკური ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ერთეულები თანამედროვე ქართულში .....	204
<b>ეკა კვიციანი</b> ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციაში დაცული ოთხთავის შესახებ .....	216





## ჰაინც ფენრიხი – ღვანღმოსილი ქართველოლოგი

ცნობილი გერმანელი ქართველოლოგი, იენის უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი ჰაინც ფენრიხი ქართველოლოგიის დარგში დიდი დამსახურებისათვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო პრემიის პირველი ლაურეატი გახდა.

ვულოცავთ მას ამ საპატიო ჯილდოს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და მომავალ წარმატებებს მის საყვარელ სამეცნიერო სფეროში.

ჰაინც ფენრიხი დაიბადა 1941 წელს გერმანიის სოფელ ჰამერში. 1960–1965 წწ. იგი სწავლობდა იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტში, კავკასიოლოგიის სპეციალობაზე. 1967 წელს ფენრიხი ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში. მისი ხელმძღვანელი იყო პროფესორი აკაკი შანიძე. 1965 წელს ფენრიხმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია იენის უნივერსიტეტში, ხოლო 1971 წელს შედგა მისი სადოქტორო დისერტაციის საჯარო დაცვა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.



1971 წლიდან ოცდაათზე მეტი წლის განმავლობაში ჰაინც ფენრიხი იყო იენის უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის სექტორის

პროფესორი და ხელმძღვანელი, სადაც ასწავლიდა შემდეგ საგნებს: თანამედროვე ქართული ენა, შესავალი ქართველურ ენებში, შესავალი კავკასიურ ენებში, კავკასიური ენების შესწავლის ისტორია, ქართულიდან გერმანულად თარგმნის პრაქტიკა, საკომუნიკაციო ქართული, ძველი ქართული ენის ლექსიკა, ქართული ტოპონიმია, წინარე ქართველური ენის ლექსიკა, ქართულის სხვა ენებთან ნათესაობის პრობლემა, ავარიული ენა, ანდიური ენა, უდიური ენა, თაბასარანული ენა, აგულური ენა, საქართველოს მხარეთმცოდნეობა, ქართული ლიტერატურა, კავკასიოლოგიის პრობლემები, ქართული მითოლოგია, საქართველოს ისტორია, საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორია.

პროფესორმა ჰაინც ფენრიხმა მთელი თავისი სამეცნიერო საქმიანობა ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის საკითხების შესწავლას მიუძღვნა. იგი 50 მონოგრაფიისა და 200-ზე მეტი სტატიის ავტორია. დაჯილდოებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით, საქართველოს ღირსების ორდენით, ანტონ I ბაგრატიონის ოქროს მედლით. არის აკაკი შანიძისა და მარი ბროსეს სახელობის სამეცნიერო პრემიების ლაურეატი, არჩეულია სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორად, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრად.

ჰაინც ფენრიხი წლების განმავლობაში იკვლევდა ქართულ ლიტერატურას. ამის შედეგად 1981 წელს მან გერმანულ ენაზე გამოსცა მონოგრაფია „ქართული ლიტერატურა“. წიგნის მეორე რედაქცია გამოიცა 1993 წელს აახენში. ამ წიგნში მოცემულია ქართული ლიტერატურის მოკლე აღწერა, მისი განვითარების ხანგრძლივი ისტორია, განხილულია თანამედროვე ქართული ლიტერატურა.

ჰ. ფენრიხი მონაწილეობდა ქართული ლიტერატურის გერმანულად თარგმნის პროცესში. მან თარგმნა და გამოაქვეყნა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ (1973), გიორგი



კეჭაყმაძის „ჩემი პატარა ლანდი“ (1974), გრიგოლ აბაშიძის „ლა-შარელა“ (1975) და „დიდი ლამე“ (1978), მიხეილ ჩიქოვანის ჩანერლი და შესწორებული ამირანის მითი (1978), ქართული ზღაპრები (1980), თარგმნილი აქვს გალაკტიონ ტაბიძის პოეზია.

ათეული წლების განმავლობაში (1978 წლიდან 2006 წლამდე) პროფესორი ჰაინც ფენრიხი იყო უცვლელი რედაქტორი გერმანულენოვანი სამეცნიერო ჟურნალისა „GEORGICA“, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტია. ამ ჟურნალმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ევროპაში ქართველოლოგიური კვლევების განვითარებისა და საზღვარგარეთ ქართული მეცნიერებისა და კულტურის პოპულარიზაციის საქმეში.

ჰაინც ფენრიხის ინტერესების ძირითადი სფეროა ლინგვისტიკა, კერძოდ, ქართული და ქართველური ენათმეცნიერება. მან გერმანულად თარგმნა აკაკი შანიძის „ძველი ქართული ენის გრამატიკა“; ჰაინც ფენრიხისა და ზურაბ სარჯველაძის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (2000, 2010) ქართველოლოგიის სფეროში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაშრომია. ქართული და ქართველური ენების კვლევის მიმართულებით განსაკუთრებით ნაყოფიერია მისი ბოლოდროინდელი შრომები:

1. Kartwelisches etymologisches Wörterbuch (BRILL, 2007) რომელიც ეძღვნება ზურაბ სარჯველაძის ხსოვნას წლების განმავლობაში მასთან ერთად მუშაობის აღსანიშნავად, ითვალისწინებს და მოიცავს დღემდე არსებული ნაშრომების შედეგებს ამ სფეროში. 700-გვერდიანი ლექსიკონი გამდიდრებულია 1000-მდე ახალი ძირეული მასალით, ასევე კორექტირებული და გადამუშავებულია ძველი მასალა. ლექსიკონი ფასეულია იმითაც, რომ მის შესავალ ნაწილში მოცემულია მთელი ისტორია და შეფასება ქართველური ეტიმოლოგიური კვლევებისა უცხოეთსა თუ საქართველოში, დაწყებული XVIII საუკუნიდან (როზენიდან და კლაპროთიდან) ამ ნაშრომის გამოცემამდე.

2. *Die georgische Sprache* (BRILL, 2012), რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება და მოიცავს ძველი (გვ. 8-499) და ახალი ქართული (გვ. 511-828) სალიტერატურო ენის სასწავლო-მეცნიერულ გრამატიკას; ქართული ზმნის კატეგორიების განხილვისა და ანალიზისას ავტორი, რა თქმა უნდა, ძირითადად, მისი დიდი მასწავლებლისა და ღვანლმოსილი მეცნიერის, ქართული ენის გრამატიკული კატეგორიების სისტემატიზატორის, აკაკი შანიძის კონცეფციას ეყრდნობა, მაგრამ, როდესაც ტრადიციული კლასიფიკაციის ფარგლებში ფორმა და შინაარსი ეწინააღმდეგება ერთმანეთს, ცდილობს ქართული ზმნის შემსწავლელისათვის გასაგები გახადოს ეს „ანომალიური“ მოვლენები და შემოაქვს განმარტებითი ხასიათის ტერმინები: „მედიაოქტივთათვის“ – „Intransitives Aktiv“, და ე.წ. „დეპონენსებისათვის“ – „Passiv mit direktem Objekt“. საგანგებოდაა აღსანიშნავი ისიც, რომ სინტაქსის (778-824) კარში, გარდა სიტყვთგანლაგებისა, საკმაო ადგილს უთმობს ქართული ზმნური შესიტყვების სტრუქტურის (რომელიც რადიკალურად განსხვავდება ევროპული ზმნური შესიტყვებისაგან) აღწერა-განხილვას.

3. *Die ältesten georgischen Inschriften* (BRILL, 2013), რომელიც ქართველოლოგიით დაინტერესებულ ევროპელ სპეციალისტებს და, საერთოდ, მსოფლიოს მეცნიერულ წრეებს აცნობს ქართულ ბგერითსა და, ზოგადად, ქართული ანბანის სისტემას და მისი განვითარების საფეხურებს; არსებული მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე წარმოადგენს ძველი ქართული ლაპიდარული წარწერების ისტორიის შთამბეჭდავ სურათს.

4. *Georgische Verben* (Shaker, 2013) – ქართული ზმნის ფორმათა სამტომეული, რომელიც, შეიძლება ითქვას, ქართული ზმნის საუნჯეს წარმოადგენს, სამაგალითოა თავისი სრულყოფილებით, სისავსითა და პროფესიული დახვეწილობით. ეს ნაშრომი, რომელიც შექმნილია მისი მონაფეების, ნანა ოდიშელიძისა და ნათია რაინეკის მონაწილეობით, რა თქმა უნდა, ითვალისწინებს

და ეყრდნობა კიტა ჩხენკელისა და იოლანდა მარშევის “Georgisch-Deutsches Wörterbuch“-ს, ასევე, არნ. ჩიქობავას „ქართული - განმარტებითი ლექსიკონის“ მასალას, მაგრამ ეს უაღრესად საჭირო, მრავალმხრივ პრაქტიკული დოკუმენტირებული ლექსიკონი გამოირჩევა იმით, რომ მასში წარმოდგენილია ბუდეებად დალაგებული ყველაზე ხშირად ხმარებული ქართული ზმნური ფუძეების ძირითადი ფორმები (ანმყო – მყოფადი – წყვეტილი – I თურმეობითი), ყველა შესაძლო და სალიტერატურო ენაში (ზოგ შემთხვევაში კი დიალექტურ მეტყველებაშიც) დადასტურებული ფორმებითა (ერთპირიანი, ორპირიანი, სამპირიანი, ზმნისწინიანი, ხმოვანპრეფიქსიანი და სხვ.) და საილუსტრაციო მასალით, რომელსაც ახლავს გერმანულ ენაზე თარგმანი.

ეს 2600-გვერდიანი სამტომეული სამაგიდო წიგნი იქნება-ქართული ენის ნებისმიერი სპეციალისტისათვის – ქართველისათუ უცხოელისათვის. პროფესორ ჰაინც ფენრიხის ღვაწლი ქართული ენის კვლევის სფეროში და, საერთოდ, ქართველოლოგიის განვითარების საქმეში უზარმაზარი და ფასდაუდებელია. მისი ნაშრომები ქართველოლოგიის დარგში მომავალ თაობებს გადაეცემა და ბევრ უცხოელ ქართველოლოგს გაუკაფავს გზას ქართული და ქართველური ენა-კილოების საინტერესო სამყაროში.

*თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი,  
ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის  
პროფესორი დ ა რ ე ჯ ა ნ თ ვ ა ლ თ ვ ა ძ ე*

*პროფესორ-ემერიტუსი  
დ ა მ ა ნ ა მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი*

**დროის სამწვერა სისტემის ჩამოყალიბების  
ისტორიისათვის ქართულში**

**(ედღვნება არნოლდ ჩიქობავასა და ფარნაოზ  
ერთელიშვილის ხსოვნას)**

**დროის** სამწვერა სისტემის ჩამოყალიბება და მისი გრამატიკული, ფორმალური დიფერენციაცია, ანუ **დროის გრამატიკული კატეგორიის** ჩამოყალიბება დაკავშირებულია სუბიექტური აღქმის ობიექტივაციის იმ საერთო ტენდენციასთან, რომელიც, საზოგადოდ, ადამიანის აზროვნების განვითარებას ახასიათებს. რაც შეეხება იმას, რომ ამ კატეგორიის კონკრეტული გამოვლინებები სხვადასხვა ენობრივ სისტემებში სხვადასხვაგვარია, ამას, როგორც ჩანს, ლინგვისტურ ფაქტორებთან ერთად ექსტრალინგვისტური ფაქტორებიც განაპირობებს, როგორცაა, მაგ., კონტაქტები სხვა ენებთან, ამა თუ იმ ეთნიკურ-ენობრივი ჯგუფის (კოლექტივის) ცხოვრების პირობების შედეგად ჩამოყალიბებული აზროვნების სისტემა, ფსიქიკური წარმოდგენები, გეოგრაფიული გარემო და სხვ. დროის ეს სამწვეროვანი გაგება რომ იმთავითვე არ ყოფილა გამოკვეთილი ადამიანის აზროვნებაში, ამაზე იმ ენების გრამატიკული სისტემებიც მეტყველებენ, რომლებშიც არათუ ზმნურ კატეგორიებში, არამედ ლექსიკაშიც კი არ არის გარჩეული დროის სამი სახე: მაგ., სემიტურ ენებში და ამერიკის ინდიელთა ზოგ ენაში დროის სამწვეროვანი სისტემა დღესაც არ არის ჩამოყალიბებული: ზმნების ფორმაცვალებადობა ხდება არა ნამყო-ან-მყო-მყოფადის ფორმათა მიხედვით, არამედ ასპექტური ოპოზიციით, ორწვერა სისტემით: „უწინარესობისა“ და „შემდგომო-

ბის“ წყვეტილობისა და განგრძობითობის (მომენტობრივისა და - დიურატიულის) ოპოზიციით. ამ უკანასკნელში კი მოიაზრება **ახლა და შემდეგ**).

ადამიანის აზროვნების//მეტყველების განვითარების ადრეულ ეტაპზე, მანამ, სანამ ადამიანი კმაყოფილდებოდა სტატიკის, მდგომარეობის კონსტატაცია-აღწერითა და მინიმალური მიმართებების – ფლობა-ქონებისა თუ სიახლოვე-სიშორის მითითების (დეიქსისის), მარტივი მიმართებების ჩვენების საჭიროებით, საფიქრებელია, რომ ზმნური ფორმები შემოისაზღვრებოდა ფაქტის კონსტატაციით მარტივი, სახელისაგან მინიმალურად განსხვავებული თემით (*ნით-ს, თოვ-ს*), რომელიც განასხვავებდა მხოლოდ ორ ოპოზიციურ ფორმას, რომელთა ფუნქცია უნდა ყოფილიყო დიურატიულობისა (განგრძობითობისა, გაუდიფერენცირებელი დენადობისა) და მომენტობრიობის (წყვეტილობა დასრულებულობის, შედეგობრიობის) ჩვენება. აზრის მატერიალიზაცია, სეკულარიზაცია, ცნებათა დიფერენციაცია, მოვლენათა შეფასება თანდათან ხდება. ქართული ენის ისტორიის სიღრმეებს თუ გავყვებით, მისი ზმნური სისტემის „არქეოლოგია“ ამასვე დაგვიდასტურებს: ქართული ზმნის უღლების განვითარების უადრეს ეტაპზე არ უნდა არსებულიყო დროის სამწევროვანი სისტემა, არამედ იქაც აწმყო-მყოფადი ერთ დენად მთლიანობას წარმოადგენდა, რომელსაც გრამატიკულ ლიტერატურაში „განგრძობით“ ანუ „დიურატიულ“ ასპექტს უწოდებენ. ალბათ საუკუნეები დასჭირდა, სანამ სხვა ენობრივ კოლექტივებთან კონტაქტებისა თუ გავლენების შედეგად, რაღაც სხვა მიზეზების გამო ქართულ აზროვნებაში მომხდარი ცვლილება აისახებოდა ენის ქსოვილში და **სტატიკისა და დინამიკის მკვეთრი დაპირისპირების ნიადაგზე** წარმოიშობოდა დროთა სამწევროვანი სისტემა, დრო-კილოთა მთელი თავისი განვითარებული, თანმიმდევრული რიგებით.

თავის ერთ-ერთ ფუძემდებლურ ნაშრომში „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში“, არნ. ჩიქობავამ ძველი ქართული სალიტერატურო ენის მონაცემთა ღრმა

ანალიზის საფუძველზე ლოგიკურად, სრულიად ნათლად და დამაჯერებლად დაასაბუთა თავისი წინასწარი მოსაზრება ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციის ისტორიული ურთიერთმიმართების თაობაზე და იმის შესახებ, რომ დროთა ნარმოება ქართულში, თუ მას ისტორიულ ასპექტში განვიხილავთ, **„გარდამავალ ზმნათათვის ამოსავლად ვარაუდობს ნამყო ძირითადის (აორისტის) ჯგუფს, /ხოლო/ ანმყოს ჯგუფი მეორეულია“**. და, რომ **„ამ პერსპექტივის უძველეს მომენტებს მივყავართ იმ კატეგორიებამდის, რომლებიც დროის კატეგორიებს წინ უძღოდა“**. ეს დებულება მან წამოაყენა ჯერ კიდევ 1939 წელს საქართველოს მეცნ. აკადემიის I სესიაზე (არნ. ჩიქობავა, 1942).

ჩვენი მიზანია მოვახდინოთ ამ თვალსაზრისის აქტუალიზაცია და შევეცდებით ვაჩვენოთ დროთა სამწევრა სისტემის ჩამოყალიბების პროცესი ძველი და თანამედროვე ქართული ზმნური სისტემის ანალიზის საფუძველზე.

როგორც უკვე ვთქვით, ქართული ენის განვითარების უძველეს საფეხურებზე გრამატიკული დროის კატეგორიის ჩამოყალიბებამდე მოვლენათა შორის დროული მიმართების ნაცვლად ასპექტური მიმართება უნდა ყოფილიყო გამოხატული, კერძოდ: წყვეტილი (მომენტობრივი) და განგრძობითი (დიურატიული) სახე მდგომარეობისა თუ მოქმედებისა. აქედან – მომენტობრივი მოიცავდა უკვე მომხდარს, მახსოვრობაში აღბეჭდილს, რაც თავისთავად წარსულს გულისხმობს, ხოლო დიურატივი იმას, რაც განგრძობითია, ჩვეულებითია (ე.წ. „ზოგადი ანმყო“), განუსაზღვრელი, გაუდიფერენცირებელი მდინარეაა, რომელიც შეიცავს უშუალოდ აღქმადს, იმას, რაც ახლაცაა და იმასაც, რასაც დასასრული არა აქვს, ე.ი. მომავალშიცაა შესაძლებელი. ამ მნიშვნელობებს შესაბამისად გამოხატავდა ნამყო ძირითადისა, ანუ „წყვეტილისა“ და ე.წ. II ხოლმეობითის (ჩვეულებითის) ფორმები (ამიტომაა, რომ ძველ ქართულში ე.წ. II ხოლმეობითის ფორმები გადმონაშთის სახით ანმყოსაც და მომავალსაც გამოხატავენ). ამ ვარაუდს მონიშნავს სტატიკური ზმნების ჩვენამდე მოღწეული

ფორმები (მათი რაოდენობა 130-მდეა), რომელთაც დიურატივის (განგრძობითის, ჩვეულებითის) -ი სუფიქსი დღემდე აქვთ შემორჩენილი, ხოლო მომენტობრივი (წყვეტილი) ასპექტის მარკერი -ე თანამედროვე ქართულში მოკვეცილი აქვთ მეშველი ზმნის დართვის გამო: ძვ.: ვსწერ-ი-ე – სწერ-ი-ე – სწერ-ი-ე-ს; ახ.: ვწერ-ი-ვარ – (ს)წერ-ი-ხარ – (ს)წერ-ი-ა. უკანასკნელ ფორმაში -ა სუფიქსის წარმომავლობა ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს: ზოგი მკვლევარი, მაგ., ლ. ბარამიძე, მას არს მეშველი ზმნის ნაშთად მიიჩნევს, მაგრამ ჩვენი აზრით, იგი III პირის -ა მარკერია, რომელიც II დიათეზის ყველანაირ, როგორც სტატიკურ, ისე დინამიკურ ზმნებში შეენაცვლა ამავე პირის -ს მარკერს და ამით გაემიჯნა I დიათეზის III პირის ფორმებს. ამავე დროს, ისიც აღსანიშნავია, რომ წერილობით ძეგლებში ამ ტიპის ზმნების III პირის ფორმებში მეშველი ზმნის დართვის არცერთი შემთხვევა არ არის დადასტურებული.

ზმნური ფორმების განვითარების პირველ ეტაპზე მომენტობრივი ასპექტი მარტივი **R-O** თემით (ფუძით) უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, რაც ძველსა და თანამედროვე ქართულშიც სისტემურადაა შემორჩენილი არქაულ ზმნებში, როგორცაა: დადევ, დანევ, დაჯედ, -ავ და -ამ სუფიქსიან ზოგიერთ არქაულ ფუძედრეკად ზმნაში: მოკალ, დაჰკარ დაჰჰაშ, დავძარ შეხუაბ, შეირატყ..., ასევე, „თბება“ ტიპის ზმნებში ძველ ქართულში: განტეფ, განწემ, დაადგერ...; დიურატივი მასთან ოპოზიციას -ი სუფიქსით ქმნიდა. დინამიკური ფორმების თანდათან განვითარებასთან ერთად ოპოზიცია წყვეტილი ასპექტის ფორმაშიც უნდა გამოსატყლიყო ზემოთ მითითებული -ევ>-ე სუფიქსით. აღსანიშნავია და ნიშანდობლივი, რომ ეს -ე სუფიქსი წყვეტილში I დიათეზის არქაული ტიპის -ი სუფიქსიან ავტოაქტივებს (ტირი, კივი, ყვირი, ნივი...) ტიპის ზმნებს დაერთვის. ეს -ი აშკარად არ არის ე. წ. თემატური, -ავ, -ამ, -ებ, -ობ მადინამიკურებელი ფუნქციის მქონე სუფიქსების ტიპისა (ამიტომაც ა. შანიძე მას თემის ტოლფარდ ნიშნად არ თვლის), რომელთაც წყვეტილის მარტივ

თემაზე დართვით შეძლეს ახლანდელი დროის დინამიკური, პროცესის გამომხატველი ფორმის წარმოება. ეს -ი სუფიქსი აშკარად დიურატიული ასპექტის მარკერი ჩანს, რომელმაც იტვირთა ახლანდელი დროის შინაარსის გადმოცემა, მაგრამ ვერ შეძლო დინამიკური პროცესის გამომხატვა (ამიტომაც ამ ზმნებს არნ. ჩიქობავა „უგვარო სტატიკურ ზმნებს“ უწოდებს) და ძველ ქართულში იგი ძირითადად ხოლმეობითის შინაარსს გადმოსცემს. მაგრამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ნამყო ძირითადის, წყვეტილის, ანუ II სერიის მარტივი თემის ოდინდელი **დიურატივის -ი** სუფიქსიანი ფორმები, რომლებიც ე. წ. II ხოლმეობითის სახელითაა ცნობილი, ბერძნული ანმყოს შესატყვისადაა გამოყენებული: ეს ფორმები „ზოგადი ანმყოს“ შინაარსს გადმოსცემს, ისევე, როგორც დღეს **იც-ი-ს** და **უნყ-ი-ს ზმნები, რომელთაც** ასევე, II სერიის მარტივი, **R-Ø**-სტრუქტურა და ერგატიული კონსტრუქცია აქვთ.

რატომ გახდა შესაძლებელი, რომ II ხოლმეობითის ფორმას, რომლის ძირითადი ფუნქცია ძველ ქართულში თითქოს ნამყოს ხოლმეობითის გადმოცემაა, ახლანდელი დროის შინაარსი გადმოეცა? ოდინდელი მომენტობრივი ასპექტის მარკერი, **-ი (<ევ)** სუფიქსი, ძველ ქართულშიც და დღესაც ნამყო ძირითადის, ე. წ. წყვეტილის მწკრივის ძირითადი მანარმოებელია (ნამყო ძირითადი, ანუ უძველესი წყვეტილი ასპექტის ფორმა უნიშნო უნდა ყოფილიყო: ამგვარი უძველესი ტიპის წარმოება დღესაცაა შემორჩენილი არქაულ ზმნებში). არქაული ტიპის ზმნებში ოდინდელი დიურატივის მანარმოებელი **-ი** სუფიქსი ძველ ქართულში ე. წ. II **ხოლმეობითის** მწკრივის მარკერადაა კვალიფიცირებული.

ძველი ქართულის დონეზე დროთა სამწევრა სისტემა ჩამოყალიბების პროცესშია. ამ პროცესს შეიძლება თვალი გავადევნოთ წმ. წერილის ბერძნულიდან (სეპტუაგინტადან) პარალელური თარგმანების სათანადო მასალაზე დაკვირვებით. ეს მასალა ფართოდაა წარმოდგენილი არნ. ჩიქობავას ფუნდამენტურ ნაშრომში, რომელიც ეხება ერგატიული კონსტრუქციის



პრობლემას იბერიულ-კავკასიურ ენებში (არნ. ჩიქობავა, 1948). ამ ნაშრომის მთელ რიგ პარაგრაფებში (არნ. ჩიქობავა, 1948: §§4, 5, 6, 7; გვ. 11-47) წარმოდგენილი მასალა გვიჩვენებს, რომ ე.წ. II ხოლმეობითის ფორმებით ხშირად გადმოცემულია ბერძნული ტექსტის ახლანდელი და მომავალი დროის მნიშვნელობის მქონე ფორმები. პარალელურ რედაქციებში ზოგჯერ მათ I სერიის თემის ფორმები შეესაბამება: ამგვარი შემთხვევებიდან სამაგალითოდ მოვიყვანოთ რამდენიმე: ჯრუჭ-პარხლისა და ადიშის ოთხთავში, ასევე, ურბნისის ოთხთავში II ხოლმეობითის (დიურატივის) (ჰ)სტქტ ფორმითაა თარგმნილი ბერძნული ანმყოს – λέρυε ფორმა: თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: შე-რად მნუხრდის, სტქტ, ყუდრო იყოს, რამეთუ წითს ცაჲ, და განთიად სტქტ: ზამთარი იყოს, რამეთუ კსინავს მნუხარედ ცაჲ (მთ. 16,2-4); სტქტ აქ ანმყოს (ახ. ქართ. ამზობთ) მნიშვნელობით რომ არის ნახმარი, ამას, გარდა ბერძნული წყაროს მონაცემისა, მოწმობენ სხვა ენებზე (ლათინურ, სომხურ, სლავურ) თარგმანებიცა და თვით ძველი ქართული ოთხთავის ტექსტის სხვა ვარიანტებიც, რომლებშიც თქვს ფორმის შესატყვისად იტყვს ფორმაა გამოყენებული მაგ.: ვითარ-მე თქვან მნიგნობართა: ჰელიადა მოსულად არს პირველად? (მრკ., 9,11 ადიშის ოთხთ.). მაგრამ: ვითარ-მე იტყვან მნიგნობარნი: ელიაჲსი პირველად ჯერ-არს მოსლვაჲ? (ჯრუჭ-პარხლის, ოპიზა-ტბეთის, ქსნის, ურბნისის, ექვთიმე და გიორგი ათონელებისა); რაჲთა აღესრულოს თქუმული უფლისა მიერ წინაწარმეტყუელისაგან, რომელ თქვს: ეგუპტით უნოდი ძესა ჩემსა (მთ. 2,15). ამ უკანასკნელი მაგალითის მიხედვით აშკარაა, რომ თქვს (მან) ფორმის ამ მნიშვნელობით გამოყენება უფრო ადრინდელია, ხოლო იტყვს (იგი) ფორმისა – მერმინდელი: ამ მოვლენის არქაულობაზე მიუთითებს ის, რომ რომელ ნაცვალსახელი, რომელიც სუბიექტის – მოთხრობითს ბრუნვაში უნდა იდგეს, განუსაზღვრელ ბრუნვაშია.

ნამყო ძირითადის (II სერიის) მარტივი **თქუ-** თემისა და ერგატიული კონსტრუქციის **თქუ-ი-ს (მან იგი) – თქუ-ი-ან (მათ**

*იგი*), ფორმები მოცემულ კონტექსტებში აშკარად ჩვეულებითი, ზოგადი ანმყოს შინაარსს გამოხატავენ, რაც ძალიან ახლოსაა დიურატივის (განგრძობითი მდგომარეობის) შინაარსთან. მაგრამ ამ ტიპის მაგალითებთან ერთად ადიშის ოთხთავში *იტყვს* ფორმაც ჩვეულებრივ ახლანდელი დროის გაგებითაც იხმარება, ისევე, როგორც *იტყვს (იგი)* ფორმის ნაცვლად *თქვს (მან)* ფორმა და დასკვნაც შესაბამისია: „*თქვს* ზმნის (ხოლმეობითის) ანმყოს ნაცვლად გამოყენება ჰადიშის ოთხთავში უფრო ნარჩენია, ვინემ ძირითადი ნორმა“ (არნ. ჩიქობავა, 1948, §17).

„მთელი ოთხთავის მასალაზეა გასინჯული“ *თქვს* ზმნისა და მასთან ერთად ე. წ. „ხოლმეობითის“ მწკრივის ფორმების გამოყენება ანმყოს ფუნქციით გარდამავალ და გარდუვალ ზმნებთანაც (არნ. ჩიქობავა, 1948, §5, §6, გვ. 28-420), ასევე, განხილულია ერთი და იმავე რედაქციის ერთსა და იმავე კონტექსტში II ხოლმეობითისა და ანმყოს პარალელური ხმარების ნიმუშებიც შემასმენლების მიხედვით შერწყმულ წინადადებაში: როგორიცაა, მაგ.: *ყოველი რომელი ითხოვნ – მოიღის და რომელი ეძიებნ – პოის, და რომელი ირეკნ – განელის (მთ. 7,8, ადიში); ან: დადვის, არნ, არიედ, იხილის, დაუტევენის, ივლტინ, წარიტაცნის, განაბნინის, ჰჭირნ* (ი., 10,11-14) და სხვ. (არნ. ჩიქობავა, 1948, §7:42-47).

ამგვარად, ძველი ქართულის კლასიკური პერიოდის ადრინდელ ეტაპზე წმ. წერილის ბერძნულიდან თარგმანებში ორიგინალის ანმყოს ფორმები ხშირად ე. წ. II ხოლმეობითის ფორმებითაა გადმოცემული. ამავე ფორმების ხმარება მომავალი დროის მნიშვნელობითაც იმის მაჩვენებელია, რომ ყოფილი დიურატივის ფორმა ჯერ კიდევ არ არის დაცლილი ასპექტური გაგებისაგან, მაგრამ მაინც, მისი ძირითადი ფუნქცია **ზოგადი, ჩვეულებითი ანმყოს გამოხატვაა და არა ხოლმეობითი მოქმედებისა**. ამგვარად, საკმაოდ ვრცელი ანალიზის შემდეგ არნ. ჩიქობავა, სრულიად ლოგიკურად დაასკვნის, რომ „ზმნის უღვლილების დასაწყის ეტაპებზე გარდამავალი ზმნის ორი ასპექტი

გაირჩეოდა (განგრძობითი და ერთბაში) და ორი ნაკვეთი გვექონდა: ხოლმეობითი და ნამყო ძირითადი. ხოლმეობითი ასრულებდა იმ როლს, რაც შემდეგში ანმყოს დაეკისრა. ნამყო ძირითადი ხოლმეობითს უპირისპირდებოდა ასპექტის მიხედვით. ხოლმეობითი ანმყოს ჩამოყალიბების შემდეგაც კარგა ხანს გამოდიოდა ანმყოს მონაცვლედ: ერთი მეორის გვერდით არსებობდა არქაული და მერმინდელი ნაკვეთები თავ-თავისი ფუნქციით“ (არნ. ჩიქობავა, 1948, §17:80).

მაგრამ, საბოლოოდ, ამ მარტივთემიანმა სტატიკურმა ფორმამ მაინც ვერ შეძლო ახლანდელი დროისათვის დამახასიათებელი დინამიკის, მოქმედების პროცესის გამოხატვა და ამისათვის საჭირო გახდა წყვეტილი ასპექტის მარტივი, სტატიკური თემისათვის მადინამიკურებელი (მაინტენსივებელი) ნიშნების (-ოვ, -ევ, -ენ -ავ, -ამ, -ებ, -ობ სუფიქსების) დართვა, რომელთაგან დღეს სალიტერატურო ენაში შემოგვრჩა -ებ, -ობ, -ავ. მათ საბოლოოდ გააფორმეს სტატიკური ზმნის გაუდიფერენცირებელი თემა და ამგვარად, ჩამოყალიბდა მისი ოპოზიციური დინამიკური ე. წ. „ანმყოს ჯგუფის“, I სერიის რთული თემა, რომელმაც შემდგომ ეტაპებზე წარმოშვა წარსულის დინამიკური, ინტენსიური მოქმედების გამომხატველი ე. წ. „ანმყოს ხოლმეობითის“ (სინამდვილეში კი ნამყოს ხოლმეობითის) -ოდ/-დ მაინტენსივებელი ფორმანტებით გაძლიერებული თემა. ხოლო, რაც შეეხება -დიურატივისაგან **მომდინარე -ი მარკერს**, რომელიც თავისი აგებულებით სრულიად განსხვავდება დანარჩენი სუფიქსებისაგან და, რომლითაც ძველშიც და თანამედროვე ქართულშიც გაფორმებულია I დიათეზის (როგორც აქტიური, ისე ავტოაქტიური შინაარსის მქონე) მთელი რიგი ზმნების ანმყოს თემა (როგორიცაა, მაგ., ტირის, კივის, წივის, მკის, ცდის, ცრის, ზრდის, ყიდის...) – ამ სუფიქსის წარმომავლობის შესახებ ვრცელი და ნათელი მსჯელობაა წარმოდგენილი არნ. ჩიქობავას ზემოთ არაერთგზის მითითებული გენიალური ნაშრომის მე-16 პარაგრაფში. აქ მხოლოდ იმას დავამატებდით, რომ მას მერე, რაც ჩამოყალიბ-

და „ანმყოს“, ანუ I სერიის რთულთემიანი ჯგუფი თავისი გან-  
შტოებებით და სემანტიკური ნიუანსებით, რომელიც ხოლმეობი-  
თის შინაარსსაც გადმოსცემდა, ეს უძველესი ფორმა ჭარბი აღ-  
მოჩნდა და სალიტერატურო ენაში თანდათან დაიკარგა.

ამგვარად, მივიღეთ ანმყო-წყვეტილის მორფოლოგიურად  
ოპოზიციური თემები: ვადგ-ენ – დავადგ-ინ-ე (ვან) ვაბნ-ევ –  
ვანვაბნ-ივ-ე; გორ-ავ – იგორ-ე; იძინ-ებ – (და)იძინ-ე; (აღ)აშენ-  
ებ – (აღ)აშენ-ე; აცხ-ობ – და-აცხვ-ე; ატფ-ობ – გან-ატფ-ე...

მაგრამ ფორმათა განვითარებისა და სემანტიკური (შინაარ-  
სობრივი) დიფერენციაციის პროცესი ამით არ დასრულებულა.  
ახლანდელი დროის თანდათანობითმა კონკრეტიზაციამ და გან-  
საზღვრამ გამოკვეთა და გამოყო მესამე მიმართება: **შემდგო-  
მისა, მომავლისა**: 1. წყვეტილი ასპექტის – ნამყო ძირითადის  
ფორმა არსებობდა, 2. დიურატივის დაშლის შემდეგ მისი ფორმა  
ბერძნულიდან თარგმანებისა და პარალელური რედაქციების  
მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ანმყოსთან ერთად ნამყო უსრულისა  
და იშვიათად **მომავალი დროის** მნიშვნელობითაც იხმარებოდა:  
(იხ. არნ. ჩიქობავა 1948, §8:53-54) მაგრამ პოლისემანტიზმს (მით  
უფრო გრამატიკულს) ენა დიდხანს ვერ იტანს: ახლანდელი დრო-  
ისათვის, როგორც ვნახეთ, თანდათან მადინამიკურებული სუ-  
ფიქსების დართვით დინამიკური ფორმები ჩამოყალიბდა. 3. მაგ-  
რამ მომავალი დრო, განსხვავებით წარსულისა და ახლან-  
დელისაგან, რომლებიც მომხდარ ან არსებულ რეალურ ფაქტს  
გადმოსცემენ, გულისხმობს ისეთ ირეალურ მოქმედებას, რომე-  
ლიც, როგორც ჯერ არარსებული, მომავალში შესასრულებელი  
და არა ფაქტი, **შესაძლებელია, სავარაუდოა, სათუოა, საეჭ-  
ვოა**. ამდენად, მომავალი დრო საფუძველშივე შეიცავს შესაძლე-  
ბელ-სავარაუდო, „თუობითი“ შინაარსის, ანუ **კილოს ელემენტს**,  
ნიუანსს. ამგვარად, მომავალი დროის გაგებას თან უნდა მოჰყო-  
ლოდა შესაძლებელის, სათუო, საეჭვო, თუ სასურველობის შინა-  
არსი, ანუ **კილოს გაგება**. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **კილოს გა-  
გება** ჩაისახა მომავალი დროის წიაღში მისი დიურატიული მდი-

ნარებიდან გამოყოფასთან ერთად. „უბნობის“ მომენტთან ამ მე-სამე მიმართების გამოხატვა და დიფერენცირება დიურატივისაგან, რომელმაც, ძირითადად, ზოგადი ანმყოფა და ჩვეულებითობა-ხოლმეობითობის შინაარსის გადმოცემა შეძლო, უნდა მომხდარიყო წყვეტილი ასპექტის არსებული ყალიბის, გამოყენებით, მარტივ თემაზე სათანადო სუფიქსის დართვით: დადეგ >დადეგ-ე> დადეგ; ნახუედ > ნახუიდ-ე; განტეფ > განტეფ-ე; მოჰკალ > მოჰკლ-ა; -დაჰფალ > დაჰფლ-ა; კრავ > შეკრ-ა; -ევ > -ე სუფიქსიანი წყვეტილის შემთხვევაში: შესწირ-ევ > შესწირ-ევ-ე > შესწირ-ვ-ე > შესწირ-ო; და-ადგინ-ევ-ე > დაადგინ-ვ-ე > დაადგინ-ო...

თავიდან ამ ფორმებში დომინირებდა დროის სემანტიკა: კილოს კატეგორიას მისი გაჩენა-ჩამოყალიბების მომენტისათვის სუსტი, დროის სემანტიკაზე დაქვემდებარებული ბუნდოვანი შინაარსი უნდა ჰქონოდა. მან თანდათან შეიძინა გამოკვეთილი ფუნქციები: ზმნით გამოხატული მოქმედებისადმი სუბიექტის, მოქმედი პირის დამოკიდებულებისა თუ ნება-სურვილის გამოხატვისა, ამას უნდა მოჰყოლოდა აზრის დანაწევრებულ მონაკვეთებად პირობისა და შედეგის, მიზეზისა და მიზნის გამოხატვის საჭიროება, რაც წინადადებათა დაქვემდებარების, ანუ ჰიპოტაქსური კონსტრუქციის გაჩენა-ჩამოყალიბებასთანაა დაკავშირებული. ამგვარად, კილოს სემანტიკური კატეგორია რთული კატეგორიაა, რომელიც ფორმალურადაც რთული აგებულებისაა და მორფოლოგიური გამოხატვის გარდა სინტაქსური კომპონენტების ჩართვასაც მოითხოვს (მასთანაა დაკავშირებული დაქვემდებარებული წინადადებების კავშირთა სისტემის ჩამოყალიბება და სახელიც, „კონიუნკტივი“, ანუ „კავშირებითი კილო“ აქედანაა). ამდენად, კილოს კატეგორია ენის განვითარების გვიანდელ ეტაპთან, მნივნობრული და მეცნიერული ენის ჩამოყალიბებასთანაა დაკავშირებული. მაგრამ აღსანიშნავია, რომ მისი ყველა სემანტიკური ქვესახისათვის წამყვანი მომავალი დროის კომპონენტია (დ. მელიქიშვილი, 1961).

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში (XI საუკუნემდე), ძირითადად, თხრობითი კილოს მომავალი დროისა და კავშირებითი კილოსათვის ომონიმური ფორმებია გამოყენებული. ამ ფორმების აღსანიშნავად ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში როგორც ძველი, ასევე თანამედროვე ქართულისათვის ტერმინი „კავშირებითის“ მწკრივები (//ნაკვეთები) დამკვიდრდა (ე. წ. II კავშირებითი, ანმყოს კავშირებითი...), როგორც ჩანს, თანამედროვე ქართულში ამ ფორმათა ფუნქციიდან ამოსვლით, რაც ხშირად გაუგებრობას იწვევს, რადგანაც ამ ფორმათა ძირითადი ფუნქცია ძველ ქართულში თხრობითი კილოს მომავლის გამოხატვაა, ხოლო საკუთრივ კავშირებითი კილოს შინაარსით ეს ფორმები მხოლოდ ჰიპოტაქსური კონსტრუქციის დამოკიდებულ წინადადებაში გვხვდება (რათა, რომ და სხვა მაქვემდებარებელ კავშირებთან), რაც მათი ამ ფუნქციით გამოყენების მეორეულბაზე მიუთითებს. ქართული ზმნის უღლების სისტემის განვითარების ამ საფეხურზე კავშირებითი კილოს გააზრება მკვეთრად ემიჯნება მომავალ დროს, თუმცა კი ეს უკანასკნელი მაინც რჩება მისი სემანტიკის წამყვან ელემენტად (დ. მელიქიშვილი, 1980:59-75). როგორც ცნობილია, ენა ვერ იტანს ომონიმას (და პოლისემანტიზმს) ვერც ლექსიკურ და, მით უფრო, გრამატიკულ დონეზე. მეტყველების დონეზე ენა მუდამ ეძებს და პოულობს კიდევ ომონიმია-პოლისემიის დაძლევის გზას და პოტენციას თავისსავე წიაღში, რაც სალიტერატურო ენის განვითარების შემდგომ ეტაპებზე ნორმად იქცევა და, რაშიც არაერთხელ დავრწმუნებულვართ ქართული სახელისა თუ ზმნის სისტემის დიაქრონიული ანალიზისას. ამ შემთხვევაშიც, ძველი ქართული თარგმანებისა თუ ორიგინალური წერილობითი ძეგლების მიხედვით შეიძლება თვალი გავადევნოთ, თუ როგორ ისახება და ვითარდება კავშირებითი კილოსა და მომავალი დროის ფორმალური გამიჯვნის ძლიერი ტენდენცია, რომელიც მეტყველებაში გაცილებით ადრე ჩაისახა, ხოლო სალიტერატურო ენაში XI ს.-ის ბოლოსკენ ძლიერდება და ნორმად გაცილებით გვიან იქცევა (სარ-

ჯველაძე, 1984, გვ. 490-505). ფორმათა დიფერენცირების სხვადასხვა საშუალებების ძიებაში კავშირებითი კილოს შინაარსის გადმოსაცემად მოისინჯა მცა ნაწილაკის თხრობითი კილოს ფორმებთან გამოყენება (**არამცა ცხოვნდა** ყოველი *ქორციელი მრკ. 13,20*), რაც დღესაც გვხვდება დალოცვისა თუ წყევლის ფორმულებში, მყარ ფრაზეოლოგიურ გამოთქმებში, როგორიცაა, მაგ., „*ღმერთმც გიშველის*“ ტიპის შესიტყვებები). საკუთრივ მომავალი დროის, კილოსაგან დაცლილი მნიშვნელობის გადმოცემას კი თარგმანებში ჯერ აღწერითი, მეშველზმნიანი კონსტრუქციით ცდილობენ (მასდარი ვითარებით ბრუნვაში + არ-ს მეშველი ზმნა: მოსლვად არს, ყოფად არს, შესუბად არს), მაგრამ ეს ფორმა ფებს ველარ იკიდებს, რადგანაც ფორმათა გამიჯვნის პროცესი დააჩქარა და საბოლოოდ დაასრულა ასპექტის კატეგორიის გამოხატვის სისტემის შეცვლამ, რის შედეგადაც ანმყოს ზმნისწინანმა ფორმებმა, რომლებიც კლასიკური ძველი ქართულის პერიოდში უზმნისწინო ფორმებთან ერთად ახლანდელ დროს გამოხატავდნენ, სრული ასპექტის გამოხატვის ფუნქცია შეიძინეს, და შესაბამისად დაკარგეს ახლანდელი დროის გაგება და მექანიკურად მომავალი დროის ჯგუფში გადაირიცხნენ (ისევე, როგორც საუკუნეების წინ ი-პრეფიქსიანი ავტოაქტივის ფორმები გამოეყვნენ უპრეფიქსო ფორმებს და უსრულასპექტიანი თხრობითი კილოს მომავლის ფუნქციით დაიტვირთნენ). ამგვარად, ისტორიული მყოფადის ფორმებში საბოლოოდ დროის გაგება დაიწრდილა და წამყვანი გახდა კავშირებითი კილოს ფუნქცია.

თანამედროვე ქართულში თხრობითი კილოს მომავალი დროის გადმოცემა ისტორიული ანმყოს ზმნისწინიან ფორმებს აკისრია და, თუ არა ძველი ქართული წერილობითი საბუთები და ის გარკვეული შემთხვევები (ძირითადად ანდაზების ენაში), რომლებშიც დღევანდელი კავშირებითი კილოს ფორმებს გადმონაშთის სახით ნეიტრალური მომავლის გადმოცემის უნარი შერჩათ, ჩვენ ვერ დავასკვნიდით, რომ ე. წ. კავშირებითის მწკრივთა პირვანდელი, ძირითადი ფუნქცია ოდესღაც თხრობითი კილოს

მომავალი დროის გადმოცემის ფუნქცია იყო. აღსანიშნავია, რომ მთის კავკასიურ ენებში კავშირებითი კილოსა და მომავალი დროის ფორმათა ომონიმის კვალი დღესაც შემორჩენილია და გამორიცხული არ არის, რომ მათ იმ ენებშიც განვითარების მსგავსი გზა ჰქონდეთ გავლილი. ქართველურ ენათაგან კი დღეს თითქოს მხოლოდ ქანურის ხოფურ კილოკავს შემორჩა ნაშთის სახით მომავალი დროის გამოხატვის ძველი სისტემის კვალი.

ბერძნული და ლათინური ენების ისტორიულ გრამატიკებში მომავალი დროის ფორმები კავშირებითი კილოს ფორმათაგან მიღებულადაა მიჩნეული. ძველი ბერძნულის სიგმატური ფუტურუმის ფორმების წინაპრად შანტრენის ბერძნული ენის ისტორიულ გრამატიკაში კავშირებითი კილოს ფორმებია მიჩნეული. ჩვენი აზრით, ამ ენებშიც ამოსავალი თხრობითი კილოს მომავალი დროის ფორმებია სავარაუდებელი და არა პირიქით (მელიქიშვილი, 1962, 1980). ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავი და ნიშანდობლივია ისიც, რომ ძველ სომხურში მომავალი დრო კავშირებითის ფორმებით გადმოიცემოდა.

შემთხვევითი არ არის, რომ ბრძანებით კილოს ძველშიც (თუ არ ჩავთვლით III პირის სპეციფიკურ მარკერებს და აორისტში მეორე პირის უნიშნო ფორმას) და თანამედროვე ქართულშიც საკუთარი „მწკრივი“ – „ნაკვთი“ არ გააჩნია. I და III პირები იყენებენ ე. წ. II კავშირებითის ფორმებს (გავაკეთოთ, გააკეთოს/-ნ), ხოლო II პირი კი წყვეტილის ფორმებს (გაკეთე – გააკეთეთ), რომელთაც თხრობითი კილოს აორისტისაგან მხოლოდ ინტონაცია და მომავალი დროის გაგება განასხვავებს.

საუკუნეების განმავლობაში ქართული ზმნის დრო-კილოთა სისტემა თანდათან დაიხვეწა, ჭარბი სინონიმური ფორმები (გრამატიკული დუბლეტები, არქაული, დიურატივიდან მომდინარე II ხოლმეობითის ფორმები, ანმყოს ხოლმეობითი, უწყვეტლის ხოლმეობითი, III ხოლმეობითი, შერეული კავშირებითი, I ბრძანებითი) გადაშენდა, სამაგიეროდ ორპირიანი სტატიკური ზმნების მიცემითი დასმული პირის (პარტიციპანტის) სუბიექტად გა-



დააზრების შედეგად ჩამოყალიბდა ახალი, III სერიის დატიური კონსტრუქციის მქონე ინაქტიური სუბიექტის მქონე დინამიკური ზმნების ჯგუფი სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსებით (უნახავი აქტი, უნებლიე მოქმედება, მრავალგზისობა...), გამოიკვეთა დრო-კილოთა ახალი ფორმების სემანტიკა.

უნდა აღინიშნოს, რომ დრო-კილოთა მონესრიგებული სისტემის ფორმირების პროცესს დიდად შეუწყო ხელი ბერძნულიდან ინტენსიურმა თარგმნამ: თარგმნის პროცესში ბერძნული ზმნური ფორმების ზუსტი შესატყვისების ძიებამ გამოავლინა ქართული ზმნის მდიდარი შესაძლებლობები, რის შედეგადაც ლოგიკურად გამართული, მკაცრად სისტემატიზებული უღლების ტიპები ჩამოყალიბდა.

### ლიტერატურა

1. **დ. მელიქიშვილი, 1962** – დ. მელიქიშვილი, II კავშირებითის ფუნქციები ძველ ქართულში (ოთხთავის ორი ძველი რედაქციის მიხედვით), სადიპლომო ნაშრომი (ხელმძღვანელი პროფ. ფარნაოზ ერთელიშვილი), თბილისი, თსუ, ფილოლოგიის ფაკულტეტი, 1962.
2. **დ. მელიქიშვილი, 1980** – დ. მელიქიშვილი, მომავალი დროისა და კავშირებითი კილოს ურთიერთობის საკითხისათვის (ძველი ქართული ენის მასალაზე დაყრდნობით), იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, ტ.VII, თბილისი, 1980.
3. **ზ. სარჯველაძე, 1984** – ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, 1984.
4. **არნ. ჩიქობავა, 1948** – არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბილისი, საქ. მეცნ. აკად. გამომცემლობა, 1948.

**CONCERNING THE HISTORY OF THE ESTABLISHMENT OF THREE-MEMBERS' SYSTEM OF TENSES**

**in Georgian verb conjugation system**

**S u m m a r y**

The analysis in the present article is based upon Arnold Chikoba-va's view concerning the existence of aspect oppositions (durative – instantaneous) before establishment of the category of tenses. The author aims at corroborating this view and at showing the process of establishment of the three-members' system (past – present – future) on the basis of analysis of the Old Georgian language

After the durative form failed to show dynamic process of the present tense, the simple verbal stem was formed through suffixes conveying the notion of dynamism. As to the future tense, in the Old Georgian the future indicative and the future subjunctive were homonymous. The homonymy was overcome by adding proverb to the complex theme of the present tense.

In Old Georgian the notions of subjunctive mood and future indicative tense were expressed by means of the so-called 2<sup>nd</sup> subjunctive tense-forms გააკეთოს „gaaketos“). Those forms were used in the meaning of the subjunctive mood only in subordinate clauses, while in the meaning of the future tense they could be used both in simple sentences and any of the clauses.

On the basis of the Old Georgian data (and the data of other languages as well) the author has arrived to the following conclusion:

Future Tense as a category expressing unreal action, not a fact, contains in itself the notion of subjunctivity.

In the course of the development and the refinement of temporal system, on the one hand, and the category of the subjunctive mood, on the other, the future tense and subjunctive mood had gradually become differentiated as to their meaning, the given fact having later found its reflection formally as well.

The formation of the subjunctive mood as an independent category must have been connected with the development of hypotaxis which is known to be a late formation in all the languages.

## „დაღონებული“<sup>1</sup> – ძველ ქართულ ენაში

ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ „დაღონება“ განმარტებულია, როგორც „მოხრა“, ხოლო „დაღონებული“ – „მოხრილი“, „დაღრეკილი“, „მოღუნული“. მხოლოდ ასე! ზ. სარჯველაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში (მასალაები)“, რომელშიც მხოლოდ ის მასალაა მოხმობილი, რომელიც ი. აბულაძის ლექსიკონში არაა ასახული, შეტანილია „დაღონებულობა“, რომელიც ახსნილია, როგორც „დაღონება“. მაშასადამე, ძველ ტექსტებში „დაღონება“ და მისგან მომდინარე სიტყვები ფიზიკურ ან სულიერ მდგომარეობას გვიჩვენებს, ერთი და მეორეც, შესაბამისად, ტანის ან სულის სიმრთელის ნაკლებობაზე მიუთითებს, მის დათრგუნვაზე.

ცხადია, გვაქვს ცალკეულ ძეგლებს დართული ლექსიკონებიც. ვნახოთ მათზე დაყრდნობით, რა სახით გვხვდება ძველ ქართულში „დაღონება“ და მისგან ნაწარმოები „დაღონებული“ თუ „ღონ“ ძირიდან მომდინარე მონათესავე სიტყვები.

უნდა ითქვას, რომ ყოველთვის არ ხერხდება ამ სიტყვის შინაარსის ცალსახად დადგენა. ძნელია დაბეჯითებით თქვა, „ღონ“ ძირის შემცველი სიტყვები ფიზიკურად დაღონებულს, ანუ მოხრილს, მოდრეკილს, მოღუნულს აღნიშნავს თუ იგი გადატანითი მნიშვნელობით არის ნახმარი და სულიერ სიძაბუნეზე მიუთითებს – „შენუხებულს“, დღევანდელ „დაღონებულს“ გულის-

<sup>1</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით ქ-ნ ნელი მახარაძეს 1998 წელს წაუკითხავს მოხსენება „საერთო ქართველური „ღუნ-/ღონ-/ძირის წარმომავლობისა და სემანტიკური არქეტიპისთვის“ (დასავლურ ენათა და კულტურათა სახელმწიფო ინსტიტუტის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია). გამოქვეყნებულია მხოლოდ მოხსენების თეზისები კრებულში „ფონეტიკა და ნორმა“, 1998), რომელსაც, სამწუხაროდ, მე არ ვიცნობდი.

ხმობს. ისეც ხდება, რომ ძველი ტექსტების სხვადასხვა გამომცემელი ერთსა და იმავე ფრაზას სხვადასხვანაირად განმარტავს. ზუსტი მნიშვნელობის გამოსარკვევად საჭიროა მოვიშველიოთ ერთი და იმავე თხზულების პარალელური რედაქციების ჩვენება, ერთმანეთს შევუდაროთ ორიგინალისეული სიტყვის თარგმანები სხვადასხვა თხზულებაში და ა.შ.

**1) დაღონება** – მოხრა, მოდრეკა

**„დაღონებით** მოედრიკნეს თავნი მათნი ქუეყანად“ (341, 689 = მოხრით, თავჩალუნულად /ი.აბულ./). ნიკო მარრი ამ ფრაზას ასე თარგმნის: „склонили скорбно головы к земле“ (ნარტყ. 45,28)“.

„აღიძრა ერი იგი გოდებად და ვერარა თქუეს ალილუიად იგი მეორე, არამედ **დაღონებით** მოიდრიკნეს თავი მათი ქუეყანად, ხოლო მწყემსი იგი კეთილი ზაქარია ევედრებოდა ქრისტესა ცრემლით და სულთქუმით და ვითარ ერი მრავალ ჟამ თავმოდრეკით ევედრებოდა უფალსა, მაშინ ბრძანა, რათა შეკრიბნენ ჩჩვლნი ყრმანი შკდით წლითგანნი“ (ნარტყ. 47,9). ეს მაგალითი წინას მსგავსია. ნ. მარრი ასე თარგმნის ამ ადგილს: „склонили скорбно головы к земле“ (ნარტყ. 45,26), მაგრამ, ვფიქრობ, ილია აბულაძის განმარტება უფრო სწორი უნდა იყოს. ქვემოთაც შეგვხვდება კიდევ ორი მაგალითი, რომლებშიც მარრი ამ ძირში მხოლოდ დღევანდელ „დაღონებას“ გულისხმობს და არა „მოხრას“, „მოდრეკას“ (მხოლოდ „იერუსალიმის ნარტყვევანა“ მაქვს მხედველობაში).

რაკი პირველ მაგალითში შესიტყვება „დაღონებით მოედრიკნეს“ ნიშნავს „მოხრას“, „დაღუნვას“, საფიქრებელია, ჩვენს შემთხვევაშიც დღევანდელი „დაღონება“ კი არა, „მოხრა“ იგულისხმებოდეს. მით უფრო, რომ ორიოდე სტრიქონის შემდეგ „თავმოდრეკით ევედრებოდა“ წერია.

„განკურნოს იგი ღმერთმან ლოცვითა მისითა და აღმართოს **დაღონებათა** მისთაგან, რამეთუ ყოვლადვე ვერ შემძლებელ იყო ზეაღმართებად“ (კიმ. I, 224, 24). ამ მაგალითში აშკარად „მოხრა“, „მოდრეკა“, „მოღუნვა“ იგულისხმება.

„სული სრბასა მას შინა თვსსა დაემჯუას **დაღონებით** ქუე“ (მატბ. 119,37).

უნდა ითქვას, რომ ეს სიტყვა ძველ ტექსტებში ძალზე იშვიათად გვხვდება, მისგან ნაწარმოები მიმღეობა კი გაცილებით ხშირია.

**2) დაღონებული** – მოხრილი, მოღუნული, თავჩაქინდრული „იყო იგი **დაღონებულ** და ვერ ეძლო ზე აღხილვად ყოვლად“ (ლუკ. 13,11).

und sie war krumm und konnte nicht wohl aufstehen

Она была скорчена и не могла выпрямиться.

**აქ დაღონებული** ნიშნავს „მოხრილს“, „მოკრუნჩხულს“.

„უკუეთუ შეემთხვის მას ვნება რაჲმე, მაშინ გონებაჲ იქმნის **დაღონებულ** და მკელობელ“ (უძვ. რედ 177,5 = მოხრილი, მოღუნული, მოშლილი).

„იხილა ბერი ვინმე ერთი ფრიად მოხუცებული, **დაღონებული** ქუეყანად, რომლისა ფერი პირისა მისისაჲ დაშავებულ იყო და თმაჲ თავისა მისისაჲ სპეტაკ“ („ბალავ. 23, 32C = დახრილი, მოხრილი). **¶** რედაქციაშია: „და იყო გზასა მას ზედა ბერი კაცი მდებარე **მოუძღურებული**, რომლისა თმაჲ სპეტაკ იყო“.

„და ესე მოსწავებაჲ არს ჭეშმარიტი, რამეთუ ყოველნი დამორჩილებულნი მხედველ არიან დამხედ, ქვე დამართ, გარნა კაცი ხოლო მარტოჲ თავალებულად მდგომარე არს, ხოლო სხუანი ცხოველნი **დაღონებულ** არიან გუამითა, რამეთუ წინა-კერძონი მათ ყოველთანი ფერჯ არიან და არა ჯელ და ამისთვის **დაღონებულთა** მათ უჯმს მისაყრდნობელი“ (უძვ. რედ. 154,19,21. აშკარაა, აქაც „მოხრილი“ იგულისხმება.

„შენვე უფალო, მოუვლინე შენმიერი კურნებაჲ დედაკაცსა ამას, მდებარესა ცხედარსა ზედა და მკუდარ ქმნულსა მეც-ნიერთა თვსთაგან... შენ, უფალო, მიწოდე, რაჲთა მოვიდე და შოვა-მდგომელ ვიქმნე შოვრის შენსა და ჯორცთა ამათ **დაღონებულთა**, შენ მოავლინე ძალი შენი, ვითარცა ძლიერ ხარ და

განკურნე სნეულებამ დედაკაცისა ამის“ („მამ. ცხორ. 271, 30). ხელნაწერშია „**დაღონებულთა**“. ეს ფორმა დავიმახსოვროთ.

„დაპებულთა მით სამოსლითა ჩემითა **დაღონებულ** ვიყავ და დადრეკილ ზედა მუწლთა ჩემთა, და განვმარტენ და აღვიპყრენ ჳელნი ჩემნი უფლისა მიმართ! (2 ეზრა 9,5).

„და ვითარ ესმა ნეტრისა იოვანესთჳს, ვითარმედ მონამ არს ღმრთისამ დიდი და რამეთუ იქმს საკვრველებათა, მოვიდეს მისსა და მოჳგუარეს **დაღონებული** ვინმე ცხედრითა და ევედრებოდეს მას, რათა განკურნოს“ („იოვ. ოქროზ. 117,2).

„აღილო იოვანე პირი თჳსი და ჰრქუა **დაღონებულსა** მას: რადენი წელი გაქუს შენ, ვინათგან შეგემთხზა ესე“? მიუგო მან და ჰრქუა იოვანეს თარგმნითა: „რვამ წელი“ (იოვ. ოქროზ. 117,2).

„ესმა წმიდასა მას ჳმამ ნჳმისამ, რომელი შთვიდოდა ლაკუათა და კაცნი იგი სიხრულით ადიდებდეს ღმერთსა. მაშინ აღემართა ზე (რამეთუ მუნ ჟამამდე **დაღონებულ** იყო ლოცვასა შინა) და პირსა მისსა გამოჳკრთებოდა, ვითარცა ბრწყინვალეობამ მზისამ“ (ს. მესუეტ. 68,25).

„და ერჳენა კუალად მას ხილვამ საშინელი.. იყო რამ იგი **დაღონებულ** ლოცვასა შინა, შემკობილნი სამოსლითა“ (ს. მესუეტ. 71,15).

„ვითარ ვიყავ მე **დაღონებულ**, ვიხილე მე ყრმამ ერთი შუენიერი, რომელი მოვიდა და დადგა წინაშე ჩემსა“ (ს. მესუეტ. 69,19).

„სვიმონ მესვეტის ცხოვრებიდან“ მოყვანილი სამი ნიმუშიდან პირველი ორი აშკარად „მოხრილს“, „დახრილს“ ნიშნავს, მესამე თითქოს ორივე განსხვავებულ შინაარსს მიესადაგება, მაგრამ, რაკი ერთსა და იმავე ტექსტშია, თანაც, მეზობლად, ალბათ, ისიც „მოხრილს“ უნდა ნიშნავდეს.

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ყოველთვის არ ხერხდება ამ სიტყვის შინაარსის ცალსახად დადგენა. ზუსტი მნიშვნელობის გამოსარკვევად საჭიროა მოვიშველიოთ ერთი და იმავე თხზულების პარალელური რედაქციების ჩვენება,

ერთმანეთს შევეუდაროთ ორიგინალისეული სიტყვის თარგმანებში სხვადასხვა თხზულებაში ან რაიმე სხვა საშუალება უნდა მოინახოს.

„მიჰხედა მათ და იხილა სამწყსო თვისი, რომელნი გოდებთა დაჰსნილნი და გლოვითა **დაღონებულნი** და ჭირისა მისგან შეინრებულნი ვიდრე სიკუდიდმდე მინევენულ იყვნეს“ (ნარტყ. 27,11).

„ეზისტოლე... ზაქარია პატრიაქისაგან, ჭირვეულისა და განწირულისა და ლუანლთაგან **დაღონებულისა**“ (ნარტყ. 58,18). უკანასკნელი ორი ნიმუში მომაქვს „იერუსალიმის ნარტყვევნიდან“, რომელიც ნიკო მარრის მიერაა გამოცემული და მისივე თარგმანი ახლავს. მიუხედავად იმისა, რომ ნ. მარრს „გლოვითა დაღონებული“ ნათარგმნი აქვს, როგორც „сокрушенные печалью“, ხოლო „ლუანლთაგან დაღონებულის“ შესატყვისად აქვს „удрученного страданиями“, ვფიქრობ, რომ მათში უფრო დათრგუნული, ფიზიკურდ მოხრილი შრომისა და ტანჯვისგან დადრეკილი უნდა ივარაუდებოდეს.

„და აღვდეგ მე გლოვისა მისგან, და ეგრევე დაპებულ იყო სამოსელი ჩემი, **დაღონებულ** ვიყავ გლოვითა დიდითა და აღვიპყრენ ჴელი ჩემნი უფლისა მიმართ“ (3 ეზრა, 874 ოშკ. /მცხ.).

ამ მაგალითში შესაძლოა დღევანდელი მნიშვნელობა იყოს ჩადებული, ისევე, როგორც მომდევნოებში:

„და იყო მავრიანე ძმათა შორის **დაღონებულ**, ვითარცა შეცოდებული“ (პარხ. 1306a).

„უკუეთუ ხედვიდეს ფრიადისა მნუხარებისაგან **დაღონებულად**, ნუგეშინის-სცეს და, თუ ეგებოდის, ჴელიცა მისი ქედსა თვისსა ზედა დაიდვას და ჰრქუას: ჩემ ზედა იყვნენ, ძმაო, ბრალნი შენნი“ (მც. სჯულ.. 115,9).

„ვიეთნი უკუე დაკლებულად და **დაღონებულად** ანუ დაწუნებულად ცხომდებოდიან: ნარმართნი, რომელნი ჰმსახურებენ ღმერთთა, ანუ ქრისტეანენი, რომელნი თავყუანის-სცემენ ჯუარცმულსა ქრისტესა?“ (კიმენი, II, 47,5).

„ვიდოდა იგი **დალონებული**“ (3 მეფ. 21,27). რუსულ ტექსტშია: „и ходил печально“. საქართველოს საპატრიარქოს მიერ გამოცემულ ბიბლიაში (1989) გვაქვს: „**დამნუხრებული** დადიოდა“.

ეს ადგილი მცხეთურ ხელნაწერში ასე იკითხება: „ძე მისი მივიდოდა **მლუნარედ**“, თბილისურ ბიბლიაში (1884) არის: „და ვიდოდა **შეჭირვებული**“. **შეჭირვება** ი.აბულაძის ლექსიკონის მიხედვით არის „შეინრება“, „ჭირება“, „უღონო-ქმნა“, შენუხება. სხვა მაგალითებთან შედარებით ეს ყველაზე ახლოს დგას **დალონებულის** დღევანდელ მნიშვნელობასთან, თუმცა მცხეთური ხელნაწერის **მლუნარე** უფრო ფიზიკურ მდგომარეობას უნდა გულისხმობდეს.

აქამდე **ლონ** ძირის შემცველ სიტყვებს ვიხილავდით, ახლა მათ **ლუნ** ძირისაგან მომდინარე სიტყვები წამოეშველა, თანაც, რამდენიმე. ესენია **მლუნარი**, **მლუნარედ**, **მლუნავი**, **ბლუნვა** და **ილუნალი** ჯერ ისევ **მლუნარეს** მივუბრუნდეთ. ის სხვაგანაც გვხვდება:

### 3) **მლუნარი** – მოდრეკილი

„მიერთგან ყოფად ვარ სირცხვლითა **მლუნარ**“ (4 ძეგლი, 208, 24). აქ სწორედ „მოხრილი“, „მოდრეკილი“ უნდა იგულისხმებოდეს.

### 4) **მლუნარედ**, **მლონარედ** – შენუხებულად, ნაღვლიანად; მოხრილად, „მოხრით“:

„და მივიდოდა ტირილით და დაიპო სამოსელი თკსი და შთაიციუა ძაძა ჴორცთა მისთა და დაიმარხა დღესა მას, რომელსა მოკუდა ნაბუთე იეზრაიიტელი და ძე მისი მივიდოდა **მლუნარედ**“ (3 მეფ. 21,27).

საპატრიარქოს გამოცემაშია: „დამნუხრებული დადიოდა“.

შდრ. რუს. „ходил печально“, აგრეთვე გერმ.: „Er...schlich bekümmert“. მარტინ ლუთერის თარგმანშია: und ging jämmerlich einher.



ჩანს, ეს ადგილი დღევანდელ მნიშვნელობას უჭერს უფრო მხარს.

მაგრამ ეს სიტყვა სხვა, ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობითაც არის დადასტურებული:

„მლუნარედ ვიდოდის“ O – „ვიდოდეს მოხრით“ ps (ზირაქ 12,11): შდრ. საპატრიარქოს გამოცემა: „დამდაბლდა და ქედნახრილმა იარა“. აქ მლუნარედ აშკარად „მოხრილს“ ნიშნავს.

„არს მანკიერებაი მლონარედ მავალ“ (ზირაქ 19,23).

ბაქარისეულ ბიბლიაშია: „არს სიბოროტე, მოდრეკილი მელნითა, და შინაგანი მისი სავსე ზაკვთა“, საპატრიარქოს გამოცემაში კი იკითხება: „მწუხარებით თავჩაქინდრული“, შდრ. აგრეთვე რუსული „Который ходит согнувшись“.

**მლონარე** ოდნავ შეცვლილი სახით რამდენიმე ადგილას გვხვდება „ეზეკიელის წინასწარმეტყველებაში“:

„წინაშე მათსა ვიდოდე მლუნვარედ და დაფარულად განხვდე“ (ეზეკ. 12,6 ლ).

„დაფარულად ფიჩვთა გამოვედ მლუნვარედ მათ წინაშე“ (ეზეკ. 12,7 ბ).

„მთავარნი მათნი შორის მათსა მლუნვარედ ვიდოდიან“ (ეზეკ. 12,12 ლ).

ასეა გელათურ რედაქციაში. შესიტყვებებს „ვიდოდე მლუნვარედ“, „გამოვედ მლუნვარედ“ და „მლუნვარედ ვიდოდიან“ ოშკურ (ა) რედაქციაში ენაცვლება, შესაბამისად, „ბეჭითა აჰმალდე“, „ბჭითა (ბეჭითა I) აღვმალდე“ და ბჭით აღიტაცოს“. ბეჭით აღმალლება და ბეჭით აღტაცება ნიშნავს მოკუზვას, მხრებში მოხრას, მოდრეკას.

### 5) მლუნავი

ვნახოთ კიდევ ერთი სიტყვა განხილულთა სფეროდან. ესაა **მლუნავი**, რომლის ორად ორ ნიმუშს მივაკვლიე ძველ ძეგლებში. მეფეთა წიგნის მცხეთურ ვერსიაში გვაქვს:

„მიუგო მეფემან ისრაჴლისამან და ჰრქუა: კმა არს, აწ ნულარა იქადინ მლუნავი იგი, ვითარცა მართალი“ (3 მეფ. 20,11

მცხეთ.). ძნელია დაბეჯითებით თქმა, ამ მაგალითში **მლუნავი** რა მნიშვნელობით არის ნახმარი. საპატრიარქოს გამოცემაშია: „ნუ იტრაბახებს სარტყლის შემომრტყმელი სარტყლის შემომხსნელივით“, რაც რუსულ თარგმანს მისდევს (пусть не хвалится подпоясывающийся как распоясывающийся). ამ შემთხვევაში ბაქარი-სეული რედაქციის ჩვენება დაგვეხმარება, რომელშიც გვაქვს: „კმა არს, ნუ იქადი, **დალრეკილო**, ვითარცა მართალი“. **დალრეკილი** ძველ ტექსტებში სხვაგან არსად არის დადასტურებული, ერთადერთი ზმნური ფორმა ნაპოვნი აქვს ზ.სარჯველაძეს „ანბანურ პატერიკში“: „ნამნამნი თუალთა მისთანი მოსცვეს ტირილითა მისითა; გრძელი იყო, არამედ **დალრკა** სიბერიითა, ხოლო აღესრულა ოთხმეოცდათხუთმეტისა წლისაჲ“ (ნოვ. II, 16,24). აქ **დალრეკა** ნიშნავს „მოხრას“, „დახრას“.

დახმარებას ისევ საბას ლექსიკონი გაგვიწევს, რომელშიც სწორედ ეს ადგილია დამონებული: „**მლუნავი** (3 მეფ. 20.11) კაცი მოდრეკილი“. **დალრეკა** და **დალრეკილი** საბას განმარტებული აქვს ლექსიკონში: „**დალრეკა** დადრეკით დაშავება“; „**დალრეკილი** (მათე 15,31) მოდრეკილი კაცი“. მაგრამ საბას მიერ მითითებული **დალრეკილი** სახარების ყველა რედაქციაში (მათ შორის ხანმეტ ტექსტში) დაყოფით არის დაწერილი: „დალრეკილნი“, იქ „და“ აშკარად კავშირია და არა ზმნისწინი. ასე რომ, **დალრეკილი** ძველ ტექსტებში მხოლოდ ბაქარისეულ ბიბლიაში უნდა იყოს ნახმარი, სამაგიეროდ, **ლრეკილის** ნიმუშები ძველ ძეგლებში ათეულს აჭარბებს. თანაც, **ლრეკილთან**, ჩანს, უფრო **შე** ზმნისწინს ხმარობდნენ (**შელრეკილი**), რომლის მხოლოდ 5 ნიმუში მომხვდა ხელთ.

ახლა კვლავ ჩვენს მაგალითს მივმართოთ: „ან ნულარა იქადინ **მლუნავი** იგი, ვითარცა მართალი“. გერმანული ვერსიის მთარგმნელი და კომენტატორი ეუგენ ჰენე სქოლიოში შენიშნავს: ეს ანდაზა შემდეგს უნდა აღნიშნავდეს: „დათვის ტყავს მანამ ნუ გაყიდი, სანამ ხელთ იგდებდეო“. ქართული ვერსიის შესატყვისად კი, ალბათ, ასე უნდა გაიშიფროს: „წელში მოხრილო,

მოკრუნჩხულო, ნუ ტრაბახობ ისე, თითქოს წელგამართული იყო“. ამგვარად, **მლუნავი** ჩვენს შემთხვევაში „მოდრეკილს“, „მოხრილს“, „მოკრუნჩხულს“ უნდა აღნიშნავდეს.

მეორე ცალი ამ სიტყვისა სრულიად განსხვავებული მნიშვნელობის მქონეა: „ტრედნი **მლუნავნი**“ (ეზეკ. 7,16 გელათ.) ნიშნავს „მოლულუნე მტრედებს“. არსებობს სხვაგვარი განმარტებაც: „ველის მტრედები“ (საპატრ. გამოცემა), რაც რუსულ თარგმანს მიჰყვება. მაგრამ თინათინ ცქიტიშვილმა დამაჯერებლად აჩვენა, რომ პირველი განმარტება – „მოლულუნე მტრედები“ უფრო ახლოს უნდა იყოს სიმართლესთან.<sup>1</sup> მიუხედავად იმისა, რომ საბას ლექსიკონში **მლუნავს** ერთადერთი განმარტება აქვს მიწერილი – „კაცი მოდრეკილი“, მას ჩვენს შემთხვევასთან კავშირი არ უნდა ჰქონდეს.

#### 6) ილუნალი – „დადრეკილი“, მოხრილი

„სული ჭუენიერი სიმდიდრესა ზედა, რომელ ვალნ **ილუნალ**“ (ბარუქ 2,18 I). ბაქარისეულ ბიბლიაშია: „სულმან **დადრეკილმან**“. შდრ. საპატრიარქოს გამოცემა: „სული დამწუხრებული, რომელიც **ქედმოდრეკით** დააბიჯებს“, აგრეთვე, რუსული: „Который ходит поникши“.

#### 7) ბლუნვა

„**ბლუნვით** იყო სლვაჲ მისი, და ვითარცა ბერი იგი იხილა, კულად შეჰზარდა ხილვაჲ მისი“ („ბალავ. 24,2 C). „**ბლუნვით** იყო სლვაჲ“ ილია აბულაძეს ასე აქვს განმარტებული: „ოთხზე დგომით იყო მისი სიარული“.

„რამეთუ ყრმაჲ იგი კოჭლი, **ბლუნვით** მავალი, სიხარულით წინა მიეგებვოდა მამასა მას თჳსსა“ (გარესჯ. 235,34).

---

<sup>1</sup> „ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები“, გამოსცა თ. ცქიტიშვილმა, 1976, გვ. 315–317.

**8) დაღონებულობა დაღონება (სარჯვ.):**

დაბოლოს, უფრო სრული სურათი რომ გვქონდეს **ღონ/ღუნ** ძირისაგან მომდინარე სახელებისა, ვნახოთ ისევ „ღონ“ ძირისაგან ნაწარმოები აბსტრაქტული სახელი **დაღონებულობა**:

„იხილნა რაჲ მონაზონმან ფრიადსა **დაღონებულობასა** შინა შეკნინებულად (Jer. 3, 153r).

როგორც ჩანს, ძველ ძეგლებში **ღონ** ძირისაგან ნაწარმოები **დაღონება** და **დაღონებული**, ასევე, ამავე ძირის მქონე სხვა სიტყვებიც ითავსებდა ორ განსხვავებულ მნიშვნელობას: „მოხრილს“, „მოდრეკილს“, „მოღუნულს“, „თავდახრილს“, „მოკრუნჩხულს“, ერთი მხრივ, და „დაღონებულს“, „ნაღვლიანს“, „მწუხარეს“, „შენუხებულს“, მეორე მხრივ. მოგვიანებით **დაღონებულმა** ნელ-ნელა პირველი მნიშვნელობის გადმოცემაზე ხელი აიღო და მხოლოდ მეორე – დღევანდელი – შინაარსი შეერჩინა. რაკი **დაღონებულს** პირველი შინაარსი ხელიდან გამოეცალა, მან ამ დაკარგული მნიშვნელობის აღსადგენად „ღონ“ ძირის სახეცვლილი ფორმა გამოიყენა, შორს კი არ წავიდა, სხვა ძირი კი არ მოიძია, არამედ უწინდელი, მაგრამ ოდნავ შეცვლილი: **ო-ს** ჩაუნაცვლა **უ**. ამგვარად მიღებული **ღუნ** უკვე **მარტოოდენ** „მოღუნვას“ „მოხრას“, „მოდრეკას“ აღნიშნავდა. **ო-სა** და **უ-ს** მონაცვლეობა ქართულში ძველთაგანვე იყო ცნობილი. არაერთ ხელნაწერში ისინი ერთმანეთის ადგილზე გვხვდება. შორს რომ არ წავიდე, მაგალითად ჩემ მიერ გამოცემული „მამათა ცხორებანი“ გამოდგება. ამ ძეგლში, რომელიც XI საუკუნის შუა წლებშია ჯვარის მონასტერში გადაწერილი, **ო-სა** და **უ-ს** მონაცვლეობას ფართო ხასიათი აქვს, ათეულობით არის შემთხვევა, როცა **ო-ს** ნაცვლად **უ** არის ნახმარი და, პირიქითაც – **უ-ს** მაგივრად **ო** წერია<sup>1</sup>. ამგვარი მონაცვლეობა ძველი ქართულის სხვა ძეგლებისთვისაც არის დამახასიათებელი. ამ საკითხის გარშემო მკვლევართა აზრი ორად გაიყო: ერთნი ფიქრობენ, რომ მოვლენას ფონეტიკური სა-

<sup>1</sup> ვ. იმნაიშვილი, მამათა ცხორებანი (ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა), 1975, გვ.381.

ფუძველი აქვს (კ. კეკელიძე,<sup>1</sup> რომლისთვისაც ზოგიერთი ასეთი ნიმუში ფონეტიკურ ნიადაგზე აღმოცენებული დიალექტიზმია, მ. კახაძე<sup>2</sup>, ი. ქავთარაძე<sup>3</sup>...), მეორენი კი ამ რიგის შემთხვევებში გრაფიკულ თუ ორთოგრაფიულ მონაცვლეობას ხედავენ (ნ. მარრი<sup>4</sup>, ა. შანიძე<sup>5</sup>, ზ. სარჯველაძე<sup>6</sup>...). ჩვენი შემთხვევისათვის არსებითი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს იმას, რომელი შეხედულებაა უფრო მართებული, მთავარია ფაქტი: **ო-სა** და **უ-ს** მონაცვლეობა ფართოდ არის გავრცელებული ძველ ქართულში. სხვათა შორის ზემოთ მოყვანილ მაგალითებშიც არის ამის ნიმუშები: ერთმანეთის პარალელურად არის **მღუნარედ** და **მლონარედ**, **დალონებული** და **დალუნებული**.. აქ შეიძლება **რუისი** და **მროველი** გავიხსენოთ და არაერთი სხვაც.

### **შემოკლებანი**

**ბალავ.** „ბალავარიანის ქართული რედაქციები“ (გამოსცა ი. აბულაძემ), 1957.

**ბარუქ.** „ნინასწარმეტყველება ბარუქისი“: ბიბლია.

**გარესჯ.** „ცხოვრება და მოქალაქობა დავით გარესჯელისა“ (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1963).

---

<sup>1</sup> К. Кекелидзе, Древне-грузинский Архиератикон, Тифлис, 1912, стр. XII.  
<sup>2</sup> მ. კახაძე, ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, ძეგლის ზოგიერთი ენობრივი თავისებურება: მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. II (25), 1947, გვ. 014.  
<sup>3</sup> ი. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, გვ. 262-267.  
<sup>4</sup> Н. Марр, Агиографические материалы по грузинским рукописям Ивера, ч. II, стр. 108.  
<sup>5</sup> ა. შანიძე, სინური მრავალთავი 864 წლისა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის: სინური მრავალთავი 864 წლისა, 1959, გვ. 306.  
<sup>6</sup> ზ. სარჯველაძე, მროველი თუ მრუველი (ო და უ ნიშანთა ურთიერთ-მონაცვლეობისათვის ქართულ წერილობით ძეგლებში: მრავალთავი, II, 1973, გვ. 5-8.

**ეზეკ.** „ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები“ (გამოსცა თ. ცქიტიშვილმა), 1976.

**2(3) ეზრა** „წიგნი ეზრასი მეორე (მესამე)“; ბიბლია.

**იოვ.ოქროპ.** „იოვანე ოქროპირის ცხოვრების“ ძველი ქართული თარგმანი და მისი თავისებურებანი 968 წლის ხელნაწერის მიხედვით (გამოსცა რ. გვარამიამ), 1986.

**კიმ. 1 (2)** „კიმენი (ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები)“, გამოსცა კ. კეკელიძემ, I (1918), II (1946).

**ლუკ.** „სახარება ლუკასი“; ბიბლია.

**მათე „სახარებაჲ მათწის“**; ბიბლია.

**მამ. ცხორ.** „მამათა ცხორებანი“ /ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა/ (გამოსცა ვ. იმნაიშვილმა), 1975.

**3 მეფ.** „წიგნი მესამე მეფეთა“; ბიბლია.

**მც.სჯულ.** „მცირე სჯულისკანონი“ (გამოსცა ე. გიუნაშვილმა), 1972.

**ნოვ. II** „შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები“, II (გამოსცა მ. დვალმა), 1974.

**ს. მესუეტ** „ცხორებაჲ და განგებაჲ წმიდისა სჳმიონ მესუეტისაჲ და საკრველთმოქმედისაჲ, რომელი იყო დამკვდრებულ მთასა ზედა ჰალაბისასა (გამოსცა ფ. გარიტმა): CSCO, vol.171. Scriptorum Iberici, t.7, Louvain, 1957).

**უძვ. რედ.** „უძველესი რედაქციები /ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის „თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათჳს“ (გამოსცა ი. აბულაძემ), 1964.

**შატბ.** „შატბერდის კრებული /X საუკუნისა/“ (გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა), 1979.

**4 ძეგლი** „ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი X–XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, 1965, **ნარტყ.** „ნარტყუნვაჲ იერუსალჳმისაჲ, თქუმული ნეტარისა სტრატიკი მონაზონისაჲ“ (გამოსცა ნ. მარრმა): TP, IX, C-II6, 1909).

„დაღონებული“  
[dagonebuli] in the old Georgia

Summary

In Old Georgian დაღონება and the words derived from it denote a physical or spiritual condition. They, respectively, indicate infirmity, lack of strength of body or soul, and denote either `feeble physically~ i.e. "bowed down", "bent down", "crooked" or "spiritually weak", "worried", equivalent to present-day დაღონებული ("saddened"). Sometimes it is difficult to say for certain which meaning is implied by the author, as the text combines both meanings. One of them renders the message directly, and the other one – figuratively.

These words are: დაღონება, დაღონებული, მღუნარი/მღუნარი იღუნალი, ბღუნვა.

Evidently, in old monuments the words დაღონება, დაღონებული, derived from the root ღონ, as well as other words of the same root combined two different meanings: "bowed down", "bent down", "crooked", "with the head bent down", on the one hand, and "upset", "saddened", "distressed", on the other one. In the course of time, დაღონებული gradually lost the first meaning, retaining only the second, the present-day meaning. As დაღონებული no longer had the first meaning, in order to restore the lost meaning it used a modified form of the root ღონ – replacing ო with უ. The resulting form ღუნ denoted only "to bow down", "to bend down", "to crook".

**ი-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნათა ერთი თავისებურება ძველ ქართულში**

ცნობილია, რომ ხანმეტ ტექსტებში **ბ-** პრეფიქსი (შესაბამისად, ჰაემეტში **ჰ-**) იხმარებოდა რამდენიმე ფუნქციით: **ა)** მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური (როგორც ირიბის, ისე მიცემით ბრუნვაში მდგარი პირდაპირის, თუ ზმნა ე.წ. **ჰყოფს** ტიპისა იყო) პირების მარკერად (*ხუნყი, ხესმინ, ხიტყვს...*); **ბ)** ი-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის<sup>1</sup> სამივე პირის ფორმაში (*ხვემენ, ხიქმენ, ხიქმნა...*); **გ)** ზედსართავი სახელისა და ზმნიზედის უფროობითი ხარისხის ფორმებში (*ხუმჯობჰსი//ხუმჯობესი, ხუფროჲს//ხუფროს...*). ამ უკანასკნელში, ა. შანიძის აზრით, **ბ-//ჰ-** წარმოშობით მესამე ირიბობიექტური პირის ნიშანია (ა. შანიძე, 1981:406-407). აზრთა სხვადასხვაობას იწვევს აღნიშნული პრეფიქსის კვალიფიკაციის საკითხი **ი-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის** ფორმებში. ჩვენ შევეცდებით ახსნა მოვუძებნოთ **ბ-//ჰ-** პრეფიქსის არსებობას ამ ტიპის ფორმებში.

მართალია, ხანმეტ ტექსტებში ნორმას წარმოადგენს **ბ-** პრეფიქსის არსებობა **ი-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის** სამივე პირის ფორმაში, მაგრამ გვაქვს დარღვევებიც. ხანმეტ ტექსტთაგან **ბ-**ს ნულთან მონაცვლეობის შემთხვევები დასტურდება მხოლოდ ი. ჯავახიშვილის მიერ ამოკითხულ უძველეს ტექსტებში, „წმიდა ქრისტინას წამებაში“, ხანმეტ ოთხთავსა და ხანმეტ მრავალთავში: *იყოს* (უძვ. 346:3), *ვიყავ* (ქრისტ. 50:23-24), *ვიყვენით* (მ. 23:30), *განიწყუნინან* (მ. 6:16), *ვიქცეოდი* (მრავ. 130:22-1), *იქცენ* (მრავ. 134:1) და სხვ. სანამ უშუალოდ პასუხს გავცემდეთ ჩვენ მიერ

<sup>1</sup> ი-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმებში **ბ-** O<sub>3</sub><sup>ind</sup> პირის მარკერია.



დასმულ პრობლემას, შევეცდებით მოკლედ განვიხილოთ ამ მხრივ ხანმეტ და ჰაემეტ ხელნაწერთა<sup>1</sup> ვითარება.

ქართული ბიბლიის ხანმეტი ტექსტის, კერძოდ, **იერემიას წინასწარმეტყველების** ნაწყვეტების შემცველი ქართულ-ებრაული პალიმფსესტის **ოქსფორდულ და კემბრიჯულ ფრაგმენტებში**<sup>2</sup> (VI-VII საუკუნეების მიჯნა) (ა. შანიძე, 1937:32) დასტურდება 17 ხანმეტი და 3 ჰაემეტი ფორმა. **ი**-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმები (სულ 9) წარმოდგენილია **ბ-** ან **ჰ-** (2 შემთხვევაში) პრეფიქსით. **ბ-**ს ნულთან მონაცვლეობა ამ სამ ფურცელზე არ დასტურდება.

**I პირი.** ძეგლში დასტურდება **ი**-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის პირველი სუბიექტური პირის მხოლოდ ერთი ფორმა **[ხჰშქვ]** (კემბ. 39:19), მაგრამ, რადგან, გამომცემლის სიტყვებით, „კავებში ჩასმულია ის ასოები, რომლებიც ჩამოფლეთილ ნაწილებს გაჰყოლია“ (ა. შანიძე, 1937:32), ამ ფორმას ვერ დავეყრდნობით.

**II პირი.** მეორე პირის ფორმები ფრაგმენტებში არ დასტურდება.

**III პირი.** მესამე სუბიექტური პირის ფორმები **ბ-** პრეფიქსითაა წარმოდგენილი: *ხიყოს* (კემბ. 37:10), *ხიყავნ* (კემბ. 39:17, 39:5), *ნუ ხიყოფ(ინ)* (კემბ. 39:3), *შეხიმუსრა* (ოქსფ. 305:3), *ხიყო* (ოქსფ. 305:5). დასტურდება ორი **ჰ-**პრეფიქსიანი ფორმაც: *დაჰიდვა* (კემბ. 36:6), *განჰირყუნა* (კემბ. 36:9-10).

როგორც ვხედავთ, ხანმეტი იერემიას ფრაგმენტებში **ი**-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმები ყველა შემთხვევაში **ბ-**/**ჰ-**პრეფიქსითაა წარმოდგენილი. არ დასტურდება **ბ-**ს ნულთან მონაცვლეობის არცერთი შემთხვევა, რასაც უკვე მცხეთის ჯვრის

<sup>1</sup> ხანმეტ (ნეკრესის, ბოლნისის, უკანგორის, მცხეთის) და ჰაემეტ (წყისის) ეპიგრაფიკულ ძეგლებში **ი**-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმები არ დასტურდება (აღდგენილ ფორმას არ ვითვალისწინებთ).

<sup>2</sup> ოქსფორდული ფრაგმენტი გამოსცა ი. ჯავახიშვილმა (ი. ჯავახიშვილი, 1996:304-305), ხოლო კემბრიჯული – ა. შანიძემ (ა. შანიძე, 1937:29-42).

წარწერაში ვხვდებით.<sup>1</sup> თუ ხანმეტი იერემიას ფრაგმენტებს ცოცხალი ხანმეტობის ეპოქისად მივიჩნევთ, შესაძლოა მცხეთის ჯვრის ადრნერსე კპატოსის წარწერას უსწრებდეს კიდევ.

ინტერესს იწვევს ფრაგმენტებში **ჰ**-პრეფიქსიანი ფორმების არსებობა. ზოგადად, ხანმეტ ტექსტებში არსებულ ჰაემეტ ფორმებზე საუბრისას, ჩვენი აზრით, ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ გარემოებას: **ჰ**-პრეფიქსიანი ფორმები ოდენ ჰაემეტი ვითარების ამსახველია, თუ შეიძლება მათი მიჩნევა ე.წ. სანწარევი მეტყველებისთვის დამახასიათებელ ფორმებადაც. სხვაგვარად, რომელიმე *დაჰიდვა* ფორმა ბუნებრივია მხოლოდ ჰაემეტობისთვის, რადგან სანწარევი ხმოვნის წინა პოზიციაში **ჰ**-იკარგება და ამ შემთხვევაში *დაიდვა* ფორმაა მოსალოდნელი. სხვა შემთხვევაში რომელიმე *ჰკლავ* ფორმა ნორმალურ როგორც ჰაემეტი, ისე სანწარევი მეტყველებისთვისაც და თავისუფლად შეიძლება მისი მიჩნევა სანწარევი მეტყველების კუთვნილებადაც, მით უმეტეს, თუ ძეგლში დასტურდება **ს**-პრეფიქსიანი ფორმა/ფორმები და პირის ნიშნის ნულთან მონაცვლეობის შემთხვევები. ამდენად, **უნდა გაიმიჯნოს ცნებები: ზოგადად, ჰ-პრეფიქსიანი ფორმა და ჰაემეტი ფორმა.**

ხანმეტი იერემიას კემბრიჯულ ფრაგმენტში<sup>2</sup> გამოვლენილი სამი **ჰ**-პრეფიქსიანი ფორმა (*ჰასწავეს* (კემბ. 37:18-19), *დაჰიდვა* (კემბ. 36:6), *განჰირყუნა* (კემბ. 36:9-10)), მართლაც, ჰაემეტობის ვითარების ამსახველია. „გაპარული“ ჰაემეტი ფორმების არსებობა ამ შემთხვევაში შესაძლოა ავხსნათ გადამწერის ენობრივი გარემოს გავლენით.

**„წმიდა ქრისტიანს წამების“** ხანმეტი ტექსტი (V საუკუნის I ნახ.), ლ. ქაჯაიას აზრით, „ენობრივი თვალსაზრისით სავსებით იცავს კლასიკური ქართული ენის ნორმებს. პირველ ყოვლისა,

<sup>1</sup> მცხეთის ჯვრის დემეტრე კპატოსის წარწერაში (VI საუკუნის მინურული) (ი. ჯავახიშვილი, 1996:161) იკითხება „*მეობ ხეყავ*“ ფორმა, იგივე ზმნა ადრნერსე კპატოსის წარწერაში (VII საუკუნის I ნახ.) (ი. ჯავახიშვილი, 1996:160) **ს**-ს გარეშეა წარმოდგენილი: „*მეობ ხეყავ*“.

<sup>2</sup> ოქსფორდულ ფრაგმენტში ჰაემეტი ფორმები არ დასტურდება.

აღსანიშნავია, რომ „ხ“ გრაფემა დასმულია სწორედ იქ, სადაც ის მოსალოდნელია, ნორმიდან გადახვევას ადგილი არ აქვს“ (ლ. ქაჯაია, 2006: 41).

**I პირი.** ხელნაწერში დასტურდება *ო*-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის პირველი სუბიექტური პირის ფორმები: *ვიყავ* (ქრისტ.<sup>1</sup> 50:23-24), *ხვქმენ* (ქრისტ.<sup>1</sup> 55:22), *ხვყავ* (ქრისტ.<sup>2</sup> 6-69:2(2)).<sup>1</sup> ყუ-რადლებას იპყრობს *ვიყავ* ფორმა, რომელიც *ბ*-პრეფიქსის გარეშეა წარმოდგენილი და **მიუთითებს ხანმეტობის რღვევის პროცესის დასაწყისზე**, რაც, ერთი შეხედვით, მოულოდნელი ჩანს ასეთი ადრეული პერიოდის ძეგლისთვის. საინტერესოა, რომ იგივე ზმნა მეორე შემთხვევაში *ბ*-პრეფიქსითაა წარმოდგენილი, ამასთანავე, სხვა რელატიურ ფორმებში, როცა ზმნას S<sub>1</sub>-თან ერთად ეწყობა O<sub>3</sub>, *ბ*-პრეფიქსი ყოველთვისაა წარმოდგენილი: *ხუცე* (ქრისტ.<sup>1</sup> 47:24; 48:8), *მი/ხუ/ართუა* (ქრისტ.<sup>1</sup> 48:14-15), *ხუმსა-ხურო* (ქრისტ.<sup>1</sup> 50:13), *მიხუცნე* (ქრისტ.<sup>1</sup> 52:22), *თავყანის-ხუცემდ* (ქრისტ.<sup>2</sup> 6-75:10(10)) და სხვ.

**II პირი.** მეორე სუბიექტური პირის ფორმებში ხანმეტობის ნორმა დაცულია: *მოხივლინე* (ქრისტ.<sup>1</sup> 49:20), *მო<ხიქ>ე* (ქრისტ.<sup>2</sup> 6-86:7(7)), *ხიყავ* (ქრისტ.<sup>1</sup> 50:7).<sup>2</sup>

**III პირი.** მესამე სუბიექტური პირის ფორმებში ხანმეტობის ნორმა ბოლომდეა გატარებული: *ხიდიდოს* (ქრისტ.<sup>1</sup> 50:8-9), *ხიყო* (ქრისტ.<sup>1</sup> 50:22), *მოხინია* (ქრისტ.<sup>1</sup> 53:31), *მიხიქცა* (ქრისტ.<sup>2</sup> 6-79:13(2)) და სხვ.

არის თუ არა „წმიდა ქრისტიანას წამება“ ხანმეტობის ნორმის ბოლომდე გამტარებული ძეგლი? როგორც ჩანს, გარკვეულ

<sup>1</sup> ლ. ქაჯაიას მიერ გამოსაცემად მომზადებული „წმიდა ქრისტიანას წამებიდან“ ფორმებს ვიმონუმებთ ორი გამოცემის მიხედვით: პირველი დაიბეჭდა გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში (პირობითად აღვნიშნავთ: ქრისტ.<sup>1</sup>), მეორე, შედარებით სრული ვარიანტი, ი. გიპერტის რედაქტორობით გამოცემულ წიგნში „Monumenta Palaeographica Medii Aevi“ (აღვნიშნავთ: ქრისტ.<sup>2</sup>).

<sup>2</sup> *ხიყავ* ფორმა II ბრძანებითის მწკრივშია, მაგრამ *ბ*-პრეფიქსითაა წარმოდგენილი.

შემთხვევებში ეს ნორმა ირლვევა. შესაძლოა ზმნაში არ იყოს წარმოდგენილი მესამე ირიბობიექტური პირის ნიშანი: *აჩუენე* (ქრისტ.<sup>2</sup> 6-70:6(6)), *შენირე* (ქრისტ.<sup>2</sup> 6-83:4(4)), ან, პირიქით, **ბ**-ზედმეტი იყოს ზმნურ ფორმაში: *ხილოცვიდა* (ქრისტ.<sup>2</sup> 6-68:2(2); 6-70:1(1), 6-78:12(1), 6-79:23(12)), *<ხი>ნყო* (ქრისტ.<sup>2</sup> 6-82:5(5)), *დახუტევე*<sup>1</sup> (ქრისტ.<sup>2</sup> 6-84:20(9)). როგორც ვხედავთ, ტექსტში უიშვიათესად, მაგრამ მაინც დასტურდება დარღვევები **ბ**-პრეფიქსის ხმარებაში. თუ ხელნაწერის აღნიშნულ დათარიღებას გავიზიარებთ, გამოვა, რომ ხანმეტობის რღვევის პროცესის დასაწყისი უკვე V საუკუნის I ნახევარშია საგულელებელი მაშინ, როდესაც ეპიგრაფიკული ძეგლები, კერძოდ, მცხეთის ჯვრის აღრნერსე კპატოსის წარწერა, **ბ**-პრეფიქსის დაკარგვას VII საუკუნის I ნახევრიდან გვაგვარაუდებინებს. აღნიშნული დარღვევები და, განსაკუთრებით, *კიყავ* (ქრისტ.<sup>1</sup> 50:23-24) ფორმის **ბ**-პრეფიქსის გარეშე წარმოდგენა გვაფიქრებინებს, რომ არ არის გამორიცხებული, ხელნაწერი უფრო გვიანდელიც იყოს.<sup>2</sup>

„წმიდა ქრისტიანას წამების“ ხანმეტი ტექსტი დაცულია თბილისურ (A 737) და ვენურ (Georg. 2) ფრაგმენტებში. ორივე ერთი მთლიანი ხელნაწერის ნაწილია. ვენურმა ხელნაწერმა შემოგვინახა აგრეთვე „**კპრიანეს წამება**“ (მას უშუალოდ მოსდევს „წმიდა ქრისტიანას წამება“), რომელიც ასევე V საუკუნით თარიღდება (ი. გიპერტი, 2007:5-27).

**I პირი. ბ**-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის პირველი სუბიექტური პირის ფორმები ყველა შემთხვევაში **ბ**-პრეფიქსითაა წარმოდგენილი: *ხკქმნე* (კპპრ. 6-3:7(7)), *ხკყავ* (კპპრ. 6-11:6(6); 6-11:10(10)), *მიხვ<ლტო>დე* (კპპრ. 6-15:6(6)), *ხკქმენ* (კპპრ. 6-15:18(6)), *ხვნრაფი* (კპპრ. 6-17:23(11)).

<sup>1</sup> ზმნას სუბიექტი პირველ პირში ეწყობა: „*დახუტევე მე ზეცისა უფალი*“.

<sup>2</sup> ამ შემთხვევაში ვეყრდნობით ოდენ ენობრივ და არა პალეოგრაფიულ ანალიზს, ამიტომ დაბეჯითებით რამის მტკიცება გაჭირდება.

**II პირი.** ტექსტში დადასტურებული მეორე პირის ფორმა **ბ-** პრეფიქსიანია: *ბიქმნები* (კვპრ. 6-19:11(11)).

**III პირი.** მესამე პირის ფორმებში უგამონაკლისოდ ხანმეტობის ნორმაა გატარებული: *ბიქმნა* (კვპრ. 6-3:22(10)), *ბიყო* (კვპრ. 6-5:7(7)), *აღბივსო* (კვპრ. 6-9:16(4)), *განხიპო* (კვპრ. 6-25:19(7)), *დახინერა* (კვპრ. 6-28:3(3)) და სხვ. არ დასტურდება **ბ-** პრეფიქსის ნულთან მონაცვლეობის არცერთი შემთხვევა.

ზოგადად, აღნიშნული ტექსტი მყარად იცავს ხანმეტობის ნორმებს, თუმცა ყურადღებას იპყრობს **ბ-** პრეფიქსის ზედმეტად ხმარება აქტივთა II სერიის ფორმებთან: <*გან*>*ხარინა* (კვპრ. 6-3:3(3)), *განხუტევ<ნა>* (კვპრ. 6-12:15(3)), *შეხუძლო* (კვპრ. 6-13:5(5)), *ხყუნა* (კვპრ. 6-22:3(3)), *ხიხილო* (კვპრ. 6-24:22(10)).

საინტერესოა **ი. ჯავახიშვილის მიერ ამოკითხული უძველესი ხანმეტი ტექსტების** ვითარებაც (V-VI სს.) (ი. ჯავახიშვილი, 1996:285).<sup>1</sup>

**I პირი.** **ი-**პრეფიქსიანი ვნებითი გვარის პირველი სუბიექტური პირის ფორმა **ბ-** პრეფიქსითაა წარმოდგენილი: *ხვეტოდეთ*<sup>2</sup> (უძვ. 350:11).

**II პირი.** ანალოგიური ვითარებაა მეორე სუბიექტური პირის ფორმებშიც: *დახისაჯნეთ* (უძვ. 312:3), *ხისაჯნეთ* (უძვ. 312:5).

**III პირი.** მესამე პირის ფორმებშიც, ძირითადად, ხანმეტობის ნორმაა გატარებული: *ბიყო* (უძვ. 302:5), *ბიყუნეს* (უძვ. 302:2), *ბიქცეოდა* (უძვ. 339:2), *მოხინია* (უძვ. 339:5) და სხვ. საინტერესოა **იყოს** (უძვ. 346:3) ფორმა, რომელიც **ბ-** პრეფიქსის გარეშეა წარმოდგენილი.

ფრაგმენტებში შეინიშნება დარღვევები **ბ-** პრეფიქსის ხმარებაში, კერძოდ, აღნიშნული პრეფიქსი ზედმეტია აქტივთა II სე-

<sup>1</sup> ი. ჯავახიშვილის მიერ ამოკითხულ ხანმეტი ოთხთავის ფრაგმენტებს ვიმონმებთ ლ. ქაჯაიას გამოცემიდან (ლ. ქაჯაია, 1984) და ამჯერად აქ არ განვიხილავთ.

<sup>2</sup> ზმნა I კავშირებითის მწკრივისაა, ამიტომ, წესით, მოსალოდნელი იყო *ხვეტოდით* ფორმა.

რიის ფორმებში: *დახუტევოს* (უძვ. 347:11), *მიხილე*<sup>1</sup> (უძვ. 348:8-9), *აღბტყორცა* (უძვ. 349:2-3)... **ბ-** არაა წარმოდგენილი *მიუგოს* (უძვ. 348:10) ფორმაში.

ჩვენამდე მოღწეულ ხანმეტ და ჰაემეტ ხელნაწერებს შორის მხოლოდ **ხანმეტი ლექციონარი** (VII საუკუნის II ნახევარი) (ა. შანიძე, 1944:019) არ წარმოადგენს პალიმფსესტს.

**I პირი.** *ი-*პრეფიქსიანი ვნებითი გვარის პირველი სუბიექტური პირის ფორმა ხელნაწერის ჩვენამდე მოღწეულ ფრაგმენტში არ დასტურდება.

**II პირი.** მეორე სუბიექტური პირის ფორმა **ბ-** პრეფიქსითაა წარმოდგენილი: *ხიქმნები* (ლექც. 062:18).

**III პირი.** მესამე პირისთვის ნორმაა **ბ-** პრეფიქსიანი ფორმები. ძეგლში ამ მხრივაც ხანმეტობის ნორმაა გატარებული ისევე, როგორც მისი ხმარების ყველა სხვა შემთხვევაში: *ხიქმნა* (ლექც. 058:26; 060:15), *განხითქუა* (ლექც. 058:10), *ხიყო* (ლექც. 059:10; 060:3; 060:7; 062:8) და სხვ. ყურადღებას იპყრობს ხელნაწერში ჰაემეტი ფორმების არსებობა, კერძოდ, ორ შემთხვევაში *ი-*პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნა წარმოდგენილია **ჰ-**პრეფიქსით: *შეჰიდრენე* (ლექც. 063:23), *ჰიყოს* (ლექც. 064:6).

საზოგადოდ, *ი-*პრეფიქსიანი ვნებითი გვარის პირველი სუბიექტური პირის ფორმების ვითარება (*ხჟყავ/ხუიყავ*) იდენტურია იმ რელატიურ ზმნათა ვითარებისა, რომელთაც S<sub>1</sub>-თან ერთად ეწყობა, როგორც წესი, მიცემითში მდგარი O<sub>3</sub> (ხუარნმუნო, *აღბუასრულო...*). ორივე შემთხვევაში პირველი სუბიექტური პირის ფორმებში თავს იჩენს **ხჟ**<sup>2</sup> კომპლექსი. თუ *ი-*პრეფიქსიანი ვნებითი გვარის პირველი სუბიექტური პირის ფორმებში დასტურდება **ბ-**ს ნულთან მონაცვლეობა, სხვაგვარად, **ხჟ** კომპლექსის გამარტივება (**ხჟ** > **ვ**), იდენტური პროცესი იჩენს

<sup>1</sup> ზმნა II ბრძანებითის მწკრივშია, ამიტომ, წესით, S<sub>2</sub> არამარკირებული უნდა იყოს.

<sup>2</sup> ზმნურ ფორმებთან უმარცვლო **უ** დიაკრიტიკული ნიშნის გარეშეა წარმოდგენილი.

თავს რელატიურ ფორმებშიც (*ხყავ > ვიყავ*, შდრ. *ხუარნმუნო > ვარნმუნო*). ამიტომ საკვლევ ხანმეტ თუ ჰაემეტ ტექსტში *ი*-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის პირველი სუბიექტური პირის ფორმების დაუდასტურებლობის შემთხვევაში შესაძლოა ზემოაღნიშნულ რელატიურ ფორმათა საფუძველზე ვიმსჯელოთ პასივთა მოსალოდნელი ფორმების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, მართალია, ხანმეტ ლექციონარში არ დასტურდება *ი*-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის პირველი პირის ფორმა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ *ხუარნმუნოთ* (ლექც. 058:4), *ხუეხილვო* (ლექც. 062:23), *ხურნმენე* (ლექც. 062:24), *აღხუასრულო* (ლექც. 063:23), *დახუბეჭდო* (ლექც. 063:23-24) ტიპის რელატიურ ფორმებში არ დასტურდება *ხჟ*-კომპლექსის გამარტივების (*ხჟ- > ვ*) არცერთი შემთხვევა, მოსალოდნელი იქნებოდა *ხყავ* ტიპის ფორმები. *ხუარნმუნოთ* ტიპის ფორმების არსებობა ამ ხელნაწერის სიძველეზე მეტყველებს.

როგორც აღვნიშნეთ, ხელნაწერი სპეციფიკურია იმ კუთხითაც, რომ პალიმფსესტს არ წარმოადგენს. ბედად, მან სხვა „დრომოჭმულ“ ხანმეტ-ჰაემეტ ძეგლთა ბედი არ გაიზიარა და მეორეული გამოყენებისათვის საპალიმფსესტე მასალად არ გაუწირავთ (ა. შანიძე, 1944:017). მაგრამ ცოცხალ მეტყველებაში ხანმეტობის მოშლის შემდეგ ამ ტიპის ხელნაწერი ყოველდღიური ხმარებისათვის აღარ გამოდგებოდა. ალბათ ამიტომაც კითხვის გაიოლების მიზნით თვალში საცემი „მეტი“ ხანები ამოუფხეკიათ (სრულად ან ნაწილობრივ), მაგრამ უსისტემოდ და ალაგ-ალაგ (ა. შანიძე, 1944:013). ამ მხრივ გარკვეული კანონზომიერების დადგენა ჭირს.<sup>1</sup> ძეგლის თავდაპირველი ვითარების

<sup>1</sup> ზოგადი სურათი ასე წარმოგვიდგება: მეტწილად *ხ*-ამოფხეკილია ხმოვნების წინა პოზიციაში, თანხმოვნების წინ ერთეული შემთხვევებია. სიხშირის მიხედვით თუ განვიხილავთ, *ი* ხმოვნის წინა პოზიციაში *ხ*-ამოფხეკილია 15 შემთხვევაში, *ჟ*-სა და *უ*-ს წინა პოზიციაში დაახლოებით 12-12 შემთხვევაა, *ა*-ს წინ – 4, *რ*-ს წინ – 11 (ყველა მოდის *რქუმა* ზმნაზე, ერთადერთი გამონაკლისია *(ხ)რნმენა* (ლექც. 061:35), *ჟ*-ს წინ – მხოლოდ ერთი. საინტერესოა, რომ, თუ

გათვალისწინებით არ დასტურდება არცერთი ფორმა, რომელიც **ბ-//(-)** პრეფიქსის გარეშე იქნებოდა წარმოდგენილი. ეს ფაქტი ხელნაწერის სიძველეზე მეტყველებს. საინტერესოა, რომ ამოფხეკა შეეხო მხოლოდ „მეტ“ **ბ-** პრეფიქსს და არა ჰაემეტ ფორმებს.<sup>1</sup> თანაც ამოფხეკილი **ბ-ს** ნაცვლად არც **ჰ-** ჩაუნერიათ. ეს შესაძლოა იმაზე მეტყველებდეს, რომ ამოფხეკის ჟამს როგორც ხანმეტობა, ისე ჰაემეტობა ცოცხალი მეტყველებისთვის განვლილ ეტაპს წარმოადგენდა, იმ პერიოდის ენობრივი გარემო ე.წ. სანნარევი უნდა ყოფილიყო (შესაბამისად, არც **ს-** ალომორფი ჩაუნერიათ). მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ეს მოგვიანო პერიოდის ჩარევის შედეგია. ა. შანიძის აზრით, თავად ხელნაწერი „ისეთ დროსაა გადაწერილი, რომ ხანმეტობა მკვიდრი მოვლენაა სალიტერატურო ენაში: მართლაც, რომ ის მხოლოდ მნიგნობრული გზით შემონახული მოვლენა ყოფილიყო და სასაუბრო ენაში მცირეოდენი საყრდენი მაინც არ ჰქონოდა, არ შეიძლება ცოცხალ ფორმას (უხანოს) სადმე თავი არ ეჩინა“ (ა. შანიძე, 1944:020).

ხანმეტი ლექციონარის ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტის (27 ფურცელი) წინა ერთი ფურცელი, რომელიც გამოსცა ბერნარ უტიემ, აღმოჩნდა პარიზში.<sup>2</sup> საინტერესოა, რომ ამ ფურცელზე

---

ზმნას ეწყობა  $S_1$  და  $O_3$  პირები, **ჟ-**ს წინ **ზ-** ამოფხეკილი არაა, გარდა ერთი შემხვევისა: (*ბ/უესავთ* (ლექც. 060:26)). თანხმოვანთაგან **ზ-**ს წინ დასტურდება **ბ-** პრეფიქსის ამოფხეკის 3 შემთხვევა, **დ, ტ** თანხმოვნების წინ – ორ-ორი, ხოლო თითო-თითო – **ბ, ც, შ** თანხმოვნების წინ. მაგრამ აღნიშნულ ფონოლოგიურ პოზიციაშიც ეს პროცესი ბოლომდე გატარებული არ არის: **ბ-** ხან ამოფხეკილია, ხან – არა (გამოცემულ ტექსტში მთლიანად ან ნაწილობრივ ამოფხეკილი ხანები ფრჩხილებშია ჩასმული (ა. შანიძე, 1944:025). საინტერესოდ წარმოვადგენთ თითო-თითო მაგალითს: (*ბ/იყვნედ* (ლექც. 059:27), შდრ.: *ბიყვნეს* (ლექც. 059:8).

<sup>1</sup> შესაძლოა, იმ პერიოდისთვის ამ უკანასკნელთ ლიტერატურული ნორმის სანქცია ჰქონოდათ.

<sup>2</sup> ფრაგმენტის ბოლო, 29-ე ფურცელს, რომელზეც მოთავსებულია იოვანე ზოსიმეს ანდერძი, მიაკვლია ჟ. გარიტმა და ქართულად დაბეჭდა ჟურნალ „მაცნეში“ (ჟ. გარიტი, 1973:170-182).



სულ ხუთი ხანმეტი ფორმაა. აქედან ოთხ შემთხვევაში **ბ-** ან და-უფარავთ ან ამოუფხეკიათ ((*ბიქმნნეს* (მ. 28:4), *მი(ბ)უგო* (მ. 28:5), (*ბრქუა* (მ. 28:5), (*ბეძიებთ* (მ. 28:5)), მეხუთეს გამსწორებლის ხელი არ შეხებია (*ხუთხართ* (მ. 28:7)) (ბ. უტიე, 1973:174–175).

ხანმეტი ლექციონარი იმ მხრივაც იქცევეს ყურადღებას, რომ დასტურდება შვიდი **ჰ-**პრეფიქსიანი ფორმა: *ჰიხილოთ* (ლექც. 059:23; 063:3-4), *ჰიცილობთ* (ლექც. 060:9), *ჰეტყებდენ* (ლექც. 063:25-26), *მიჰებების* (ლექც. 064:5), *შეჰიდრენ* (ლექც. 063:23), *ჰიყოს* (ლექც. 064:6). შვიდივე შემთხვევაში **ჰ-** დასტურდება ხმოვნის წინა პოზიციაში და, ამდენად, ჰაემეტობის (და არა სანნარეგობის) ამსახველია. ამ შემთხვევაშიც ჰაემეტი ფორმების არსებობა შესაძლოა გადამწერის ენობრივი გარემოს გავლენით ავსხნათ. ჩვენს შეხედულებას ამყარებს ერთი გარემოებაც: როგორც ა. შანიძე შენიშნავს, ხანმეტი ლექციონარის გადამწერი ორი პირია. ამის თქმის საფუძველს იძლევა როგორც ხელნაწერის განსხვავებული ხელი, ასოთა მოხაზულობა, ისე სხვა პალეოგრაფიული თუ ენობრივი ნიშნები.<sup>1</sup> ხელნაწერის პირველ ნაწილში დასტურდება *ხიხილოთ* (ლექც. 058:9) ფორმა. იგივე ზმნა მეორე გადამწერის მიერ შესრულებულ ნაწილში ორჯერ გვხვდება და ორჯერვე **ჰ-**პრეფიქსით: *ჰიხილოთ* (ლექც. 059:23; 063:3-4). შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ მეორე გადამწერი საქართველოს იმ რეგიონის (სამხრეთ-დასავლეთი საქართველო) წარმომადგენელი ყოფილიყო, რომლისთვისაც ე.წ. ჰაემეტი მეტყველება იყო დამახასიათებელი.<sup>2</sup>

ა. შანიძემ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ხანმეტი იერემიას კემბრიჯულ ფრაგმენტსა და ხანმეტ ლექციონარში გამოვლენილ ჰაემეტ ფორმებში **ჰ-**რეალიზდება მაღალი (*ი*) და საშუალო (*ე*) ანეულობის ხმოვნების წინ, ხოლო კემბრიჯულ ფრაგმენტში – დაბალი ანეულობის *ა* ხმოვნის წინაც (ა. შანიძე,

<sup>1</sup> ამის შესახებ დანვრილებით იხ. ა. შანიძე, 1944:018-019.

<sup>2</sup> არ გამოვრიცხავთ ხანმეტ ენობრივ გარემოში ჰაემეტი ფორმების არსებობის შესაძლებლობასაც.

1944:023). ამ ორი ხელნაწერის მონაცემთა შეჯერება ასეთ სურათს გვიჩვენებს: ყველაზე მეტი სიხშირით **ჰ**- გამოვლინდება მაღალი ანეულობის **ი** ხმოვნის წინა პოზიციაში (სულ 7 შემთხვევა), შემდეგ – საშუალო ანეულობის **ე** ხმოვანთან (2 შემთხვევა) და, ბოლოს, დაბალი ანეულობის **ა** ხმოვანთან (1 შემთხვევა). საინტერესოა, რომ ამ ძეგლებში **ჰ-პრეფიქსი გამოვლინდება მხოლოდ წინა რიგის ხმოვნებთან**. არ დასტურდება უკანა რიგის ხმოვნებისა (**უ, ო**) და თანხმოვნების წინ მისი გამოვლენის არცერთი შემთხვევა.

ამრიგად, ძეგლის წარმოდგენილმა ენობრივმა ანალიზმა ცხადყო, რომ ხანმეტი ლექციონარი უძველესი თუ არა, ერთ-ერთი ძველი ხანმეტი ხელნაწერია (შინაარსობრივადაც იგი ლექციონარის ადრინდელ რედაქციას წარმოადგენს, რომელსაც სიმარტივე ახასიათებს (ა.შანიძე, 1944:022). ლექციონარში არ დასტურდება ცოცხალი მეტყველების გავლენით „გაპარული“ არცერთი უხანო ფორმა, ამდენად, შესაძლოა ეს ხელნაწერი „ცოცხალი“ ხანმეტობის ამსახველადაც ჩავთვალოთ და ქრონოლოგიურად მცხეთის ჯვრის ადრინდელ კპატოსის წარწერის წინმსწრებადაც მივიჩნიოთ. თუ გავითვალისწინებთ, რომ VII-VIII საუკუნეთა ისეთი ეპიგრაფიკული ძეგლი, რომელიც **ბ**-პრეფიქსს გამოავლენდეს, არ მოგვეპოვება, „ცოცხალი“ ხანმეტობის ამსახველად მიჩნეული ხანმეტი ლექციონარის შექმნის თარიღი შესაძლოა ნახევარი საუკუნით წინ მაინც გადავწიოთ **და VII საუკუნის დასაწყისში გადაწერილად მივიჩნიოთ.**<sup>1</sup>

**იაკობის პირველსახარების ხანმეტ ნაწყვეტებში (VII ს.)** (ჯ. ბერდზოლი, 1969:108-112) **ი-პრეფიქსიანი** ვნებითი გვარის ფორმები სამივე პირში **ბ**-პრეფიქსითაა წარმოდგენილი:

**I პირი.** *ხჰქმნე* (იაკ. 12:9), *აღხჰწერო* (იაკ. 20:13-14), *ხჰპოვო* (იაკ. 17:19).

**II პირი.** *ხიყო* (იაკ. 12:1), *აღხიზარდე* (იაკ. 18:14).

<sup>1</sup> სწორედ ასე ათარიღებს მას ბერნარ უტიე (ბ. უტიე, 1973:173).

**III პირი.** *ხიქმნა* (იაკ. 15:23-16:1), *ხიპოვა* (იაკ. 19:13), *ხიკურ-თხა* (იაკ. 19:5), *მოხიქცა* (იაკ. 20:10), *მოხინოს* (იაკ. 13:2-3), *ხიყო* (იაკ. 13:9-10), *ხიყოს* (იაკ. 20:10), *ალხიტყუა* (იაკ. 14:17), *ხიშუეს* (იაკ. 15:1).

ხელნაწერში **ჰ**-პრეფიქსიანი ფორმები არ დასტურდება. იაკობის პროტოევანგელეს სიძველეს მხარს უჭერს **ო**-პრეფიქსიანი ვნებითებში **ბ**-ს ნულთან მონაცვლეობის შემთხვევების არარსებობა, ამასთანავე, პირველი პირის ფორმების **ბ**-პრეფიქსით წარმოდგენა. პროტოევანგელეში **ხჟ**-კომპლექსი დასტურდება რელატიურ ზმნათა პირველი სუბიექტური პირის ფორმებშიც, როცა მას ეწყობა, როგორც წესი, მიცემითში მდგარი მესამე ობიექტური პირი: *ხუ(ხედავ)* (იაკ. 17:2), *მიხუხედე* (იაკ. 21:21), *დახუფარო* (იაკ. 21:20).

იაკობის პირველსახარებაში **ბ**-პრეფიქსის ხმარების ნორმები დაცულია არა მარტო **ო**-პრეფიქსიანი ვნებითებთან, არამედ სხვა შემთხვევებშიც, მაგრამ ჩანს, ხელნაწერი იმ ვითარების ამსახველია, როცა **დანყებულა ხანმეტობის რღვევის პროცესი**.<sup>1</sup> სხვაგვარად ვერ ავხსნით ერთ შემთხვევაში *შეაგინა* (იაკ. 16:19-20), ხოლო მეორეში (შე)ხაგინა (იაკ. 17:27-28) ფორმების არსებობას (ა. შანიძე, 1977:11).

საინტერესოა **ჯონ ბერდზოლის მიერ ამოკითხული** და გამოცემული **ხანმეტი ოთხთავის ფრაგმენტები** (ჯ. ბერდზოლი, 1971:124). ტექსტი VII საუკუნეში უნდა იყოს გადაწერილი (კ. დანელია, ზ. სარჯველაძე, 1997:124).

**I პირი.** **ო**-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის პირველი სუბიექტური პირის ფორმები ჩვენამდე მოღწეულ ფრაგმენტებში არ დასტურდება. სამწუხაროდ, ვერც იმ ტიპის რელატიური ფორმები დავადასტურეთ, რომლებშიც **ხჟ**-კომპლექსი იქნებოდა მოსალოდნელი.

---

<sup>1</sup> ამის გათვალისწინებით არ არის გამორიცხული ხელნაწერის VII საუკუნის I ნახევრით დათარიღება.

**II პირი.** დადასტურდა მეორე პირის ერთადერთი ფორმა, რომელიც **ბ-** პრეფიქსით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი: <ხიყ->ვენით (მრკ. 9:50).

**III პირი.** მესამე სუბიექტური პირის ფორმებში ხანმეტობის ნორმა დაცულია. მართალია, შემთხვევათა ორ მესამედში **ბ-** პრეფიქსი სრულად ან ნაწილობრივ ამოფხეკილია, მაგრამ ეს მეორეულია. ჩანს, ლიტურგიკულ პრაქტიკაში ხელნაწერს მოგვიანებითაც იყენებდნენ (ჯ. ბერდზოლი, 1971:63) და ეს პროცესი კითხვის გაიოლების მიზნით ჩატარდა.<sup>1</sup>

**ბ-** პრეფიქსის ხმარების სხვა შემთხვევების გათვალისწინებით, ყურადღებას იპყრობს მისი კლება ხმოვნის წინა პოზიციაში: *ასწავებდა* (მრკ. 10:1), *შეერთოს* (მრკ. 10:11), *აქუს* (მრკ. 10:23), *ევედრებოდა* (ლ. 7:36), *აღესრულა* (ლ. 4:21). ამ მხრივ **ხელნაწერი ასახავს ხანმეტობის რღვევის პროცესს.** გარკვეულ შემთხვევებში **ბ-** *ჭარბია: [ხ]ინყო* (მრკ. 10:28), *და[ხ]უტევენა* (მ. 26:44), *აღხასრულნა* (ლ. 4:13), *გან[ხ]ხეთქის* (ლ. 8:29). **ბ-** ნორმით მოსალოდნელი არ არის მედიალურ ზმნათა I ბრძანებითის მეორე სუბიექტური პირის ფორმებშიც: *[ხ]იღუძებდით* (მ. 26:38; 26:41), *[ხ]ილოცევდით* (მ. 26:41) (შდრ. II ბრძანებითის ფორმები: *დაიძინეთ*, *განისუენნეთ* (მ. 26:45)).<sup>2</sup>

<sup>1</sup> ზოგადი სურათი ასეთია: **ბ-** შემთხვევათა უმეტესობაში ამოფხეკილია, მაგრამ სპონტანურად. ნიმუშად შეიძლება მოვიყვანოთ **ყოფა** ზმნა, რომელიც ხელნაწერში საკმაოდ ხშირად გვხვდება. ხმარების 15 შემთხვევაში **ბ-** ამოფხეკილია, 7 შემთხვევაში – არა. მეტიც, ეს ზმნა ერთი მუხლის ფარგლებში ერთ შემთხვევაში შეიძლება **ბ-** პრეფიქსით იყოს წარმოდგენილი, მეორეში კი ამოფხეკილი იყოს: „სადაცა აღზრდილ **ხიყო** და შევიდა ვითარცა ჩუეულ **[ხ]იყო...**“ (ლ. 4:17); „და **[ხ]იყო** დედაკაცი ვინმე ქალაქსა მას შინა, რომელი **ხიყო** ცოდვილ“ (ლ. 7:37). სიჭრელეა სხვა ზმნებთანაც, თუმცა ხელნაწერის შექმნისას **ი-**პრეფიქსიანი ვნებითი გვარის მესამე პირის ყველა ფორმა **ბ-** პრეფიქსით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.

<sup>2</sup> ინტერესს იწვევს ფორმა **გან[ხ]კმზადენით**: „*ხიტყვს ჴმაჲ ლაღადებისაჲ ოვდაბნოსა: გან[ხ]კმზადენით გზანი ოწისანი და წრფელ ყვენით აღაგნი მისნი...*“ (ლ. 3:4). კონტექსტით აქ II ბრძანებითის II სუბიექტური პირი იგულისხმება, შდრ. **განკმზადენით** FGHIK. რო-

ცნობილია, რომ ხანმეტ ტექსტებში დადასტურებულ ერთადერთ **ს**-პრეფიქსიან ფორმას წარმოადგენს **დასთვის** (მრკ. 4:26), რომელიც ლ. ქაჯაიას მიერ გამოცემულ ხანმეტ ოთხთავში გვხვდება (ლ. ქაჯაია, 1984). ამ ფორმას შეიძლება გვერდში ამოვუყენოთ ბერძნოლის მიერ გამოცემულ ტექსტში დადასტურებული ზმნა **<ხსტი>როდეთ** (ლ. 7:32). თუ ეს ნაკითხვა სწორია და ასახავს ხელნაწერის რეალურ ვითარებას, ენის ისტორიის თვალსაზრისით მეტად საინტერესო ფაქტთან გვექონია საქმე. ესაა ე.წ. კონტამინაციური დანერილობა, რომელიც ასახავს როგორც ხანმეტი დედნის ვითარებას, ისე იმ პერიოდის ცოცხალი მეტყველებისას, რომელშიც **ს**-პრეფიქსიანი ფორმები უკვე უნდა გვექონოდა. ამის გათვალისწინებით აღნიშნული ხელნაწერი ერთ-ერთ გვიანდელ ხანმეტ ტექსტად უნდა მივიჩნიოთ და **გამართლებული უნდა იყოს მისი VII საუკუნით დათარიღება**.

ჟ. ბერძნოლმა იმავე ხელნაწერში, რომელიც შეიცავდა ხანმეტი ოთხთავის ფრაგმენტებს, მიაგნო **ეზრა პირველის ხანმეტ ნაწყვეტებსაც**. გამომცემელი ტექსტს VII საუკუნით ათარიღებს (ჟ. ბერძნოლი, 1972:97).

**I პირი.** *ი*-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის პირველი პირის ფორმა ჩვენამდე მოღწეულ ფრაგმენტებში არ დასტურდება. სამწუხაროდ, I პირისთვის ვერც ისეთი რელატიური ფორმები დავადასტურეთ, რომლებშიც **ხჟ**-კომპლექსი იქნებოდა მოსალოდნელი.

**II პირი.** დადასტურდა ერთადერთი ფორმა, ისიც II ბრძანებითის მწკრივისა. ძველი ქართულის ნორმებიდან გამომდინარე, იგი **ხ**-პრეფიქსითაა წარმოდგენილი: **ხიქმენე[ნი]**<sup>1</sup> (ეზ. 99:2).

---

გორც ჩანს, აქ გადამწერის მექანიკურ შეცდომასთან უნდა გვექონდეს საქმე, მაგრამ მაინც საყურადღებოა **ხ**-ს მომდევნოდ **ს**-ის **ჟ**-პრეფიქსის არსებობის ფაქტი (მოსალოდნელი **ჟ**-ს ნაცვლად).

<sup>1</sup> გამოცემაშია *ხიქმენით*.

**III პირი.** მესამე სუბიექტური პირის ფორმებში ხანმეტობის ნორმაა დაცული: *ხიქმნეს* (ეზ. 98:9–10), *ხიყავნ* (ეზ. 99:8), *ხიქ<მნა>* (ეზ. 101:4).

ენობრივი თვალსაზრისით საინტერესოა მესამე პირდაპირობიექტური პირის ნიშნად *ხ*-ს ზედმეტად წარმოდგენა II სერიის ფორმებში: *გამოხარჩინეს* (ეზ. 100:2–3), *ხიყავნ[ნეს]'* (ცოლნი) (ეზ. 101:8), *ხ<იყავნ>[ნეს]* (ცოლნი) (ეზ. 101:16). მესამე ირიბობიექტური პირის ნიშნად *ხ*- აკლია ფორმაში: *გარდაკდა* (ეზ. 98:1).

**ხანმეტი ოთხთავის (VIII.)<sup>2</sup> ი-** პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმებში, ძირითადად, ხანმეტობის ნორმაა დაცული, თუმცა გვაქვს დარღვევებიც.

**I პირი.** პირველი სუბიექტური პირის ფორმებში პარალელური წარმოებაა: დასტურდება როგორც *ხ*-პრეფიქსიანი (*მოხველინე* (ლ. 4:43)<sup>3</sup>), ისე უპრეფიქსო (*ვიყვენით* (მ. 23:30)) ფორმები. როგორც აღვნიშნეთ, ეს უკანასკნელი ქრონოლოგიურად უფრო მოგვიანო პერიოდის ტექსტებისთვისაა ნიშანდობლივი, რადგან ასახავს ხანმეტობის რღვევის პროცესს. *ი-* პრეფიქსიანი ვნებითები ტექსტში ამ მხრივ განყენებულად არ დგას, მათ მხარს უჭერს აქტივთა პირველი სუბიექტური პირის ფორმებიც, როცა ზმნას, როგორც წესი, მიცემითში მდგარი მესამე ობიექტური პირიც ეწყობა. ამ შემთხვევაშიც პარალელური წარმოებაა, გვაქვს, ძირითადად, ხანმეტობის ნორმით მოსალოდნელი ფორმები (*ხკემ* (მრკ. 11:29), *განხუასხამ* (ლ. 11:20), *შეხუძინე* (მ. 25:20) და სხვ.), თუმცა მათ გვერდით დასტურდება *ხჟ*- კომპლექსის გამარტივებით მიღებული ოდენ *ჟ*-პრეფიქსიანი ფორმებიც (*განვასხემდით* (მ. 7:22), *მოვგუარე* (მ. 17: 16), *ვიტყვთ* (ი. 3:11) და სხვ.). როგორც ჩანს, იმ პერიოდის ცოცხალი მეტყველებისათვის

<sup>1</sup> გამოცემაშია *ხიყავნ*.

<sup>2</sup> ლ. ქაჯაია ი. ჯავახიშვილისა და მის მიერ ამოკითხულ ხანმეტ ოთხთავს V-VI საუკუნეებით ათარილებს (ლ. ქაჯაია, 1984:303), ზ. სარჯველაძე კი – VII საუკუნით (ზ. სარჯველაძე, 1995:128-129).

<sup>3</sup> ვიმონებთ ლ. ქაჯაიას გამოცემის მიხედვით (ლ. ქაჯაია, 1984).

სწორედ ამ ტიპის გამარტივებული ფორმები უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი, რომლებიც უნებლიეთ „გაეპარა“ გადამწერს.

**II პირი.** მეორე სუბიექტურ პირში ზმნა **ბ-** პრეფიქსითაა წარმოდგენილი: *მოხიქეთ* (მ. 18:3).

**III პირი.** მესამე პირში ხანმეტობის ნორმა, ძირითადად, დაცულია (*განხიკურნებოდეს* (მ. 15:31), *ხიქმნა* (მ. 28:11), *ხიქცეოდა* (მ. 21:17), *დახირლუეს* (ლ. 21:6) და სხვ.), თუმცა დასტურდება ნორმიდან გადახვევის შემთხვევებიც (*იყოს* (მ. 5:32; მრკ. 9:50), *დაიძარილოს* (მ. 5:32), *განიწყუნიან* (მ. 6:16), *აღივსნეს* (ლ. 6:11), *შეიმოსა* (ლ. 12:27)).

როგორც ვხედავთ, **ი-**პრეფიქსიან ვნებითაა წარმოებაში დარღვეულია ხანმეტობის ნორმები. ხანმეტ ოთხთავში **ბ-** პრეფიქსი არ ჩანს სხვა შემთხვევებშიც: ა) მეორე სუბიექტური პირის ნიშნად (*შეურაცხ-ყოთ* (მ. 18:10), *უნყითა* (მრკ. 10:42)); ბ) მიცემითი მდგარი მესამე ობიექტური პირის ნიშნად (*უჩუენე* (მ. 8:4), *გამოუცხადე* (მ. 11:25), *ხედვიდეს* (მ. 37:55), *უკვრდაცა* (მრკ. 15:5) და სხვ.); გ) უფროობითი ხარისხის ფორმებში ორ შემთხვევაში: *ულხინსს* (მ. 10:15), *უმეტსს* (მ. 14:31). დასტურდება საპირისპირო ტიპის დარღვევებიც, **ბ-** ზედმეტია: ა) ორპირიანი გარდამავალი ზმნების II სერიის ფორმებში: *მიხიყვანის* (მ. 7:13-14), *ხაგოს* (მ. 17:11), *დახკრიბეს* (მ. 21:35), *ხითხოვოს* (მ. 14:7-8), *შეხასმინონ* (მრკ. 3:2; ლ. 11:54) და სხვ.; ბ) უნიშნო ვნებითი გვარის ზმნებთან (*შეხცთეს* (მ. 18:12), *დახშრტების* (მრკ. 9:48), *დახცხრა* (ლ. 5:4; 11:1)); გ) მედიალურ ზმნებთან (*ხილოცვიდა* (ლ. 3:21; 11:1), *ხისადილნეს* (ი. 21:15)).

როგორც ვხედავთ, ხანმეტ ოთხთავში, ზემოთ განხილულ ხელნაწერთაგან განსხვავებით, საკმაოდ ხშირია **ბ-** პრეფიქსის ხმარების ნორმათა დარღვევა (**ბ-** უმეტესად იკარგება ხმოვნის წინა პოზიციაში). ამ დარღვევათა ნაწილი წარმოადგენს გადამწერის მიერ უნებლიეთ „გაპარულ“ შეცდომებს, მოტივირებულს ცოცხალი სასაუბრო მეტყველებით, ხოლო მეორე ნაწილი – განზრახ, შეგნებულად დაწერილ ე.წ. ფსევდოგრამატიზებულ

ფორმებს, რომლებიც უკავშირდება გადამწერისთვის **ბ**-პრეფიქსის ხმარების ნორმების დაბინდვას, ამიტომ ანალოგიით წერს იქაც, სადაც მოსალოდნელი არ არის.<sup>1</sup>

სალიტერატურო ენის ისტორიისთვის ფრიად მნიშვნელოვანია ხანმეტ ოთხთავში **ს**-პრეფიქსიანი ფორმის არსებობის ფაქტი: „*ესრჴთ არს სასუფეველი ღ~ღ, ვ~ა იგი კაცმან დასთესის*“ (მრკ. 4:26). სხვა შემთხვევაში ეს ზმნა **ბ**-პრეფიქსითაა წარმოდგენილი (და**ხ**თესი (მ. 25:24), და**ხ**ეთესის (მრკ. 4:31), და**ხ**თესა (ლ. 13:19), **ხ**თესვენ (ლ. 12:24)). გადამწერის მიერ ეს უნებლიეთ „გაპარული შეცდომა“ ნათელს ხდის, რომ ხელნაწერის შექმნის ჟამს სავარაუდებელია არათუ ხანმეტობის რღვევის პროცესის დასაწყისი, არამედ ცოცხალ მეტყველებაში (იმ რეგიონში მაინც, სადაც გადაინერა ხელნაწერი) უკვე **ს**-პრეფიქსიანი ფორმების არსებობაც. აქედან გამომდინარე, „ეჭვქვეშ დგება **ს**-პრეფიქსიანი ფორმების IX საუკუნიდან არსებობის ფაქტი“ (ზ. სარჯველაძე, 1995:129). ეს პროცესი ორი საუკუნით ადრე მაინცაა საგულებელი. ხანმეტი ოთხთავის გადანერისას ცოცხალი მეტყველებისთვის ხანმეტობა უკვე აღარ უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი, ამიტომ ძეგლში იგი უფრო მნიშვნელოვანი გზით გატარებული ნორმის შთაბეჭდილებას ტოვებს და აიხსნება ლიტერატურული ტრადიციისა და ხანმეტი დედნის არსებობით. **ხელნაწერის შექმნისას სანნარევი მეტყველების არსებობაა სავარაუდებელი** (ჩანასახის სახით მაინც).

ხანმეტი ოთხთავი იმითაც იქცევა ყურადღებს, რომ ჰაემეტი ფორმა მასში, ფაქტობრივად, არ დასტურდება. მართალია, ოთხ ადგილას ხანმეტი ფორმის ნაცვლად **ჰ**-პრეფიქსიანი ფორმა გვხვდება (**ჰ**კლავ (მრკ. 10:19), **ჰ**რქუა (მრკ. 3:5; ლ. 15:31; 16:2), მაგრამ ეს გაცხოველების შედეგია, **ჰ**-ს ქვეშ გარკვევით ჩანს **ხ**-ს გრაფიკული მონახაზი. როგორც ტექსტის გამომცემელი ლ. ქა-

---

<sup>1</sup> ფსევდოგრაფიული დაწერილობათა გამომწვევ მიზეზს სალიტერატურო ენის ნორმათა ცოცხალი მეტყველებისგან დაშორება წარმოადგენს.



ჯაია აღნიშნავს, ეს ცვლილება რედაქტორის ხელს უნდა მივა-  
კუთვნოთ: „ეს პროცესი მოგვიანო პერიოდში უნდა ჩატარებუ-  
ლიყო, როდესაც ხანმეტი ფორმა სალიტერატურო ენაში ჰაემე-  
ტით შეიცვალა, ე.ი. არა უადრეს VIII ს. და არა უგვიანეს XI საუ-  
კუნისა“ (ლ. ქაჯაია, 1984:301).

რა შეიძლება ითქვას ამ მოსაზრების შესახებ? როგორც ზე-  
მოდ აღვნიშნეთ, **ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს, ზოგადად, ჰ-პრეფიქსიანი ფორმა და ჰაემეტი ფორმა.** კემბრიჯულ ფრაგ-  
მენტსა და ხანმეტ ლექციონარში დადასტურებული ჰ-პრეფიქსი-  
ანი ზმნები თვისობრივად განსხვავდება ოთხთავში დადასტურე-  
ბულ ფორმათაგან: პირველ შემთხვევაში ყველა ზმნურ ფორმაში  
**ჰ-** რეალიზდება ხმოვნის წინა პოზიციაში და, ამდენად, მხოლოდ  
ჰაემეტ ფორმებს შეიძლება წარმოადგენდნენ; მეორე შემთხვევა-  
ში კი მისი პოზიცია განისაზღვრება სონანტისა და თანხმოვნის  
წინ, ამდენად, თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს როგორც ჰაე-  
მეტი, ისე სანნარევი მეტყველების კუთვნილებად. **იმის გათვა-  
ლისწინებით, რომ ხელნაწერის შექმნის უამს უკვე ივარაუდე-  
ბა სანნარევი მეტყველების არსებობა, მოგვიანებით ან თუნ-  
დაც ოთხთავის გადანერის მახლობელ ხანებში რედაქტორის  
ხელით ჩასწორებული ჰ-პრეფიქსიანი ზმნები შესაძლოა ე.წ.  
სანნარევი მეტყველების ამსახველ ფაქტად მივიჩნიოთ და არა  
ჰაემეტი მეტყველების კუთვნილებად.**<sup>1</sup>

დასასრულ, გვინდა შევეხოთ ხანმეტი ოთხთავის დათარი-  
ლების საკითხს. იმ დარღვევათა საფუძველზე, რომლებიც შეი-  
ნიშნება ტექსტში, საეჭვო უნდა იყოს მისი V-VI საუკუნეებით და-  
თარილება (ამ პერიოდის ეპიგრაფიკული ძეგლები არ გამოავ-  
ლენს **ხ-** პრეფიქსის მოშლის ფაქტს), როგორც ამას გვთავაზობს  
ლ. ქაჯაია (ლ. ქაჯაია, 1984:303). ვფიქრობთ, უფრო გასაზიარე-  
ბელია ზ. სარჯველაძის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ხანმე-  
ტი ოთხთავის ფრაგმენტები VII საუკუნით უნდა დათარიღდეს

<sup>1</sup> ჩვენთვის საეჭვოა ჰაემეტობის ხანმეტობის მომდევნო ქრონოლო-  
გიურ საფეხურად მიჩნევა.

(ზ. სარჯველაძე, 1995:128). **ზემოთ განხილულ ხანმეტ ხელნაწერთა შორის იგი ყველაზე გვიან გადაწერილი ტექსტი ჩანს (ხანმეტ მრავალთავს არ ვგულისხმობთ). ამასთან დაკავშირებით კვლავ დგება ერთი საკითხი: რამდენად გამართლებულია ხანმეტობის ნორმების მყარად ამსახველი ხანმეტი ლექციონარისა<sup>1</sup> და ხანმეტი ოთხთავის ქრონოლოგიურად ერთ სიბრტყეზე მოთავსება?** ვფიქრობთ, ტექსტის ენობრივ ანალიზზე დაყრდნობით მათ შორის სხვაობას ნახევარი საუკუნე მაინც უნდა წარმოადგენდეს. ამის გათვალისწინებით **გამართლებული უნდა იყოს ხანმეტი ლექციონარის შექმნის თარიღის მინიმუმ ნახევარი საუკუნით წინ გადაწევა.**

საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს **ხანმეტი მრავალთავი**, რომელსაც ა. შანიძე პალეოგრაფიული ნიშნებით VIII საუკუნის I ნახევრით ათარიღებს (ა. შანიძე, 1927:109).

**I პირი.** *ა*-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის პირველი სუბიექტური პირის ფორმები **ბ**-პრეფიქსის გარეშე წარმოდგენილი: *ვიტყოდი* (მრავ. 130:22), *განვიბანეთ* (მრავ. 132:12), *ვიყვენით* (მრავ. 132:15). ეს ამ ძეგლში უკვე მკაცრად გატარებული ნორმაა, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე.<sup>2</sup>

როგორც მოსალოდნელი იყო, ანალოგიური ვითარებაა რელატიურ ზმნათა პირველი სუბიექტური პირის ფორმებშიც: *დავაცადო* (მრავ. 127:13-14), *ვაჩუენოთ* (მრავ. 128:4-5), *შეწიროთ* (მრავ. 131:18), *ვიტყოდით* (მრავ. 134:3) და სხვ. ეს ფორმები, ფაქტობრივ, სანწარევობისა და ახალი ქართულის ვითარების ამსახველია და ნათლად გვიჩვენებს იმ პერიოდის მეტყველების რეალურ სურათს. ამიტომ ამგვარი ენობრივი ვითარების გაგრძელებად იმ ჰაემეტი მონაცემის მიჩნევა, რომლისთვისაც *აღჭუმართე*, *შეჭუნირო*, *დაჭუაცადო* ტიპის ფორმები იქ-

<sup>1</sup> როგორც აღვნიშნეთ, ხანმეტ ლექციონარს ა. შანიძე VII საუკუნის II ნახევრით ათარიღებს (ა. შანიძე, 1944:019).

<sup>2</sup> შდრ. ამ მხრივ ხანმეტი ოთხთავი, რომელშიც დასტურდება როგორც *მოხველინე* (ლ. 4:43), ისე *ვიყვენით* (მ. 23:30) ტიპის ფორმები.

ნება დამახასიათებელი, ვფიქრობთ, გაჭირდება. 616–619 წლებით დათარიღებულ წყისის წარწერაში დადასტურებული აღ-*ჰუმართე* ტიპის ფორმები ხანმეტი მრავალთავის შექმნის ეპოქისთვის განვლილ ეტაპს უნდა წარმოადგენდეს. ჩანს, გარკვეული ენობრივი პროცესები ხანმეტსა და ჰაემეტ ენობრივ გარემოში თანადროულად მიმდინარეობდა. ამიტომ რა-*ლაც პერიოდში, თუნდაც სხვადასხვა ტერიტორიაზე, ამ ორი მონაცემის თანაარსებობა უნდა ვივარაუდოთ.* ამიტომ ჩვენთვის საეჭვოა ჰაემეტობის ხანმეტობის მომდევნო ქრონოლოგიურ საფეხურად მიჩნევა (ი. ჯავახიშვილი, 1996:278) და ა. შანიძის მოსაზრება უფრო მისაღები ჩანს (ა. შანიძე, 1923:461).

ხანმეტ მრავალთავში დასტურდება რელატიურ ზმნათა ძველი ტიპის *ბ*-პრეფიქსიანი ფორმების ერთეული შემთხვევებიც: *ხუმადლობდეთ* (მრავ. 127:6-7), *შეხუნირვიდეთ* (მრავ. 127:11-12), *თავყანის ხუცე(მდე)თ* (მრავ. 131:9), *ხუმსგავსენით* (მრავ. 142:10), რომლებიც გაპარული უნდა იყოს ხანმეტი დედნიდან. ძველისთვის ნორმად მაინც ოდენ *ჟ*-პრეფიქსიანი ფორმები უნდა ჩაითვალოს. ხელნაწერის ამ თავისებურებას ა. შანიძე მოკლედ ასე აყალიბებს: „პირველ სუბიექტურ პირში ხანმეტობა ვერ ხარობს“ (ა. შანიძე, 1927:115).

ჩვენი აზრით, პირველი სუბიექტური პირის ვითარება ერთ-ერთ ძირითად ენობრივ კრიტერიუმად (სხვა ნიშნებთან ერთობლიობაში) უნდა მივიჩნიოთ ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების ქრონოლოგიზაციისათვის. *ჟ*-პრეფიქსიანი ფორმების რაოდენობრივი სიჭარბე (*ბჟ*-წარმოებასთან შედარებით) და, მით უმეტეს, ოდენ ამ ტიპის ფორმების არსებობა საკვლევი ძეგლის გვიანდელობაზე უნდა მეტყველებდეს. განხილულ ხანმეტ ხელნაწერთა შორის ხანმეტი მრავალთავი, მართლაც, ყველაზე გვიანდელია.

**II პირი.** მეორე სუბიექტური პირის ფორმები უგამონაკლისოდ *ბ*-პრეფიქსითაა წარმოდგენილი: *ხიყენეთ* (მრავ. 143:3), *ხიქ(ცეოდით)* (მრავ. 145:18-19), *ხიქმნნეთ* (მრავ. 145:19). ვფიქრობთ,

ამ შემთხვევაში **ბ**-ს დაკარგვას ხელი შეუშალა მორფოლოგიურმა ფაქტორმა: ჩანს, იგი მეორე სუბიექტური პირის ნიშნად იქნა გააზრებული.

**III პირი.** მესამე სუბიექტური პირის ფორმებიც **ბ**-პრეფიქსითაა წარმოდგენილი, სამიოდე გამონაკლისის გარდა: *შენირვის* (მრავ. 125:2), *იქცენ* (მრავ. 134:1), *გარდაიქცეს* (მრავ. 149:2) (თანაფარდობა ასეთია: 32:3).

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ხანმეტ მრავალთავში მეორე სუბიექტური და მიცემითში მდგარი მესამე ობიექტური პირის ნიშნად **ბ**-პრეფიქსი წარმოდგენილია ყველგან, სადაც ხანმეტობის ნორმითაა მოსალოდნელი. გამონაკლისია რამდენიმე შემთხვევა, რომლებშიც მესამე ობიექტური პირის ნიშნად **ბ**-პრეფიქსი წარმოდგენილი არაა (*გაუმხილებ* (მრავ. 139:1), *შენირა* (მრავ. 129:6), *შუენის* (მრავ. 128:14-15; 129:5-6; 130:9-10; 130:4), *უგალობდეთ* (მრავ. 146:4-5), *დაუდვათ* (მრავ. 142:9-10)<sup>1</sup>), თუმცა იმავე ფონოლოგიურ გარემოცვაში სხვა ზმნებთან **ბ**-დასტურდება (*ბუყოფდა* (მრავ. 152: 17), *ხნოვედ* (მრავ. 142:8)<sup>2</sup> და სხვ.).

ძეგლი იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ მასში არცერთი ჰაემეტი ფორმა არ არის „გაპარული“. ეს შესაძლოა იმით ავსხნათ, რომ მრავალთავის გადანერის დროისთვის არა მარტო ხანმეტობა, არამედ ჰაემეტობაც განვლილ ეტაპს წარმოადგენდა. VII საუკუნიდან ცოცხალ მეტყველებაში უკვე სანნარეგობა ივარაუდება (საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი რეგიონისთვის მაინც). მაშ, რატომ უნდა შექმნილიყო ამ ეპოქაში ხანმეტი ხელნაწერი? შესაძლოა ეს ყოფილიყო დამკვეთ-მომგებლის ნება, რომელიც გადამწერს უნდა შეესრულებინა, ან სამწერლობო ტრადიციით შეპირობებული მოთხოვნა. ხანმეტ მრავალთავში ხანმეტობა ოდენ ლიტერატურული ტრადიციით შეპირობებული ხელოვნური, მნიგნობრული გზით გატარებული ენობრივი მოვლენაა და არა „ცოცხალი“ პროცესის ამსახველი ფაქტი (ა. შანიძე,

<sup>1</sup> ბოლო ორ შემთხვევაში არც S<sub>1</sub>-ის ნიშანია წარმოდგენილი.

<sup>2</sup> შ-თი დანწყებული სხვა ზმნის ფუძე ვერ დავადასტურეთ.

1927: 116). ძველის გადამწერი არ არის ოდენ გადამწერი, ის საკმაოდ დაკვირვებული რედაქტორ-გადამწერია (ამიტომ „გაპარული შეცდომები“ ხელნაწერში, ფაქტობრივ, არაა), რომელიც **ქმნის იმ ეპოქაზე მორგებულ ახალ ორთოგრაფიულ ნორმებს, რაც გულისხმობს ძველისა და ახლის სინთეზს**. პირველ ყოვლისა, ვგულისხმობთ ცოცხალი მეტყველებისთვის დამახასიათებელი იმ ენობრივი მოვლენის დაკანონებას, ნორმად გამოცხადებას, რომელიც აშკარად დარღვევას წარმოადგენდა „ცოცხალი“ ხანმეტობისთვის და რომელიც სპონტანურადაა გატარებული ხანმეტ ოთხთავში. ესაა, ზოგადად, პირველი სუბიექტური პირის ფორმებში *ვ-პრეფიქსიანი* ფორმების ორთოგრაფიულ ნორმად გამოცხადება (*ხყვენით>ვიყვენით, შეხუნიროთ>შევნროთ*). ამ ნორმით აღდგა ქართულისთვის ბუნებრივი პრეფიქსული მონოპერსონალიზმის (თ. გამყრელიძე, 1979:46) პრინციპი.

**ჰაემეტ ლექციონარში**, რომელსაც ა. შანიძე VIII საუკუნით ათარილებს (ა. შანიძე, 1923:358) და, ფაქტობრივ, სანნარევ ძველთა უძველეს ნიმუშს წარმოადგენს, *ი-პრეფიქსიანი* ვნებითი გვარის ფორმათა თითქმის ნახევარი *ჰ-პრეფიქსის* გარეშეა მოცემული.

**I პირი. ი-პრეფიქსიანი** ვნებითი გვარის პირველი სუბიექტური პირის ფორმები *ჰ-პრეფიქსის* გარეშეა წარმოდგენილი (*ვიყო*) (ჰაემ. 370:10), *მოვივლინე* (ჰაემ. 382:15)). ამ მხრივ იგი გვერდში უდგას ხანმეტ მრავალთავს.

ჰაემეტ ლექციონარს, ზოგადად, პირველი სუბიექტური პირის ფორმებში *ჰჟ-* კომპლექსი, ფაქტობრივ, აღარ ახასიათებს: *ვიტყვ* (ჰაემ. 387:10), *მოვიმკი* (ჰაემ. 385:60), *მოველოდე* (ჰაემ. 366:14), *ვიდიდებდე* (ჰაემ. 370:10). რამდენიმე ძველი ნორმის ამსახველი ფორმა უფრო ხელოვნურ შთაბეჭდილებას ტოვებს, ჰაემეტი დედნის არსებობით იხსნება და საერთო ტენდენციას ვერ ცვლის: *ჰოკყოფ* (ჰაემ. 388:15), *ჰვცოდე* (ჰაემ. 388:13), *სათნო ჰვყავ* (ჰემ. 370:12).<sup>1</sup> ხელნაწერში გვხვდება ერთი ფორმა, რომე-

<sup>1</sup> ბოლო ორ მაგალითში *ჰ-*, წესით, მოსალოდნელი არ არის, რადგან ზმნას არ ეწყობა მიცემითში მდგარი *О*.

ლიც გამოავლენს **ჰ-** და **ვ-** (<ჟ>) პრეფიქსების ახლებურ რანგებსაც: *დავჰთესი* (ჰაემ. 385:1).<sup>1</sup>

**II პირი.** მეორე სუბიექტური პირის ფორმა ორ შემთხვევაში **ჰ-** პრეფიქსითაა წარმოდგენილი, მესამედ – მის გარეშე: *ჰიყოფი* (ჰაემ. 387:12), *ჰიყავ* (ჰაემ. 376:13), *იყვენით* (ჰაემ. 378:2–3). ეს უკანასკნელი II ბრძანებითის მწკრივისაა, შესაძლოა, **ჰ-** მეორე სუბიექტური პირის ნიშნად იქნა გააზრებული და ამანაც განაპირობა მისი დაკარგვა,<sup>2</sup> თუმცა წინა შემთხვევაზე ამას ვერ ვიტყვით (ჰიყავ ზმნაც ამავე მწკრივის ფორმაა).

**III პირი.** დასტურდება **ჰ-**ს **0-**თან მონაცვლეობის შემთხვევები, კერძოდ, მესამე სუბიექტური პირის ფორმათა თითქმის ნახევარი **ჰ-** პრეფიქსითაა წარმოდგენილი, ნახევარი – მის გარეშე (შდრ.: *ჰიქმნა* (ჰაემ. 376:7), *იქმნებიან* (ჰაემ. 368:2–3); *ჰიქცეს* (ჰაემ. 388:14), *მოიქცა* (ჰაემ. 386:7); *ჰიყვნეს* (ჰაემ. 377:9), *იყვნეს* (ჰაემ. 383:8) და სხვ.). ერთი უნდა შევნიშნოთ, **ჰ-**პრეფიქსიანი ფორმების უმეტესობა *ყოფა* ზმნაზე მოდის, სხვა ზმნები, ძირითადად, უპრეფიქსოდ რეალიზდებიან (*იბრძანა* (ჰაემ. 365:15), *დაითხიოს* (ჰაემ. 373:4), *ითარგმანების* (ჰაემ. 387:10–11) და სხვ.).

მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების ნიშნად **ჰ-** თანხმონის წინ ყოველთვისაა წარმოდგენილი, ხმოვნის წინ **ჰ-** პრეფიქსის დაკარგვა ბოლომდე გატარებული არ არის (შდრ.: *ჰიცოდე* (ჰაემ. 385:3–4), *იხილოთ* (ჰაემ. 386:5); *ჰიტყოდა* (ჰაემ.

<sup>1</sup> ერთი შეხედვით, *დავჰთესი* ამ ძეგლისთვის მოულოდნელი ფორმა ჩანს: ჰაემეტ ლექციონარში და, განსაკუთრებით, ხანმეტ მრავალთავში ნათლად გამოიკვეთა ენის განვითარების კანონზომიერი პროცესი: ენის მიდრეკილება პირველი სუბიექტური პირის ფორმებში გამარტივებული, ოდენ **ვ-**პრეფიქსიანი ფორმების დამკვიდრებისა (*ხჟ->ვ-*, *ჰჟ->ვ-*). ეს ეხება როგორც აბსოლუტური, ისე რელატიური აგებულების ზმნებს. ამ ფორმით კი ენის კურსი, კვლავ აღედგინა მისთვის ბუნებრივი პრეფიქსული მონოპერსონალიზმის (თ. გამყრელიძე, 1979:46) პრინციპი, ერთგვარად შეფერხდა (ამ ფორმის ლოგიკური გაგრძელებაა *ვსთხოვ*, *ვჰკითხავ* ტიპის ფორმები).

<sup>2</sup> ცნობილია, რომ ბრძანებითის მწკრივებში S<sub>2</sub>-ის უნიშნობა მორფოლოგიური აკრძალვაა.

376:15), იტყოდა (ჰაემ. 369:7); მიჰუგო (ჰაემ. 369:2), მიუგო (ჰაემ. 381:5) და სხვ.). დასტურდება სამი **ჰს**-კონტამინაციურპრეფიქსიანი ფორმა (*მიჰსცემდა* (ჰაემ. 377:2; 379:7), *დაჰსცხრა* (ჰაემ. 383:14)), რომლებიც ასახავს როგორც ცოცხალი მეტყველების (რომელშიც ეს ზმნები **ს**-პრეფიქსით გამოითქმოდა), ისე ჰაემეტი დედნის ვითარებას.

ჰაემეტი ლექციონარის ენობრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ გადამწერმა ველარ შეძლო ჰაემეტი დედნის გრამატიკული ნორმების ბოლომდე გატარება და ბევრი რამ შეცვალა ცოცხალი სასაუბრო მეტყველების გავლენით, რომელიც ხელნაწერის შექმნისას სანწარევი უნდა ყოფილიყო. მართალია, ტექსტში, ხანმეტი ოთხთავისგან განსხვავებით, ასიმილაციის საფუძველზე მიღებული **ს**-პრეფიქსიანი ფორმა საერთოდ არ დასტურდება, მაგრამ **ჰს**-კონტამინაციურპრეფიქსიანი ფორმები იმის მაჩვენებელია, რომ იმ პერიოდის ცოცხალ მეტყველებაში მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების ერთ-ერთ ალომორფად **ს**- უკვე უნდა გვექონოდა.

ამრიგად, ხანმეტ-ჰაემეტ ტექსტთა ენობრივი ანალიზი საფუძველს გვაძლევს თვალი გავადევნოთ *ი-პრეფიქსიანი* ვნებითი გვარის ფორმათა გამარტივებისა და **ს-//ჰ**-პრეფიქსის ნულთან მონაცვლეობის პროცესს, რომელიც სქემატურად ასე შეიძლება გამოვსახოთ:

	I პირი	II პირი	III პირი
ოქსფ., კემბრ.	( <b>სჷ</b> -)	-	ს-//ჰ-
ქრისტ. წამება	<b>სჷ</b> -//ვ-	ს-	ს-
კპრიან. წამება	<b>სჷ</b> -	ს-	ს-
უძვ. ტექსტ. (ჯავახ.)	<b>სჷ</b> -	ს-	ს-//0
ხანმ. ლექც.	-	ს-	ს-//ჰ-
იაკ. პროტ.	<b>სჷ</b> -	ს-	ს-
ხანმ. ოთხთ. (ბერდზ.)	-	( <b>ს</b> -)	ს-
ეზრა I (ბერდზ.)	-	ს-	ს-
ხანმ. ოთხთ. (ქაჯ.)	<b>სჷ</b> -//ვ-	ს-	ს-//0
ხანმ. მრავ.	ვ-	ს-	ს-//0
ჰაემ. ლექც.	ვ-	ჰ-//0	ჰ-//0

ცხადი ხდება, რომ *o*-პრეფიქსიან ვნებითებში *b*-პრეფიქსის ნულთან მონაცვლეობა უნდა დაწყებულიყო I–III პირის ფორმებში. ეს პროცესი უფრო აქტიურად წარიმართა I სუბიექტური პირის ფორმებში, რის საფუძველზეც მივიღეთ გამარტივებული, ოდენ *g*-პრეფიქსიანი ფორმები (ეს ერთადერთი ნორმაა ხანმეტი მრავალთავისა და ჰაემეტი ლექციონარისათვის). III პირის ფორმებში *b*-ს დაკარგვა ბოლომდე არ არის გატარებული. II სუბიექტური პირის ფორმებში მისი დაკარგვისთვის ხელი უნდა შეეშალა მორფოლოგიურ ფაქტორს: როგორც ჩანს, *b-//ჭ-S<sub>2</sub>*-ის მორფემად იქნა გააზრებული. ეს პროცესი საბოლოოდ დასრულდა სანნარევ წერილობით ძეგლებში.

დასასრულ, გვინდა შევეხოთ მთავარ პრობლემას: რა ფუნქციისაა *b-//ჭ*-პრეფიქსი *o*-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმებში და რატომ იჩენს იგი თავს სამივე პირში? ძველი ქართულის სინქრონიულ დონეზე, გარკვეული თვალსაზრისით, მეორე პირის ფორმებში *b-//ჭ*-პრეფიქსი მეორე სუბიექტური პირის მორფემად შეიძლება იქნეს მიჩნეული (ა. შანიძე, 1927:114; ა. ონიანი, 1978:115; ზ. სარჯველაძე, 1997:74), ხოლო პირველი სუბიექტური პირის ფორმებში *bჟd* ერთიანად უნდა იქნეს კვალიფიცირებული ამ პირის ერთ-ერთ ალომორფად (ა. ონიანი, 1978:162; თ. გამყრელიძე, 1979:49; ზ. სარჯველაძე, 1997:74). *o*-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის მესამე პირის ფორმებში მის გამოვლენას არავითარი მორფოლოგიური საფუძველი არ ეძებნება და ანალოგიით, პარადიგმის გათანაბრებით უნდა აიხსნას (ა. ონიანი, 1978:165). საზოგადოდ, „თუ რატომ იჩენს თავს *b*- ამ ტიპის ზმნებში, ჯერჯერობით დამაკმაყოფილებლად ახსნილი არ არის“ (ზ. სარჯველაძე, 1995:125).

ჩვენი აზრით, *b-//ჭ*-პრეფიქსის მეორე სუბიექტური პირის მორფემად მიჩნევას ახლავს მთავარი დაბრკოლება: თუ მას კონკრეტულად ამ პირის მარკერად მივიჩნევთ, ჩნდება შეკითხვა: რამდენად გამართლებულია მორფოლოგიურად ან თუნდაც ლოგიკურად მისი გამოვლენა სხვა სუბიექტური პირის ფორმებშიც?



**პირის რომელობის მიხედვით ოპოზიციისას კონკრეტული მორფემა ოპოზიციის მხოლოდ ერთი ნევრის (პირის) მარკერი შეიძლება იყოს<sup>1</sup>, ჩვენს შემთხვევაში კი *ბ-//ჰ*- სეგმენტი სამივე პირთან რეალიზდება.**

ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში *ი-პრეფიქსიანი* ვნებითი გვარის ზმნა ბრძანებითის მწკრივების II სუბიექტურ პირში ყოველთვის *ბ-//ჰ*- პრეფიქსითაა წარმოდგენილი. ეს ნორმაა და არა გამონაკლისი (*ხიყენით* (ჯ. ბერდხოლი, 1971:67), *ხიყავ* (ლ. ქაჯაია, 2006:50), *ჰიყავ* (ჰაემ. 376:13), მაგრამ *იყენით* (ჰაემ. 378:2-3)). ძველ ქართულში კი ამ შემთხვევაში მეორე სუბიექტური პირის უნიშნობა მორფოლოგიური აკრძალვაა. მაშასადამე, *ი-პრეფიქსიანი* ვნებითი გვარის ფორმებში *ბ-//ჰ*- არ ექვემდებარება იმ ზოგად წესს, რომელიც მეორე სუბიექტურ პირზე ვრცელდება, სხვაგვარად, იგი „არ იქცევა“ როგორც ამ პირის მორფემა. ამრიგად, ***ი-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმებში ბ-//ჰ-ს ვერ მივიჩნევთ მეორე სუბიექტური პირის მორფემად.*** მაგრამ რამდენად შეიძლება *ბჟ*-ოდენობის მიჩნევა პირველი სუბიექტური პირის ალომორფად?

სამეცნიერო ლიტერატურაში პირველი სუბიექტური პირის ნიშნის ამოსავალი სტრუქტურის შესახებ ორი განსხვავებული თვალსაზრისი არსებობს: ერთის მიხედვით, ამოსავალია *ჟ-//გ*-პრეფიქსი (ა. შანიძე, 1925:182; კ. დონდუა, 1967:280; გ. დეეტერსი, 1930:26; ვ. თოფურია, 1967:26; არნ. ჩიქობავა, 1946:123; მ. სუხიშვილი, 1986:58...), მეორე თვალსაზრისის მიხედვით, პირველი სუბიექტური პირის მორფემა საერთოქართველურის დონეზე აღდგება *\*ბჟ*- არქეტიპის სახით (გ. კლიმოვი, 1965:225; ა. ონიანი, 1978:159; თ. გამყრელიძე, 1979:49; ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველა-

---

<sup>1</sup> მართალია, *ბ-//ჰ*- პრეფიქსი S<sub>2</sub> და O<sub>3</sub> პირების ნიშნადაც მიიჩნევა, მაგრამ ამ შემთხვევაში გვაქვს რაგვარობის მიხედვით განსხვავებული პირები, თუმცა, თავისთავად, მაინც ახსნას ითხოვს რაგვარობისა და რომელობის მიხედვით განსხვავებულ პირთა ერთნაირად მარკირება.

ძე, 2000:695). ამიტომ *მი-ბ-უ-ეც* ტიპის ფორმებში *ბჭ*-პრეფიქსის რეინტერპრეტაცია  $O_3^{ind}$  *ბ*- და  $S_1$  *ჭ*-პრეფიქსთა კომბინაციად მეორეულია (ა. ონიანი, 1978:162; თ. გამყრელიძე, 1979:49).

ჩვენთვის პირველი სუბიექტური პირის გამოხატვის მორფოლოგიური ფუნქცია *ბჭ*-პრეფიქსის მეორე კომპონენტს უკავშირდება, *ბ*- ამ შემთხვევაში ისეთივე უფუნქციო სეგმენტის როლში გამოდის, როგორც *ი*-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის II-III პირის ფორმებში. ვინაიდან *ბჭ*-პრეფიქსის *ბ*-სეგმენტს, ცალკე აღებულს, მორფოლოგიური ფუნქცია არ ეძებნება, პირობითად იგი  $S_1$ -ის ნიშნის შემადგენელ ნაწილად შეიძლება მოვიაზროთ, ხოლო მისი არსებობა აქ ფონეტიკურ ნიადაგზე ავსხნათ.

*ბჭ*-პრეფიქსის *ბ*-ოდენობას არნ. ჩიქობავა სწორედ ფონეტიკურ დანართად მიიჩნევდა (არნ. ჩიქობავა, 1946:123). ვ. თოფურიას აზრით, *ბს*-პრეფიქსში (თუნდაც იგი \**ჰს*-სგან იყოს წარმომდგარი) ძირითად ელემენტს *ს* წარმოადგენდა, \**ჰ*, *ბ*- კი სხვა წარმოშობისა უნდა ყოფილიყო (ვ. თოფურია, 1967:7).

რადგან პირველი სუბიექტური პირის გამოხატვა *ბს*-პრეფიქსის პირველ კომპონენტთან არ იყო დაკავშირებული, ენამ ადვილად იგუა ამ ოდენობის გამარტივება: *ბს*-//*ჰს*- > *ვ*-. როგორც ვნახეთ, ოდენ *ვ*-ალომორფიანი *ი*-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმები დასტურდება „წმიდა ქრისტინას წამებაში“, ხანმეტ ოთხთავში, ხანმეტ მრავალთავსა და ჰამეტ ლექციონარში. აქედან ბოლო ორ ძეგლში ეს ერთადერთი ნორმაა.

ამგვარად, *ი*-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმებში *ბ*-//*ჰ*-ს არ ეძებნება მორფოლოგიური ფუნქცია, იგი უფუნქციო ელემენტია არა მარტო სინქრონიულ დონეზე, არამედ დიაქრონიულადაც. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ელემენტი სამივე პირის ფორმაში იჩენს თავს, სჯობს ყველა შემ-

**თხვევაში  $b-//\tilde{z}$ - სეგმენტის გამოვლენა ერთნაირად აიხსნას, ოღონდ არა მორფოლოგიურ, არამედ ფონეტიკურ<sup>1</sup> ნიადაგზე.**

ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში  $b-//\tilde{z}$ - პრეფიქსი იხმარება კიდევ რამდენიმე ფუნქციით: ა)  $S_2$  და  $O_3$  (მიცემითში მდგარი) პირების მარკერად<sup>2</sup>; ბ) ზედსართავი სახელისა და ზმნიზედის უფროობითი ხარისხის ფორმების მანარმოებელ კონფიქსებში; გ)  $S_1$  პირის  $bU-//\tilde{z}$  ალომორფის შემადგენელ ელემენტად (რომელზეც უკვე გვქონდა საუბარი). ჩვენი აზრით,  $b-//\tilde{z}$ - პრეფიქსი მისი ხმარების ყველა შემთხვევაში ისტორიულად ფონეტიკურ ნიადაგზე უნდა იყოს განვითარებული. მისი მორფოლოგიური ფუნქციით აღჭურვა და პირის მორფემად გადააზრება მეორეული მოვლენა ჩანს.  **$b-//\tilde{z}$ - ელემენტის გაჩენა შესაძლოა ასპირაციას უკავშირდებოდეს**, რომელიც საერთოქართველურს ახასიათებდა. „ქართველურ ენათა ისტორიული მონაცემებით დასტურდება, რომ ფშვინვიერი შემართვა-დამართვა ქართველურ ენათა ფონეტიკური სტილისათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება ყოფილა. ამას ადასტურებს, ერთი მხრივ, ძველი ქართულის მონაცემები და, მეორე მხრივ, ქართველურ ენათა ცოცხალი დიალექტების მონაცემები“ (ს. ჟღენტი, 1965:112).

ქართველურ ენათაგან ხმოვანთა ( $//$ სონანტთა) ფშვინვიერი შემართვა თავდაპირველად მეგრულ-ლაზურში უნდა მოშლილიყო, შემდეგ – ქართულში, სვანურში კი (ბალსზემოურსა და ბალსქვემოურში) ამჟამადაც მოქმედი ფონეტიკური მოვლენაა (ს. ჟღენტი, 1965:112).<sup>3</sup> ზანურისა და ქართულის გავლენით ასპირაციის შენელება-გაქრობა უფრო ქვემოსვანურშია გამოხატული. **საკითხის ამგვარად დასმის შემდეგ, ვფიქრობთ, სავ-**

<sup>1</sup> საინტერესოა, რომ ხანმეტი ლექციონარის წინასიტყვაობაში თავად ა. შანიძე ხანმეტობას უწოდებს **ფონეტიკურ-მორფოლოგიურ** მოვლენას (ა. შანიძე, 1944:024).

<sup>2</sup>  $\tilde{z}$ -პრეფიქსიანი ვნებითის ფორმებში  $b-//\tilde{z}$ -  $O_3^{ind}$ -ის ნიშანია, ამიტომ ამ ტიპის ვნებითებში პრეფიქსის ფუნქციას ცალკე არ ვეხებით.

<sup>3</sup> ეს მოვლენა ცოცხალია აგრეთვე ჭანურის (ლაზურის) ვიწურ-არქაულ კილოკავში.

სებით გასაგები უნდა იყოს მეგრულ-ლაზურში  $S_2$  და  $O_3$  პირების უნიშნობა.

თუ საკითხის ჩვენეული დასმა მართებულია, სწორედ სვანურში უნდა იყოს ხელშესახები  $S_2$  და  $O_3$  პირის ნიშნების ისტორიულად ასპირაციასთან დაკავშირება. მართლაც, სვანურში **ბ-ოდენობის გამოვლენა** (იქნება ის  $S_1$ -ის **ბს**-პრეფიქსის შემადგენელი სეგმენტი<sup>1</sup> თუ  $S_2$  და  $O_3$ <sup>ind</sup> პირების ალომორფი) **ფონოლოგიურადაა შეპირობებული**: იგი რეალიზდება უზმნისწინო ზმნებთან, ანლაუტში, ხმოვნის წინა პოზიციაში (# d V), თანხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან **ბ-** არ ჩანს (**ბ-ოსვი**<sup>2</sup> „ვუკეთებ“, **ბს-არი** „ვარ“, **ბ-არი** „ხარ“, **ბ-აჰუდი** „აძლევს“... შდრ.: **ტ-ს-იხე** „ვაბრუნებ“, **ტიხე** „აბრუნებ“...)<sup>3</sup>. ზოგადად, სვანური განსხვავებულად ექცევა პირის მორფემებს, ნულს ადვილად უთანაბრდება **ბ-**, რასაც სხვა მორფემებზე ვერ ვიტყვი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში ხდება არა **ბ-ს** დაკარგვა, არამედ შესაბამისი ფონოლოგიური პოზიციის გათვალისწინებით მისი არსებობა არც არის საგულებელი.

სვანურში ასპირაციის შემდგომი განვითარებისას, სხვაგვარად, /ჰ/ სპირანტის უფრო ღრმად წარმოთქმისას /ჰ/ > /ბ/, მაგ., **ჰარაყ//ბარაყ**, **ჰასაკ//ბასაკ** და სხვ. ჩანს, ერთ ენობრივ კოლექტივშიც შესაძლებელია პარალელურად **ჰ-** და **ბ-**პრეფიქსიანი ფორმების არსებობა. საკითხის ამგვარად დასმის შემდეგ ნათელი უნდა იყოს, რომ **ხანმეტობა-ჰაემეტობა სხვა არაფერია, თუ არა ლიტერატურული წარმოთქმის სხვადასხვა ნორმა** (ს. ჟღენტი, 1965:107). როგორც ჩანს, /ჰ/ უფრო ღრმად გამოითქმოდა სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში (შესაბამისად, ხდებოდა მისი ჩანერა **ბ** გრაფემით. სწორედ **ბ-**პრე-

<sup>1</sup> ს ანლაუტში სვანურისთვის არაბუნებრივია.

<sup>2</sup> სვანურში  $S_1$  პირის მორფემა **ბ-** ალომორფითაა წარმოდგენილი (იკარგება ს) /ლ/ ხმოვნის წინ (ა. ონიანი, 1978:76).

<sup>3</sup> ზმნისწინიანი ფორმების შესახებ დაწვრილებით იხ. ლ. ციხელაშვილი, 2005:275-276.

ფიქსიან ფორმებს უნდა ჰქონოდა ლიტერატურული სანქცია(ც), ხოლო სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში იგი უფრო სუსტი უნდა ყოფილიყო, ამიტომ აღინიშნებოდა **ჰ** გრაფემით (მდრ. ა. შანიძე, 1923:361).

ჩვენი აზრით, **ხანმეტობის ბ-პრეფიქსი არტიკულაციურად არ უნდა ყოფილიყო იდენტური ძირეულ მორფემებში და-დასტურებული /ბ/ სპირანტისა** (მაგ., *ახალი, ხუთი...*). ეს უნდა ყოფილიყო ჩვეულებრივი /ბ/-ს ერთგვარი რბილი ნაირსახეობა, **საშუალო ბგერა /ბ/-სა და /ჰ/-ს შორის** (მდრ. გ. როგავა, 1956: 289), დაახლოებით ისეთი, როგორცაა **ინგილოურ დიალექტში /ჰ/-სგან მიღებული [ბ] ბგერა**, რომელიც რეალიზდება /ყ/, /ხ/ თანხმონების წინ: *გაჰყო > გახყო, დაჰხურა > დახხურა* (ბ. ჯორბენაძე, 1989:341). ე.ი. **ძველი ქართულის ხანმეტობის პერიოდში უნდა გვექონოდა ორგვარი /ბ/: საკუთრივ /ბ/ სპირანტი და ე.წ. რბილი [ბ], /ჰ/-სგან მიღებული, რომელიც, პირველისგან განსხვავებით, დაკარგვას ექვემდებარებოდა** (მეოხ *ხეყავ > მეოხ ეყავ* (მცხეთის ჯვრის წარწ.). სადაც იგი ღრმად გამოითქმოდა და ხშირი ხმარების გამო გაქვავდა, იქცა უფრო მყარ **/ბ/ სპირანტად** (გ. როგავა, 1956:293), არც დაკარგულა: *ხარ, მოხვალ, მოხვედი, ხერთვისი, ხუცესი* (მდრ. ბზ. *ხეხჷ<\*ჰეხჷ* „ცოლი“ (ვ. თოფურია, 1967:5)). ამგვარად, ხანმეტ ტექსტებში, რომლებშიც გვაქვს **ბ-პრეფიქსის ნულთან მონაცვლეობა**, ყველგან ასეთი ე. წ. რბილი [ბ]-ს არსებობა უნდა ვივარაუდოთ და არა **/ბ/ სპირანტისა**.

სვანურში პარალელური **ჰ-//ბ-** პრეფიქსიანი ფორმების არსებობით შეიძლება ახსნა მოექცენოს ხანმეტ ტექსტებში „გაჰარულ“ ჰაემეტ ფორმებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ შემთხვევაში შესაძლოა გადამწერი ვცნოთ ჰაემეტი ენობრივი კოლექტივის წარმომადგენლად, თუმცა, როგორც ვნახეთ, ხანმეტ ენობრივ გარემოშიც სავსებით მოსალოდნელია **ჰ-პრეფიქსიანი ფორმების არსებობა**, უბრალოდ, მათ არ ექნებოდა ლიტერატურული სანქცია (შესაბამისად, არც ჰაემეტობისთვის უნდა იყოს

მოულოდნელი ხარ, ხუალ, ხუედ ზმნების ხ-პრეფიქსით წარმოდგენა).

კემბრიჯულ ფრაგმენტსა და ხანმეტ ლექციონარში გამოვლენილი ჰაემეტი ფორმები, რომლებშიც **ჰ**-წარმოდგენილია წინა რიგის ხმოვნების წინ (/ე/, /ი/, /ა/), შეიძლება იმის მანიშნებელიც იყოს, რომ ამ პოზიციაში **ჰ**-ნაკლებად ღრმად გამოითქმოდა და შესაძლოა, **ჰ**-//**ხ**-ს დაკარგვა ამ ტიპის ხმოვნებთან დაწყებულიყო. ყოველ შემთხვევაში, მცხეთის ჯვრის წარწერა **ხ**-პრეფიქსის კლებას სწორედ /ე/-ს წინ გამოავლენს. საინტერესოა, რომ ინგილოურში (რომელშიც ასპირაცია შემონახულია) შეინიშნება [ჰ]-ს განვითარება /ო/, /უ/ ხმოვნების წინ, ხოლო ასპირაციის მოშლის ამსახველია მისი კლება /ა/, /ე/ ხმოვნებით დაწყებულ ზმნურ ფორმებთან: აქონდა, აკოცა, ეყურება, ექნა... შდრ.: ჰუყვარს, ჰუხარიან, ჰუმღერის<sup>1</sup>... (ა. შანიძე, 1981:265). საკითხის ამგვარად დასმის შემდეგ, ვფიქრობთ, **ხანმეტ ტექსტში ჰაემეტი ფორმების არსებობა ცალსახად მის გვიანდლობას არ უნდა ნიშნავდეს** (შესაძლოა პირიქითაც იყოს). ამის ნიმუშად გამოდგება თუნდაც ხანმეტი მრავალთავი, ხანმეტ ხელნაწერთაგან ყველაზე გვიანდელი, რომელშიც არცერთი ჰაემეტი ფორმა არ დასტურდება.

რადგან ფონეტიკურად /ჰ/ > /ხ/ (პირუკუ ეს პროცესი მიუღებელია), **ჰაემეტობა ხანმეტობაზე წინმსწრებად უნდა მივიჩნიოთ**. მართალია, ქრონოლოგიურად ხანმეტი ძეგლები უსწრებს ჰაემეტს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს ამ უკანასკნელის

<sup>1</sup> ამ ტიპის ზმნურ ფორმებში ა. შანიძე **ჰ**-ს არ მიიჩნევს  $O_3^{ind}$  პირის ნიშნად და მას ფონეტიკურ ნიადაგზე განვითარებულს უწოდებს, რადგან, „რა წამს ზმნას პრევერბი გაუჩნდება და, მამასადამე, ანლაუტის უნი ინლაუტში მიექცევა, მაშინვე დაიკარგება ის ჰაე: დაუნახი, დაჟუახნი, ჩამოჟგდი...“ (ა. შანიძე, 1981:265-266). ს. ფლენტიც ინგილოურში ანლაუტში განვითარებულ [ჰ]-ს ასპირაციას უკავშირებს (ს. ფლენტი, 1965:23).

<sup>2</sup> ა. შანიძე „საერთო ქართულისთვის“ ამოსავლად /ჰ/-ს მიიჩნევს, რომლისგანაც „შემდეგ წარმოიშვა სხვა სახეები და მათ შორის ხანიც“ (ა. შანიძე, 1923:360).

არარსებობას, პირიქით, ჰაემეტობა სანნარევობამდე ენაში არსებულ უწყვეტ ენობრივ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. დროის გარკვეულ მონაკვეთში ის ხანმეტობასთან თანაარსებობდა, ოღონდ სხვადასხვა არეალში. ჩანს, საქართველოს იმ რეგიონში (სამხრეთ-აღმოსავლეთი საქართველო), სადაც იქმნებოდა ხანმეტი ლიტერატურა, გამოთქმიდან გამომდინარე, **ბ**-პრეფიქსიან ფორმებს უნდა ჰქონოდა ლიტერატურული ნორმის სანქცია, VIII საუკუნიდან პოლიტიკურ-კულტურული ცენტრის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გადანაცვლების შემდეგ კი ეს უფლება **ჰ**-პრეფიქსიანმა ფორმებმა მოიპოვა (ა. შანიძე, 1923:362).

იმის გათვალისწინებით, რომ **/ბ-/ /ჰ-/** სგან მიღებული ჩანს, ამასთანავე, ჰაემეტობა სანნარევობამდე უწყვეტ ენობრივ მოვლენად უნდა იქნეს მიჩნეული და შემდგომდროინდელი სალიტერატურო ქართული და ქართული ენის ყველა დიალექტის ვითარება ჰაემეტობიდან გამოიყვანება, ნესით, S<sub>2</sub> და O<sub>3</sub>, ასევე S<sub>1</sub>-ის **ბს-//ჰს-** ალომორფების<sup>1</sup> რეკონსტრუქცია საერთოქართველურის დონეზე უნდა მოხდეს \***ჰ**-ს სახით (თუ **ჰ**-ს ისტორიულადაც პირის გამოხატვას დავუკავშირებთ). მაგრამ ისმის კითხვა: რამდენად შესაძლებელია აღნიშნული ფუნქციით **ჰ**-პრეფიქსის არსებობა საერთოქართველურის დონეზე? რაც მთავარია, **რამდენად შესაძლებელია ამ დონეზე რეკონსტრუქცია ფონემისა, რომელიც არ დასტურდება ძირეულ მორფემებში და ამ მხრივ არ დაექვევსება შესატყვისები ქართველურ ენებში? რამდენად ლოგიკურია ენამ პირის გამოხატვის მორფოლოგიური ფუნქციით აღჭურვოს, ფაქტობრივ, უფუნქციო ფონემა? ამ უხერხულობას გ. მაჭავარიანიც გრძნობს და საკითხს ასე სვამს: „საერთოქართველური **/\*ჰ/** ფონემა დადასტურებულია მხოლოდ ორი მორფემის შემადგენლობაში: ესენია მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის პრეფიქსები ზმნაში. ბუნებრივად თავს იჩენს კითხვა: რამდენად რეალისტურია აღდგენა ისეთი ფონემი-**

<sup>1</sup> ეს პირები სვანურშიც მარკირებულია.

სა, რომლის არსებობა მხოლოდ ორი გრამატიკული მორფემის შემადგენლობაში შეიძლება ვივარაუდოთ?“ (გ. მაჭავარიანი, 1965:71-72). ამ უხერხულობის მიუხედავად, ავტორი მაინც უშვებს საერთოქართველურის დონეზე /*\*ჰ*/ ფონემის არსებობას და არგუმენტად მოჰყავს ხუნძურ-ანდიური ჯგუფის ენების ვითარება. აქ /*Á*/ ფონემა, მართალია, არ დასტურდება ძირეულ მორფემებში, მაგრამ წარმოადგენს გრამატიკულ მორფემას – კლასის ნიშანს (გ. მაჭავარიანი, 1965:72).

ჩვენი აზრით, საერთოქართველურის დონეზე [*\*ჰ*]-ს რეკონსტრუქციას შესაძლოა ასეთი ახსნა მოეძებნოს: შეიძლება ენას /*ჰ*/, როგორც დამოუკიდებელი ფონემა და, შესაბამისად, ამ ფონემის აღმნიშვნელი გრაფემა არ მოეპოვებოდეს, იგი არ იღებდეს მონაწილეობას ლექსიკურ თუ გრამატიკულ მორფემებში, მაგრამ ეს ბგერა ენაში არსებობდეს ფშვინვიერი შემართვის სახით. ამის ნიმუშად შეიძლება დასახელდეს ძველი ბერძნული, რომელსაც /*ჰ*/ ფონემა და ამ ფონემის აღმნიშვნელი გრაფემა ანბანში არ მოეპოვებოდა, მაგრამ ეს ბგერა [h] ისმოდა ასპირაციის დროს და წერისას მისი აღნიშვნა ხდებოდა სპეციალური ნიშნით (°), მაგ., ἰνρμῆς [ჰერმეს] „ჰერმესი“, ἄγιστος [ჰაგიოს] „წმინდა“ და სხვ. (ა. ურუშაძე, 1987:12-13).

როგორც ცნობილია, ძველი ქართულის თავისებურება ის არის, რომ წერდნენ ისე, როგორც გამოთქვამდნენ, ამიტომ **დამწერლობის შექმნის შემდეგ ასპირაციისას წარმოთქმული ბგერის ჩაწერის აუცილებლობაც დადგებოდა.**<sup>1</sup> ხშირი ხმარების გამო ფონეტიკურ ნიადაგზე განვითარებული /*ჰ*-/ > /*ხ*-/ დროთა განმავლობაში უნდა გააზრებულიყო პირის მორფემად და აღჭურვილიყო მორფოლოგიური ფუნქციით, ამდენად, მისი არსებობა მორფონოლოგიურად უნდა აიხსნას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, საერთოქართველურის დონეზე თუ მაინც მოხდება [*\*ჰ*]-ს რეკონსტრუქცია, მხოლოდ იმ შემთხვევა-

<sup>1</sup> არ გამოვრიცხავთ იმ გარემოებასაც, რომ თავდაპირველად მისი ჩაწერა *ხ* გრაფემით მომხდარიყო.



ში, თუ მას დაფუკავშირებთ ასპირაციისას (ფშვინვიერი შემართვა-დამართვისას) წარმოთქმულ ბგერას,<sup>1</sup> მაგრამ /ჰ/-ს, როგორც ფონემის, რეკონსტრუქციას გარკვეული დაბრკოლებები ახლავს.

ვფიქრობთ, დაბრკოლებას არ უნდა ქმნიდეს იმის დაშვება, რომ /ჰ/ ფონემის აღნიშნული მორფოლოგიური ფუნქციით აღჭურვა მეორეულია. მსგავსი რამ ენას ახასიათებს. მაგ., როგორც ცნობილია, უწყვეტლის (ასევე ხოლმეობითის) მწკრივის ნიშანი -ი ისტორიულად ფონეტიკურ ნიადაგზეა აღმოცენებული I-II პირის მრავლობითი რიცხვის ფორმებში, როგორც თანხმოვანთგამყარი (*ენერდით*, *სწერდით*), რომელიც წერილობით ძეგლებში დაახლოებით IX საუკუნიდან მხოლობითის ფორმებშიც ვრცელდება (ზ. სარჯველაძე, 1984:439) და, საბოლოოდ, მწკრივის ნიშნად ფორმდება. ანალოგიური ვითარება გვაქვს წყვეტილის -ი მწკრივის ნიშნის შემთხვევაშიც (*მოვედ>მოვედი*, შდრ. *მოვედით*). წარმოშობით ასევე თანხმოვანთგამყარი უნდა იყოს -დ-სუფიქსიანი ვნებითის წყვეტილის მწკრივის ნიშანი -ი (აქ მისი გაჩენის ფონოლოგიური გარემო ნამდვილად არსებობდა: *დავბერდით...*). ოღონდ ამ ტიპის ვნებითებში ი-ს მწკრივის ნიშნად ჩამოყალიბების პროცესი ძველ სამწერლობო ქართულში უკვე დასრულებულია, ზემოაღნიშნულ შემთხვევებში კი ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს. ვფიქრობთ, S<sub>2</sub> და O<sub>3</sub> პირების მარკერთა გენეზისის ფონეტიკურ ნიადაგზე ახსნა და ისტორიულად ასპირაციასთან დაკავშირებაც არავითარ უხერხულობას არ უნდა იწვევდეს, მით უმეტეს, რომ ძველი ქართულის დონეზე მათი მორფოლოგიზაციის პროცესი დასრულებული ჩანს.

---

<sup>1</sup> დღეს ქართული ხმოვანთა სისტემა ხასიათდება ნელი შემართვა-დამართვით. „ქართულში ძველად უფრო გავრცელებული იყო ხმოვნის ფშვინვიერი შემართვა, ვიდრე დღეს: ამას მოწმობს ხმოვნის წინ ჰ-ს თანდათან გადავარდნა დამწერლობაში“ (გ. ახვლედიანი, 1938: 160). „შდრ. ჰიყო, ჰამბავი, ჰავი, ჰაზრი, ჰასაკი და მისთ.“ (ს. ჟღენტი, 1965:112).

/ჰ/ ფონემის პოზიციის განმტკიცებისათვის ხელი უნდა შეეწყო ნასესხებ ლექსიკასაც (მაგ., *ჰამბავი, ჰასაკი, ჰურია, გეჰენია* და სხვ.). მართალია, /ჰ/ არ მონაწილეობს ძირეულ მორფემებში და მეორეული ჩანს ქართულის ფონემატური სისტემისთვის, მაგრამ ძველი ქართულის ლექსიკაში, ძირითადადსა თუ ნასესხებში, /ჰ/ ჩანს ასპირაციისთვის ბუნებრივ პოზიციაში: *ჰასეთი, ჰასრე/ასრე, ჰეგრე/ეგრე,<sup>1</sup> ჰე/ჰს, ჰაერი, ჰამება, ჰამო, ჰებრაველი, ჰინდოეთი, ჰოროლი, ჰრომი, ჰრული<sup>2</sup>, ჰუნე, ჰურია, ჰური-ასტანი...* გარდა ანლაუტისა, /ჰ/ რეალიზდება აუსლაუტშიც იმ ფორმებში, რომლებშიც ისტორიულად ფშვინვიერი დამართვა ივარაუდება: *ოჰ/ოხ, ეჰ/ეხ, ვაჰ/ვახ...* სახელურ ფორმებში /ჰ/ არ ჩანს თანხმოვნის წინა პოზიციაში, **ზმნურ ფორმებთან ამ პოზიციაში მისი არსებობა მეორეული უნდა იყოს და მორფოლოგიური ფუნქციით აღჭურვის შემდეგ ენის უნიფიკაციისადმი მიდრეკილებით უნდა აიხსნას. მოხდა პარადიგმის „გასწორება“, რადგან სხვა პირების მარკერთა გამოვლენა ფონოლოგიურად არ იყო შეპირობებული.**<sup>3</sup> თუმცა უნიფიკაციის პროცესი უნაკლოდ არ წარმართულა. ამით უნდა აიხსნას ძველ ქართულში დარღვევები აღნიშნულ პრეფიქსთა ხმარებაში და ის სიჭრელე, რომელიც გვაქვს  $O_3^d$  პირის მარკირების საკითხში (ვგულისხმობთ ე.წ. „ჰყოფს“, „ქადაგებს“, *შერეული* და, ამასთანავე, „დაჰბადა“ ტიპის ზმნების არსებობას<sup>4</sup>): მიცემითში მდგარი პირდაპირი ობიექტი ზმნაში ხან აჩენს პირის ნიშანს, ხან – არა. ისტორიულად და შემდგომაც გამოკვეთილი მორფოლოგიური ფუნქციის უქონლობამ გამოიწვია აღნიშნული პრეფიქსის დაკარგვა პრეფიქსიან ვნებებში, უფროობითი ხარისხის ფორმებში,  $S_2$  და  $O_3^d$  პირების

<sup>1</sup> ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 2000:730-731.

<sup>2</sup> ძველ ქართულში სავარაუდოა ფშვინვიერშემართვიანი /რ/ სონანტის არსებობაც.

<sup>3</sup> თუმცა ძველ ქართულში  $S_1$ -ის *ვ*-პრეფიქსი არ იყო წარმოდგენილი /ო/, /უ/ და ზოგჯერ /ვ/ ფონემების წინა პოზიციაში.

<sup>4</sup> დანვრილებით იხ. ა. შანიძე, 1981:113-264.

ნიშნის ფუნქციით. სინქრონიულ დონეზე **ჰ**, **ს**- ალომორფები, ნორმით, მხოლოდ  $O_3^{ind}$  პირის მარკერად იხმარება<sup>1</sup> და ამ შემთხვევაშიც საგრძნობია მათი გაქრობის ტენდენცია.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია თვალსაზრისი **ი**-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის სათავისო ქცევის ფორმიდან მომდინარეობის შესახებაც (ა. შანიძე, 1926:332–333; 1953:354–356). **ი**-პრეფიქსიანი ვნებითებში დადასტურებული **ბ**-//**ჰ**-სეგმენტის, წარმოშობით, მესამე პირდაპირობიექტური პირის ნიშნადაა მიჩნეული (თ. გამყრელიძე, 1979:47; ი. იმნაიშვილი, 1982:203; გ. მაჭავარიანი, 2002:86). იგი პასივში უნდა გადმოსულიყო სათანადო მოქმედებითი გვარის ზმნიდან კონვერსიის დროს. **ი**-პრეფიქსიანი ვნებითებში ამ სეგმენტის ნულთან გათანაბრებას ხელი შეუშალა შესაბამისი მოქმედებითი გვარის პირდაპირდამატებიან კონსტრუქციებთან მორფოლოგიური კავშირის განყვეტამ. პასიურ კონსტრუქციებში **ბ**- აღარ გაიგებოდა როგორც  $O_3^d$ -ის ნიშანი (თ. გამყრელიძე, 1979:47). **ი**-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმებში **ბ**-//**ჰ**-ს არსებობას გ. მაჭავარიანიც მორფოლოგიურად ხსნის და უკავშირებს მაქცევრებს, რომელთა არსებობა ფორმაში ყოველთვის ირიბი ობიექტის პოვნის უკავშირდება. მისი აზრით, **ბიქმნა** ტიპის ზმნები ორპირიანები იყვნენ და რეფლექსურობას გამოხატავდნენ ისე, როგორც **ბექმნა** ტიპის ზმნები – რელატიურობას, მაშინ **ბ**- პრეფიქსის გამოვლენა ამ ტიპის პასივებში გამართლებულია (გ. მაჭავარიანი, 2002:98–99).

ამასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას შემდეგი: **ჰ**-//**ბ**-პრეფიქსის ისტორიულად ასპირაციასთან დაკავშირების საფუძველზე ჩნდება შეკითხვა: ენის განვითარების კონკრეტულ საფეხურზე, როცა ივარაუდება **ი**-პრეფიქსიანი ვნებითის ჩამოყალიბება, **ჰ**- (>**ბ**-) უკვე წარმოადგენდა თუ არა  $O_3^d$ -ის მორფემას? რომელი მოვლენა უნდა ჩაითვალოს წინმსწრებად: **ჰ**- (>**ბ**-) ოდე-

<sup>1</sup> გამოიყენება არადანიშნულებისამებრაც (*მიჰქრის*, *სტირი*, *დაჰფარა* ...), რაც ისევ დისტინქციური ფუნქციის უქონლობით იხსნება.

ნობის პირის მორფემად გააზრება თუ პრეფიქსიანი ვნებითის ჩამოყალიბება? არსებითად, არც ამ გარემოებას უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა, რადგან თავად *ო<sub>3</sub><sup>d</sup>*-ის მორფემა ისტორიულად ასპირაციის ნიადაგზე გაჩენილი [ჰ]-ს გადააზრების, მორფოლოგიური ფუნქციით აღჭურვის შედეგია. საინტერესოა ერთი გარემოებაც: როგორც ცნობილია, აქტივთა სათავისო ქცევისა და *ი*-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნები ომონიმურ ფორმებს გვაძლევენ II სერიაში (შდრ.: *შეიმოსა* მან იგი; *შეიმოსა* იგი), მაგრამ, თუ ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში *ი*-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმათათვის ნორმას წარმოადგენს *ბ-//ჰ*-პრეფიქსიანი ფორმები, აქტივთა სათავისო ქცევის ფორმათათვის ნორმაა ფორმები, რომლებშიც აღნიშნული პრეფიქსი წარმოდგენილი არაა<sup>1</sup>: (იგი მხოლოდ I სერიის ფორმებში იჩენს თავს, როცა *ო<sub>3</sub><sup>d</sup>* მიცემითშია, მაშინ როცა *ი*-პრეფიქსიანი ვნებითებში ყველა შემთხვევაში რეალიზდება). ამიტომ ამ ტიპის პასივებში, ჩვენი აზრით, *ბ-//ჰ*-ს არსებობას სათავისო ქცევის ფორმებით ვერ ავხსნით.<sup>2</sup>

ამგვარად, *ი*-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმებში გამოვლენილ *ბ-//ჰ*-პრეფიქსს ძველი ქართული ენის დონეზე არ

<sup>1</sup> გამონაკლისები აქაც გვაქვს: *მიხიყვანის* (ხანმ. ოთხთ. მ. 7:13), *ალხიპყრა* (მრავ. 130:11), *სათნო ჰყყავ* (ჰაემ. 370:1) და სხვ.

<sup>2</sup> აღნიშნულ მოსაზრებას არ ეთანხმება ა. ონიანიც. მისი აზრით, ვინაიდან *ი*-ალომორფიანი ვნებითი საერთოქართველურ საფეხურამდე ადის და ყველა ქართველურ ენაში უგამონაკლისოდ ერთპირიანია, არ არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ის ოდესმე ორპირიანი იქნებოდა, შესაბამისად, *ბ-* და *ჰ-* არ შეიძლება არასავალდებულო ა პირის გამოხატვის ნაშთად მივიჩნიოთ. „აღნიშნულ ფორმებში ამ პრეფიქსთათვის არ იძებნება შესაბამისი მორფოლოგიური ფუნქცია ... /ი-/ ალომორფიანი ვნებითის პირველი და მესამე პირის ფორმებში /ბ-/(>/ჰ-/, როგორც დამოუკიდებელი მორფოლოგიური ერთეული, ისტორიულად არ არსებობდა“ (ა. ონიანი, 1978:164). ავტორის აზრით, პირველი სუბიექტური პირის *ხჟ-* მორფემა ამ ტიპის ზმნებთან არქაიზმის სახით შემოგვრჩა *ე*-პრეფიქსიანი ვნებითის ანალოგიით, შემდეგ მოხდა პარადიგმის გათანაბრება და ამ ელემენტმა მეორე პირშიც იჩინა თავი (ა. ონიანი, 1978: 164–16).

**მოეპოვება მორფოლოგიური ფუნქცია. სამივე პირის ფორმაში იგი უფუნქციო ელემენტი გამოდის** (პირობითად, *ხ-//ჭ* შესაძლოა მივიჩნიოთ  $S_1$ -ის *ხს-//ჭს-<sup>1</sup>* ალომორფის შემადგენელ ელემენტად). ისტორიულად ეს პრეფიქსი (*ჭ->ხ-*) ასპირაციის ნიადაგზე განვითარებული ჩანს. თავდაპირველად მისი არსებობა # d V(/S)<sup>2</sup> პოზიციაში უნდა ვივარაუდოთ, შემდეგ უნდა მომხდარიყო მისი განზოგადება ზმნისნივან ფორმებთანაც.

## ლიტერატურა

- გ. ახვლედიანი, 1938** – გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, თბილისი, 1938.
- თ. გამყრელიძე, 1979** – თ. გამყრელიძე, ზმნის „პირიანობა“ და „ვალენტობა“, საენათმეცნიერო კრებული, თბილისი, 1979.
- ჟ. გარიტი, 1973** – მინგანას კოლექციის ქართული ფურცლები Selly Oak-ში (ბირმინგემი), მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 2, თბილისი, 1973.
- კ. დანელია, ზ. სარჯველაძე, 1997** – კ. დანელია, ზ. სარჯველაძე, ქართული პალეოგრაფია, თბილისი, 1997.
- ვ. თოფურია, 1967** – ვ. თოფურია, შრომები, ტომი I, სვანური ენა, ზმნა, თბილისი, 1967.
- ი. იმნაიშვილი, 1982** – ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტომი I, ნაწ. II, თბილისი, 1982.
- გ. მაჭავარიანი, 1965** – გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი, 1965.

<sup>1</sup> ჩვენი აზრით, საერთოქართველურის დონეზე  $S_1$  პირის მორფემა შესაძლოა აღდგეს *\*ჭე-//ე* – არქექტიპის სახით. ფშვინვიერშემართვიანი *\*ჭე* აღდგება შესაბამისი ფონოლოგიური პოზიციისთვის (#-V). შდრ. ძველ ბერძნულში /s/ სიტყვის დასაწყისში მუდამ ფშვინვიერშემართვიანია: *σβαρ* „წყალი“, *σπιδ* „ძილი“ და სხვ. (ა. ურუშაძე, 1987:13).

<sup>2</sup> თუ *ე* სონანტს მოსდევს ხმოვანი (#-SV): *ჭყავ* (*ჭყავ*), *ჭქმ* (*ჩსიქმ*)...

- გ. მაჭავარიანი, 2002** – გ. მაჭავარიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბილისი, 2002.
- ა. ონიანი, 1978** – ა. ონიანი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბილისი, 1978.
- ს. ჟღენტი, 1965** – ქართული ლიტერატურული წარმოთქმის ძირითადი თავისებურებანი, რჩეული შრომები, ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, თბილისი, 1965.
- ს. ჟღენტი, 1965** – ს. ჟღენტი, ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა სვანურში, ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, თბილისი, 1965.
- გ. როგავა, 1956** – ხანმეტობისა და ჰემეტობის საკითხისათვის, აღ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტომი XV, 1956.
- ზ. სარჯველაძე, 1984** – ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბილისი, 1984.
- ზ. სარჯველაძე, 1995** – ზ. სარჯველაძე, კიდევ ერთხელ ხანმეტობისა და ჰემეტობის ურთიერთმიმართების შესახებ, ფილოლოგიური ძიებანი, ეძღვნება გ. კარტოზიას, თბილისი, 1995.
- ზ. სარჯველაძე, 1997** – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბილისი, 1997.
- მ. სუხიშვილი, 1968** – მ. სუხიშვილი, სუბიექტური პირველი პირის პრეფიქსისათვის ქართველურ ენებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტომი XXV, თბილისი, 1968.
- ა. ურუშაძე, 1987** – ა. ურუშაძე, ძველი ბერძნული ენა, თბილისი, 1987.
- ბ. უტიე, 1973** – ბ. უტიე, ქართული ხანმეტი ლექციონარის ერთი ფურცელი პარიზში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1, თბილისი, 1973.
- ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 2000** – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 2000.
- ლ. ქაჯაია, 1984** – ხანმეტი ტექსტები, ნაკვეთი I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სიმფონია დაურთო ლამარა ქაჯაიამ, თბილისი, 1984.
- ლ. ქაჯაია, 2006** – ლ. ქაჯაია, წმ. ქრისტინას წამების ხანმეტი ტექსტი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ყურნალი, 3, ქუთაისი, 2006.
- ა. შანიძე, 1923** – ა. შანიძე, ჰემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, 1923.

- ა. შანიძე, 1925** – ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში, არილი, თბილისი, 1925.
- ა. შანიძე, 1926** – ა. შანიძე, ქართული ზმნის საქცევი, ტსუ მოამბე, ტომი VI, თბილისი, 1926.
- ა. შანიძე, 1927** – ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტომი VII, თბილისი, 1927.
- ა. შანიძე, 1937** – ა. შანიძე, ხანმეტი იერემიას კემბრიჯული ნაწყვეტები, ენიმკის მოამბე, ტომი II (1), თბილისი, 1937.
- ა. შანიძე, 1944** – ა. შანიძე, ხანმეტი ლექციონარი, ძველი ქართული ენის ძეგლები, ტომი I, თბილისი, 1944.
- ა. შანიძე, 1953** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1953.
- ა. შანიძე, 1977** – ა. შანიძე, იაკობის პირველსახარების ხანმეტი ნაწყვეტები, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტომი XX, თბილისი, 1977.
- ა. შანიძე, 1981** – ა. შანიძე, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი II, თბილისი, 1981.
- არნ. ჩიქობავა, 1946** – არნ. ჩიქობავა, მრავლობითის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში, იკე, ტომი I, თბილისი, 1946.
- ლ. ციხელაშვილი, 2005** – ლ. ციხელაშვილი, მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების მორფემის გენეზისისათვის, საენათმეცნიერო ძიებანი, ტომი XIX, თბილისი, 2005.
- ი. ჯავახიშვილი, 1996** – ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი IX, თბილისი, 1996.
- ბ. ჯორბენაძე, 1989** – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, ტომი I, თბილისი, 1989.
- ჯ. ბერდზოლი, 1969** – Birdsall J., A Georgian Palimpsest in Vienna, Oriens Christianus, 53, 1969.
- ჯ. ბერდზოლი, 1971** – Birdsall J., Khanmeti Fragments of the Synoptic Gospels from Ms. Vind. Georg. 2., Oriens Christianus, 55.
- ჯ. ბერდზოლი, 1972** – Birdsall J., Palimpsest Fragments of a Khanmeti Georgian Version of I Esdras, Le Museon, LXXXV, 1-2, Louvain, 1972.
- ი. გიპერტი, 2007** – Monumenta Paleographica Medii Aevi, Series Ibero-caucasica, The Old Georgian Palimpsest, Codex Vindobonensis georgicus 2, Volume 1, Edited by Jost Gippert, in co-operation with Zurab Sarjveladze and Lamara Kajaia, Brepols, 2007.

- გ. დეტერსი, 1930** – Deeters G., *Das Khartwelische Verbum*, Leipzig, 1930.
- კ. დონდუა, 1967** – Дондуа К., Категория инклюзива в сванском и её следы в древнегрузинском, рჩეული შრომები, ტომი I, თბილისი, 1967.
- გ. კლიმოვი, 1965** – Климов Г. В., *Этимологический словарь картвельских языков*, Москва, 1965.

## შემოკლებათა განმარტება

**ეზ.** – ეზრა I, Birdsall J., *Palimpsest Fragments of a Khanmeti Georgian Version of I Esdras*, Le Museon, LXXXV, 1-2, Louvain, 1972.

**იაკ.** – ა. შანიძე, იაკობის პირველსახარების ხანმეტი ნაწყვეტები, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტომი XX, თბილისი, 1977.

**კემბ.** – ა. შანიძე, ხანმეტი იერემიას კემბრიჯული ნაწყვეტები, ენიმკის მოამბე, ტომი II (1), თბილისი, 1937.

**კვპრ.** – „კვპრიანეს ნამება“, *Monumenta Paleographica Medii Aevi, Series Ibero-caucasica, The Old Georgian Palimpsest, Codex Vindobonensis georgicus 2, Volume 1*, Edited by Jost Gippert, in co-operation with Zurab Sarjveladze and Lamara Kajaia, Brepols, 2007.

**ლექც.** – ა. შანიძე, ხანმეტი ლექციონარი, ძველი ქართული ენის ძეგლები, ტომი I, თბილისი, 1944.

**მრავ.** – ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტომი VII, თბილისი, 1927.

**ოქსფ.** – ოქსფორდის პალიმფსესტი, ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი IX, თბილისი, 1996.

**უძვ.** – ი. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი IX, თბილისი, 1996.

**ქრისტ.<sup>1</sup>** – ლ. ქაჯაია, წმ. ქრისტინას ნამების ხანმეტი ტექსტი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 3, ქუთაისი, 2006.

**ქრისტ.<sup>2</sup>** – *Monumenta Paleographica Medii Aevi, Series Ibero-caucasica, The Old Georgian Palimpsest, Codex Vindobonensis georgicus 2, Volume 1*, Edited by Jost Gippert, in co-operation with Zurab Sarjveladze and Lamara Kajaia, Brepols, 2007.



**ხანმ. ოთხთ.** – ხანმეტი ტექსტები, ნაკვეთი I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სიმფონია დაურთო ლ. ქაჯაიამ, თბილისი, 1984.

**ჰაემ.** – ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, 1923.

**Lela Tsikelashvili**

## ONE PECULIARITY OF PASSIVE VOICE VERBS WITH *I-* PREFIX IN ANCIENT GEORGIAN

### Summary

In Khanmet written monuments *x-* prefix presence of in the forms of all the three persons of the Passive Voice with *i-* prefix is regarded a norm (accordingly, *h-* will be represented in Haemet): *xuikmen*, *xikmen*, *xikmna*. The aim of the work is to determine the *x-//h-* prefix function in the forms of similar type (in the forms of the Passive Voice with *e-* prefix *x-//h-* is the marker of O<sub>3</sub><sup>ind</sup>).

Analysis of the ancient Khanmet and Haemet written monuments revealed, that in the Passive Voice verbs with *i-* prefix alternation of *x-* with zero would begin in the verbs of the I-III persons. This process was more active in the I Subjective Person. In the result of losing the prefix *x-//h-* and simplifying of the *xu-//hu-* complex we got only the forms with *v-* prefix, evidenced in the „Martyrdom of Saint Christina“, Khanmet Four Gospels, Khanmet Mravaltavi (Polycephalion) and Haemet Lectionary (*vigav* (Christ. 50:23-24), *vigvenit* (M. 23:30), *vikceodi* (Polycep. 130:22), *movivline* (Haem.382:15); Comp.: *xuigav* (Christ. 6-69:2(2), *moxuivline* (L.4:43)), for the last two monuments from here this is the only norm. As it seems, the prefix *v-* forms would be characteristic for the live speech of that particular period. In our opinion, we should consider the circumstance of the I Sub-

jective Person as one of the main linguistic criterion for dating of Khanmet and Haemet texts. Quantitative abundance of the *v-* prefix forms (in comparison with *xu-//hu-* formation), and, moreover, existence of only this type forms should indicate that the monument of the study belongs to the later date.

A morphological factor would prevent from the loss of the mentioned prefix in forms of the II Subjective Person: as it seems, *x-//h-* has been considered as a morpheme of the S<sub>2</sub>.

In forms of the III Person this process is not carried out till the end. Together with the *x-//h-* forms the forms without prefix are to be encountered in the ancient texts, read by I. Javakhishvili, Khanmet Four Gospels, Khanmet Mravaltavi and Haemet Lectionary (*iḡos* (Anc.346:3), *aḡivsnes* (L. 6:11), *šeiçirvis* (Polycep. 125:2), *ikmnebian* (Haem. 368:2-3); comp.: *xīḡo* (Anc. 302:5), *daxiryues* (L. 21:6), *hikmna* (Haem. 367;7)). The process of form simplification was completely finished in the „Sannarev“ written monuments.

The fact of presence of forms with prefix *h-* in Khanmet texts (*dahidva* (Camb. 36:6), *ganhirḡuna* (Camb. 36:9-10), *šchizrnen* (Khanm.Lect. 063:23), *hiḡos* (Khanm Lect. 064:6)), also attracts attention and unambiguously would not indicate their later date, it may be even vice versa. Presence of „slipped in“ Haemet forms in this case can be explained with the influence of the linguistic environment of the copier.

In the scientific literature of similar passives they explain the function of the *x-//h-* prefix mainly in morphological way. In our opinion, in the forms of Passive Voice with *i-* prefix as well, as in all cases of its use, the presence of the *x-//h-* prefix can be explained not on the morphological, but on the phonetic basis and can be connected historically with **aspiration** – vowels' (// sonants') aspirate excursion, characteristic to the Common Kartvelian language. Giving morphological function to the *x-//h-* prefix and re-thinking of S<sub>2</sub> and O<sub>3</sub> Persons into morphemes seems to be secondary. Aspirate excursion-recursion from Kartvelian languages would be first eliminated in Mengrelian-Lazian language, then in Georgian, but in Svanian language (Balszemouri and Balskvemouri) this

phonetic event is still current. After posing the question in this way, in our opinion, the absence of markers of S<sub>2</sub> and O<sub>3</sub> Persons in Mengrelian-Lazian language will be quite comprehensible.

In Svanian showing of *x*- quantity (will it be a constituent segment of the *xu*- prefix of S<sub>1</sub> or allomorph of S<sub>2</sub> and O<sub>3</sub><sup>ind</sup> Persons) is conditioned phonologically. It is mainly realized in verbs without preverbs, in the position before vowel (# d V), *x*- is not seen with the stems with initial consonant (*x-osqí* „I’m doing for him“, *ṭixe* „you are returning it“...). In general Svanian acts differently with Personal morphemes, *x*- is easily equaled to zero, that could not be observed with other morphemes. We can think that in this case *x*- is not lost, but taking into account corresponding phonological position, its presence would not be even expected. In Svanian, while deeper pronouncing of /*h*/ spirant, developed on the basis of aspiration, /*h*/ > /*x*/, e. g.: *haraq* // *xaraq*, *hasak* // *xasak*, etc. It seems that parallel existence of the *x*- and *h*- prefix forms in one linguistic group is also possible. After posing the question this way it must be clear that **Khanmet-Haemet forms are nothing more than different norms of literary pronunciation.**

In our opinion, in the Khanmet period we would have two kinds of /*x*/: the /*x*/ spirant itself and the so called soft [*x*], derived from /*h*/, which, unlike the first one, was subject to loss (*meox xegav* > *meox egav* (inscription of the Mtskhethis Jvari), approximately like the Ingilo dialect [*x*] sound of the same origin: *gahqo* > *gaxqo*, *dahxura* > *daxxura*. As phonetically /*h*/ > /*x*/ (conversely this process is unacceptable), **we have to consider, that the Haemet period precedes the Khanmet one.** In a certain period of time it co-existed with Khanmet forms (in different areas) and before the „Sannarev“ period it was an uninterrupted linguistic event existing in the language.

It is difficult to reconstruct /\**h*/ phoneme at the Common Kartvelian level, as it is not evidenced in the basic morphemes and is realized only in two grammatical morphemes (S<sub>2</sub> and O<sub>3</sub>). In our opinion, at the Common Kartvelian level, postulation of [*\*h*] is possible only in case of its connection

with aspiration. In main and borrowed vocabulary of the Ancient Georgian language /h/ is evidenced in a natural position for aspiration (*haseti, he/hei, haeri, hromi...*). In nominal forms /h/ is not seen before a consonant, **its presence in a similar position with verb forms would be secondary and after taking morphological function would be explained by the tendency of language towards unification and `correction~ of paradigm.**

**შავი მთის სამონასტრო ცენტრების კულტურული  
გარემო XI საუკუნეში**

**(ქართულ ხელნაწერთა ანდერძებისა და მთარგმნელთა  
შენიშვნების მიხედვით)**

ქრისტიანული აღმოსავლეთის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სამონასტრო კერაში, შავ მთაზე, ქართველი ბერები ჯერ კიდევ VI საუკუნიდან მოღვაწეობდნენ (კ. კეკელიძე, 1980:101; ე. მეტრეველი, 1959:85-87; ლ. მენაბდე, 1980:149-152, ვ. ჯობაძე, 1976)<sup>1</sup>, მაგრამ XI საუკუნის 30-იანი წლებიდან ქართველები მკვიდრებიან არა მხოლოდ შავი მთის ბერძნულ და სირიულ სავანეებში, არამედ აარსებენ საკუთარ მონასტრებსა და მწიგნობრულ ცენტრებს, რომლებშიც აქტიურად მიმდინარეობს მთარგმნელობითი და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაც.

განსაკუთრებული ეტაპი შავი მთის სამწერლობო კერის ისტორიაში დგება XI საუკუნის 60-იანი წლებიდან, როდესაც იქ მოღვაწეობას იწყებს ქართველი მთარგმნელი და მეცნიერი ეფრემ მცირე, რომელიც სათავეს უდებს ქართულ მწერლობაში ახალ ლიტერატურულ მიმართულებას – ელინოფილიზმს, რომელიც სწორედ ანტიოქიის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრების მულტიკულტურულ გარემოში ბერძენ, სირიელ, არაბ მწიგნობრებთან ურთიერთობის შედეგად ჩამოყალიბდა. ელინო-

---

<sup>1</sup> განსაკუთრებით გაიზარდა მათი რიცხვი XI საუკუნის 30-იანი წლებიდან, რასაც ხელი შეუწყო, ერთი მხრივ, ამ რეგიონის მაჰმადიანთა პეროზილებისაგან გათავისუფლებამ და სირიის ბიზანტიის პოლიტიკურ და კულტურულ არეალში მოქცევამ (969-1085 წწ.) და, მეორე მხრივ, ანტიოქიის, როგორც ქრისტიანული მწერლობის ცენტრის, დაწინაურებამ.

ფილობამ, როგორც კულტურულმა ორიენტაციამ ბიზანტიაში მიმდინარე სააზროვნო პროცესებზე (ქ. ბეზარაშვილი, 2004:98-198), წარმოშვა ბიზანტიური მწერლობის ზედმიწევნით აღქმის მოთხოვნილება როგორც შინაარსობრივი, ასევე ფორმობრივი (ენობრივ-სტილისტური და ტერმინოლოგიური) კუთხით, რამაც გამოიწვია ორიგინალის თითქმის ადეკვატური გადატანა თარგმანში, განსხვავებით წინა მთარგმნელებისაგან, რომლებიც დინამიკური (მოდალურ-ადაპტური) ტიპის თარგმანებს ქმნიდნენ.

ეფრემ მცირემ, რომელმაც ბიზანტიური ლიტერატურის 130-ზე მეტი ძეგლი თარგმნა ქართულად, შეიმუშავა ელინოფილური მთარგმნელობითი თეორია და დაამკვიდრა ფორმალური ეკვივალენტის ტიპის მთარგმნელობითი პრაქტიკა („ყოველივე ბერძულისაგან და ვითარგ-იგი ბერძულად არს“ (A 292:329r). ქართულ მთარგმნელობით პრაქტიკაში ეფრემ მცირე უყრის საფუძველს ტექსტის სამეცნიერო-კრიტიკული აპარატით აღჭურვის ტრადიციას. თავისი თარგმანების დიდ ნაწილს მან „მთარგმნელის მოზრახული“<sup>1</sup> ვრცელი კოლოფონები (წიგნის თავსა და ბოლოს დართული ანდერძები<sup>2</sup>), მრავალრიცხოვანი სქოლიო-კო-

<sup>1</sup> „მთარგმნელის მოზრახული“, ეფრემ მცირის მიხედვით, ერთგვარი ტერმინია, რომელიც აერთიანებს თარგმანის ტექსტთან დაკავშირებით მთარგმნელის მიერ დაწერილ ყველანაირ მეტატექსტს: შესავალს, ბოლოსიტყვას, სქოლიო-კომენტარს [დ. თვალთვაძე, 2009: 24-26].

<sup>2</sup> „ანდერძი – წიგნის ბოლოს მოთავსებული ცნობა წიგნის დაწერასთან დაკავშირებულ გარემოებათა შესახებ, ბოლოსიტყვა. ანდერძი (ავტორისა, მთარგმნელისა ან გადამწერისა) დღევანდელი გაგებით წინასიტყვაობას უდრის, მაგრამ მას წიგნის ბოლოს ათავსებდნენ ხოლმე“ (ა.შანიძე, 1946:84). იმის მიხედვით, თუ ვის ეკუთვნის ანდერძი, მისთვის დამახასიათებელია რამდენიმე აუცილებელი კომპონენტი: ყველა ანდერძი იწყება ღვთაების შექებით, რასაც შემდეგ მოსდევს მომგებლის, დამკვეთის ან მუშაობის პროცესში ხელშემწყობი პირების ლოცვა-კურთხევა, მოხსენიება საკუთარი თავისა; თუკი ანდერძი გადამწერისაა, დასახელებულია ხელნაწერის გადამწერის თარიღი და ადგილი. ავტორის ან მთარგმნელის ანდერძებში შეიძლება შეგვხვდეს სხვადასხვაგვარი ცნობები თხზულების

მენტარები („შეისწავეები“, მარგინალური შენიშვნები<sup>1</sup>) დაურთო. ამგვარი შენიშვნების დანიშნულებაა, ძირითადი ტექსტის გააზრებასა და გაგებაში დაეხმაროს მკითხველს, თუმცა მათი ანალიზი, ხშირ შემთხვევაში, მრავალმხრივი დასკვნებისა თუ მოსაზრებების გამოთქმის საშუალებას იძლევა.

მთარგმნელისა თუ გადამწერის ამგვარი „მოზრახული“ დანართებით მდიდარია ამ პერიოდში შავი მთის სავანეებში მოღვაწე სხვა მნიგნობართა ხელიდან გამოსული ხელნაწერებიც. მათი შესწავლა ცოცხლად წარმოგვიდგენს იმ გარემოს, რომელშიც მუშაობდნენ ქართველი მთარგმნელები, იმ გავლენებსა თუ ტენდენციებს, რომლებიც ზემოქმედებდნენ ქართველი მნიგნობრე-

---

დანერისა და თარგმნის შესახებ. ანდერძი, ჩვეულებრივ, მთავრდება ისევ ღვთაების ქებით და „მომავალთა ნათესავთაგან“ ლოცვა-კურთხევის გამოთხოვით. ამგვარი ანდერძები, როგორც წესი, წიგნებს ბოლოს დაერთვის და ზომითაც პატარაა. მაგრამ ქართულ ხელნაწერებს ახლავს სხვაგვარი ანდერძებიც (უმთავრესად მთარგმნელის ან ავტორისა), რომლებიც, „ჩვეულებრივ შეიცავენ ცნობებს ამა თუ იმ ძეგლის თარგმნის ისტორიიდან, ამჟღავნებენ ამ ძეგლისადმი ავტორის დამოკიდებულებას და ამასთან დაკავშირებით მის ისტორიულსა და ლიტერატურულ თვალსაზრისს. ამ რიგის ანდერძებით ხშირად ვეცნობით იმ სიძნელეებს თუ ხელშემწყობ პირობებს, რომლებიც ანდერძის ავტორს ხვდებოდა მუშაობის პროცესში“ (ე.მეტრეველი, 1959, ა.:98). აქ ანდერძებისთვის დამახასიათებელი ზემოთ ჩამოთვლილი აუცილებელი კომპონენტების გარდა, გვაქვს საკმაოდ ვრცელი დახასიათება განუული მუშაობისა, თხზულებასთან დაკავშირებულ ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობები, ხშირად საღვთისმეტყველო მსჯელობაც. ხშირად მთარგმნელის ასეთ ვრცელ ანდერძში მოცემულია არა მარტო თხზულების თარგმნის ისტორია (ვის მიერ ითარგმნა, როდის ითარგმნა, არსებობდა თუ არა ადრე სხვა თარგმანი, რატომ ითარგმნა ხელახალა და ა.შ.), არამედ მიმოხილულია ბერძნული დედნებიც, მოცემულია ცნობები ბერძნულ ენაზე სხვადასხვა რედაქციათა არსებობის შესახებ და სხვ.

<sup>1</sup> ქართულ ხელნაწერებში მარგინალური შენიშვნები – აშიაზე მიწერილი მცირე ზომის ტექსტები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ნავიკითხოთ და გავიგოთ ძირითადი ტექსტი – ადრეული პერიოდიდან ჩნდება, თუმცა მარგინალურ შენიშვნებს, როგორც ტექსტის ინტერპრეტაციის ჩამოყალიბებულ სისტემას, პირველად ეფრემ მცირის თარგმანების შემცველ კრებულებში ვხვდებით.

ბის მუშაობის სტილისა თუ აზროვნების ჩამოყალიბებაზე. ეს ტექსტები უძვირფასესი წყაროა არა მარტო შავ მთაზე მოღვაწე მამათა მთარგმნელობითი საქმიანობის შესასწავლად, არამედ იმ ისტორიული და კულტურული ვითარების გასაცნობადაც, სადაც ეს თარგმანები იქმნებოდა.

შავმთელი მწიგნობრების მიერ ხელნაწერ წიგნებზე დართული ანდერძები და აშიებზე მიწერილი შენიშვნები, გარდა იმისა, რომ გვაცნობენ ამ დროსათვის შავ მთაზე მოღვაწე ქართველი მამების (*გიორგი ათონელი, საბა თუხარელი, იოანე ფარაკნელი, ეფრემ დიდი ოშკელი, კვირიკე ალექსანდრიელი, კირილე ბერი, იოანე მთავარაღსძე, ანტონ ტბელი, გაბრიელ ჭულეველი, კალიპოსის წინამძღვარი ბასილი და სხვ.*) საქმიანობას და ქართული სავანეების (*სკმეონნიდა, თუალთა, კასტანა, კალიპოსი, ალექსანდია, თორნე და სხვ.*) ისტორიას (ლ. მენაბდე, 1980: 152-162), გვანვიძიან ცნობებს იმ ბერძენ და სირიელ მოღვაწეებზეც, რომლებთანაც კონტაქტი ჰქონდათ ქართველებს და ამით, გარკვეულწილად, გვაძლევენ იმდროინდელი ანტიოქიის ბერძნული სამონასტრო ცენტრების კულტურული ცხოვრების რეკონსტრუქციის საშუალებასაც<sup>1</sup>. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ XI საუკუნის ბოლოდან მოყოლებული ჯვაროსანთა განუწყვეტელი თავდასხმების შედეგად ანტიოქიის არაერთი სამონასტრო-მწიგნობრული ცენტრი განადგურდა. იქაურ სკრიპტორიუმებში

---

<sup>1</sup> მრავალმხრივი ინფორმაციულობით განსაკუთრებით გამორჩეულია ეფრემ მცირის „მოზრახული“ ანდერძები და „შეისწავნეები“. ეფრემის კოლოფონებსა და შენიშვნებში დაცულია ცნობები არა მხოლოდ თხზულების ქართულად თარგმნის შესახებ (ვის მიერ ითარგმნა, როდის ითარგმნა, არსებობდა თუ არა ადრე სხვა თარგმანი, რატომ ითარგმნა ხელახალა და ა.შ.), არამედ მიმოხილულია ბერძნული დედნებიც, მოცემულია ცნობები ბერძნულ ენაზე სხვადასხვა რედაქციათა არსებობის შესახებ და სხვ. საუბარია იმ სიძნელებზე, რომლიც ძეგლის თარგმნას ახლდა, იმ პირებზე, რომლებიც ეხმარებოდნენ მთარგმნელს, დასახელებულია ის წიგნები და ლექსიკონები, რომელთაც იყენებდა ის თარგმნისას და სხვ. (ამის შესახებ იხ. დ. თვალთვაძე, ეფრემ მცირის კოლოფონები, თბ., 2009).



გადაწერილი ხელნაწერების დიდი ნაწილი დაიკარგა, ამიტომ ანტიოქიის სამონასტრო კერების კულტურულ-მნიგნობრული გარემოს შესახებ, ზოგადად, ძალიან ცოტა რამ არის ცნობილი. ასეთ ვითარებაში ქართულ წყაროებში დაცული ცნობები შავი მთის მონასტრებში მოღვაწე ბიზანტიელი მნიგნობრების, იქ მიმოქცევაში მყოფი წიგნებისა და განსაკუთრებით იმდროინდელი ბიბლიოთეკების შესახებ მეტად ფასეულია.

როგორც შავმთელ ქართველ მნიგნობართა კოლოფონებიდან ჩანს, ამ დროს ანტიოქიაში არსებობდა მძლავრი ბერძნული ფილოლოგიური სკოლა, დიდი სამონასტრო ცენტრები მდიდარი ბიბლიოთეკებით, რომლითაც სარგებლობდნენ ქართველი მოღვაწენიც. იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისას“ შესავალში (A 24:2r) ეფრემ მცირე გვაუწყებს, რომ სვიმეონმიდის სავანეში არსებული ბიბლიოთეკისათვის ანტიოქიის პატრიარქს, თეოდორე III ლასკარისს (1034-1042წწ.), შეუწირავს 420 წიგნი, რომელთა შორის იყო, როგორც „საეკლესიო საკითხავები“, ე. ი. სასულიერო მწერლობის ძეგლები, ასევე „გარეშენი“, ანუ არასასულიერო, არასაეკლესიო ხასიათის ლიტერატურა. სვიმეონმიდაში, ეფრემის ერთ-ერთი კოლოფონის თანახმად, მეორე ბიბლიოთეკაც ყოფილა: „თვთ ორთა წიგნისსაცავთა სვიმეონმიდისათა „ასკეტიკონნი“ „სხვთ და სხვთ ჰმატდეს ურთიერთას“ (A 689:187r), – შენიშნავს მთარგმნელი, რომელსაც ასეთი დასკვნა ბასილი კესარიელის სათარგმნად არჩეული თხზულების რამდენიმე ხელნაწერის გაცნობისა და შედარების შემდეგ გაუკეთებია.

სვიმეონმიდის ორი წიგნსაცავის გარდა, იმავე ანდერძში დასახელებულია თუალის მონასტრის წიგნსაცავიც. რადგან ბასილი კესარიელის „ასკეტიკონის“ ბერძნული ხელნაწერები ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული ყოფილა, ქართველ მთარგმნელს თუალის მონასტრის ბიბლიოთეკაში დაცული ნუსხებიც მოუპოვებია და ერთმანეთისთვის შეუდარებია (A 689:187r). სწორედ თუალის მონასტერში მიუღია ეფრემ მცირეს ინფორმაცია, რომ IX საუკუნის ბიზანტიელი მწერალი გიორგი ნიკომიდიე-

ლი ერთხანს ამ მონასტრის ბიბლიოთეკის მცველი ყოფილა, რაც მისი ერთ-ერთი თხზულების ქართული თარგმანის სათაურთან მთარგმნელს შენიშვნის სახით მიუწერია კიდევ: „შეისწავე, ესე თვთ არს გიორგი ნიკომიდელ მთავარეპისკოპოსი, რომელ წიგნისმცველი იყო, ვითარცა *თუალელთა წიგნსა წერია*“ (S 1276:32r).

როგორც ჩანს, სვიმეონმიდისა და თუალის მონასტრის ბიბლიოთეკები საკმაოდ მდიდარი იყო, რადგან ეფრემის ანდერძების თანახმად, იქ დაცული ყოფილა თხზულებები ხშირად არა ერთი, არამედ რამდენიმე ხელნაწერით. ასე მაგალითად, რამდენიმე ნუსხა ყოფილა ბასილი კესარიელის „ასკეტიკონისა“, (A689:187r) „პავლეს ეპისტოლეთა კომენტარებისა“ (Ath. 18), რამდენიმე წიგნი „ფსალმუნთა თარგმანებისა“ (Q37:1r-7v; Jer.1:1r-6r) და სხვა მნიშვნელოვანი თხზულებებისა. სავარაუდოა, რომ ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი თხზულებების უდიდესი ნაწილის დედნებიც ამ ბიბლიოთეკებში იყო შენახული. თუ გადავხედავთ ეფრემ მცირის ნათარგმნი ძეგლების სიას (თ. ბრეგაძე, 1971)<sup>1</sup>, ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდენ მდიდარი და მრავალფეროვანი უნდა ყოფილიყო ამ წიგნსაცავთა ფონდები. ბიბლიურ, ეგზეგეტიკურ, ჰომილეტიკურ, აგიოგრაფიულ, ასკეტიკურ, მისტიკურ, ჰიმნოგრაფიულ, ისტორიულ და სხვა ჟანრის თხზულებებთან ერთად აქ დაცული ყოფილა არაერთი საცნობარო ხასიათის წიგნი, კერძოდ, ლექსიკონები.

ამგვარი ლექსიკონებიდან, ანუ „ანბანსა ზედა განწყობილი ღრმა სიტყვების კრებულიდან“, ეფრემი ასახელებს კიდევ რამდენიმეს. კერძოდ, „სამოციქულოს თარგმანების“ შესავალში შენიშნავს, რომ ამ ეგზეგეტიკური თხზულების ქართულად თარგმნისას პავლე მოციქულის „ღრმა სიტყვის“ გასაგებად დაწერილ კომენტარებთან ერთად სამი თუ ოთხი ლექსიკონიც გამოუ-

---

<sup>1</sup> ეფრემ მცირე ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი მთარგმნელია ბიზანტიური ლიტერატურისა. დღემდე აღნუსხულია მის მიერ ნათარგმნი 50-მდე ავტორის 130-ზე მეტი თხზულება, რომლებიც დაცულია სხვადასხვა დროის 200-ზე მეტ ხელნაწერში.

ყენებია (Jer.16:1v). „ფსალმუნთა თარგმანების“ შესავალში ეფრემი საგანგებოდ მსჯელობს ლექსიკონების შესახებ, რადგან გადაუნწყვტია, „ბერძენთა კუალსა შედგომით“ თვითონაც დაურთოს თავის თარგმანს „ყოველივე ღრმა და გამოსაძიებელი სიტყუა ანბანსა ზედა განწყობილი“, ამიტომაც ამახვილებს ქართველი მკითხველის ყურადღებას ლექსიკონთა დანიშნულებაზე, მათი შედგენის წესზე და შენიშნავს, რომ ანბანზე განწყობის წესით არაერთი წიგნია შედგენილი ბერძენთა მიერ. კერძოდ, იგი ასახელებს წიგნებს, რომლებშიც „ჟამსა ჭირისასა“, ანუ მწვალებლებთან პოლემიკის დროს გამოსაყენებელი ლექსიკონებია, რომელშიც ეკლესიის მნათობთა – ბასილი კესარიელის, გრიგოლ ნაზიანზელის და იოანე დამასკელის – განმარტებებია თავმოყრილი და ანბანსა ზედა განწყობილი. ამგვარი ლექსიკონების დანიშნულება, ეფრემის აზრით, ისაა, რომ საჭირო სიტყვის განმარტება ადვილად მისაგნებია, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოწინააღმდეგეებთან კამათის დროს.

ამგვარივე წესით, ანუ „ანბანსა ზედა განწყობით“ არის შედგენილი, ეფრემის ცნობით, კონსტანტინე პორფიროგენეტისა და კირილე ალექსანდრიელის ლექსიკონებიც (Q 37:5v; Jer.1:6v). კონსტანტინე მეფის მიერ „ღრმათა სიტყუათათჳს ბერძულთა“ შედგენილი ლექსიკონი, ისევე როგორც კირილეს ამ ტიპის შრომა, ეფრემის მიერ მოყვანილი მაგალითების მიხედვით, ბერძნული ენის განმარტებითი ლექსიკონები ჩანს<sup>1</sup>. სწორედ ამ ლექსიკონთა მსგავსად იმავე პრინციპზე დაყრდნობით შეუდგენია ეფრემს თავისი ლექსიკონიც, რომელშიც „ფსალმუნთა თარგმანებიდან“ გამოკრებილი „ძნელოანი“ ადგილების სახისმეტყველებითი განმარტებებია ანბანზე დალაგებული. ეფრემის ლექსიკონსაც იგი-

---

<sup>1</sup> შესაძლოა, კირილე ალექსანდრიელის ლექსიკონში ეფრემი გულისხმობდეს კირილეს მიერ შედგენილ მათეს სახარების საკუთარ სახელთა ეტიმოლოგიურ ლექსიკონს, რომლის ქართულ თარგმანს ასეთი სათაური აქვს: „ლექსი მათეს თავისა სახარებისა ძნელოანთა სიტყუათა განმარტებაჲ ლექსიკონი“ (თ. ცოფურაშვილი, 2000).

ვე დანიშნულება აქვს, რაც მის მიერ ზემოთ დასახელებულ ლექსიკონებს ჰქონდათ – არა საკუთრივ ლექსიკოგრაფიული, არამედ ჰერმენევტიკული.

შავმთელი ქართველი მწიგნობრების კოლოფონებსა და მარგინალურ შენიშვნებში აისახა იმ პრეტენზიების გამოძახილიც, რომელსაც ანტიოქიის საპატრიარქო უყენებდა ქართულ ეკლესიას. XI საუკუნის შუა წლებში განსაკუთრებით მწვავედ წამოიჭრა საკითხი ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის შესახებ და 1057 წელს ჯერ გიორგი ათონელმა ანტიოქიის პატრიარქის თეოდოსი III-ის, ხოლო 1065 წელს ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე დუკას წინაშე ბერძენთა ბრალდებათაგან დაიცვა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა და ჭეშმარიტი ორთოდოქსულობა (გიორგი მცირე, 1967:154,178, ვ. ჯობაძე, 1976:81-82), ხოლო შემდეგ ეფრემ მცირემ, შავმთელ ქართველ მამათა თხოვნით, საგანგებოდ შეისწავლა ის ბერძნული წყაროები, რომლებშიც ქართლის გაქრისტიანების შესახებ ცნობები იყო დაცული და შექმნა ორიგინალური ისტორიული შრომა „უნწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოციქვისას, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიწესენიების“ (თ. ბრეგაძე, 1959)<sup>1</sup>. ამ გამწვავებული ურთიერთობების გა-

<sup>1</sup> ეფრემის შრომაში თავმოყრილია ბერძნულ წყაროებში დაცული ცნობები იმის შესახებ, თუ როდის მოექცნენ, ანუ გაქრისტიანდნენ ქართველები. ეფრემი სარგებლობს ბერძენთაგან „სანდოდ და უეჭვად“ მიჩნეული ავტორების – თეოდორიტე კვირელისა და ევაგრე ანტიოქიელის შრომებით, საიდანაც კრებს ყველა ცნობას, რომელიც ქართლის გაქრისტიანებას შეეხება (ანდრია მოციქულის მოსვლა, წმინდა ნინოს მიერ ქართველთა მოქცევა, მირიანის მიერ მცხეთაში ტაძრის აშენება და ბერძენთა მეფე კონსტანტინეს მიერ მღვდლების გამოგზავნა, კათალიკოსთა ხელდასხმა, მირონის კურთხევა და აფხაზთა მოქცევა). ბიზანტიელ ისტორიკოსებზე დაყრდნობით ეფრემი ასაბუთებს, რომ ქრისტიანობა საქართველოში პირველად ანდრია მოციქულმა იქადაგა. აქ მოსულა მოციქული ბართლომეც, მაგრამ შემდეგ „ამათ წმიდათა სამოციქულონი მოძღურებისა თესლთა ანეულნი მრავალჟამ დაიპყრნა ლუარდღმან მეკერპეთამან“, ხოლო შემდეგ „ღმერთმან, რომელმან დიდთა და მრავალთესლთა ტომთათჳს იზრუნა, არცა ჩუენ მცირედნი დაგვიტევნა ულუაწად, არამედ ესრეთ

მოდახილი უნდა იყოს ეფრემ მცირის კოლოფონებში ქართველთა მართალმსარებლობის მტკიცებაც: „წყალობითა და შეწვენი-  
თა ღმრთისაჲთა არა პოვნილ არს ჩუენთა ნათესავისა მიერ აღწე-  
რაჲ მრუდისა რაჲმე ანუ ცდომილისაჲ“ (Q 37:2v; მ. შანიძე,  
1968:80); „ხოლო მართლისა სარწმუნოებისათვის მზა ვარ სიტყ-  
ვისგებად და შევაჩუენებ ყოველსა წვალებასა“ (Jer. 43:4r).

ქართულ ხელნაწერთა კოლოფონების მიხედვით საკმაოდ  
კარგად იკვეთება ის ფაქტი, რომ XI-XII საუკუნეების ანტიოქიის  
ბერძენი სასულიერო პირები სხვა მართლმადიდებელ ხალხებს  
უყენებდნენ მოთხოვნას, რომ მათაც ბერძნულის ადეკვატური  
ლიტურგიკული ლიტერატურა ჰქონოდათ. სწორედ ამიტომ ან-  
ტიოქიაში მოღვაწე მამათა ყურადღება ხშირად მიმართულია  
სარწმუნოებრივ-აღმსარებლობითი და ლიტურგიკული საკითხე-  
ბისადმი. რადგან ძველი ქართული თარგმანები სახარება-ოთხ-  
თავისა და დავითის ფსალმუნთა წიგნისა მეტწილად აღმოსავლე-  
თის ეკლესიათა ბიბლიურ-ლიტურგიკულ ტრადიციებზე იყო და-  
ფუძნებული და დასავლეთის ეკლესიებში კანონიზირებული ტექ-  
სტისაგან განსხვავდებოდა, ბერძენი სასულიერო მიღვაწენი,  
რომლებიც, ცხადია, ამჩნევდნენ ამ სხვაობას, მიუთითებდნენ ამის შე-  
სახებ ქართველებს („გუაყუედრებდეს ბერძენნი“ A 292:279r),  
რაც ქართველთაგან განსაკუთრებით მწვავედ აღიქმებოდა ბერ-  
ძენთა კულტურული უპირატესობის შეგრძნების ფონზე. მას  
შემდეგ რაც ქართველებმა X საუკუნის ბოლოდან, დროის მოთხ-  
ოვნის შესაბამისად, კონსტანტინოპოლურ პრაქტიკაზე გადას-  
ვლა დაიწყეს (გიორგი მცირე, 1967:150,152; კ. კეკელიძე,  
1956:187-188; ვ. ჯობაძე, 1976:23-83), დღის წესრიგში დადგა ლი-

---

განაგდო კუალად აღმონონებაჲ ჩუენი“ და გამოგზავნა წმ. ნინო.  
ცნობები იმის შესახებ „თუ ოდეს იწყეს თვით ხელთ დასხმად და  
მირონის კურთხევა“ ქართველებმა, ეფრემს „ანტიოქიური ხრონოგრა-  
ფიდან“ ამოუკრებია. ეფრემ მცირის ეს ისტორიული ნაშრომი, როგორც  
ქართველთა გაქრისტიანების ისტორიის შესახებ უმნიშვნელოვანესი  
წყარო, შემდეგში არაერთხელ გამოუყენებიათ სხვა ქართველ  
ავტორებს.

ტურგიკულ პრაქტიკაში გამოყენებული წიგნების ძველი ქართული თარგმანების რევიზიის საკითხი. ისინი შედარებულ-შეჯერებული უნდა ყოფილიყო იმ ბერძნულ ტექსტებთან, რომლებიც იმხანად ბერძნულ ეკლესიებში იკითხებოდა. ეს შრომატევადი საქმე თავს იდევს შავ მთაზე მოღვაწე ქართველმა მამებმა. სწორედ აქ XI საუკუნის შუა წლებში იწყება ბიბლიური წიგნების, განსაკუთრებით, ახალი აღთქმისა და ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანების ბერძნულთან შედარება-შეჯერებისა და რედაქტირების პროცესი. გიორგი ათონელმა, რომელმაც ოთხთავის ქართული თარგმანის ახალი, შემდგომში ქართული ეკლესიის მიერ ვულგატად აღიარებული, რედაქცია შექმნა, სწორედ შავ მთაზე მოღვაწეობის დროს (1054–60 წწ.) დაიწყო და, როგორც შავი მთის მონასტრებში გადანერილი სახარების ხელნაწერთა კოლოფონებიდან ჩანს (A 484:10r; A 845:305v; ქუთ. 76:310r), დაასრულა კიდევ არსებული ძველი ქართული თარგმანების (ხანმეტური და საბანმინდური რედაქციების) ბერძნულთან სამჯერ შედარება და ოთხთავის ახალი რედაქციის ჩამოყალიბება (დ. თვალთვაძე, 2009, ა:129-141). გიორგის თარგმანი, შავ მთაზე, კალიპოსის მონასტერში, 1060 წელს გადანერილი ხელნაწერის (ქუთ. 76) გადამწერის, ბასილი თორელყოფილის კოლოფონის მიხედვით,<sup>1</sup> იყო „ახლად განწმენდილი და მართალი, უფროჲს მზისა ბრწყინვალე, რომელსა შინა არა არს ერთი ასოჲ მრუდი და ნაკლული და არცა მეტი“ (ქუთ.76:312v). გიორგი ათონელის მიერ დაწყებული ბიბლიურ წიგნთა თარგმანების რევიზია ეფრემ მცირემ გააგრძელა, რომელმაც სამოციქულოს წიგნების ქართული თარგმანების ტექსტი შეუდარა ბერძნულ დედნებს და, ფაქტობრივად, მათი ახალი რედაქციები მოგვცა (კ. დანელია, 1983; ე. კოჭლამაზაშვილი, 2000; დ. თვალთვაძე, 1995).

---

<sup>1</sup> ქუთ. 76 (კალიპოსის ოთხთავი) არის ოთხთავის ქართული თარგმანის გიორგი ათონელისეული რედაქციის ტექსტის შემცველი უძველესი ხელნაწერი.

შავ მთაზე შექმნილ ქართულ ხელნაწერთა კოლოფონებში ანტიოქიაში მოღვაწე ქართველთა და ბერძენ ბერთა ურთიერთობის საინტერესო ფაქტებიცაა აღწერილი. მაგალითად, ეფრემ მცირის კოლოფონიდან, რომელიც მის მიერ თარგმნილ „პავლე მოციქულის კომენტარებს“ (Ath. 18:117r-v) ახლავს, ირკვევა, რომ ქართველ მთარგმნელს სანდო დედნებს თავად ბერძენი მოღვაწეები აწვდიდნენ. პავლეს კომენტარების „რჩეული და სარწმუნო“ დედნები ეფრემისთვის სვიმეონწმინდის ლავრის ყოფილ წინამძღვარს, მამა კლიმის შეურჩევია. გრიგოლ ღვთისმეტყველის აპორიტებისა და ლიტურგიკული ჰომილიების თარგმნისას ტექსტის საეჭვო ადგილების დასაზუსტებლად ეფრემს უსარგებლია ანტიოქიის საპატრიარქოს სასულიერო პირთა და თავად ანტიოქიის პატრიარქის დახმარებით: კლასიკური და საეკლესიო ტექსტების ცალკეული (მითოლოგიური თუ საღვთისმეტყველო) დეტალების გამოწვლილვითი გამოკვლევა ანტიოქიის საპატრიარქოს ბერძენ სწავლულებთან, განსაკუთრებით თავად პატრიარქ იოანესთან, რამდენჯერმე არის ნახსენები ეფრემის კოლოფონებში. მაგალითად: დიადოქოს ფოტიკელის ასკეტიკური თხზულების შემცველი ხელნაწერის ერთი სქოლიოს მიხედვით (A 60:137), ეფრემს ამ თხზულების თარგმანი თავად იოანე პატრიარქის მიერ გადაწერილი და მისი იამბიკოებით დასრულებული ხელნაწერიდან შეუსრულებია (დიადოქოს ფოტიკელი, 2000:392). მეტაფრასული კრებულის (S 1276) იოანე დამასკელისეული ჰომილიის ერთი მარგინალური შენიშვნის მიხედვით, ამ თხზულებაში გამოყენებული ანტიკური მითოლოგიის უიშვიათესი პასაჟიც ეფრემისთვის იოანე პატრიარქს განუმარტავს. „ესე სიტყუაჲ ბერძულად ესოდენ ძნელ იყო, ვიდრემდის თანა-წარვლნა უსახელოვანესნი ანტიოქიისა ფილოსოფოსთანი და თვთწმიდისა პატრიარქისა იოვანეს მიერ განგუემარტა ჩუენ და მათცა. იოვანეს ვიტყვ ახლად ოქროპირად გამოჩინებულსა“ (S1276,

9v)<sup>1</sup>. ეს პიროვნება უნდა იყოს ანტიოქიის პატრიარქი იოანე V ოქსიტესი (1089-1100), საკმაოდ განსწავლული სასულიერო მოღვაწე, რომელიც რამდენიმე თეოლოგიური ტრაქტატის ავტორია. იგივე იოანე უნდა იგლისხმებოდეს გრიგოლ ღვთისმეტყველის 16-სიტყვიანი კრებულის შესავალ ეპისტოლეში მოხსენიებულ „წმინდა მეუფეში“, ანუ ანტიოქიის პატრიარქში. „არამედ უმრავლესი მათ სიტყუათაჲ წერით ანტიოქს შევიცანი და დიდისა საპატრიარქოსა ფილოსოფოსთა და მიტროპოლიტთა და თვთ მთერ ყოველთა უბრძნესისა წმიდისა მეუფისა მიერ გამოვიძიე საეჭვ ყოველივე (Jer. 43:2v; თ. ბრეგაძე, 1988:182; თ. ოთხმეზური, 2011). ჩანს, ანტიოქიის პატრიარქი იოანე და მისი წრე საკმაოდ კეთილგანწყობილნი იყვნენ ქართველ მოღვაწეთა მიმართ, რაც საზღვარგარეთის მნიგნობრულ კერებში, ბერძენ-ქართველთა საკმაოდ გართულებული ურთიერთობის ფონზე, ნიშანდობლივი ფაქტია (ამის შესახებ იხ. ე. ჭელიძე, 1999).

გრიგოლ ღვთისმეტყველის ჰომილიებისათვის ეფრემი იყენებდა ანტიოქიელი ბერძენი მოღვაწის ბასილი გრამატიკოსის მიერ „უცდომელად და გამონულილივით“ (Jer. 43:3r) გამართულ, ანუ კრიტიკულად დადგენილ ბერძნულ ტექსტს (თ. ოთხმეზური, 2011).

ეფრემის კოლოფონებში ზოგიერთი წიგნის შექმნის ისტორიაცაა მოთხრობილი. კერძოდ, ეფრემის ავტოგრაფულ ხელნაწერში შენახულ ერთ ანდერძში (S 1276:56r) მოთხრობილია ისტორია „იოანე დამასკელის ცხოვრების“ შექმნისა, მოცემულია ცნობები ამ ძეგლის ავტორის, ბერძნულად მთარგმნელისა და წიგნის შექმნის თარიღის შესახებ. ეს ჰაგიოგრაფიული თხზულება ტყვეობისგან ხსნის სამადლობლად არაბულ ენაზე დაუნერია სვიმეონწმინელ არაბ ბერს, მიქაელს, რომელიც იოანე დამასკელის ხსენების დღეს (1084 წლის 1 დეკემბერი) უვნებლად გადაარ-

---

<sup>1</sup> ამ მანუსკრიპტის ნაწილი ეფრემის ავტოგრაფად არის მიჩნეული, მათ შორის აღნიშნული კოლოფონიც (ე. მეტრეველი, 1959, ა:117).



ჩენია თურქთა შემოსევას. თხზულება არაბულიდან ბერძნულად უთარგმნია ადანის მიტროპოლიტ სამოელს, რომლის თარგმანი გადმოუღია ეფრემ მცირეს ქართულად.<sup>1</sup>

ეფრემის ანდერძის მიხედვით შესაძლებელი გახდა „იოანე დამასკელის ცხოვრების“ ბერძნული ვერსიის შექმნის თარიღის საკმაო სიზუსტით განსაზღვრაც. არაბ ჰაგიოგრაფს „იოანე დამასკელის ცხოვრება“ 1085 წლის შემდგომ დაუწერია, მისი ბერძნული თარგმანიც, ეფრემის ცნობით, მალევე „გამოთარგმნა ბერძენთა ენად და შეამკო“ ადანის მიტროპოლიტმა, რომელიც, თავის მხრივ, „ქართულადაც ითარგმნა“ ეფრემ მცირის მიერ, ე. ი. სამივე პირი მიქაელი, სამოელი და ეფრემი თანამედროვენი ყოფილან და იოანე დამასკელის არაბული ცხოვრების ბერძნული თარგმანი შესრულებულია 1086–1103 წლებში. ამასთანავე, როგორც კ. კეკელიძე შენიშნავს, „ქართულმა ვერსიამ შემოგვინახა პირველი ბერძნული გადამუშავება ორიგინალის არაბული ტექსტისა. მისი მნიშვნელობა ისაა, რომ მას საფუძვლად უდევს უშუალოდ მიქაელის შრომა იმ სახით, როგორითაც გამოვიდა ავტორის ხელიდან“ (კ. კეკელიძე, 1961:141).

ეფრემის ზოგიერთ ანდერძში კონკრეტული ბერძნული ნუსხების გადამწერთა შესახებაც არის დაცული ცნობა. მაგალითად, კათოლიკე ეპისტოლეთა თარგმანების ბერძნული ხელნაწერი, რომელიც დედნად ჰქონია ეფრემს, ვინმე ანდრია ხუცეს-მონაზონის გადანერილი ყოფილა: „ლოცვა ყავთ ანდრიასთჳს ხუცეს-მონაზონისა, რომელი ყოფილ-არს მწერალი ბერძულისა ამის წიგნისაჲ, რომლისაგან ითარგმნა კათოლიკეთა ესე თარგმანი ენასა ჩუენსა“ (Q 1158:316), – შენიშნავს „სამოციქულოს თარგმანების“ ერთ-ერთ ანდერძში ეფრემ მცირე.

---

<sup>1</sup> როგორც ჩანს, იმდენად დიდი იყო ინტერესი ამ თხზულების მიმართ, რომ ეფრემს თავისი მთარგმნელობითი მეთოდის მთავარი პრინციპიც კი დაურღვევია და თარგმანის თარგმანი მოუცია, რასაც ის დაუშვებლად მიიჩნევდა, მაგრამ გარკვეული როლი ალბათ იმანაც ითამაშა, რომ სამოელ ადანელის შესრულებული ბერძნული თარგმანი „უეჭუელი და სანდო“ იყო და ამიტომაც გამოსადეგი დედნად.

ანდერძებში ვხვდებით ზოგიერთ ისეთ ცნობას, რომლებიც ბერძნული ხელნაწერების გარეგნულ მხარეს შეეხება; კერძოდ, იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისას“ წინასიტყვაობაში (A 24:2v-4r), ეფრემ მცირე საუბრობს ბერძნულ მანუსკრიპტებში გამოყენებული მარგინალური და პუნქტუაციური ნიშნების შესახებ. კერძოდ, შენიშნავს, რომ „შეისწავე“, „განსაზღვრება“, „განჩინება“, „სამეცნიერო“, რომლებიც ტექსტის ამა თუ იმ მონაკვეთის ვიზუალურად გამოსაკვეთად გამოყენებული აღნიშვნებია, „ყოველთა ბერძულთა წიგნთა უწერიან კიდესა“, ხოლო „საჭიროსა სიტყუსა თარგმანი“ კი, ანუ სიტყვიერი განმარტება ავტორისა თუ კომენტატორისა, „პატივთა ზედა“, ანუ აშიებზე წერიაო<sup>1</sup>.

ეფრემის ანდერძებში დაცული ცნობების თანახმად, ბერძნული წიგნები „ფრიად მისანდობელ არიან მართლიად გაკუთვითობისათჳს“ (A 24:4r), ანუ პუნქტუაციური და სადეკლამაციო ნიშნების გამოყენების გამო. „სამოციქულოს თარგმანების“ ბოლოსიტყვაობაში ეფრემი აღნიშნავს, რომ ბერძნული დედანი, რომელიც მას ჰქონია ხელთ, „მოთხვითად მონერილი“ იყო და „სამოციქულოს“ განსამარტავი მუხლი შესაბამის კომენტართან საგანგებო პირობითი ნიშნით იყო დაკავშირებული (Ath. 18:235-238).

კოლოფონებში დაცული ამგვარი ცნობები მიგვანიშნებენ, რომ ბიზანტიური ფილოლოგია ამ დროისათვის უკვე კარგად ფლობს ტექსტის მეცნიერული და კრიტიკული დამუშავების მეთოდებს. ქართული თარგმანების „ბერძნულსა წესსა ზედა გამმართავი“ მთარგმნელი ცდილობს იდგეს თავის თანამედროვე ბერძენ მწიგნობართა დონეზე და მთარგმნელობითი მუშაობის დროს აქტიურად იყენებს მათ მიერ დამუშავებულ მეთოდებს. კერძოდ,

---

<sup>1</sup> გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიათა ეფრემისეული თარგმანების შემცველ ერთ-ერთ კრებულში შენახულია იმ პირობით ნიშანთა გრაფიკული გამოსახულება და დანიშნულების განმარტება, რომლებიც ნაზიანზელის თხზულებათა კომენტარებისთვის გამოიყენებოდა ბერძნულ ხელნაწერებში (Jer. 43:4v; თ. ოთხმეზური, 1991:335-347).

თარგმანებზე დართული სქოლიო-კომენტარები, ზანდუკები და სტიქომეტრიული აპარატი, წინასიტყვაობები და ბოლოსიტყვაობები, საგანგებო პირობითი ნიშნები, რომლებიც გამოიყენება კომენტარებისა და ტექსტის კორექტირებისას, სხვადასხვა დანიშნულების მარგინალური ნიშნები, პუნქტუაციური და საინტონაციო ნიშნები და სხვ. ეფრემ მცირის თარგმანებში იმიტომაც გვხვდება, რომ „ბერძენიცა ესრეთ ჰყოფენ“. ეფრემის თარგმანები ამ მხრივ XI საუკუნის ბიზანტიელ მნიგნობართა ნაშრომ-ნაღვანის გვერდით სრული უფლებით შეიძლება დავაყენოთ. მისი თარგმანები „ბერძულსა წესსა ზედაა გამართული“ ისევე სანიმუშოდ, როგორც, ვთქვათ, ბიზანტიელი მნიგნობრის ბასილი გრამატიკოსისა, რომელსაც, ეფრემის თქმით, გრიგოლ ნაზიანზელის 16-სიტყვიანი ლიტურგიკული კრებულების ბერძნული ტექსტი სანიმუშოდ გაუმართავს (ქ. ბეზარაშვილი, 2004:260-299).

მთარგმნელის ანდერძებსა და სქოლიოებში დაცული ცნობები ცოცხლად წარმოგვიდგენს იმ გარემოს, რომელშიც მუშაობდნენ ქართველი მთარგმნელები, იმ გავლენებსა თუ ტენდენციებს, რომლებიც ზემოქმედებდნენ ქართველი მნიგნობრების მუშაობის სტილისა თუ აზროვნების ჩამოყალიბებაზე. ამდიდრებენ ჩვენს წარმოდგენას XI საუკუნის ბიზანტიური ფილოლოგიის მიღწევებზე, ბიზანტიელ მნიგნობართა მუშაობის პრინციპებზე, ბერძნულ ხელნაწერი ნიგნების შედგენილობასა და გაფორმებაზე, რომელთა მსგავსად, ანუ „ბერძულსა წესსა ზედა გამართვით“, იქმნებოდა ის ქართული ხელნაწერებიც, რომლებიც შავი მთის ლიტერატურული სკოლის სკრიპტორიუმებიდან გამოდიოდა.

ანტიოქიის სამონასტრო ცენტრებში მოღვაწე ქართველ მნიგნობართა კოლოფონებსა და ხელნაწერი ნიგნის აშიებზე მოთავსებული სქოლიო-კომენტარები საშუალებას გვაძლევს გავი-აზროთ, როგორი იყო ქართველთა კულტურული ორიენტაცია, ვისთან ცდილობდნენ გათანაბრებას თავიანთი ინტელექტუალური დონით ძველი ქართველი მნიგნობრები და რა ადგილი ეჭირათ ქართველებს შუა საუკუნეების ზოგადკულტურულ კონტექსტში. სწორედ შავი მთის მონასტერთა მდიდარ ბიბლიოთეკებში უცხოელ კოლეგებთან – ბერძენ, სირიელ, არაბ მნიგნობრებთან

თანამშრომლობით გამოიკვეთა ყველაზე მკაფიოდ ქართველ მწიგნობართა კულტურული ორიენტაცია ბიზანტიაზე და იქ მიმდინარე სააზროვნო პროცესებზე, რაც ელინოფილიზმის ჩამოყალიბებით გამოიხატა.

### **მითითებული ლიტერატურა და ხელნაწერები**

1. **ქ. ბეზარაშვილი, 2004** – ქ. ბეზარაშვილი, რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების მიხედვით, თბილისი, 2004.
2. **თ. ბრეგაძე, 1959** – ეფრემ მცირე, „უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოცქევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიწესნიების“, ტექსტი გამოსცა, შესავალი და ლექსიკონი დაურთო თ. ბრეგაძემ, თბილისი, 1959.
3. **თ. ბრეგაძე, 1971** – თ. ბრეგაძე, ეფრემ მცირის მიერ ნათარგმნი ძეგლები. მრავალთავი, I, თბილისი, 1971, 429-463.
4. **თ. ბრეგაძე, 1988** – თ. ბრეგაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1988.
5. **გიორგი მცირე, 1967** – გიორგი მცირე, ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისაჲ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, XI-XV სს. ტ. II, თბილისი, 1967, 201-207.
6. **კ. დანელია, 1983** – კ. დანელია, ქართული სამწერლობო ენის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1983.
7. **დიადოქოს ფოტიკელი, 2000** – წმ. დიადოქოს ფოტიკელი, ასკეტური თავები, გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. ჭელიძემ. მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის შეერთებული კალენდარი, თბილისი, 2010, 387-435.
8. **ნ. ვილსონი, 1982** – N. G. Wilson, The Relation of Text and Commentary in Greek Books. in Atti del convegno internazionale il libro et il testo a cura di Cesare Questa e renato Raffaelli, Urbino, 1982.
9. **დ. თვალთვაძე, 1995** – დ. თვალთვაძე, პავლეს ეპისტოლეთა კომენტარების ძველი ქართული თარგმანები. ფილოლოგიური ძიებანი, II, თბილისი 1995, 345-362.

10. **დ. თვალთვაძე, 2009** – დ. თვალთვაძე, ეფრემ მცირის კოლოფონები, თბილისი, 2009.
11. **დ. თვალთვაძე, 2009ა** – დ. თვალთვაძე, ქართული ოთხთავის ათონური რედაქციის ჩამოყალიბების ისტორიიდან. საქართველო და ევროპული სამყარო – ფილოსოფიურ-კულტურული დიალოგი, I, თბილისი, 2009, 129-141.
12. **კ. კეკელიძე, 1956** – კ. კეკელიძე, მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბილისი, 1956, გვ. 183-197.
13. **კ. კეკელიძე, 1961** – К. Кекелидзе, Грузинская версия арабского жития Иоанна Дамаскина. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VII, თბილისი, 1961, 136-177.
14. **კ. კეკელიძე, 1980** – კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1980.
15. **ე. კოჭლამაზაშვილი, 2000** – განმარტება სამოციქულოსი თარგმნილი ეფრემ მცირის მიერ, I. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ე. კოჭლამაზაშვილმა, თბილისი, 2000.
16. **ე. მეტრეველი, 1959** – ე. მეტრეველი, შავი მთის მნიგნობრული კერის ისტორიისათვის XI საუკუნის I ნახევარში. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. XX-1959.
17. **ე. მეტრეველი, 1959ა** – ე. მეტრეველი, ეფრემ მცირის ავტოგრაფი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, თბილისი, 1959, 115-125.
18. **ლ. მენაბდე, 1980** – ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბილისი, 1980.
19. **დ. მელიქიშვილი, 2003** – დ. მელიქიშვილი, შავი მთიდან გელათამდე (შავი მთის ქართული მთარგმნელობითი სკოლის ძირითადი პრინციპები). „ნათელი ქრისტესი. საქართველო“, ნაწ. I, თბილისი, 2003, 566-569.
20. **თ. ოთხმეზური, 1997** – თ. ოთხმეზური, ეფრემ მცირის ავტოგრაფული ნუსხის ერთი მთარგმნელისეული სქოლიოს შესახებ. ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული, თბილისი, 1997, 78-81.
21. **თ. ოთხმეზური, 1991** – Th. Othkmezouri, Les signes marginaux dans manuscrite Georgiens de Gregoire de Nazianze – Le Museon, T. 104. Fasc.3-4. 1991, p. 335-347.

22. **თ. ოთხმეზური, 2011** – თ.ოთხმეზური, კომენტატორული ჟანრი შუა საუკუნეების ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში, თბილისი, 2011.
23. **მ. შანიძე, 1968** – მ. შანიძე, შესავალი ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანებისა. თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 11, 1968, 79-122.
24. **თ. ცოფურაშვილი, 2000** – თ. ცოფურაშვილი, კირილე ალექსანდრიელის ლექსიკონი, ენათმეცნიერების საკითხები, 2, თბილისი 2000, 35- 48.
25. **ე. ხინთიბიძე, 1982** – ე. ხინთიბიძე, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიისათვის, თბილისი, 1982.
26. **ვ. ჯობაძე, 1976** – W. Djobadze, Materials for the Study of Georgian Monasteries in the Western Environs of Antioch on the Orions (Corpus Scriptorum Christianorum Orientalium, 372; Subsidia,48), Louvain, 1976.

### **ხელნაწერები:**

- A 24 – იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისა“, XI ს.
- A 292 – გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კრებული, 1800 წ.
- A 484 – ალავერდის ოთხთავი, 1054 წ.
- A 689 – ბასილი დიდის ასკეტიკონი, თეოდორითე კვირელის „ფილოთეონ ისტორია“, XII ს.
- A 845 – შავი მთის ოთხთავი, XI ს.
- Q 1158 – სამოციქულოს თარგმანება. ეფრემ მცირის თარგმანი. XI ს.
- S 1276 – მეტაფრასული კრებული, XI-XIII სს.
- Jer. 1 – ფსალმუნთა განმარტება, XIII ს.
- Jer. 16 – სამოციქულოს განმარტება, XII ს.
- Jer. 43 – გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიათა კრებული, XII-XIII სს.
- Q 37 – ფსალმუნთა განმარტება, 1091 წ.
- Ath. 18 – პავლეს ეპისტოლეთა განმარტებანი, XV-XVI სს.
- ქუთ.76 – კალიპოსის ოთხთავი, 1060 წ.

**THE CULTURAL ENVIRONMENT OF THE MONASTERIAL CENTERS OF  
THE BLACK MOUNTAIN IN THE 11<sup>TH</sup> CENTURY (ACCORDING TO THE  
COLOPHONS OF THE GEORGIAN MANUSCRIPTS AND TRANSLATORS'  
COMMENTARIES)**

**S u m m a r y**

Georgian monks have lived and worked in Antioch, one of the most important monastic centers of the Eastern Christianity, as early as the 6<sup>th</sup> century but their number had considerably increased since the thirties of the 11<sup>th</sup> century due to the liberation of the given region from the Moslem domination subjection of Syria to the political and cultural influence of Byzantine. From the period the Georgians not only have settled in Syrian and Greek monasteries of the Black Mountain but founded their own monasteries and educational centers. The relations with Greeks in Antioch gave start to the formation of the new literary trend in Georgian literature known as hellenophilism. Translational and cultural-educational activities became especially intense from the second half of the 11<sup>th</sup> century when Georgian scholar Ephrem Mtsire started his activity at the monastery on the Black Mountain. He translated over 100 monuments from Georgian and supplied a great deal of his works with commentaries.

The information kept in Ephrem Mtsire's colophons provide vast material for the reconstruction of the activity of Antioch monastery centers as monastic and scholarly centers of the 11<sup>th</sup> century because they contain data of historical and cultural character not only concerning the Georgian scholars who lived and worked on the Black Mountain but also about intellectual life of Greek monastic centers at the period of Antioch and Byzantine scholars.

From the end of the 11<sup>th</sup> century on, as a result of permanent attacks of crusaders scores of monasteries and educational centers of Antioch was destroyed. A great deal of manuscripts rewritten in local scriptoria was lost which resulted in the general scarcity of information on cultural-educational environment of the monastery centers. Under the circumstances special importance is ascribed to the information kept in Georgian sources concerning the Georgian scholars living in the monastery of the Black Mountain, the manuscripts circulated in the monasteries and especially the libraries at that time.



## ტრანსპოზიციის მნიშვნელობისათვის ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების დროს

ცნობილია, რომ მეორე ენის სწავლების დროს სხვადასხვა სახის უზუსტობა, განსხვავება თუ შეცდომა იჩენს თავს. მათი აღმოფხვრისა და სწავლების ეფექტურობისათვის სხვადასხვა მეთოდი არსებობს. ბუნებრივია, რაც უფრო ზუსტად არის გამოკვეთილი შეცდომა და რაც უფრო შესაფერის მეთოდს ვიყენებთ მის აღმოსაფხვრელად, სწავლებაც, შესაბამისად, უფრო ეფექტური ხდება. წინამდებარე სტატიაში განხილულია პირველ (სტუდენტის მშობლიურ) და მეორე (სამიზნე) ენას შორის არსებული ერთი სახის განსხვავებანი და შემოთავაზებულია მეთოდები, რომლებითაც ამ სახის განსხვავებანი უნდა ისწავლებოდეს.

როგორც ცნობილია, მეორე ენის სწავლების დროს საკმაოდ ეფექტურად გამოიყენება კონტრასტული ანალიზისა (ჩონტრასტივე ნალყსის) და გადაცდომათა ანალიზის (Error Analysis) მეთოდები. სანამ უშუალოდ აღნიშნულ მეთოდებს განვიხილავდეთ, მანამდე გვინდა ერთი განმარტება წარმოვადგინოთ ტერმინთან დაკავშირებით. კერძოდ, ეს ეხება გადაცდომათა (*error*) ანალიზის მეთოდს. ინგლისურ ენაში შეცდომა აღინიშნება ორი სიტყვით: მისტაკე და error. ამათგან მეორე ენის სწავლების მეთოდოლოგია იყენებს error-ს, მასში გარკვეულ შინაარსს დებს და ამდენად ეს ტერმინი როგორც შინაარსით, ასევე ლექსიკურადაც განსხვავებულია მისტაკე სიტყვისაგან. ქართულად მისტაკე და error გამოიყენება ერთი სიტყვით **შეცდომა**. ვფიქრობთ, მართებული იქნება, თუ error ტერმინის აღსანიშნად ქართულში **გადაცდომას** გამო-

ვიყენებთ (რ. ქურდაძე, 2011:82-83). ამით ორი ინგლისური ტერმინის შესატყვისად ქართულშიც ორი ტერმინი გვექნება: მისტაკე – შეცდომა და error – გადაცდომა.

### **კონტრასტული ანალიზი**

კონტრასტული ანალიზი ენათა შედარების ერთგვარი ხერხია, რომლითაც განისაზღვრება პოტენციურად მოსალოდნელი გადაცდომები, რათა მეორე ენის შესწავლის დროს გამოიკვეთოს, რისი შესწავლაა აუცილებელი და რისი შესწავლა – არა.

1. კონტრასტული ანალიზი ემყარება ენის თეორიას, რომლის მიხედვითაც ენა არის ჩვევა და რომ ენის შესწავლა გულისხმობს ახალი ჩვევების შეთვისებას.

2. მეორე ენის ათვისების დროს გადაცდომათა მთავარ წყაროს მშობლიური ენა წარმოადგენს.

3. პირველ და მეორე ენებს შორის არსებული განსხვავებებით განისაზღვრება გადაცდომები.

4. მესამე პუნქტიდან გამომდინარე, რაც მეტია ენათა შორის განსხვავება, მით მეტია მოსალოდნელ გადაცდომათა რაოდენობა.

5. მეორე ენის შემსწავლელისათვის მთავარია განსხვავებათა შესწავლა.

6. სირთულე და სიადვილე ენათა შესწავლის დროს განისაზღვრება ორი ენის შეპირისპირებით გამოვლენილ მსგავსება-განსხვავებათა მიხედვით.

### **გადაცდომათა ანალიზი**

რა არის გადაცდომათა ანალიზი? როგორც სათაური გვეუბნება, ეს ლინგვისტური ანალიზის სახეა, რომელიც იხილავს ენის შემსწავლელთა მიერ დაშვებულ გადაცდომებს. კონტრასტული ანალიზისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში, მეორე ენის ჩვევათა გამომუშავებისას დაშვებული გადაცდომების შედარება ხდება თვით მეორე ენასთან. კონტრასტული ანალიზის დროს კი – მშობლიურ ენასთან.

გამოიყოფა გადაცდომათა ანალიზის რამდენიმე საფეხური.

1. *მასალის შეგროვება (სტუდენტთა მიერ დაშვებული გადაცდომები)*. ამ შემთხვევაში წერილობითი მასალა გროვდება, მაგრამ ზეპირი მასალაც შეიძლება იქნეს გამოყენებული.

2. *გადაცდომათა იდენტიფიკაცია*. რა არის გადაცდომა (ზმნის დროთა ფორმების ართანმიმდევრულობა, ზმნის არასწორი ფორმა, მრავლობითის სუბიექტთან მხოლოდით რიცხვში მდგარი ზმნა)?

3. *გადაცდომათა კლასიფიკაცია*. როდისაა დაშვებული გადაცდომა? დაშვებული გადაცდომა შეთანხმებისას? დაშვებული გადაცდომა არანესიერი ზმნის ხმარებისას?

4. *გადაცდომათა რაოდენობა*. რამდენი გადაცდომაა დაშვებული შეთანხმებისას? რამდენი არანესიერი ზმნაა შეცდომით ნახმარი?

5. *გადაცდომათა წყაროს ანალიზი*.

6. *გასწორება*. გადაცდომათა გასწორება ტიპობრივ გადაცდომათა სიხშირეს ემყარება, რაც გარკვეული პედაგოგიურ-მეთოდური ხერხებით ხორციელდება (სუზან მ. გასი, ლარი სილინკერი, 2001:72-73; 79).

როგორც წესი, აღნიშნული მეთოდებით სწავლების დროს, ჩვეულებრივ, მეორე ენის ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურების თავისებურებები განიხილება. სწორედ მათგან შეიძლება მსგავსი და განსხვავებული მოვლენები. აღსანიშნავია ისიც, რომ ამავე მეთოდებით მეორე ენის სწავლებისას კულტურულ თავისებურებებსაც ითვალისწინებენ.

ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნული მეთოდებით მეორე ენის სწავლება საკმაოდ აუმჯობესებს სწავლების პროცესს, მაგრამ ვფიქრობთ, რომ არსებობს ერთი ტიპის განსხვავებაც, რომელიც პირველი და მეორე ენების უშუალოდ ფონეტიკურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ სტრუქტურათა ანალიზით არ ისწავლება. ამ შემთხვევაში ტრანსპოზიციით გამოწვეულ განსხვავებებს ვგულისხმობთ. რა თქმა უნდა, ასეთი შემთხვევების სწავლებაც ითვალისწინებს მეორე ენის ფონეტიკურ, მორფოლოგიურ და

სინტაქსურ სტრუქტურათა ანალიზს, უფრო სწორად ამ სტრუქტურათა ცოდნას, მაგრამ ტრანსპოზიციით გამოწვეული განსხვავებანი განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვენ მეორე ენის სწავლების დროს, რადგან, როგორც ცნობილია, ტრანსპოზიცია (ტრანსპოსიტიონ – გადანაცვლება, გადასმა) არის ერთი ენობრივი ფორმის გამოყენება სხვა ფორმის ფუნქციით. ფართო გაგებით, ტრანსპოზიცია არის ნებისმიერი ენობრივი ფორმის გადატანით ხმარება, მაგ., დროის ტრანსპოზიცია – ზმნის ახლანდელი ან მომავალი დროის ფორმის გამოყენება წარსული დროის გაგებით, მაგ.: *„ერთხელ მეც გადავდივარ ამ მესერზე და ჩამეჭედა შიგ ფეხსაცმელი“* (რ. ინან.); წინადადების ტიპის ტრანსპოზიცია – კითხვითი წინადადების გამოყენება თხრობითი ან ბრძანებითი წინადადების მნიშვნელობით, მაგ., *„ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები?“* (ა. წერ.). ტერმინი **ტრანსპოზიცია** გამოიყენება *მეტაფორის* ან სხვა გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვის გამოსახატავად. ვინრო გაგებით, ტრანსპოზიცია არის სიტყვის გადასვლა ერთი მეტყველების ნაწილიდან მეორეში – ესაა სრული, ანუ მორფოლოგიური ტრანსპოზიცია. სიტყვის გამოყენება სხვა მეტყველების ნაწილის ფუნქციით – ესაა უსრული, ანუ სინტაქსური ტრანსპოზიცია. იმის მიხედვით, თუ რომელი მეტყველების ნაწილის ფუნქციით გვევლინება ესა თუ ის სიტყვა, გამოიყოფა *ადვერბიალიზაცია, ვერბალიზაცია, პარონომალიზაცია, სუბსტანტივაცია* (ქართული ენა, ენციკლოპედია, 2008).

ჩვენი პრაქტიკის მიხედვით ცხადი ხდება, რომ ტრანსპოზიციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეორე ენის, კერძოდ, ქართულის როგორც მეორე (ან უცხო) ენის სწავლების დროს. რა თქმა უნდა, არის შემთხვევები, როდესაც ქართულსა და უცხოელი სტუდენტების მშობლიურ ენებს, მაგალითად ინგლისურს, ტრანსპოზიციური ფორმები მნიშვნელობის მხრივ იდენტური აქვთ, და თანაც ორსავე ენაში ძირეული და ტრანსპოზიციური ვარიანტები, ფაქტობრივად, ერთი და იგივე სიტყვებია, კერძოდ,

ქართ. **კარგი** – ზედსართავი სახელი, და **კარგი** – *ღიას! ჰო!* დასასტურებითი ნაწილაკი; ასეთივე ვითარებაა ინგლისურშიც: **good** – ზედსართავი სახელი **კარგი** და **good**, რაც გამოყენებულია როგორც მტკიცებითი ნაწილაკი **yes** – *ღიას!* (შდრ.: **well**).

მაგრამ, ბუნებრივია, ასეთი დმთხვევა ყოველთვის არ ხდება, ანუ ზოგჯერ ქართული ტრანსპოზიციური ვარიანტი, რაც ქართულში იმავე სიტყვის ძირითადი ვარიანტისაგანაა ნაწარმოები, ინგლისურად სულ სხვაგვარად (სხვა მეტყველების ნაწილებით) ითარგმნება, თუმცა მნიშვნელობა იგივე რჩება, ანუ მორფოლოგიურ-სინტაქსური საშუალებები განსხვავებულია, თუმცა მნიშვნელობა იგივე რჩება. ქართული ტრანსპოზიციური მაგალითების ამგვარად განსხვავებული თარგმნილი ნიმუშებია წარმოდგენილი დიდ ქართულ-ინგლისურ ლექსიკონში. ჩვენ ამ განსხვავებულ მაგალითებს რიცხვითი სახელის – *ერთი-ს* ტრანსპოზიციური ნაირსახეობებით წარმოვადგენთ ზემოაღნიშნული ლექსიკონიდან.

გარდა იმისა, რომ ამ ლექსიკონში **ერთი** განმარტებულია, როგორც რიცხვითი სახელი **one**, გვხვდება ამ სიტყვის ტრანსპოზიციური ვარიანტები შესაბამისი ინგლისური თარგმანით, მაგალითად:

ერთი, როგორც არტიკლი **a(n)**: *ერთ ამბავშია / ყოფაშია makes a lot of noise;*

ერთი როგორც მთლიანობა, (ერთის მთლიანის მნიშვნელობით): *one whole: ერთ ქალაქად ღირს It's priceless lit worth a town... ;*

ერთი მხოლოდ, მარტოს მნიშვნელობით: *alone, only: ერთმა ღმერთმა იცის! God only knows!*

ერთი როგორც ნაცვალსახელი: *იყო ერთი . . . happened in minutes / simultaneously;*

ერთი როგორც შორისდებული: *აბა, ერთი! Look here!*

ერთი ზმნიზედის მნიშვნელობით: *შესახებ about: ერთი ათი ბიჭი about ten lads; ჯერ ეს ერთი firstly;* ერთი, როგორც *სწორედ, სავსებით, რეალურად just, really: შენც ერთი.* სასაუბრო, ჟარგონ-

ნულ მეტყველებაში (სკეპტიკურად ნათქვამი): ერთი კი შეყოყმანდა *dithered for just a moment*; ერთი კი შემომხედა *just looked at me*; კარგი ერთი! *Enough! Stop! კაი, ერთი რა! You're having me on!* და სხვ.

**ერთი** რიცხვითი სახელის ტრანსპოზიციური ვარიანტების რუსულ თარგმანებს დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონიდან წარმოვადგენთ. მართალია, ეს ლექსიკონი მე-19 საუკუნეშია შედგენილი, მაგრამ აქ წარმოდგენილი ჩვენთვის საინტერესო მაგალითები დღესაც ჩვეულებრივად იხმარება. ამ შემთხვევაშიც **ერთი**, გარდა იმისა, რომ რიცხვით სახელს აღნიშნავს, განსხვავებული მნიშვნელობითაც იხმარება. კერძოდ:

*„მხოლოდ, ერთად ერთი; მარტო; один, один“;*

*„ერთი წყალი დამალევინე, дай мне хоть пить воды“*, ამ შემთხვევაში **ერთი** ნახმარია, როგორც შორისდებული, ან როგორც ერთგვარი მოდალური ელემენტი.

*„რა ერთი, сколько“*, ამ შემთხვევაში ერთი ნახმარია როგორც განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი; ამავე მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი შემდეგ გამოთქმაშიც: *„ერთი ყოფა, ს. აყალ-მაყალი, крик, шум, ერთი ყოფა დაანია, онь поднять шум“*;

ერთი, აღნიშნავს აგრეთვე იგივეს: *„ერთი ხნისა, ровесник“* და სხვ.

ამ შემთხვევაში ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს **ერთის** ან რომელიმე სხვა სიტყვის ტრანსპოზიციური ვარიანტების სრული აღწერა. წარმოდგენილი ნიმუშები ნათლად გვარწმუნებს იმაში, რომ ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ ტიპის ფორმებს. რა თქმა უნდა, ჩვენს ხელთ არსებული ლექსიკონები გარკვეულ შემთხვევებში წარმოგვიდგენენ ამა თუ იმ სიტყვის ტრანსპოზიციურ ვარიანტებს მათივე თარგმანებითურთ, მაგრამ, ცხადია, რომ ქართული და ალბათ, ასევე, ინგლისური და რუსული ენობრივი მასალა არ არის ამომწურავად დამუშავებული ტრანსპოზიციის თვალსაზრისით. თუმცა, აშკარაა, რომ, ტრანსპოზიციური ფორ-

მების გათვალისწინების გარეშე მეორე ენის დაუფლება, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

ვფიქრობთ, ამ მიმართულებით სერიოზული სამუშაოა ჩასატარებელი როგორც წმინდა ენათმეცნიერული და მთარგმნელობითი, ასევე მეორე ენის სწავლების მეთოდის თვალსაზრისით.

ჩვენი აზრით, აუცილებელია შემდეგი:

1. საკუთრივ ქართულში რაც შეიძლება ამომწურავად უნდა აღინუსხოს, გაანალიზდეს და შესაბამის ჯგუფებად კლასიფიცირდეს ტრანსპოზიციის შემთხვევები.

2. ამგვარად დამუშავებული მასალა მაქსიმალურად უნდა აისახოს შესაბამის თარგმნით ლექსიკონებში, რომლებშიც დიდი სიზუსტით უნდა იქნეს წარმოდგენილი ქართული სიტყვების ტრანსპოზიციური ვარიანტების შესაბამისი თარგმანები.

3. ტრანსპოზიციის განსხვავებული ნიმუშების სწავლება სწორედ ზემოაღნიშნული (კონტრასტული ანალიზისა და გადაცდომათა ანალიზის) მეთოდების მიხედვით უნდა მოხდეს. მიუხედავად იმისა, რომ ტრანსპოზიციური განსხვავება ერთგვარ გადახვევად შეიძლება ჩაითვალოს ენის გრამატიკული სტრუქტურისაგან, მაინც მის ზუსტ დახასიათებას სწორედ ამ გრამატიკული სტრუქტურის ანალიზი იძლევა, რადგანაც ესა თუ ის ტრანსპოზიციური ვარიანტი მათ საფუძველზეა მიღებული.

#### **ლიტერატურა:**

1. **რ. ქურდაძე, 2011** – რ. ქურდაძე, თანამედროვე ქართული ენის სოციალურ-კულტურული ანალიზი, თსუ გამომცემლობა, თბ., 2011.
2. **სუზან მ. გასი, ლარი სელინკერი, 2001** – Susan M. Gass, Larry Selinker, *Second Language Acquisition, An Introductory Course*, Second Edition, 2001.
3. **ქართული ენა, 2008** – ქართული ენა, ენციკლოპედია, ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბ., 2008.

4. დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი, ტომი I, გამომცემლობა „გარნეტი“, ლონდონი, 2006.
5. დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1984.

**Ramaz Kurdadze**

**ON THE IMPORTANCE OF TRANSPOSITION IN THE PROCESS OF  
TEACHING GEORGIAN AS A SECOND LANGUAGE**

Summary

While making the Contrastive Analysis in the process of teaching the second language a special importance is paid to the phonetic and grammatical differences found in the native and the second languages. The difference in using punctuation is also noteworthy. The objective of the Contrastive Analysis is to reveal these differences and to give the students a thorough understanding of these differences through the given method.

I think in the process of teaching the second language using the Contrastive Analysis method a special attention should be paid to the transposition of the parts of speech. For instance, words in Georgian may change its meaning as a result of transposition, for example, Georgian: *კარგი – k'argi* – adjective *good* and Georgian: *კარგი – k'argi* – used as an affirmative particle *yes!* We find the similar process in the English language. For example: *good* as an adjective and *good* as an affirmative particle meaning *yes* (cf. Eng. *Well*).

Naturally in addition to identical types of transposition there exist various types of transposition. Actually various types of transposition are of great importance while teaching the second language.

The paper presents a number of examples of transpositions in the Georgian language together with English and Russian examples, which, in our opinion, will be of great help when teaching Georgian as a second (or foreign) language to English and Russian speaking students.



მსაზღვრელი ნაწევრებისა და ნაცვალსახელების  
შესახებ „ვეფხისტყაოსნის“ ენაში

არსებითი სახელის განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის აღნიშვნა ბევრ ენაში **არტიკლის** (ლათ. **articulus**) მეშვეობით არის შესაძლებელი. იგი დამხმარე მეტყველების ნაწილია, რომელიც ახლავს არსებით სახელს (წინ უსწრებს ან მოსდევს მას) და ანიჭებს განსაზღვრულობას ან განუსაზღვრელობას. ძველ ქართულში **ნაწევარი** (იგივე **ართრონი**) ცალკე მეტყველების ნაწილი იყო და აღნიშნავდა ლოკალურ მიმართებასაც ჩვენებითი ნაცვალსახელების მსგავსად: **ესე** – პირველ პირთან ახლოს მყოფი, **ეგე** – მეორე პირთან ახლოს მყოფი, **იგი** – I-II პირებისგან ცალკე მყოფი. შეიძლება ითქვას, რომ ძველ ქართულში ნაწევარი გამოხატავდა განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორიას და საკმაოდ მწყობრ სისტემას ქმნიდა. განუსაზღვრელი ნაწევრები იყო: **ერთი**, **ვინმე**, **რამე**; განსაზღვრული კი – **ესე** (*ამან/ამას*), **ეგე** (*მაგან/მაგას*), **იგი** (*მან/მას*), **ისი** (*იმან/იმას*)<sup>1</sup>.

მეცნიერთა დიდი ნაწილი იზიარებდა მოსაზრებას, რომ ძველ ქართულში **ნაწევარი** დამოუკიდებელი მეტყველების ნაწილი იყო (ივ. იმნაიშვილი, 1955: 249-279; მისივე, 1957; ა. შანიძე, 1956; მისივე, 1976; ლ. ბარამიძე, 1975; მისივე, 2008; მისივე, 2009 და სხვ.), ზოგიერთი ლინგვისტის აზრით, მსაზღვრელად გამოყენებული **ესე**, **ეგე**, **იგი** ყოველთვის ჩვენებითი ნაცვალსახელები არის (იხ. ზ. სარჯველაძე, 2004:60-62), **ერთი** კი – განუსაზღვრელი ნაცვალსახელი (იქვე: 68). ჩვენ ვიზიარებთ იმ ენათმეცნიერ-

<sup>1</sup> **ისი** ნაწევარი ადრინდელ ტექსტებში დადასტურებული არაა, როგორც ნაცვალსახელი, მხოლოდ X საუკუნიდან გვხვდება.

თა აზრს, რომლებიც ნანევრის არსებობას ძველსა და საშუალო ქართულში სადავოდ არ მიიჩნევენ.

ქართულ სალიტერატურო ენაში ნანევრის პოზიციისა და ფორმის ცვლილების თვალსაზრისით შეიძლება გამოიყოს სამი ეტაპი:

**I. ძველ ქართულ ენაში** ნანევარი უმეტესად პოსტპოზიციური წყობისა იყო, ხოლო განსაზღვრული ნანევარი სრულად ეთანხმებოდა სახელს ბრუნვაში ორივე წყობაში; სახელობით ბრუნვაში მათ ჰქონდათ ხმოვნისანი ორმარცვლიანი ფუძე (**ესე, ევე, იგი**);

**II. საშუალო ქართულში** ცვლილებები შეეხო როგორც ნანევართა პოზიციას, ისე მათს ფორმას. ნანევრის გამოყენებამ დაკარგა სისტემური ხასიათი და გაჭირდა მისი გამიჯვნა ჩვენებითი ნაცვალსახელისაგან (იხ. ლ. ბარამიძე, 2008:254-259): ჯერ შეიცვალა მსაზღვრელი ნანევრის წყობა და გახდა პრეპოზიციური (მანამდე პოსტპოზიცია ჭარბობდა). განსაზღვრული ნანევარი და ჩვენებითი ნაცვალსახელი სრულად აღარ ეთანხმება საზღვრულს ბრუნვაში, მათთვის დამახასიათებელია ორმარცვლიანი ფუძეები და ორფუძიანობა: პირველი – **ესე, ევე, ისი** – სახელობითი ბრუნვისთვის, ხოლო მეორე – **ამა, მაგა, იმა** – ყველა ირიბი ბრუნვისთვის<sup>1</sup>. მრავლობითში რიცხვის ნიშანი დაერთვის მხოლოდ საზღვრულს: **ესე (ევე/ისი) კაცნი** და **ამა (მაგა/იმა) კაცთა**.

**შემდეგ** ეტაპზე ეს ფუძეც მარტივდება და ზოგჯერ ტექსტებში გამოიყენება თანხმოვანზე დამთავრებული ფორმები: **ეს (ეგ, ის) კაცი; ამ (მაგ, იმ) კაცს**.

**III. ახალ ქართულში** ნანევარი, როგორც დამოუკიდებელი მეტყველების ნაწილი, აღარ არსებობს, ის ჩანაცვლებულია განუსაზღვრელობითი (**ერთი, ვინმე, ვიღაც**) ან ჩვენებითი ნაც-

---

<sup>1</sup> გამონაკლისია **იგი** ნანევარი, რომელიც იცვლება ბრუნვების მიხედვით.

ვალსახელებით (*ეს, ევ, ის/ივი*)<sup>1</sup>. ირიბ ბრუნვებში ყველგან გამოიყენება პრეპოზიციური ხმოვანშეკვეცილი (ერთმარცვლიანი) თანხმოვანფუძიანი ფორმა: *ეს/ამ, ევ/მაგ, ის/იმ*, მაგრამ ისინი არაფრით არ განსხვავდებიან ჩვენებითი ნაცვალსახელებისაგან<sup>2</sup>. ნანევარი და ნაცვალსახელი გამარტივდა პრეპოზიციურად გამოყენების გამო და ფუძეც შეეკვეცა ირიბ ბრუნვებში: *ესე/ეს, ამა/ამ; ევე/ევ, მაგა/მაგ; ისი/ის, იმა/იმ*. გამონაკლისს წარმოადგენს ბრუნებადი *ივი*. ცხადია, ნანევრის ქცევას ჩვენებით ან განუსაზღვრელობით ნაცვალსახელად ხელი შეუწყო მისმა გამოყენებამ პრეპოზიციურად.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალ ქართულში სახელის დეტერმინაცია შესაძლებელია სხვა საშუალებებითაც (კონტექსტით, სიტყვათა წყობით და სხვ.)<sup>3</sup>, მაგრამ ეს ცალკე განხილვის საგანია.

„ჩვენებითი ნაცვალსახელი და ნანევარი ძველ ქართულ ცოცხალ მეტყველებაში მკვეთრად გამიჯნული არ უნდა ყოფილიყო, რაც თავს იჩენს სალიტერატურო ენაშიაც“ (ლ. ბარამიძე, 2008:252). როგორც ფიქრობენ, „ერთადერთი ნიშანი, რომლითაც შეიძლება განვასხვაოთ ისინი, მათი რიგია“ (ი. იმნაიშვილი, 1957:563). ნანევარმა, სხვა მსაზღვრელების მსგავსად, რიგი შეიცვალა და პრეპოზიციური გახდა (შდრ. არნ. ჩიქობავა, 1966:23).

<sup>1</sup> როგორც ცნობილია, ნანევრები თითქმის ყველა ენაში ნაცვალსახელური წარმოშობისაა: განუსაზღვრელი ნანევარი „ერთი“ მიღებულია რიცხვითი სახელისაგან, რომელიც ზოგჯერ განუსაზღვრელობით ნაცვალსახელად გამოიყენება, ხოლო *ესე, ევე, ივი* ჩვენებითი ნაცვალსახელებია.

<sup>2</sup> ნანევარი დღეს გვხვდება ქართული ენის ზოგ დიალექტში. **პ. ჯაჯანიძე** შეისწავლა ნანევრის ფუნქციონირება გურულ დიალექტსა და ქვემოთაჭარულში, გამოყო მისი მსგავსება-განსხვავებები ძველ ქართულთან (პ. ჯაჯანიძე, 1958).

<sup>3</sup> სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ თანამედროვე ქართულში ტექსტების თარგმნის დროს შეიმჩნევა არტიკლის მქონე ენათა გავლენა და მთარგმნელები ცდილობენ არტიკლის ნაცვლად გამოიყენონ შესაბამისი შინაარსის ნაცვალსახელები: (*ერთი*) *ვინმე, ვინმეები; (ერთი) ვილაც, ვილაცები; (ერთი) რამე, რამეები; (ერთი) რალაც(ა), რალაცები*.

გავრცელებული შეხედულების თანახმად, წყობის შეცვლის შემდეგ ის ჩვენებითი ნაცვალსახელია.

ქართული ენის გრამატიკული წყობის ისტორიისთვის მნიშვნელოვანია მსაზღვრელი ნაწევრებისა და ნაცვალსახელების გამოყენების თავისებურებათა შესწავლა საშუალო ქართულის ტექსტების, მათ შორის „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით<sup>1</sup>. ამ მიზნით შევეცადეთ აღგვეჩინა მსაზღვრელი ნაწევრებისა და შესაბამისი ნაცვალსახელების სისტემა პოემის ენაში: მათი ფორმა, რიგი, საკუთარ სახელებთან ხმარებისა და გათიშვის შემთხვევები და სხვ.

### განუსაზღვრელი ნაწევრები და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები

როცა საგანი უცნობია და პირველად სახელდება, მაშინ „ვეფხისტყაოსანში“ მასთან შეიძლება იდგეს განუსაზღვრელი ნაწევარი (ან განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი): **ერთი, ვინმე** (ადამიანის სახელებთან) ან **რამე** (არაადამიანის აღმნიშვნელ სულიერ და უსულო სახელებთან).

**ერთი**, ძირითადად, გამოყენებულია პრეპოზიციური წყობით **სახელობით, მიცემით, ნათესაობითა და მოქმედებით** ბრუნვებში (სულიერი და უსულო საგნის აღმნიშვნელ სახელებთან). ტექსტში ის მსაზღვრელად არ დასტურდება **მოთხრობით** ბრუნვაში, *ერთმან* ფორმით მხოლოდ ცალკე მდგომი რიცხვითი სახელია: „მოიყვანნა მხარ-დაკრულნი, *ერთმან* ორნი არ დაყარნა“<sup>2</sup> (617,3); „*ერთმან* ტანსა აიხადა, მისცა მისი ჩასაცმელი“ (1198,2). შემდეგ მაგალითში ამ სიტყვას უსწრებს განსაზღვრუ-

<sup>6</sup> საშუალო ქართულის საერო ლიტერატურის ძეგლებში ნაწევრისა და ჩვენებითი ნაცვალსახელების შესახებ იხ. ლ. ბარამიძე (1975; 2008). ავტორს მაგალითები დამონმებული აქვს „ვეფხისტყაოსნიდანაც“, მაგრამ იხილავს მხოლოდ განსაზღვრულ ნაწევრებს. „ვეფხისტყაოსნის“ ენის ანალიზის დროს ნაწევრები განხილულია სხვა მეცნიერთა ნაშრომებშიც (ა. შანიძე, 1956; არნ. ჩიქობავა, 1966 და სხვ.).

<sup>7</sup> პირველი ციფრით აღნიშნულია სტროფი „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიურ გამოცემაში, მეორით კი – ტაეპი.

ლობის მაჩვენებელი ნაცვალსახელი: „მან ერთმან შიგნით შიგან-ნი მივსცნეთ სისხლისა ღვარებსა“ (1405,3).

მსაზღვრელად **ერთი** გაცილებით ხშირადაა გამოყენებული პირდაპირი ნყოფით, ვიდრე შებრუნებულით და ის ყველა ბრუნვაში სრულად ეთანხმება საზღვრულს, რასაც განაპირობებს მისი თანხმოვანფუძიანობა. შინაარსიდან გამომდინარე, ამ მსაზღვრელთან სახელი ყოველთვის მხოლოდით რიცხვშია:

**სახელობითი** ბრუნვა: ერთი დარგი (12,1); ერთი კაცი (276,3; 432,2; 1618,1); ერთი მონა (598,1); ერთი ზანგი (1144,4); ერთი რიდე (460,3); ერთი დიდებული (458,1); **პოსტპოზიციური**: სახლი ერთი (1144,2).

**მიცემითი** ბრუნვა: ერთსა მონასა (568,2); ერთსა ჯორსა (1020,1); **პოსტპოზიციური**: დღესა ერთსა (340,2); სიტყვასა ერთსა (789,3).

**ნათესაობითი** ბრუნვა: ერთისა გზირისა (1196,2).

**მოქმედებით** ბრუნვაში „ერთითა“ ფორმას ყველა მაგალითში წინ უსწრებს განსაზღვრული ნანევარი (მით *ერთითა* მათრახითა, მით *ერთითა* ყაბაჩითა), რაც მიგვანიშნებს, რომ აქ „ერთი“ ნანევარი კი არაა, რიცხვითი სახელია: მით *ერთითა* მათრახითა (209,1); მით სახითა *ერთით* მზითა (305,1); რიდითა და მით *ერთითა* ყაბაჩითა (1148,2).

რაც შეეხება მსაზღვრელად „ვინმე“-ს, თითქმის თანაბარი რაოდენობით დასტურდება როგორც პრეპოზიციური, ისე პოსტპოზიციური რიგით (**სახელობით, მოთხრობით, მიცემითსა და ნათესაობით** ბრუნვებში ადამიანის აღმნიშვნელ სულიერ სახელებთან, ხანაც – გაარსებითებულ ზედსართავებთან). ფუძეხმოვნიანობის გამო მსაზღვრელად „ვინმე“ ყველა ბრუნვაში უცვლელია.

**სახელობითი** ბრუნვა: **ვინმე**: ვინმე ვაჭარი (1262,1); ვინმე მოყმე (1283,1); ვინმე ხელმწიფე (1594,4); ვინმე მესხი მელექსე (1665,4); **პოსტპოზიციური**: მოყმე ვინმე (84,1); ყმა ვინმე (103,2); მეფე ვინმე (270,2); ქალი ვინმე (370,2); ვაჭარი ვინმე (1073,1); ბრძენი ვინმე (1181,1); ხელი ვინმე (250,1).

**მოთხრობითი** ბრუნვა: ვინმე მოსწავლემან (1614,1).

**მიცემითში** ბრუნვისნიშნისანი მხოლოდ ერთი მაგალითია (ვისმე), ისიც საკუთარ სახელთან და ხაზს უსვამს მის უცნობობას: ტარიელს ვისმე უზახდა მწედ (232,3), ე. ი. ვილაც ტარიელს უძახდაო. მართალია, ეს საკუთარი სახელია, მაგრამ თავად პერსონაჟი ჯერ მკითხველისთვის უცნობია. ამდენად, აქ ვისმე განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელია და არა – ნაწევარი: მის ყმისა ვისმე მპოველი (681,3).

**უსულო** საგნებთან გამოყენებულია მსაზღვრელი „რამე“, რომელიც უმეტესად მოსდევს საზღვრულს (**სახელობით, მიცემითსა და ნათესაობით** ბრუნვებში), პრეპოზიციური რიგი იშვიათია. **რამე** ფუძის სახითაა საზღვრულთან ორივე წყობით: **რამე** საქმე/სიტყვა **რამე**, **რამე** ჭორითა, მრ. რ. – **რამე ხენი/დღენი რამე**.

**სახელობითი** ბრუნვა, **პრეპოზიციური** წყობა: რამე საქმე (1171,4); **პოსტპოზიციური**: მაღლი რამე (145,1); საქმე რამე (167,1); სიტყვა რამე (291,2); ხილი რამე (418,2); სევდა რამე (352,2; 1127,4); მოლი რამე (1276,3); ნიშანი რამე წყენისა (1505,3).

**მიცემითი** ბრუნვა, **პრეპოზიციური**: რასმე გონებასა (58,1); რასმე ქვეყანასა (183,1); რასმე ამბავსა (1364,2); რასმე საკვირველსა (1248,1); ტმესის მაგალითია შე-რასმე-ჰყვეს საუბარსა (895,1); **პოსტპოზიციური**: ქედსა რასმე (866,2); უცნობოსა რასმე (894,4); სიტყვასა რასმე (1228,3).

**ნათესაობით** ბრუნვაში გვხვდება **მიცემითის** ფორმით – **რასმე** და მხოლოდ **პოსტპოზიციურად**: საქმისა რასმე (1403,1); საქმის რასმე მდებელი (1235,2); ტევრისა რასმე კიდესა (430,1).

**მოქმედებითი** ბრუნვა: რამე ტანითა (1131,2); რამე ჭორითა (1290,3).

**ვითარებითი** ბრუნვა: უცხოდ რადმე (88,3; 793,3).

რამდენჯერმე „**რამე**“ გამოყენებულია სულიერ სახელთან, მათ შორის – ადამიანის სახელთანაც: ყმასა რასმე (108,1); რამე

ცხენოსანი (1227,4); რამე ცხენოსანი (196,2); მერანი რამე (204,2). აქ **რამე** არ განსხვავდება ფუნქციით ვინმე-საგან.

**ნარიან** მრავლობითში თუ სახელს ახლავს სხვა მსაზღვრელი, ის სრულადაა შეთანხმებული საზღვრულთან ბრუნვასა და რიცხვში, მათ შორის კი დგება „რამე“: დიდნი **რამე** სინათლენი (1225,2); უცხო-ნი **რამე** არენი (1330,3). ერთ მაგალითში სხვა პოსტპოზიციურ მსაზღვრელთანაც **რამე** წინ უსწრებს საზღვრულს: რამე ხენი ლაღნი (591,4); ხოლო ერთგან **რამე ნარიან** მრავლობითში დასმული საზღვრულის შემდეგ დგას: დღენი **რამე** (1014,1).

### **განსაზღვრული ნაწევრები და ჩვენებითი ნაცვალსახელები**

პრეპოზიციური წყობით გამოყენებული განსაზღვრული ნაწევრები – **ესე, ევე, იგი (ისი)** – იმდენად ჰგავს ჩვენებითს ნაცვალსახელებს როგორც ფორმით, ისე ფუნქციით, რომ ძნელია მათ შორის საზღვრის დადგენა. ლ. ბარამიძემ შენიშნა, რომ საშუალ ქართულში როგორც პრეპოზიციური, ისე პოსტპოზიციური „ატრიბუტული მსაზღვრელი ერთნაირად სრულად დაირთავს ბრუნვის აფიქსებს. გადახრა ნორმიდან ძალიან იშვიათია და უმეტეს წილად ემფატიკური ა-ს დაკლებაში გამოიხატება. იშვიათად მოკვეცილია ბრუნვის ნიშანიც, რაც ზოგჯერ შესაძლოა გვიანდელ გადამწერლებს ეკუთვნოდეს“ (ლ. ბარამიძე, 2008, 253). პოემაში განსაზღვრული ნაწევრები და ჩვენებითი ნაცვალსახელები გვხვდება **სახელობით, მოთხრობით, მიცემით, ნათესაობითსა და მოქმედებით** ბრუნვებში ორსავე რიცხვში. მათი ფუნქციაც ერთნაირია: აჩვენონ არსებითი სახელის **განსაზღვრულობა** (კონკრეტულობა). ვფიქრობთ, ნაწევრის შეკვეცილი ფორმების (**ეს, ევ, ის**) გამოყენებისას მათი ნაცვალსახელობა სადავო აღარ უნდა იყოს, მაგრამ გასათვალისწინებელია პოეტური ენის სპეციფიკაც – მარცვალთა რაოდენობისა და რიტმის დაცვის აუცილებლობა, რის გამოც ზოგჯერ სწორედ ერთმარცვლიან ფორმებს ენიჭება უპირატესობა. **ესე, ევე, იგი (ისი)** ნაწევრების (ან ჩვენებითი ნაცვალსახელების) ბრუნება უკვე შეცვლილია „ვეფხისტყაოსანში“ ძველ ქართულთან შედარებით, კერძოდ, გა-

მარტივებულია, აღარაა სრული შეთანხმება, ბრუნების ნორმებიც ახალია (იხ. ლ. ბარამიძე, 2008:253).

ნანევრები *ესე, ევე, ივი/ისი* პოემაში ორ-ორი ფორმით გვხვდება. ბრუნებადია საზღვრული, ხოლო მსაზღვრელი უცვლელია ირიბ ბრუნებში: *ესე/ამა, ევე/მაგა, ისი/იმა*. პოსტპოზიციურს სჭარბობს პრეპოზიციური რიგი, რამდენიმე მაგალითში კი ფუძის ბოლო ხმოვანიც დაკარგულია.

**ესე/ამა: ესე ამბავი/ლები ესე, ამა დღემან, ამა ბედსა, ამა ქვეყნისა, ამა გზითა; ესე კაცნი, ამა ცეცხლთა.**

**მხოლობითი** რიცხვი, **სახელობითი** ბრუნვა: ესე ამბავი (9,1; 82,1); ესე სამეფო (48,3); ესე სიტყვა (161,1); ესე წიგნი (170,1); ესე საქმე (228,4); ესე სენი (352,1); ესე თათბირი (384,1); ესე საზღვარი (600,3); **პოსტპოზიციური**<sup>1</sup>: ლები ესე ლებული (303,3).

**ამა:**

**მოთხრობით** ბრუნვასთან: ამა დღემან (298,1); ამა ყმამან (609,1).<sup>2</sup>

**მიცემით** ბრუნვასთან: ამა საქმესა (254,1; 680,2); ამა ჭირსა (860,4); ამა ბედსა (861,2); ამა დროსა (937); ამა ასმათს (650,3 – საკუთარ სახელთან).

**ნათესაობით** ბრუნვასთან: ამა მზისა (1142,4); ამა ამზისა (692,1); ამა გულისა (778,2); ამა ქვეყნისა (971,1); ამა წიგნისა (1088,1).

**მოქმედებით** ბრუნვასთან: ამა გზითა (305,2); ამა ქედით (622,4).

როცა საზღვრული სახელი **ვითარებით** ბრუნვაშია, ნაწევარი მიცემითში დგას: მას პაემნამდის (852,2).

**მრავლობითი** რიცხვი, **ნარიანი** ფორმა: ესე კაცნი (567,1); **თანინი** ფორმა: ამა ცეცხლთა (489,2).

<sup>8</sup> პოსტპოზიციურად გამოყენებული ნანევრების ზოგიერთი თავისებურება განხილული გვაქვს ბოლოს.

<sup>2</sup> ლ. ბარამიძეს დამონშებული აქვს ნანევრის სრული შეთანხმების ერთი მაგალითი ტექსტში: **ამან წიგნმან** (275,4).



*ეგე/მაგა: ეგე ამბავი/დღე ეგე, მაგა ცეცხლსა, მაგა ცხენისა, მაგა გულითა/დაშვენებითა მაგითა; ეგე სვეტნი, მაგა კაბათა.*

**მხოლობითი** რიცხვი, **სახელობითი** ბრუნვა: ეგე ამბავი (241,2; 1361,1); ეგე საქმე (1486,1; 1486,1); ეგე ღონე (240,1); ეგე სწავლა (904,1); **პოსტპოზიციური**: დღე ეგე (374,1); ბრძანებაა ეგე თქვენი (1163,3).

**მაგა:**

**მიცემით** ბრუნვასთან: მაგა ცეცხლსა (301,1); მაგა პირსა (749,1); მაგა მამაცობასა (910,2).

**ნათესაობით** ბრუნვასთან: მაგა ამბისა (234,4); მაგა სამხრისა (897,3); მაგა თქმულისა (929,1); მაგა ცხენისა (946,2); მაგა მოყმისა (1100,4); მაგა საქმისა (1101,2).

**მოქმედებით** ბრუნვასთან: მაგა გულითა (906,2); მაგა ქცევითა (935,3).

პოსტპოზიციურად გამოყენებული მსაზღვრელი ნაწევარი მხოლოდ ერთ შემთხვევაში ეთანხმება სრულად საზღვრულს მოქმედებით ბრუნვაში: დაშვენებითა მაგითა (961,3).

**მრავლობითი** რიცხვი, **ნარიანი** ფორმა: სინათლისა ეგე სვეტნი (821,4); **პოსტპოზიციური**: ლახვარნი ეგე (365,1); **თანიანი** ფორმები **მიცემითის** ფუნქციით: მაგა კაბათა არ აგხდით (486,2); **ნათესაობითის** ფუნქციით: მაგა ჭირთა დამთმობარი (258,3).

*ისი/იმა: ისი კაცი/ამბავი ისი, იმა კაცსა, იმა მოყმისა, იმა ყმისად; ისი სპანი, იმა ზანტა.*

**მხოლობითი** რიცხვი, **სახელობითი** ბრუნვა: ისი დიაცი (1092,1); ისი მთვარე (1134,2); ისი კაცი (1119,2; 1204,2); ისი ხელობა (1156,3); **პოსტპოზიციური**: ამბავი ისი (225,1).

**იმა:**

**მიცემით** ბრუნვასთან: იმა ტანსა (671,2); იმა ქედსა (907,1); იმა კაცსა (1107,2; 1110,3).

**ნათესაობით** ბრუნვასთან: იმა ყმისა (212,2; 264,3); იმა მოყმისა (259,1); იმა გველისა (1210,2); იმა ყმისად (250,2 – **ნანათესაობითარი** ვითარებითი).

**მრავლობითი** რიცხვი, **ნარიანი** ფორმები: ისი კაცნი გლატობენ (434,1); ისი სპანი (983,1); ვარდნი და ისი იანი (233,2); ისი ტყენი და ღრენია (203,1); **თანანი** ფორმები: იმა ზანგთა (1139,2); იმა ლაშქართა (1599,1).

**ესე/ევე/ისი**-სგან განსხვავებით, **იგი** ირიბ ბრუნვებში სრულად ეთანხმება საზღვრულს (პრეპოზიციური წყობის დროსაც): **იგი/მან/მას/მით**, მრ. – **იგი/მათ**.

**იგი/მან/მას/მის/მით**: **იგი ყმა, მან ქალმან, მას ხელმწიფესა/დღესა მას, მის ყმისა, მით სახითა/ტანითა მით, მას პაემამდის; იგი მტერნი, მათ ყმათა**.

**იგი (მხოლოდითი** რიცხვი, **სახელობითი** ბრუნვა): იგი მინდორი (78,1); იგი ყმა (115,3); იგი მოყმე (130,4); იგი მონა (176,4); იგი მზე (580,4; 1278,3); იგი პირ-მზე (148,3); იგი მთვარე (631,3); იგი სინათლე (36,3); იგი წვიმა (536,2); იგი მცნება (525,3).

**მან (მოთხრობითი** ბრუნვა): მან ყმამან (221,1; 1118,2); მან ქალმან (224,1); მან მზემან (1487,1);

**მას (მიცემითი** ბრუნვა): მას ყმასა (541,1; 1060,4); მას ხელმწიფესა (798,3); მას ლომსა (1346,1); მას დღესა (224,4); მას ფიცსა (852,1); მას მინდორსა (194,2); მას მონდომილსა (466,2); მას ღონე-გაცუდებულსა (470,2); **პოსტპოზიციური**: ნათელსა მას (582,1); დღესა მას (1121,1); შუქსა მას (1434,4); ქვაბსა მას (1497,1).

**მის (ნათესაობითი** ბრუნვა): მის ყმისა (94,1; 96,1; 153,1; 597,4); მის მეფისა (575,1); მის ამბისა (182,3); მის მზისა (150,3; 180,1; 719,2-3; 343,1); მის მთისა (184,3); მის ქვეყანისა (1061,4); **პოსტპოზიციური**: სიყვარულისა, მის ჩემგან დანერგულისად (1297,4); საქმისა, მის შენგან მონდომილისა (290,2).

**მით (მოქმედებითი** ბრუნვა), **პრეპოზიციური**: მით სახითა (305,1); **ნაწილაკიანი**: მითვე წესითა მაგითა (935,1); **პოსტპოზი-**

**ციური:** ძალითა მით ძლიერითა (1,1); ტანითა მით კენართა (59,1); ტანითა მით წერნეტითა (1409,3); პირითა მით ქაჯებითა (580,2); ხმითა მით სიხარულითა (1333,2); სიტყვითა მით ნარნართა (1423,3).

თანდებულიან ვითარებით ბრუნვაში დგას საზღვრული, მსაზღვრელი კი **მიცემითის** ფორმას იღებს: მას პაემნამდის (852,2).

**ნარიანი** მრავლობით რიცხვში მსაზღვრელი იგი მხოლობითის ფორმითაა გამოყენებული: იგი მზენი მზეთანი (487,3); იგი მტერნი (596,3); იგი ლომნი, იგი გმირნი (925,1); იგი ნათელნი (345,1); იგი არენი (345,3); იგი შამბნი (907,1); იგი ორნივე (83,1).

**მათ:** მოთხრობითის ფუნქციით: მათ ყმათა, მუნით წასრულთა, იგი დღე ერთგან იარეს (945,1); **მიცემითის** ფუნქციით: მათ პატიჟთა დაავინყებს ლხინი ესე აწინდელი (1636,3); დედოფალმან მათ ცოლ-ქმართა თვითო ხელი დაუჭირა (1634,1); მათ ბოზ-კუროთა ასეთი რა მისცეს, რა უქადესა? (574,3); მათ სამთავე ხელმწიფეთა ერთმანერთი არა სძულდეს (1663,1); ავთანდილ მიდგა, ეუბნა მათ კაცთა გულ-მდულარეთა (199,1); **პოსტპოზიციური:** ამბობდიან ჭირთა მათთა, ყველაკასა გაუცხადნეს (1639,4); **ნათესაობითის** ფუნქციით: მათ ქურდთა მიღმა (295,3); მათ კბილთა შესატყვისონი (719,3).

შემდეგ მაგალითებში **მათთა** ფორმა კუთვნილებითი ნაცვალსახელია და არა – ნაწევარი: მე მათთა არეთა არ მარონებენ (365,4); დავლანი მათთა სვეთანი (487,2); მათთა ცოლთა მოიძულვნეს (1075,4); მათთა ცოლთა მე წავასხამ (1123,2); შიგან მათთა საბრძანისთა (1664,4); **პოსტპოზიციური:** ტაიჭთა მათთა სიმაღლე (403,4); დარაჯათა მათთა ზედა გარდეკიდეს (1601,1); ხელი ჰხადეს ხრმალთა მათთა (1535,4); ამბობდიან ჭირთა მათთა (1639,4); ორგულთა მათთა დამწველად (1666,4).

გამოყოფთ შემთხვევებს, როცა საზღვრული **გაარსებითებული** ზედსართავი სახელი, მიმღეობა, რიცხვითი სახელი ან

ნაცვალსახელია. ნანევარი ამ დროს ისევე გამოიყენება, როგორც არსებით სახელთან.

**ზედსართავ** სახელთან: ვარ ვინმე ღარიბი (212,1); იგი ფლიდი (819,3); ისი ფლიდი (1150,3); მათ წყლიანთა (1407,2); **მიმლეობასთან**: ცან ესე მცნებული (476,1); მას მონდომილსა (466,2); მას ღონე-გაცუდებულსა (470,2); მის პატიჟ-გარდახდილისა (1359,3); მათ გაქცეულთა (452,1); სიტყვათა, მათ პირველ დანამტკიცართა (1448,2); **ნაცვალსახელთან**: იმ ყველასა (1038,4); **რიცხვით** სახელთან: მათ სამთა (1409,2).

რამდენიმე მაგალითში საზღვრული სახელი **თანდებულიანია**, ხმოვანფუძიანი ნანევარი კი, ჩვეულებრივ, წინ უსწრებს მას: **-თვის** თანდებულიანი **ნათესაობითი**: ამა დღისათვის მრცხვენოდეს (640,4); **-კე** თანდებულიანი **ნათესაობითი**: მათ ლაშქართაკე წავიდა (979,1); **-გან** თანდებულიანი **ნათესაობითი** (მრ. რიცხვში): მათ სპათაგან ვერ-შეპყრობა ცნეს (995,1).

რადგან „ვეფხისტყაოსანში“, ძველი ქართულისგან განსხვავებით, პოსტპოზიციური ნანევრები იშვიათად გვხვდება, მათზე ცალკე შევჩერდებით. პოსტპოზიციური წყობა როგორც განუსაზღვრელ, ისე განსაზღვრულ ნანევართან, მართალია, ძალზე შემცირებულია, მაგრამ პოემაში ჯერ კიდევ გამოყენებულია ორივე რიცხვში.

**განუსაზღვრელი** ნანევრები: **ერთი**: სახლი ერთი (1144,2); დღესა ერთსა (340,2; 391,1); სიტყვასა ერთსა (789,3); მზისა ერთისა (297,3); **ვინმე**: მოყმე ვინმე (84,1); ყმა ვინმე (103,2); მეფე ვინმე (270, 2); **რამე**: მადლი რამე (145,1); საქმე რამე (167,1); სიტყვა რამე (291,2); დღენი რამე (1014,1).

**განსაზღვრულ** ნანევრებთან მხოლოდ სახელობით ბრუნვაში გვხვდება პოსტპოზიციური **ესე** და **ეგე** ნანევრები, ხოლო **იგი** შებრუნებული წყობით საერთოდ არ დასტურდება: **ესე**: ლები ესე ლებული (303,3); **ეგე**: დღე ეგე (374,1); ბრძანებაა ეგე თქვენნი (1163,3); ლახვარნი ეგე (365,1). **ამა**, **მაგა**, **იმა** ფორმები, როგორც მოსალოდნელი იყო, პოსტპოზიციურად არაა გამოყენებული.

**მოქმედებით** ბრუნვაში ერთადერთ მაგალითში არის საზღვრულთან სრულად შეთანხმებული პოსტპოზიციური ნაწევარი: შენ დააშვენებ კეკლუცთა დაშვენებითა **მაგითა** (961,3).

შებრუნებული რიგი ბუნებრივია **ისი/მას/მის/მით** მსაზღვრელისთვის, რასაც განაპირობებს სრული შეთანხმების უნარი საზღვრულთან: ამბავი ისი (225,1); ნათელსა მას (582,1); დლესა მას ნავროზობასა (1121,1); შუქსა მას ბროლ-ბაკმათასა (1434,4); სიყვარულისა, მის ჩემგან დანერგულისად (1297,4); საქმისა, მის შენგან მონდომილისა (290,2); ძალითა მით ძლიერითა (1,1); ტანითა მით კენარითა (59,1); პირითა მით ქაჯებითა (580,2); ხმითა მით სიხარულითა (1333,2).

ვფიქრობთ, შეთანხმებული პრეპოზიციური და პოსტპოზიციური მსაზღვრელების ნაწევრობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რადგან სწორედ წყობა და შეთანხმების უნარი განასხვავებს მათ ნაცვალსახელებისაგან:

#### **ნაწევართა ხმოვანშეკვეცილი ფორმები**

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პოემაში ამ ტიპის პრეპოზიციური მსაზღვრელების ხმოვანშეკვეცილი ფორმები: **ეს/ამ, ეგ/მაგ, იმ**. მართალია, დასახელებული ფორმები „ვეფხისტყაოსანში“ ძალზე ცოტაა, მაგრამ მაინც მოწმობს ენაში განვითარებულ ტენდენციას, რომ პრეპოზიციური ნაწევარი ან ჩვენებითი ნაცვალსახელი თანდათან კარგავს ფუძისეულ ბოლო ხმოვანსაც. ჩვენი აზრით, ამით ის საბოლოოდ გადადის ჩვენებით ნაცვალსახელთა კლასში და აღარაა ნაწევარი.

#### **ეს/ამ**

**ეს:** ეს სამეფო (969,4); ეს საქმე (1261,1); ეს ჩემი დავედრებული (984,2).

**ამ:** ამ ამბავმან (1237,4); ამ საქმესა (177,1; 1492,1); ამ აღსა (398,2); ამ წელიწადსა წლეულსა (86,2).

#### **ეგ/მაგ**

**ეგ:** ეგ საუბარი (886,2); **მაგ:** მაგ საუბარსა (934,1); ქცევითა მაგ ოხერითა (887,2).

**ნათესაობითის** ფუნქციით **მრავლობით** რიცხვში: მაგ შენტა ჭირთა მრავალთა (637,4).

*ის/იმ<sup>1</sup>*

პოემაში ჩვენებითი ნაცვალსახელის **იმ** ფორმის მხოლოდ ერთი მაგალითია: ანუ დავხოც იმ ყველასა (1038,4).

ზემოთ ჩამოთვლილი ფორმები კიდევ ერთხელ ადასტურებს ახალი ქართულის დამახასიათებელ ენობრივ ერთეულთა არსებობას პოემაში.

**ორმაგი ბრუნების** დროს გვხვდება მრავლობითის ორივე ტიპი, მაგრამ ნაწევარი ეთანხმება **თანთან** ფორმას (**მათ**), რადგან სწორედ მას მიემართება და არა **ნართან** სიტყვას: პირველ ზნენი და საქმენი, ქებანი მათ მეფეთანი (1667,3); სახლად სამყოფნი მიმაჩნდეს თხათა და მათ ირემთანი (653,3).

ორიოდე მაგალითში ერთდროულად არის გამოყენებული განსაზღვრული და განუსაზღვრელი მსაზღვრელები. ვფიქრობთ, ასეთ შემთხვევებში **ერთი**, **ვინმე** და **რამე** განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებია: რიდიტა და მით ერთიტა ყაბაჩიტა (1148,2); ესე ხელი ვინმე მოყმე (301,3); მით რამე ხმითა წყნარითა (1140,2).

თუკი ერთი და იმავე ფორმით ორი **ერთგვარი** წევრია გამოყენებული, მაშინ მათთან განსაზღვრული ნაწევარი ხან პირველ საზღვრულთან დგას (იშვიათად), ხან – მეორესთან (უმეტესად). მაგალითად, ნაწევარი არის **პირველთან**: მოვინადირეთ მინდორი, ისი ტყენი და ღრენია (203,1); **მეორესთან**: ყმამან და მან ქალმან შაოსანამან (266,2); რიდიტა და მით ერთიტა ყაბაჩიტა (1148,2); ვარდნი და ისი იანი (233,2); თხათა და მათ ირემთანი (653,3). ნაწევრის გამოყენება მეორე სახელთან ზოგჯერ განპირობებული ჩანს მომდევნო მსაზღვრელის არსებობით (მაგალითად, მან ქალმან შაოსანამან).

ნაწევარი, როგორც წესი, **საკუთარ სახელთან** საჭირო არაა, რადგან სახელი ისედაც კონკრეტული და განსაზღვრულია.

---

<sup>1</sup> **ისი** ნაწევრის (ან ჩვენებითი ნაცვალსახელის) შეკვეცილი ვარიანტი (**ის**) ტექსტში არ გვხვდება.

პოემაში საკუთარ სახელთან დასტურდება არა მარტო განსაზღვრული, არამედ განუსაზღვრელი სემანტიკის მსაზღვრელის გამოყენების რამდენიმე შემთხვევაც. როცა *ერთი* ან *ვინმე* წინ უსწრებს საკუთარ სახელს, მაშინ ხაზი ესმება მის უცნობობას. მაგალითად, როსანი და როდია პირველად არიან ნახსენები: მას უსხენ წვრილნი ძმის-წულნი: როსან და ერთი როდია (1221,3); სხვა მაგალითში *ვისმე* გვიჩვენებს, რომ ეს პირი უცნობია: ტარიელს ვისმე უზახდა მნედ, თუცა არ ემნებოდა (232,3). ასმათი უხმობს ვილაც ტარიელს, რომლის შესახებ ავთანდილმა (და მკითხველმაც) ჯერ არაფერი არ იცის.

*ესე* საკუთარ სახელთან ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუნქციას ასრულებს: ერთაი ესე ასმათი და დამრჩეს ორნი მონანი (590,1). მომდევნო მაგალითებში *მას* და *მის* აკონკრეტებს სახელს და მიუთითებს მასზე, თანაც, მას მოსდევს პოსტპოზიციური მსაზღვრელი. **განკერძოებული განსაზღვრება:** თინათინისა, მის მზისა მონუნარისა (66,2); სარგის თმოგველსა, მას ენა-დაუშრომელსა (1669,2); **განსაზღვრებით დამოკიდებული** წინადადება: შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა (1669,2).

„ვეფხისტყაოსანში“ დასტურდება **გათიშული** ნაწევრებიც, თუმცა პოეტურ ნაწარმოებში მსაზღვრელის გათიშვა საზღვრულისაგან ხშირად განპირობებულია პოეტური ენის რიტმიკით. ტექსტში ნაწევარსა და სახელს შორის შეიძლება იდგეს ერთი სიტყვა (ზმნა, გენიტიური სახელი, ზედსართავი სახელი, ზმნიზედა ან ნაცვალსახელი), ზოგჯერ – მეტიც. გათიშულ ნაწევართა უმეტესობა სახელობით ბრუნვაშია, მხოლოდ რამდენიმე მაგალითია სხვა ბრუნვაში: **ერთი:** ერთი აილო ბეჭედი (385,3); **ვინმე:** ვინმე ღმრთისა მტერმან (576,1); **რამე:** რამე ეშმაკისა სიცრუვე და სიბილნეო (118,2);

**ესე:** ესე მეფისა ბრძანება (89,2); ესე წლეული მე წელი (167,2); ესე ხელი ვინმე მოყმე (301,3); ესე მეტად მომენონა თათბირი (546,1).

ტექსტის მიხედვით, **გათიშული** მსაზღვრელები ირიბ ბრუნვებში სრულად არ ეთანხმება საზღვრულს, გარდა **იგი** (მან/მას-/მის/მით) ფორმებისა:

**ამა:** ამა მამისა სწავლასა (51,1); ამა ფრიდონის თათბირსა (1391,1); ამა ჩემსა განზრახულსა (789,1);

**იმა:** იმა გველისა მზერასა (1210,10);

**იგი (მან/მას/მის/მით):** იგი შენი საძებარი (132,1); იგი ნაზარდი სოსანი (72,1); **მან:** მან შორით გარდახდომილმან (1536,1); **მას:** მას ალვისა მორჩსა (1424,1); მას გრძნეულსა ხელოვანსა (1276,1); მას ტურფასა საქებელსა (1049,2); მას აქამდის შენამტერსა (469,4); **მის:** მის ჩემგან მე უიცისა (523,4); მის უსახოსა სახისა (896,1); ბროლ-ბადახშისა თლილისა, მის მიჯრით მიწყობილისა (5,3); მის მელნის ტბისა თვალითა (394,4); მის ყველასა საჭურჭლისად (1502,2); **მით:** მით გეუბნებით ქებითა (970,2); მით რამე ხმითა წყნართა (1140,2).

**ნართანიან** მრავლობითში: **იგი/მათ** – იგი მე მომცენ რიდენი (496,1); იგი ალვისაც ხენია (616,4); მათ სამთა გმირთა მნათობთა (6,4); მათ ჩემთა პატიჟთა (1285,3); მათ სამთავე გოლიათთა (1535,2).

შემდეგ მაგალითში ნაწევარსა და საზღვრულ სახელს შორის ოთხი სიტყვაა: იგი ვარსკვლავთა ურიცხვი მოკრბეს ინდოთა სპანია (402,2).

როგორც განხილული მაგალითებიდან ჩანს, „ვეფხისტყაოსანში“ მსაზღვრელი ნაწევრები და ნაცვალსახელები (განუსაზღვრელი – *ერთი, რამე, ვინმე*, განსაზღვრული – *ესე, ეგე, იგი/ისი*) გამოყენებულია ორივე წყობით, მაგრამ თითქმის შეუძლებელია ზღვარის გავლება პრეპოზიციურ ნაწევარსა და ჩვენებით ნაცვალსახელს შორის სახელობით ბრუნვაში (ესე/ეგე ფორმებში), მით უმეტეს მაშინ, როცა ფუძე შეკვეცილია (*ეს/ამ, ეგ/მავ, ის/იმ*). ეს ფორმები (ახალი ქართულის მსგავსად) ირიბ ბრუნვებშიც ნაცვალსახელთა კლასის კუთვნილებად უნდა მივიჩნიოთ.



პოემაში ნანევრების ოდინდელი ფუნქცია მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია, მაგრამ ნყოფის თვალსაზრისით უპირატესობა ენიჭება პრეპოზიციას. ირიბ ბრუნვებში სრული შეთანხმება მხოლოდ ორიოდ მაგალითშია, ნანევრის ფორმა მოდუნებულია და ახალი ქართულის ჩვენებით ნაცვალსახელებს ემსგავსება.

„ვეფხისტყაოსნის“ ენაში დადასტურებულია განსაზღვრული ნანევრებისა და ჩვენებითი ნაცვალსახელების ფორმისა და პოზიციის ცვლილებები, დამახასიათებელი საშუალო ქართული-სათვის. გარდა ამისა, მსაზღვრელთა ნაწილი უკვე შეიძლება მოვიაზროთ ნაცვალსახელთა კლასში. ისინი უმეტესად პრეპოზიციურად გამოიყენება. მრავლობით რიცხვში საზღვრულის **ნარიან** ფორმასთან ნანევარი მხოლობითში დგას.

ყველა ამ ნიშნით „ვეფხისტყაოსანი“, როგორც საშუალო ქართულის ძეგლი, ასახავს გარდამავალ ვითარებას ძველსა და ახალ ქართულს შორის მსაზღვრელი ნანევრებისა და ნაცვალსახელების პოზიციის თუ ფორმის თვალსაზრისით. პოემაში შენარჩუნებულია მათი ფუნქციები – განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობისა და ლოკალური მიმართების ჩვენება, მაგრამ თითქმის შეუძლებელია ერთმანეთისაგან მათი გამიჯვნა.

ცხადია, პოეტურ ნაწარმოებში გრამატიკული მოვლენებიც მხატვრულ ჩანაფიქრს ექვემდებარება. რითმა და რიტმი ხშირად განსაზღვრავს ამა თუ იმ სიტყვის ფორმას. ამიტომ XII საუკუნის ქართულში ტექსტის მიხედვით თანხმოვანფუძიანი შეკვეცილი ფორმების *(ეს/ამ, ევ/მავ, ის/იმ)* უპირატეს გამოყენებაზე ლაპარაკი ძნელია, თუმცა მაინც უნდა აღინიშნოს მათი არსებობა.

## ლიტერატურა

- ლ. ბარამიძე, 1975** – ლ. ბარამიძე, ნანევერისა და ჩვენებითი ნაცვალ-სახელების ბრუნება საშუალო ქართულში: თსუ შრომები, თბილისი, 1975, ტ. 164, გვ. 15-30.
- ლ. ბარამიძე, 2008** – ლ. ბარამიძე, ქართული ენის ისტორიული გრამატიკის საკითხები (რედ. პროფ. დ. მელიქიშვილი), თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2008.
- ლ. ბარამიძე, 2009** – ლ. ბარამიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა (მასალები ძველი ქართული ენის გრამატიკისთვის), თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2009.
- ივ. იმნაიშვილი, 1955** – ივ. იმნაიშვილი, ნანევეარი ძველ ქართულში: თსუ შრომები, თბილისი, 1955, ტ. 61, გვ. 249-276.
- ივ. იმნაიშვილი, 1957** – ივ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1957.
- ზ. სარჯველაძე, 2004** – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა (ტექსტებითა და ლექსიკონითურთ), მე-2 შესწ. გამოცემა, თბილისი: საქართველოს მაცნე, 2004.
- ა. შანიძე, 1956** – ა. შანიძე, ვეფხის-ტყაოსნის ენის საკითხები: მოამბე (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია), 1956, ტ. XVII, 2, გვ. 177-184.
- ა. შანიძე, 1976** – ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1976.
- არნ. ჩიქობავა, 1966** – არნ. ჩიქობავა, ძველი და ახალი ქართულის კომპონენტებისათვის „ვეფხისტყაოსნის“ მორფოლოგიურსა და სინტაქსურ სტრუქტურაში: იკე, 15, 1966, გვ. 3-38.
- პ. ჯაჯანიძე, 1958** – პ. ჯაჯანიძე, ნანევეარი გურულსა და ქვემო აჭარულში: შრომები, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი, 1958, 18, გვ. 139-146.

## ტექსტი

**შოთა რუსთაველი**, ვეფხისტყაოსანი (სარედ. კოლეგია: ალ. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე), თბილისი: სახელგამი, 1957.

ABOUT THE DETERMINATIVE ARTICLES AND PRONOUNS IN THE  
VOCABULARY OF THE POEM “VEPKHISTKAOSANI”

Summary

In the **Old Georgian**, the articles usually expressed definiteness or indefiniteness and created a well-developed system. In the **Middle Georgian** the articles underwent certain changes in the forms and positions, which set the conditions for gradual diminishing of articles in the Modern Georgian.

In the poem “*Vepkhistaosani*” (“*The Knight in the Panther's Skin*”) the articles yet can be encountered with the both of their functions – as indefinite (*erti* – one, *rame* – something, *vinme* – someone) and as definite (*ese* – this, *ege* – this, *isi (igi)* – that), although pre-positioning prevails.

The indefinite article “*erti*” – “one” is mostly evidenced in pre-position in almost every case and the article “*vinme*” – “someone” as the post-position, standing with the human animate nouns; as for the article “*rame*” – “something” it is also post-positioned but with the inanimate and animate non-human nouns.

The definite articles and demonstrative pronouns are mostly used in pre-position *ese* – this: *ese ambavi*, *ese kacni*; *ege* – this: *ege sakme*. *isi (igi)* – that: *isi diaci*, *igi qma*, in the oblique cases all of these articles are of vowel stems and do not coincide with the definable noun:

*ese*→*ama*: *ama dyeman*, *ama bedsa*, *ama gzita*, *ama cecxla*;

*ege*→*maga*: *maga cecxlsa*, *maga cxenisa*, *maga gult*;, *maga kabata*;

*isi*→*ima*: *ima kacsas*, *ima moqmisa*, *ima zangta*.

Only the determinative *igi* (pronoun) is declinable: *igi qma*, *man kalman*, *mas xelmçifesa*, *mis qmisa*, *mit saxita*, *mat qmata*.

The forms of those articles and pronouns in *Vepkhistaosani* are simplified. There are some examples of stems with reduced vowel: *ese*→*es* (*es samefo* – this kingdom); *ama*→*am* (*am ambavman* – this news, *ama*

*saqmeman – this deed*); *ege→eg* (*eg saubari – that talk*): *maga→mag* (*mag saubarsa*); *ima→im* (*im qvelasa*).

The determining articles and pronouns rarely, but are yet used with the personal nouns, when indefinite is emphasized (*erti Rodia – someone Rodia*; *tariels visme – to someone Tariel*; *ese asmati – this Asmat*), or when the nouns are additionally specified. Some detached determinatives are also evidenced in the text of the poem though in the form not coordinated with the corresponding noun.

It seems difficult to merge definite articles and demonstrative pronouns in the poem text, as being pre-positioned, they show no difference especially when the final vowel of the stem is reduced. We suppose that such reduced forms, given in the poem, are considered as pronouns but as for the post-positioned determinatives and coordinated forms, they should be regarded as articles.

The text of “Vepkhistkaosani” provides us more evidences in favor of the opinion that considering the usage of articles, in the Middle Georgian we have the rudiment of the situation characteristic for the **Modern** Georgian.

### კონცეპტ „ქართული ენის“ ნომინაციური ველი

კონცეპტის, როგორც მენტალური ერთეულის, ობიექტივაციის საშუალებათა ერთობლიობას კონცეპტის ნომინაციურ ველს უწოდებენ. იგი განსხვავდება ლინგვისტიკაში ტრადიციულად გამოყოფილ იმგვარ ლექსიკურ დაჯგუფებათაგან, როგორცაა: ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები, ლექსიკურ-სემანტიკური, ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური თუ ასოციაციური ველები. განსხვავებას ქმნის ნომინაციური ველის კომპლექსური ხასიათი, იგი მოიცავს ყველა ჩამოთვლილ დაჯგუფებას და, ამასთანავე, თავად არ წარმოადგენს ენობრივი სისტემის სტრუქტურულ ჯგუფს. კონცეპტის ნომინაციური ველი არის მკვლევრის მიერ მოწესრიგებული ნომინაციურ ერთეულთა ერთობლიობა, რომელიც აერთიანებს არა მხოლოდ არსებითს სახელებს, არამედ მეტყველების ყველა ნაწილს (ვ. პოპოვა, ი. სტერნინი, 2010:68).

ჩვენი კვლევის საგნად კვლავ რჩება ქართველთა ეროვნული ცნობიერების შემქმნელი კონცეპტური სქემები, რომლებშიც განსაკუთრებული ადგილი უკავია ენას. ქართულ ენას რომ ლინგვოკულტურული კონცეპტის სტატუსი ეკუთვნის, ამის დასტურია მთელი ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობა და თვით ქართული დისკურსი, რომელშიც იგი სინონიმთა ფართო წრითაა წარმოდგენილი. აღნიშნული კონცეპტის ნომინაციური ველის სახელწოდებად და საკვანძო რეპრეზენტანტად თავად „ქართული ენა“ ავირჩიეთ, როგორც ყველაზე ხშირი გამოყენების სტილისტიკურად ნეიტრალური მყარი შესიტყვება. მიუხედავად იმისა, რომ შესასწავლი კონცეპტის ზოგიერთი სისტემური სინონიმი, მაგალითად, „დედაენა“, ემოციური შეფერილობით „ქართულ

ენაზე“ მეტია, ხოლო ემოციური მიმართების ქონა კონცეპტის ერთ-ერთი დეფინიციური ნიშანია, სახელდების დროს უფრო მნიშვნელოვნად მაინც მოცულობა და კონკრეტულ ლინგვოკულტურაზე მითითება მივიჩნიეთ.

აღსანიერი კონცეპტის პირდაპირი ნომინაციის საშუალებებად ქართულ დისკურსში გამოვლინდა შემდეგი ენობრივი ერთეულები: მყარი შესიტყვებები – „ქართული ენა“ და „მშობლიური ენა“; სასაუბრო ენაში – უბრალოდ „ქართული“; ლექსემები – „სიტყვა“, „მეტყველება“; დეიქტური სიტყვათშეთანხმებები: „ჩვენი ენა“, „ჩვენი მეტყველება“, „ჩვენი სიტყვა“; „ქართული მეტყველება“; „ქართული საუბარი“, „ქართული სიტყვა“; მეტაფორული ნომინაცია „დედაენა“.

სახელდობრ საკვანძო რეპრეზენტანტის დერივაციული ველი ერთადერთი წევრით შემოიფარგლება, ეს დერივაცია **ქართულენოვანი**, თუმცა კონცეპტის პირდაპირი ნომინაციის სხვა საშუალებების ფუძეთა მონაწილეობით გვხვდება არაერთი თხზული თუ წარმოქმნილი სახელი: **ტკბილქართული, მოქართულე, ჩიქორთული, დედაქართული**. აქვე უნდა დავასახელოთ ისეთი ენობრივი ერთეულებიც, როგორცაა: **ენამზე (ენამზეობა), ენამოთაფლული, ენამოქარგული, ენამჭევრი (ენამჭევრობა), ენაწყლიანი (ენაწყლიანობა), სიტყვანწყლიანი (სიტყვანწყლიანობა), სიტყვიერება, ზეპირსიტყვიერება, მჭევრმეტყველი (მჭევრმეტყველება), დედაენა, დედაენობრივი** და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი ჯგუფის სიტყვათა სტრუქტურაში **ქართული** არ ფიგურირებს და ყოველი მათგანი ნებისმიერ ენას ან ამ ენაზე მოლაპარაკეს შეიძლება მიესადაგოს, ისინი, უპირველეს ყოვლისა, ქართულ ენას უკავშირდება და ამიტომაც მათი განხილვა აღსანიერი კონცეპტის დერივაციულ ველში სავსებით კანონზომიერად მიგვაჩნია. ამ მოსაზრებას გვიმყარებს ისიც, რომ დასახელებული სიტყვები ქართული სიტყვათქმნადობის, ქართული სიტყვათშემოქმედების შედეგია.

ნებისმიერი კონცეპტის სრული დახასიათებისათვის მნიშვნელოვანია მისი საკვანძო რეპრეზენტანტის მონანილეობით შექმნილი ფრაზეოლოგიზმებისა და პარემიების შესწავლა, რაც, ჩვენს შემთხვევაში, ექსპერიმენტულ კვლევას მოითხოვს, რადგან უშუალოდ **ქართული ენა** არც ერთ პარემიულ ერთეულში არ გვხვდება. საინტერესო იქნება გამოკითხვის შედეგად დადგინდეს, ქართული ლინგვოკულტურის ნევრები ანდაზურ თქმებსა თუ მყარ შესიტყვებებში გამოყენებულ **ენასა** და მასთან დაკავშირებულ სიტყვებს რამდენად აიგივებენ **ქართულ ენასთან**, მით უფრო, რომ ასეთ ფორმულათა უმრავლესობა უნივერსალური შინაარსისაა და მათ ანალოგები არაერთ ენაში ეძებნება. ეს, თავის მხრივ, განპირობებულია იმით, რომ ისინი, ზოგადად, ენის ფუნქციონირებას, სტერეოტიპულ საკომუნიკაციო სიტუაციებს აღწერენ, მაგალითად, „ენას ძვალი არა აქვსო, სიტყვას ბაჭი არა აქვსო“, „ჩემი ენა – ჩემი მტერი, იგივე მეგობარი ჩემი“, „ყარყუმი რამ მოკლა და თავისმა ენამაო“, „სიტყვა ბარაქიანიო, საქმე ტალახიანიო“, „როცა სიტყვა ხშირდებაო, მაშინ საქმე მცირდებაო“ და სხვ. ამ ტიპის ქართულ მასალაში უხვად გვხვდება რჩევები საუბრის თავაზიანად წარმართვის შესახებ, ქართული პარემიები კრძალავენ სიტყვით შეურაცხყოფას, თანამოსაუბრის გულსტკენას – „ტკბილი სიტყვით მთას ირემი მოინველაო“, „ჩხუბში ისეთ სიტყვას ნუ იტყვი, რომ შერიგებისას შეგრცხვეს“; „გული გაიჭრის სიტყვითა, ვითა აღმასის დანითა“, „ენისა დანაკოდარი ხრმლისაგან უარესიაო“ და ა. შ. ბევრ ანდაზაში ასახულია საუბრის წარმართვის წესები, მაგალითად, სიტყვის უპირატესობა უსიტყვო მოქმედებასთან შედარებით: „უთქმელის პური მთქმელმა შეჭამაო“, „ვინცა ენეჭარტალიო, მისი სიტყვა მართალიო“, „ენა ვისაცა აქვს, ყოფაც იმასა აქვსო“ და სხვ. ქართულ პარემიებში მოსმენის, დუმილის უპირატესობის შესახებაც ვხვდებით გამონათქვამებს: „ყბედი ვინ მოლალა და მუნჯმაო“, „კბილი ენის კლიტეაო“ და სხვ. სიტყვისადმი განსაკუთრებული სიფრთხილით მოპყრობას გვიჩვენებს ანდაზები: „ისარი და

თქმული სიტყვა, გასტყორცი, არ დაბრუნდება“, „ყველაფერი როგორც არ იჭმება, ისე არც ითქმება“, „პირზე მომდგარსა სიტყვასა განა ყველასა თქმა უნდა?!“ „დიდი ქვეყანა მოუნვაგს ენასა მაბეზლარასა“, „კაცი თავისი ენით პატივს კიდევაც დაიყრის და კიდევაც აიყრის“, „თავში კაკუნი ვინ მიყო და ჩემმა ენამო“ და სხვ. ქართულ პარემიოლოგიურ ფონდში დაცულია ინფორმაცია საუბრის აგების ტიპობრივ შეცდომათა შესახებ: „ვინც თქვა „ანი“, „ბანიც“ უნდა თქვასო“, „ვინც თავი არა თქვა, ბოლო არ იყო“, „კაცი რომ სიტყვას ღეჭვას დაუნყებს, იმას არ დაეჯერებო“. კომუნიკაციური თვალსაზრისით საინტერესოა ის ფაქტი, რომ ანდაზების ნაწილში მთქმელისათვის განკუთვნილ რეკომენდაციებს ვხვდებით, ნაწილი კი მსმენელის გაფრთხილებას ისახავს მიზნად. პირველი რიგის მაგალითებია: „ურაკუნე კედელსაო, ელაპარაკე რეგვენსაო“, „გიჟს ნურც რას ეტყვი, ნურცა რას ათქმევინებ“, „ავ თვალს კარგს ნურას უჩვენებ, ავ ყურს კარგს ნურას ეტყვიო“; მსმენელს აფრთხილებენ შემდეგ ანდაზებში: „ენის წვერზე შაქარიო, ენის ძირში ხანძარიო“, „ენაზე თაფლი სდის და გულში შხამი აქვსო“ და სხვ.

პარემიებსა და ფრაზეოლოგიზმებში გამოხატული კომუნიკაციის წარმართვის წესთა ნაწილი ზოგადია, მაგრამ ნაწილი უდავოდ ეროვნული სპეციფიკის მქონეა. მათში ასახული პრესკრიფციული ასპექტი სრულ წარმოდგენას გვიქმნის ეროვნულ სამეტყველო ეტიკეტზე, რომელიც ჩამოყალიბებული და დადგენილია საუკუნეთა განმავლობაში (ს. ომიადე, 2009:60-62).

ზემოთ ექსპერიმენტული კვლევა ვახსენეთ და მისი წარმართვისას მთავარ მიმართულებად უნდა იქცეს იმის დადგენა, ამ ფონდებში დაცული ინფორმაცია რამდენად აქტუალური და გასაზიარებელია თანამედროვე ენის მატარებელთათვის (აღნიშნულის უგულებელყოფამ კონცეპტის აღწერისას გარკვეული ტიპის შეცდომები შეიძლება გამოიწვიოს), თორემ კვლევის გარეშეც უდავოა, რომ ენასთან დაკავშირებული სიტყვის მასალა კონცეპტ „ქართული ენის“ ნომინაციურ ველში უნდა გაერთიან-



დეს, რადგან მასში შენახული ინფორმაცია ქართული ლინგვო-კულტურის წარმომადგენელთა კომუნიკაციურ ცნობიერებასა და მის შემადგენელ ენობრივ ცნობიერებაში ნაწილდება. იგი ისეთივე დასაყრდენია ქართული „ენობრივი პიროვნების“ ცნობიერებისათვის, როგორც ეროვნული ენა – ეროვნული იდენტობისათვის. ამასთანავე, მთლიანობაში ხალხის კომუნიკაციური ცნობიერება (ენობრივ და წმინდა კომუნიკაციურ ასპექტებთან ერთობლიობაში) „ინტეგრალურ შემადგენელ ნაწილად შედის ერის კოგნიტიურ ცნობიერებაში, წარმოადგენს რა ხალხის საერთო კოგნიტიური ცნობიერების კომპონენტს“ (ი. სტერნინი, 2005:145).

მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ კონცეპტ „ქართული ენის“ ნომინაციურ ველში დომინანტურია ხატოვანი კომპონენტი, რომელიც ადამიანთა მიერ ქართული ენისადმი გრძნობითი მიმართებების გამოვლენით იქმნება. იშვიათია საგნობრივი დენოტატის უქონელი კონცეპტი, რომელსაც ისეთი სრულყოფილი პერცეფციული ხატი აქვს, როგორც „ქართულ ენას“ ქართულ დისკურსში. ქართული ენა ქართველს ხუთივე ძირითადი გრძნობით აქვს განცდილი.

**მხედველობითს აღქმას** უკავშირდება ქართული ენის მსაზღვრელებად გამოყენებული სიტყვები: მშვენიერი, ლამაზი, გასხივოსნებული, მოქარგული, მოხდენილი ... პოეტურ-შემფასებლური კონტექსტები: „ზღვა როა! – იმოდენაა“; „ოღონდ არ უნდა დაჰკარგო / ქართული სიტყვის ნათელი“; „ენა რომ არა, ისიც ასეთი, როგორც იტყვიან: ყალმით ნახატი!..“; „სიცოცხლეც მარტო იმიტომ მინდა, / რომ ჩემს საფლავზე / ყაყაჩოსავით / ჰყვაოდეს სიტყვა, ქართული სიტყვა“ (მ. მაჭავარიანი); ვიზუალურ ხატთა ჯგუფი საგრძნობლად ივრცობა **ქართულ ანბანთან** და **იაკობ გოგებაშვილის „დედა ენასთან“** დაკავშირებულ კონტექსტთა ხარჯზე, რომლებიც კონცეპტ „ქართული ენის“ სიმილარებს წარმოადგენენ. სიმილარებად იწოდებიან ის ლექსემები, რომლებიც ენის მატარებელთა ენობრივ ცნობიერებაში კონკრეტულ კონცეპტთან

სემანტიკურად ახლოს დგანან, თუმცა, ტრადიციული მიდგომით, სინონიმებს არ წარმოადგენენ (ტერმინი **სიმილარები** ა. ზალევსკაიას ეკუთვნის – ა. ზალევსკაია, 1977). მოგვყავს რამდენიმე მაგალითი: „დედაენა, სიბრძნის ნიგნი, / მოჩუხჩუხე ცხრა წყარო / აი ია, აი თითი, / აი მთელი სამყარო“ (ლ. ნუცუბიძე); „ნიგნი ჩვენი, ჩვენი დედა, / ჩვენი ენა ქართული, / ვარდნაბამი ფურცელი, / ჩვენს ყრმობაში ჩართული!“ (გ. ლეონიძე); გალაკტიონის ლექსში „ჰიმნი ქართულ ანბანს“ ვკითხულობთ: „შენ, რომელიც მარად მზეებზე გვინათ ... / შენ სიძველის გმოსავს ნელი ხავსი, / ქვაზე ჭრილი ხარ ჩუქურთმის მსგავსი“ და სხვ.

**შეხებითი აღქმის** ილუსტრაციაა „ქართული ენის“ შემდეგი მსაზღვრელები: ალერსიანი, ნაზი, თბილი... ტაქტილური პოეტური ხატები ქართული ენის დედასთან დაკავშირების შედეგია. ამავე ჯგუფში ერთიანდება განსახილველი კონცეპტის მხატვრული ნომინაციები „დედაენა“ და „დედაქართული“.

**გემოით აღქმას უკავშირდება** ისეთი სიტყვები და გამოთქმები, როგორცაა: ენატკბილი, ტკბილქართული, ენამოთაფლული. მხატვრულ კონტექსტებში ხშირად ერთადაა წარმოდგენილი ადამიანის მიერ სხვადასხვა გრძნობითი ორგანოთი აღქმული და ნაგრძნობი ქართული ენა. საილუსტრაციოდ მოვიხმობთ ნანყვეტს ფრიდონ ხალვაშის ნაწარმოებიდან „შეიძლება თუ არა მუსლიმანი იყოს ქართველი“: „– ეფენდი, მე მოლა ვარ, მოლა. ჰა-მა მაგარი ქართველი ვარ, ესენა იცოდეთ მემლექეთელმა ქართველებმა. აქ ისტამბულში, ერთი ქართული კათოლიკების ქილისაა (ეკლესია), იქაც ვიარები; მღვდელი იაკობაი მყავს იბრეთი (გადასარევი) ძმაკაცი და ე, იმასთანა ვლოცვილობ. ე, იაკობაი მღვდელი რომაა, მე და ის ერთად ვლოცვილობთ იმ ქილისაში ქართულად. ასე **გემრიელი** თუ იყო და ამფრათ იქნებოდა **ქართული ლოცვაი! სიტყვები** ვითამ **ხაოიანია**, – **ჭიბოშანივით მფხანს გულს**“. დამონმებულ ეპიზოდში მწერალი მუსლიმანი ბერიკაცის ქართული ენისადმი დამოკიდებულებას გემოითი, შე-

ხებითი და სმენითი აღქმის ერთობლიობით გვიხატავს, რითაც შთამბეჭდავ პასაჟს ქმნის.

ქართული ენის **ყნოსვით შეგრძნების** შედეგია ქართულ დისკურსში იმგვარი შესიტყვებების არსებობა, როგორცაა: „სიტყვის სურნელი“, „სიტყვის სურნელება“, „სიტყვის ქართული სურნელი“. მოვიყვანო რამდენიმე მაგალითს: „ქართული მხატვრული სიტყვის სურნელს იგი (გ.ლეონიძე) სწორედ ხალხური შემოქმედების წიაღში ეძებს“ (მ. ოღრაპიშვილი); „მწერლის სიტყვის სურნელი“, „ოტიას სიტყვის სურნელი“ (ე. ერაძე); „ივანე გომართელი იოსებ გრიშაშვილს უაღრესად ეროვნულ მგოსნად თვლის, რომლის პოეზიის ყოველ სტრიქონსა თუ სიტყვაში ქართული ლექსის საკმევლის სურნელება იგრძნობა“ (ნ. კობახიძე) და სხვ. ამ ერთეულთა მონაწილეობით შექმნილ კონტექსტთა უმეტესობაში მხატვრულ ენასა და მხატვრული სიტყვის ავტორებზე საუბარი, თუმცა რაც ქართულ ლექსსა და ქართულ ლიტერატურაზე ითქმება, ყველაფერი კონცეპტ „ქართული ენის“ ნომინაციური ველის შემადგენელია. დავიმონებთ კიდევ ერთ მაგალითს აღმოსავლეთმცოდნე ალექსანდრე ელერდაშვილის ტექსტიდან „მანდილი-კუჭურა“ („ლინგვისტური წიაღსვლები“): „ამ ძებნა-ძებნაში გავიგე, რომ ქალის სხვა თავსაბურავიც ყოფილა გავრცელებული მთიან რეგიონებში – კუჭურა... მანდილი – შალი – სუფრა – ბაღდადი... პლატოკი თუ კასინკა... ყველა ეს „ინტერვენტი“ სიტყვა მშვენივრად ვიცოდი, მაგრამ არ ვიცოდი ჩვენი, ნამდვილი, კარგი, თბილი, **ქართული სურნელის შემომნახავი სიტყვა ... „კუჭურა“**“.

ქართული ენის **სმენითს აღქმას** გვიდასტურებს შემდეგი მსაზღვრელები, შესიტყვებები თუ მხატვრული კონტექსტები: კეთილხმოვანი, ჟღერადი, ლამაზად მბგერი, საამო მოსასმენი... „მსოფლიოში განთქმული / ტკბილი და საამური, შენი ენა – ქართული“ (ა. მეგრელიშვილი); „ხან ყვაველების ნელი შრიალი, ხან იადონთა ხმატკბილი სტვენა“, „საამო როგორც შრიალი ხეთა“ (ი. ნონეშვილი). მუსიკას ადარებს ქართულ ენას სრულიად სა-

ქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II: „ქართული ენა – ეს არის მუსიკა, მაგრამ არა მიწიერი, არამედ ზეციდან გარდამოსული სულიერი მუსიკა! იგია ჩვენი ერისა და ქვეყნის გადამრჩენი“.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ დასახელებული ყოველი დებულების საილუსტრაციოდ ქართული დისკურსი დიდძალ მასალას შეიცავს, რომლიდანაც ჩვენ მხოლოდ მცირედი გამოვიყენეთ და მოკლედ მიმოვიხილეთ კონცეპტ „ქართული ენის“ ნომინაციურ ველში შემავალი საკვანძო რეპრეზენტანტი, მისი სისტემური სინონიმები, დერივაციული ველი, პარემიოლოგიური ფონდის ნაწილი და პერცეფციულ ხატში რეალიზებული ხატოვანი კომპონენტი, მაგრამ ამით კონცეპტის აღწერა მხოლოდ იწყება. მის შედგენილობაში გამოიკვეთა საინფორმაციო, ენციკლოპედიური, პრაგმატიკული თუ სხვა ზონები. კონცეპტის ნომინაციურ ველში ერთ-ერთ განსაკუთრებულ უბნად წარმოჩნდა, პატრიარქის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქართული ენა, როგორც ჩვენი ერისა და ქვეყნის გადამრჩენი“. ამ უბნის შესწავლას ჩვენ უკვე შევუდექით და კვლევის შედეგებს უახლოეს მომავალში წარმოვადგენთ.

#### **ლიტერატურა:**

- ა. ზალევსკაია, 1977** – Залевская А.А., Проблемы организации внутреннего лексикона человека, Калинин, 1977.
- ს. ომიადე, 2009** – ს. ომიადე, ქართული დისკურსის კულტუროლოგიური პარადიგმა, თბილისი, 2009.
- ვ. პოპოვა, ი. სტერნი, 2010** – Попова З.Д., Стернин И.А., Когнитивная лингвистика, Москва, 2010.
- ი. სტერნი, 2005** – Стернин И.А., Язык и национальное сознание // Логос, 2005, №4, С. 140-155.

**NOMINATION FIELD OF THE CONCEPT “GEORGIAN  
LANGUAGE”**

Summary

We have chosen as a name of the nomination field and the key representative of the concept to be studied “Georgian Language”, as stylistically neutral stable collocation which is mostly frequently. Though several system synonyms of the concept to be described (e. g. “Dedaena” [Mother Language]) are more than “Georgian Language” with their emotional coloring, and having emotional attitude are certain definitive signs of a concept, while naming we deemed that the volume and reference to a concrete linguoculture are more important.

The key representative, contained in the nomination field of the concept “Georgian language”, its system synonyms, derivative field, part of the paramiology fund and the figurative component, realized in the perceptual image are overviewed in the given article. The concept having no objective denotation, which has such a perfect perceptual image, as “Georgian Language” in Georgian discourse is seldom observed. The Georgian language has been felt by the Georgians with all their five senses.

Informational, encyclopedic, pragmatic, etc. zones have been outlined in the concept structure, the results of the study of which we shall submit in the nearest future.

**-და ბოლოსართის შედგენილობის საკითხისათვის  
ქართულსა და ზანურში**

ქართულ ენაში ზოგ ნაცვალსახელურ ძირთან, აგრეთვე მთელ რიგ ფორმებში საშუალი და ძველი ქართულიდან, დასტურდება **-და** სუფიქსი. ა) **-და** ბოლოსართი დაერთოდა ნაცვალსახელურ ფუძეებს (ბრუნვის ნიშნის გარეშე): **ჩემ-, ჩუენ- შენ-, თქუენ-**: „რომელსა სირცხვლ უჩნდეს **ჩემდა მომართ**“ (ლ. 9, 26); „ითქუენს **ჩუენდა მომართ ჩუენისა მოძღურისაგან**“ (აპოკრ., 55, 15); „მოვიდე **შენდა**“ (მცხ. ხ., I, 8, 18); „რაჟამს ჰყოთ ყოველი იგი ბრძანებული თქუენდა **მიმართ**“ (ლ. 17, 10)... ბ) ჩვენებით ნაცვალსახელს ნათესაობით ბრუნვაში (მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში):

„**ამისდა** ნაცვლად რა გვიყოფიეს“ (სწავლ. საბა, III, 172); „ხოლო თქუამცა თუ ვინმე **მისდა მიმართ**“ (აბუკ., 28); „ხოლო უკუეთუ ვინმე იბრძოლებს **ამათდა მომართ**“ (აბუკ., 157); „ზრახვიდა **მათდა მიმართ**“ (საქმე, 12, 21)...

გ) არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას (უაღრესად იშვიათად):

„არამცირედი საფასე მიეც **მონასტრისდა**“ (ძქალძ, II, 177); „მხოლოდ მამბრალობელად ოდენ **კპრილესდა, იოვანესდა...**“ (აბუკ., 45)...

**-და** სუფიქსი ზანურში მხოლოდ ნაცვალსახელურ ფუძეებს დაერთვის: **ჩქიმ-და, სქან-და, ჩქინ-და, თქვან-და** (არნ. ჩიქობავა, 1936:75-76). ფუნქციურად, **-და** ბოლოსართიანი ფორმა „მიმართულებითი ბრუნვის“ ალომორფია: შდრ.: „**სქან-და**“ – „**კოჩ-იმა**“...

ამჟამად ქართულსა და ზანურში ამ ერთგვარსუფიქსიან ფორმებს ფუნქცია ნაწილობრივ განსხვავებული აქვთ: ქართუ-

ლად მეტყველი არქაულ შესიტყვებას – „შენდა მოვალ“ – ამჯობინებს სხვა თანდებულებას („შენ-თან“, „შენ-კენ“) ფორმების ხმარებას; თუმცა ძველ სალიტერატურო ქართულში **-და** სუფიქსი სემანტიკური თვალსაზრისითაც სრულად თანხვედრა ზანურის შესაბამის ბოლოსართს.

**-და** სუფიქსს თანდებულად მიიჩნევენ ნ. მარი (ნ. მარი, 1925:27-28), ი. იმნაიშვილი (ი. იმნაიშვილი, 1956:491-495).

ვ. თოფურია, არნ. ჩიქობავა **-და** სუფიქსს შლიდნენ **-დ**, **-ა** ელემენტებად, რომელთაგან **-დ** ვითარებითის ნიშანია, **-ა** კი – ემფატიკური ხმოვანი (ვ. თოფურია, 1937:179-183; არნ. ჩიქობავა, 1956:20)...

გ. კლიმოვი **-და**-ს ზანურსა და ქართულში ამ ორი ენის ერთიანობის დროინდელ სუფიქსად მიიჩნევს. ამოსავალი, მისი აზრით, უნდა ყოფილიყო რთული **-ად-ა** ფორმა, რომლისგანაც მივიღეთ, ერთი მხრივ, **-ად**, მეორე მხრივ – **-და** სუფიქსები (გ. კლიმოვი, 1962:69).

კ. დანელიამ გამოთქვა მეტად საინტერესო ვარაუდი: ძველ ქართულში უნდა არსებულიყო ცალკე, დამოუკიდებელი მიმართულებითი ბრუნვა, რომელსაც ოდენ **-დ** აწარმოებდა, და ასევე, დამოუკიდებელი ვითარებითი ბრუნვა, რომელსაც **-ად** სუფიქსი გამოხატავდა (კ. დანელია, 1992:120).

საფუძველი ამ მტკიცებისა გახლავთ თ. შარაძენიძის მიერ გამოყოფილი ვითარებითი ბრუნვის ძირითადი ფუნქციები (1. ადგილის/დროის/მიმართულების გამოხატვა; 2. ვითარების-/მოდალობის გამოხატვა), რომლებიც ორ ჯგუფში ერთიანდება (თ. შარაძენიძე, 1956:410).

კ. დანელიას მიაჩნდა, რომ თუკი ვითარებით ბრუნვას თავიდანვე ორი ძირითადი ფუნქცია (1. **ადგილი/დრო/მიმართულება**; 2. **ვითარება/მოდალობა**) ჰქონდა და ვერც ერთი მათგანი ერთმანეთისგან არ გამოიყვანება, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ამოსავალშივე ორი ბრუნვა გვქონდა – მიმართულებითი და ვითარებითი (კ. დანელია, 1992:122).

კ. დანელიას თვალსაზრისს ერთი შეხედვით მხარს უჭერს **-დ**, **-ად** ალომორფთა განაწილების ერთი საინტერესო კანონზო-

მიერება: **-დ** სუფიქსი „მიმართულებითი **ბრუნვის**“ ფუნქციით (მიმართულების გამოსახატავად) გვხვდება არა მხოლოდ ხმოვანფუძიანებთან, არამედ თანხმოვანფუძიანებთანაც (**„კაფარ-ნაუმდ“**, **„ჭურიასტანდ“**, **„იზრაელდ“**, **„გალაადდ“**, **„აფესდ“**...), სადაც ის თითქოსდა მოსალოდნელი არ არის, თუკი ამოსავალ ფორმად მივიჩნევთ **-ად** სუფიქსს.

კ. დანელია ცდილობს, ახსნა მოუძებნოს გამონაკლისებს: მისი აზრით, **-ა** სუფიქსის ხმარება **-ეთ (-ით)** დაბოლოებიან სახელებში მეორეულია: თავდაპირველად უნდა ყოფილიყო **-დ** ნიშნიანი ფორმები (**„ნაზარეთდ“**, **„გენესარეთდ“**; გვიანდელი – **-ად** ნიშნიან (**„ნაზარეთ-ად“**) და **-ად-ის** გამარტივებით მიღებული **-ა** ნიშნიან (**„ნაზარეთ-ა“**) ფორმებთან შედარებით (კ. დანელია, 1992:128).

**-დ**, **-ა** სუფიქსთა ისტორიული ჩანაცვლების ამგვარი გზა, ჩვენი აზრით, ნაკლებ სავარაუდოა: ჯერ ერთი, გაუგებარი ჩანს ჩანაცვლების მიზეზი – სხვა შემთხვევებში ხომ, ფონეტიკური ფაქტორების დანოლის მიუხედავად, **-დ** შენარჩუნებულია (**„გალაადდ“**, **„მასეფადდ“**, **„მოაბდ“** ტიპის ფორმები, სადაც პირველ რიგში უნდა მომხდარიყო **-დ-ს -ად-ით** ჩანაცვლება)... მეორეც: უძველეს ძეგლებშივე დასტურდება **-ა** სუფიქსიანი ფორმები, მაშინ, როცა **-ად** სუფიქსიანი „გარდამავალი“ საფეხურის ფორმები ძველი ქართულისთვის საერთოდ უცხოა... ამდენად, მეტად ჭირს **-დ → -ად → -ა** პროცესის დაშვების გაზიარება.

არის კიდევ ერთი არგუმენტი, რომელიც **-დ**, **-ად**, **-ა** სუფიქსთა ამგვარ კლასიფიკაციას უშლის ხელს:

კ. დანელია **„ტირილ“** ტიპის სანყისებში **-დ** სუფიქსის ხმარებას მოულოდნელად არ მიიჩნევს, ვინაიდან „მიზნისთვისაც და დანიშნულებისთვისაც ამოსავალს მიმართულების ჩვენება უნდა წარმოადგენდეს“ (თ. შარაძენიძე, 1956:431; კ. დანელია, 1992: 126); მაგრამ **-ელ** სუფიქსიან მიმღებებთან **-ა** ბოლოსართის ხმარებას იგი გამართლებულად მიიჩნევს, მიუხედავად იმისა, რომ მათი მნიშვნელობისთვისაც **„სადიდებელა“**, **„სალოცველა“**



– მიზანი, დანიშნულება) ამოსავალია „მიმართულების“ ზოგადი ფუნქცია (თ. შარაძენიძე, 1956:42).

ჩვენთვის მიუღებელია უხმოვნო **-დ** ბოლოსართის (რომელიც ხმოვნიან **-ად** სუფიქსს უპირისპირდება) „მიმართულებითი ბრუნვის“ ნიშნად მიჩნევა თუნდაც იმიტომ, რომ საკითხის ამგვარად ინტერპრეტაციის შემთხვევაში სრულიად გაუგებარი რჩება **-ა** ხმოვნის როლი და ფუნქცია ქართველურ ენათა ბრუნვათა სისტემებში; გასარკვევია აგრეთვე სხვა ქართველურ ენებთან – ზანურსა და სვანურთან ამ სუფიქსთა (**-ად, -დ, -ა, -და**) მიმართება-შესატყვისობათა კანონზომიერებები.

\* \* \*

ზანურში (მის მეგრულ დიალექტში) გამოყოფენ **-იშოთ** შედგენილობის მქონე „**დანიშნულებით ბრუნვას**“, რომლის ფუნქციაც კუთვნილება-დანიშნულების გამოხატვაა:

„**თქვანი ლაგვანი ქიმეჩათ ნამალიშო**“ (ხუბ., 159, 10) – თქვენი ქვევრი მისცეთ ნამლისათვის; „**ექ იშუ ირ კოჩიშო სახი-ოლოქ**“ (ხუბ., 66, 15) – ეს შეიქნა ყველა კაცისათვის სასიხარულო...

**-იშოთ** შედგენილ მორფემას შლიან **-იშ, -ოთ** ელემენტებად, რომელთა წარმომავლობა (**-იშ** ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია, **-ოთ** ვითარებითი ბრუნვის ნიშანი) უდავოა (იხ. არნ. ჩიქობავა, 1936:542; ვ. თოფურია, 1937:182; ბ. გიგინეიშვილი, ზ. სარჯველაძე, 1978:128-131).

გამოდის, რომ, ერთი მხრივ, **-ის-ად** ნანათესაობითარი ვითარებითი ზანურში **-იშ-ოთ** შესატყვისობას გვაძლევს (ა. ლომთაძე, 1987:87); მეორე მხრივ, – **\*-ის-ად-ა** შედგენილმა სუფიქსმა, ფუძის ინტენსიური დინამიკური მახვილის გავლენით, მოგვცა **-ის-და** ვარიანტი ქართულში (კაც-ის-ად-ა → **კაც-ის-და**); ზანურში ამ ფორმას შეესატყვისება **-იშ-ა** (**(-იშ-და)** სუფიქსი (ა. ლომთაძე, 1987:71-87).

ერთი ამოსავალი ფორმიდან (**-ად-ა** მკვლევარს ამოსავლად მიაჩნია როგორც **-ად**, ისე **-და** ალომორფებისათვის) ორი სუფიქ-

სის მიღებას ა. ლომთაძე ხსნის იმით, რომ დანიშნულებითის ჩამოყალიბება ზანურში საერთოქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის შედეგად უნდა მომხდარიყო, მიმართულებითის ჩამოყალიბება კი ქართულ-ზანური ერთობის პერიოდიდან ივარაუდება (ა. ლომთაძე, 1987:85-86).

თავისთავად, **-იმდა, -იმოქ** სუფიქსთა ამგვარი ქრონოლოგიური დიფერენცირების გაზიარება ჭირს: არ ჩანს დამაჯერებელი არგუმენტი ერთ-ერთი მათგანის მეორეზე უფრო გვიანდელი წარმოების დასამტკიცებლად (თუნდაც იმიტომ, რომ ორივე შედგენილ სუფიქსში დაცულია **ს – შ** ბგერათშესატყვისობა).

ზანურის ორსავე დიალექტში ოპოზიცია, რომელსაც **მოქმედებითი** და **ვითარებითი** ბრუნვები ქმნიდნენ **საწყისობა-სასრულობის** თვალსაზრისით, ნაწილობრივ (მეგრულში) ან სრულიად (ლაზურში – სადაც საერთოდ აღარ გვაქვს ვითარებითი) მოხსნილია. ამჟამად დაპირისპირება წარმოდგენილია **დამორებითი** და **მიმართულებითი** „ბრუნვებით“: ერთი მხრივ – **-იმ-ე ((-იმ-დე),** მეორე მხრივ – **-იმ-ა ((-იმ-და).**

როგორც **დამორებითის**, ასევე **მიმართულებითისთვის**, საყრდენი ფორმაა ნათესაობითი ბრუნვის ფორმა (ანდა კუთვნილების სემანტიკის მომცველი ნაცვალსახელური ფუძე) – ამ ფორმას დაერთვის **-და, -დე** სუფიქსები, რომლებიც, **სტრუქტურული შედგენილობის** თვალსაზრისითაც (საერთო **-დ-** თანხმობანი ელემენტი, ხმოვანთა **ა – ე** ოპოზიცია – იხ. კ. გაბუნია, 1991) და **სემანტიკურ** პლანშიც ერთ ქვესისტემას ქმნიან. მიუხედავად ამისა, **მიმართულებითს** ბრუნვად მიიჩნევენ („ნანათესაობითარი ვითარებითი“), **დამორებითს** კი **თანდებულიანი ბრუნვის** სტატუსს ანიჭებენ (ა. ლომთაძე, 1987:93).

**-და, -დე** ელემენტთა სტრუქტურულმა ერთგვარობამ მკვლევრებს მათი საერთო წარმომავლობა ავარაუდებინა: არნ. ჩიქობავას აზრით, მიმართულებითი და დამორებითი თავდაპირველად გაუდიფერენცირებელი უნდა ყოფილიყო (არნ. ჩიქობავა, 1936:61; იხ. აგრეთვე ა. მარტიროსოვი, 1959:127).

გ. კლიმოვი **-დე** თანდებული წარმოშობით სვანურ **-თე**-ს დაუკავშირა (გ. კლიმოვი, 1962:17). ამ თვალსაზრისს იზიარებს ა. ლომთაძე; ამასთან, ამოსავლად მიიჩნევს **-თე** სუფიქსს (ა. ლომთაძე, 1987:93).

ამ შემთხვევაში აუხსნელი რჩება **-თე** → **-დე** გადასვლა ნაცვალსახელურ ფუძეებთან (\*ჩქიმ-თე → ჩქიმ-დე ?)...დაზუსტებას საჭიროებს აგრეთვე, რას ნიშნავს „მიმართულება **ზოგადად**“, რასაც, მკვლევართა აზრით, დიფერენცირებამდე ასახავდა ამოსავალი ფორმა (არნ. ჩიქობავა, 1936:60-61; გ. კლიმოვი, 1962:17; ა. ლომთაძე, 1987:90) – მაშინ, როცა **დაშორებით** ბრუნვას, თავად ა. ლომთაძის თქმით, „...აქვს თავისი, საკუთარი, სპეციფიკური მორფოლოგიური ფუნქცია: ესაა **დაშორების** გამოხატვა“ (ა. ლომთაძე, 1987: 98).

ფაქტია, რომ **-დე** სუფიქსი ზანურში მარკერია **სანყისობის** სემანტიკისა: **-ე, -ა** ხმოვნები ბოლოკიდურ პოზიციაში იმავე ფუნქციას ასრულებენ, რასაც **-ი, -ა** ხმოვნები თანხმოვნის წინა პოზიციაში (შდრ. ძვ. ქართ. **ეკლესი-ით – ეკლესი-ად**; ზან. **ყუდე-შე – ყუდე-შა**).

ჩვენი აზრით, ისევე, როგორც **-დე**, სუფიქსი, **-და**-ც თანდებულია: ერთიც და მეორეც ან ნათესაობით ბრუნვას დაერთვის (შდრ. ზან. **დიდა-შ-ე ← \*დიდა-იშ-დე, დიდა-შ-ა ← \*დიდა-იშ-და** – ძვ. ქართ. **იოვანეს-და, მონასტრისა-და, ამის-და...**) ანდა კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფუძეს: ზან. **ჩქიმ-დე, სქან-და** – ძვ. ქართ. **შენ-და, ჩუენ-და, თქუენ-და...**

ისევე, როგორც **-გან** თანდებულიანი ნათესაობითი ჩაენაცვლა **მოქმედებით** ბრუნვაში გაფორმებულ სახელს **ფუნქციურად** (შდრ. „**აღმოიღე წუელი იგი თუალით შენით**“ – „**აღმოიღე წუელი იგი თუალისაგან შენისა**“), **-და** თანდებულიანმა **ნათესაობითმაც** ზანურში ნაწილობრივ გადაფარა ოდენ **ვითარებითში** გაფორმებული სახელის ფუნქციები (ეს უკანასკნელი, ზოგადად, **სასრულობის** სემანტიკას ასახავდა), რამაც გამოიწვია მისი კიდევ უფრო ფართოდ გამოყენება (ქართულთან შედარებით)

ზანურის მეგრულ დიალექტში; ლაზურში კი იმდენად გაიფართოვა არეალი, რომ მთლიანად იკისრა ვითარებითი ბრუნვის ფუნქციები, რომელიც დღესდღეობით რელიქტის სახითღა შემორჩენილი (დიდ-ო, *მუ-ოთ*).

მოქმედებითი ბრუნვის ფორმასთან სრულმა დამთხვევამ (*\*დიდა-ოთ → დიდა-თ – ვითარებითი; დიდა-იოთ → დიდა-თ – მოქმედებითი*) გამოიწვია, ერთი მხრივ, მოქმედებითის ფორმაზე დამატებითი ნიშნის (სასრულობის სემანტიკის მქონე *-ე* ხმოვნის) დართვა, მეორე მხრივ, ვითარებითის თანდათან ამოღება ხმარებიდან: მის ფუნქციას ხომ ახლა *-იშა* ბოლოსართი ასრულებდა.

## ლიტერატურა

- ბ. გიგინეიშვილი, ზ. სარჯველაძე, 1978** – ბ. გიგინეიშვილი, ზ. სარჯველაძე, ნანათესაობითარი მიმართულებითისა და ნანათესაობითარი დანიშნულებითის ადგილი ძველი ქართულისა და ქართველური ენების ბრუნვათა სისტემაში: მრავალთავი, XI, თბ., 1978.
- კ. გაბუნია, 1991** – კ. გაბუნია, დეიქტურობის სისტემა და ხმოვანთა განაწილების საკითხი ქართველურ ენებში: „მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია; თბ., 1991, 1.
- კ. დანელია, 1992** – კ. დანელია, მიმართულებითი ბრუნვის ადგილისათვის ძველი ქართულის ბრუნვათა სისტემაში: მაცნე, ენისა და ლიტ. სერია; თბ., 1992, 4.
- ვ. თოფურია, 1937** – ვ. თოფურია, ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-ჭანურში: ენიშკის მოამბე, ტ. I; თბ., 1927.
- ი. იმნაიშვილი, 1957** – ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში; თბ., 1957.
- გ. კლიმოვი, 1962** – Климов Г.А., Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, М., 1962.
- ა. ლომთაძე, 1987** – ა. ლომთაძე, ბრუნების თავისებურებათა ისტორიისათვის მეგრულში; თბ., 1987.
- ბ. მარი, 1925** – Н.Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925.

- ა. მარტიროსოვი, 1959** – ა. მარტიროსოვი, ჩემდა, შენდა ტიპის ნაცვალსახელთა წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში: იკე, ტ. 11, თბ., 1959.
- თ. შარაძენიძე, 1956** – თ. შარაძენიძე, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში: სბიქე, I; თბ., 1956.
- არნ. ჩიქობავა, 1936** – არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი; თბ., 1936.
- არნ. ჩიქობავა, 1956** – არნ. ჩიქობავა, მიმართულებითი (გარდაქცევითი) ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის: სბიქე, I, 1956.

## **Kakha Gabunia**

### **THE ISSUE CONCERNING THE SUFFIX –DA IN GEORGIAN AND ZAN**

#### Summary

-და suffix has been quite frequent in Georgian Language (with the stems of pronouns) and with other words from Old and Middle Georgian. The suffix with the same structure is characteristic for Zan Language as well.

Currently the functions of forms with the same suffixes are partly different, though in Old Georgian Literary Language and Zan -da used to have an absolutely identical semantical meaning.

Linguists have labeled Suffix –da as a postposition, cases marker...

In Megrelian Language the basis of suffixes -იშა, -იშე is a marker of Genitive Case -იშ (or the stem of pronounce which consists the semantic of possession) with -და, -დე suffixes. These suffixes have the identical structure: in Zan suffix –დე is a marker of semantics of ablative -ე and –ა in the final part of the words have the same function as –ი and ა- in front of consonants in the adverbial and instrumental cases.

## მიმღობური სემანტიკის შემცველი კონსტრუქცია მეგრულში<sup>1</sup>

მეგრული ენის მასალაზე მიმღობური სემანტიკის შემცველი კონსტრუქციის ანალიზის მიზანია არა მარტო კონკრეტულ საკითხზე საუბარი, არამედ იმის წარმოჩენაც, რამდენად კლასიკური და ყავლგაუვალა ბატონი ვარლამ თოფურის დებულებები, რომელთაგან სწორედ ერთ-ერთს ემყარება წინამდებარე მოხსენება.

„მარტივი წინადადებებით თხრობა ეკონომიური, ცოცხალი და საკითხავად სახალისოა, მაგრამ ცოცხალი სალაპარაკო ენისთვის არ არის დამახასიათებელი, რადგან დასამახსოვრებლად ძნელია“ (ვ. თოფურია, 1960:58). ეს დებულება, ფაქტობრივად, არის პასუხი კითხვაზე, ჰიპოტაქსი სამწერლობო ენის კუთვნილებაა და აქედან გავრცელდა ზეპირმეტყველებაში, თუ იქ დამოუკიდებლად გაჩნდა? ცნობილია, რომ მეგრული ემყარება მეტყველების ზეპირ ფორმას, რომელიც წინასწარმოუმზადებელია. ეს იგივე სპონტანური მეტყველებაა. ზეპირმეტყველების ნიმუშები თაობიდან თაობას საუკუნეების განმავლობაში ზეპირი გზით გადაეცემოდა. თხრობის სტილი ისეთი უნდა ყოფილიყო, რომ დამახსოვრება არ გასჭირვებოდათ ავტორ-მთქმელებს. ეს განაცხადი მიემართება ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა ინფორმაციის ჩამოყალიბება და გადაცემა ზეპირმეტყველებაში. ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევა-ძიება ცხადყოფს, რომ ინფორმაციის სტრუქტურირების, საინფორმაციო ნაკადში დანინაურებული წევრის მარკირების მნიშვნელოვანი ხვედრითი

---

<sup>1</sup> ნაკითხულია მოხსენებად ვარლამ თოფურისადმი მიძღვნილ ტრადიციულ საჯარო სხდომაზე, რომელიც გაიმართა 2012 წლის 8 იანვარს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში.

წილი, განსაკუთრებით სპონტანურ მეტყველებაში, ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებზე მოდის. მათ შორის ცალკე უნდა გამოიყოს და განაალიზდეს *განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება* და მისი აგების სტრატეგია. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება სხვადასხვა მოდელით გადმოიცემა მეგრულში<sup>1</sup>. ერთ-ერთია მიმღეობური ნიუანსის შემცველი კონსტრუქციაც.

საკუთრივ მიმღეობური კონსტრუქცია ნაკლებად დამახასიათებელია მეგრულისთვის<sup>2</sup>. მიმღეობის ადგილს იკავებს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება მსგავსების ალმნიშვნელი *ფერი* კორელატივითა და -ნი „რომ“ კავშირ-ენკლიტიკით. *ფერს* შეიძლება ჩაენაცვლოს ასევე მსგავსების ალმნიშვნელი *გვარი*, *ნერი* ან ჩვენებითი ნაცვალსახელი *თი*, „ის“<sup>3</sup>. ერთი და იმავე სემანტიკის წინადადება მეგრულში სხვადასხვა კონსტრუქციით შეიძლება შეგვხვდეს:

(1) *ჭითა კაბა მიკაქუნსუნი ფერი* ძღაბი აშო მურს „წითელი კაბა რომ აცვია, ისეთი გოგო აქეთ მოდის“.

<sup>1</sup> განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების მოდელები მეგრულში ვრცლად არის განხილული შემდეგ მონოგრაფიებში: მ. ლომია, 2005; კარტოზია და სხვ. 2010.

<sup>2</sup> მხედველობაში გვაქვს ისეთი კონსტრუქციები, როცა ოდენ მიმღეობა არ არის მოცემული, იგი გამიფრულია დამოკიდებული წინადადებით: შარას **თოლელაღალირი** ირემი ქოძირუ, *თოლი ვაუღუდუნ, ფერი* (ხუბ. 242,22) „გზაზე თვალამოღებული ირემი ნახა, თვალი რომ არ ჰქონდა, ისეთი“. მეგრულისთვის დამახასიათებელია არა მარტო განსაზღვრების, არამედ სხვა არამთავარი ნევრის გამიფვრაც: ჩაიშ შუმა დროს, ჩაის შუნდესინ თეში, ქიგიოდირთუ სქუაქ დუს. „ჩაის სმის დროს, ჩაის რომ სვამდნენ, ისე დაადგა შვილი მშობლებს თავზე“.

<sup>3</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა გამომცემელ-რედაქტორი მიუთითებდა მეგრულიდან ქართულად სინტაქსური კონსტრუქციების გადატანის სირთულეზე: „ყველაზე ძნელად „მოსახელთებელი“ აღმოჩნდა მეგრული სინტაქსური კონსტრუქციები“ (კ. დანელია, 1991:9); საკუთრივ მიმღეობური ნიუანსის შემცველი კონსტრუქციები მიმღეობით გადმომაქვსო, აღნიშნავდა გურამ კარტოზიაც (გ. კარტოზია, 2009:10). ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ზეპირი მეტყველება სალიტერატურო ენის ფუნქციური სტილი კი არ არის, არამედ ცალკე სისტემა (ო. ლაპტევა, 1976).

(2) *ჭითა კაბა მიკაქუნსუნი* თი ძღაბი აშო მურს „წითელი კაბა რომ აცვია, ის გოგო აქეთ მოდის“.

(3) *ჭითა კაბა მიკოქუნელი აფუნი ფერ* ძღაბი აშო მურს „წითელი კაბა ჩაცმული რომ აქვს ისეთი გოგო აქეთ მოდის“.

(4) *ჭითაკაბამიკოქუნელი* ძღაბი აშო მურს „წითელკაბაჩაცმული გოგო აქეთ მოდის“.

(5) *ჭითაკაბამი* ძღაბი აშო მურს „წითელკაბიანი გოგო აქეთ მოდის“.

ჩამონათვალიდან მეგრულისთვის დამახასიათებელია პირველი სამი მაგალითის ფარგლებში მოცემული კონსტრუქცია. რაც შეეხება მეოთხე-მეხუთე მაგალითებს, ის დასტურდება მეგრულში, თუმცა ასეთ შემთხვევაში უფრო ბუნებრივია მიმღობით ან სხვა წარმოქმნილი სახელით გადმოცემული განსაზღვრება გაიშიფროს **-ნი** კავშირიანი დამოკიდებული წინადადებით (იხ. (1), (2), (3) მაგალითები).

(6) *ჭითაკაბამი* ძღაბი აშო მურს, *ჭითა კაბა მიკაქუნსუნი* ფერი. „წითელკაბიანი გოგო აქეთ მოდის, წითელი კაბა რომ აცვია ისეთი“.

აგებულიების მიხედვით თუ შევადარებთ ერთმანეთს მარტივ და რთულ კონსტრუქციებს, რთულში, კერძოდ, დამოკიდებულში გრამატიკულად „ჭარბი“ აღმოჩნდება *აფუ* „აქვს“ ზმნა, მისათითებელი სიტყვა: *ფერი, გვარი, თი...* და **-ნი** კავშირ-ენკლიტიკა. სპონტანური მეტყველება თამამად იყენებს გრამატიკულად ჭარბ საშუალებებს, ხოლო, რაც გრამატიკულად ჭარბია, ის ინფორმაციულად დატვირთული და მნიშვნელოვანია.

აღნიშნულ მორფოლოგიურ საშუალებებს აქვთ არა მორფოლოგიური, არამედ სხვა – ფოკუსირებული წევრის მარკირების ფუნქცია. ამ ტიპის კონსტრუქციაში ხდება იმ ნიშნის ან თვისების ფოკუსირება, რასაც გამოხატავს მიმღობით ან სხვა წარმოქმნილი სახელით გადმოცემული განსაზღვრება. საინფორმაციო ნაკადში დანიშნაურებული წევრის მარკირება ხდება სინტაქსურ დონეზეც. მოცემული შემთხვევისათვის ეს გახლავთ სიტყვათა რიგი. დამოკიდებული წინადადება (*ჭითა კაბა მიკაქუნსუნი* „წითელი კაბა რომ აცვია“) + კორელატი (*ფერი „მსგავსი“*) მყარი



შესიტყვეების თვისებისაა და ერთ ფრაზემად აღიქმება. მეგრულში ქვეწყობილი წინადადებისთვის სპეციფიკურია კორელაციის მოთავსება წინადადებათა საზღვარზე, როცა -ნი კავშირიანი დამოკიდებული უსწრებს მთავარს (მ. ლომია 2005: 95). საანალიზო კონსტრუქციაში კომპონენტები შეიძლება ასეც დალაგდეს: მთავარი + დამოკიდებული + კორელატი (ამ შემთხვევაში *ფერი* და *მისთ.*)<sup>1</sup>. ასეთი განლაგების დროს კორელატი მოექცევა კონსტრუქციის ბოლოს, თუმცა -ნი კავშირიანი წევრისა და კორელაციის პოზიციურ-ინტონაციური კავშირი უცვლელია. ამგვარი განლაგებაც მიაჩნება, რომ „გრამატიკული მიჯნა მთავარ და დამოკიდებულ წინადადებას შორის ერთგვარად იშლება და რთული წინადადების ორივე კომპონენტი ერთ მთლიან ინტონაციურ-არტიკულაციურ მონაკვეთად იქცევა“ (კ. დანელია 1991: 9). მეგრულში ამ ტიპის კონსტრუქცია პაუზის გარეშე წარმოითქმის და სასვენი ნიშნის დასმა ჰიპოტაქსური კონსტრუქციის კომპონენტებს შორის პრაქტიკულად შეუძლებელია<sup>2</sup>.

როგორც საკითხის ანალიზმა გვიჩვენა, მიმდებარე სემანტიკის შემცველი კონსტრუქციის თავისებურება საინფორმაციო ნაკადში დანიშნაობის წევრის ხაზგასმითა და წარმოჩენითაა განპირობებული.

#### **ლიტერატურა:**

- კ. დანელია, 1991 – კ. დანელია, შესავალი წერილი, ქართული ხალხური სიტყვიერების საკითხები, ტ. II, მეგრული ტექსტები, თბილისი, 1991.
- ვ. თოფურია, 1960 – ვ. თოფურია, რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივით შენაცვლებისათვის ქართულში: ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები სკოლაში, კრებული X-XI, თბილისი, 1960.
- გ. კარტოზია, 2009 – გ. კარტოზია, მეგრული და ლაზური ტექსტები, თბილისი, 2009.

<sup>1</sup> ამ ტიპის კონსტრუქციის შემადგენელ კომპონენტთა განლაგების შესახებ ვრცელი ანალიზი იხ. მ. ჯიქია, 2009:131–137.

<sup>2</sup> ქართულ თარგმანში მძიმით გამოყოფილია კორელატი კანონიკური სინტაქსის წესების მიხედვით.

- გ. კარტოზია და სხვ. 2010 – გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, თბილისი, 2010.
- ო. ლაპტევა, 1976 – р. а. мнпттААh, русский розАоАорный синтhксис, поскАh, 1976.
- მ. ლომია, 2006 – მ. ლომია, ჰიპოტაქსის საკითხები მეგრულში, თბილისი, 2006.
- მ. ჯიქია, 2009 – მ. ჯიქია, ერთი ტიპის ქვეწყობილი წინადადების შესახებ მეგრულში, ინფორმაციის სტრუქტურირების ძირითადი მოდელები ქართველურ ენებში, სამეცნიერო სტატიების კრებული, თბილისი, 2009.

### შემოკლებათა განმარტებანი

ხუბ – მაკარ ხუბუა, მეგრული ტექსტები, ტფილისი, 1937.

**Maia Lomia**

#### CONSTRUCTION CONTAINING PARTICIPIAL SEMANTICS IN MEGRELIAN LANGUAGE

##### Summary

The construction containing participial semantics in Mingrelian language is analyzed in the present article, which, on the one hand, is related to the hypotax conception and development problems, and, on the other hand, the issue of structuring of information in oral speech. In particular, how does the marking of an advanced member in the information flow occur. The construction, containing participial semantics is considered as one of the models of attributive subordinate clause. In particular, in the sentence of such type the subordinate clause with color “like” correlate and –ni (with, having) “that” conjunction-enclitic takes place of the participle:

*č'itakabami ჯყabi აშო მურს. č'ita kaba mik'akunsuni peri ჯყabi.*

“A girl in a red dress is coming this way. The girl wearing a red dress”.

The article examines specifics of disposition of the components of such kind subordinate clause.

**თურმეობითობისა და ხოლმეობითობის  
ურთიერთმიმართებისათვის სვანურ  
გარდამავალ ზმნებში<sup>1</sup>**

სვანურ ენაში რელატიურ-გარდამავალ და ბრუნვაცვალე-ბადსუბიექტიან აბსოლუტურ ზმნებს (მედიაოქტივებს, resp. ავტოაქტივებს – დამანა მელიქიშვილის ტერმინოლოგიით) მოეპოვება ინვერსიული ფორმები, რომელთა ზუსტი შესატყვისობა მწკრივთა სახით ქართულში არ არის. ამ ფორმებს ქართულში შეესაბამება I ან II თურმეობითის ფორმა, რომელიმე პირობითობის გამომხატველ ნაწილაკთან ერთად („აღბათ“, „იქნებ...“ ან აღწერითი კონსტრუქცია (მიმღეობა+მეშველი ზმნა): **ხედგარი** „მოუკლავს მას ის აღბათ“ ან „მონაკლავი ექნება“, **ხეზელწლი/ხეზელწლი** „უვლია აღბათ“ ან „ნავალი (ნასიარულევი) ექნება“; ამავე ფორმებს **-წლ** (ბზ.), **-იჟ** (ბქ.) აფიქსით კი II თურმეობითს შეუსატყვისებენ ხოლმე: **ხედგარწლ** (ბზ.), **ხედგარიჟ** (ბქ.) „მოუკლა მას ის აღბათ“ ან „მონაკლავი ექნებოდა“, **ხეზელწლწლ** (ბზ.), **ხეზელწლიჟ** (ბქ.) „ევლო მას აღბათ“ ან „ნავალი (ნასიარულევი) ექნებოდა“ (შდრ. თურმ. I – ზს. **ხოდგარა** „უკლავს მას ის“, ბზ. **ხოზელწლა** ბქ. **ხოზელწლა** „უვლია“, თურმ. II – ბზ. **ხოდგარწწ**, ბქ. **ხოდგარა/წწ** „მოუკლა, ბზ. **ხოზელწლწწ**, ბქ. **ხოზელწლწლ** „ევლო“), რაც მათს რეალურ სემანტიკას ვერ ფარავს.

ვ. თოფურიას „სვანურ ზმნაში“, რომელიც თითოეული ჩვენგანის სამაგიდო წიგნია და რომელიც, როგორც ზ. ჭუმბურიძე

<sup>1</sup> ნაკითხულია მოხსენებად 2009 წლის 17 მარტს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ზურაბ სარჯველაძის დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

აღნიშნავს, „დღემდე რჩება მიუწვდომელ მწვერვალად სვანური ენის კვლევის სფეროში“, ეს ფორმები მსგავსი სემანტიკით არ ჩანს, რაც, ალბათ, იმით აიხსნება, რომ 30-იან წლებში, როდესაც ეს ფუნდამენტური ნიგნი იქმნებოდა, დებულებათა საილუსტრაციო მასალაში ვერ მოხვდებოდა ყველა ნიუანსის მქონე ლექსემა... ეს ზმნები არც უღლების სისტემაშია ფიქსირებული.

აღნიშნული მონაცემები აქტიური ზმნებია, სინთეზური წარმოებისაა და პერფექტულია: **ხემი** (ბზ.) **ხემი** (ბქ.) – „ალბათ უჭამია მას ის“, **ხემოლ** (ბზ.), **ხემიჟ** (ბქ.) – „ალბათ ეჭამა მას ის“. ისინი გადმოგვცემენ წარსული დროის **სავარაუდო, დაუზუსტებელ** მოქმედებას დინამიკაში, სტატიკური შედეგით – პირველ შემთხვევაში (**ხემი**) ანმყო-მყოფადში, ხოლო მეორე შემთხვევაში (**ხემოლ, ხემიჟ**) – წარსულშივე.

როგორც ცნობილია, ქართველოლოგთა ერთი ნაწილი III სერიის მწკრივებს ისტორიულად სტატიკურ ზმნებს უკავშირებს. დ. მელიქიშვილის აზრით, „I რეზულტატივი, II რეზულტატივი და III კავშირებითი წარმოშობით სტატიკური ზმნების ანმყოს, წყვეტილისა და II კავშირებითის ინვერსიაქმნილი ფორმებია, რომლებიც დღეს დინამიკური გარდამავალი ზმნების პარადიგმის გაგრძელებაა. ამ ფორმებს ერთ ჯგუფში აერთიანებს წარმოების წესი და ინვერსიული კონსტრუქცია“ (მელიქიშვილი 2001:48). სვანურ მასალაზე ეს ასე აისახება:

#### სტატიკური გარდამავალი

ანმყო **ხ-ო-ხტაჟ-ა** „უხატია ის მას“ – I თურმ. **ხ-ოხტაჟ-ა** „უხატავს მას ის“

წყვეტილი **ხ-ო-ხტაჟ-ან** „უხატა ის მას“ – II თურმ. **ხ-ო-ხტაჟ-ან** „უხატა მას ის“

II კავშ. **ხ-ო-ხტაჟ-ენ-ს** „უხატოს ის მას“ – III კავშ. **ხ-ო-ხტაჟ-ენ-ს** „უხატოს მას ის“

სტატიკურთა რომელი მწკრივების ინვერსიით შეიძლება მიგველო საანალიზო ფორმები? შევავსოთ პარადიგმა:

## სტატიკური

მყოფადუსრული **ხ-ე-ხტაჟ-ი**

### გარდამავალი

საანალიზო ფორმა **ხ-ე-ხტაჟ-ი** „ეხატება ის მას“ „ალბათ უხატავს მას ის = რა<sup>1</sup>ნახატი ექნება“

პირობითუსრ. **ხ-ე-ხტაჟ-ოლ /-იჟ** (ბზ., ბქ.) საანალიზო ფორმა **ხ-ე-ხტაჟ-ოლ/-იჟ** (ბზ., ბქ.)

„ეხატებოდა ის მას“ „ალბათ ეხატა მას ის = რა<sup>1</sup>ნახატი ექნებოდა“.

როგორც გამოირკვა, ჩვენ მიერ წარმოდგენილი პირველი ფორმა (**ხეხტაჟი**) შესაბამისი სტატიკური ზმნის მყოფადუსრულის მოდელს იმეორებს, მეორე (**ხეხტაჟოლ** (ბზ.)/-**იჟ** (ბქ.) კი პირობითუსრულისას. გარდა ამისა, ამ რეზულტატიურ ფორმათა სემანტიკაც მიგვანიშნებს აღნიშნულ მწკრივებთან (მყოფადუსრულთან და პირობითუსრულთან) მათ მიმართებაზე: ერთი გულისხმობს წარსულის სავარაუდო მოქმედების პირობით შედეგს ანმყო-მყოფადში, ხოლო მეორე – ასევე პირობით რეზულტატს, ოღონდ წარსულშივე. ეპისტემიკურობა (მოქმედების განხორციელების სავარაუდოობა, ერთგვარი პირობითობა), რომლითაც სვანური მყოფადუსრული ხასიათდება, ამ ფორმების სემანტიკაშიც ნიშანდობლივია:

ბზ. **ხჟამარ-უნ-ი**, ბქ. **ხჟიმარ-უნ-ი** „ვამზადებდე იქნება = რუდუ ГОТОВИТЬ“ (ვ. თოფურია 1967: 112) – **მემარ** „მიმზადებია იქნება/ალბათ“.

ბზ. **ხ-ე-ბი-დი** („იქნება/ალბათ უღვრია“): **ალას მახჟაჟ ქიმ ხებიდი მიჩა გეზლჟ ბედჟი** – „ამას რამდენი ცრემლი უღვრია იქნება“ (ანუ „ექნება რა<sup>1</sup>ღვრილი“, /„ნაღვარი“<sup>1</sup>) თავისი შვილის

<sup>1</sup> თარგმანში აღწერით მონაცემებს პირობითობას „ექნება“, „ექნებოდა“ მეშველი ზმნა, ხოლო რეზულტატიურობისთვის დამახასიათებელ სემანტიკურ ელემენტს – წარსულის დინამიკას ნამყოს მიმღობური ფორმა ანიჭებს. საანალიზო ორგანული ფორმებით კი ეს ყოველივე უზადოდ, სრულყოფილად გამოიხატება.

გამო“ („ბედზე“; შდრ. **ქიმ სობიდა** – „ცრემლი უღვრია“, კონტექსტის მიხედვით ნახული ან უნახავი აქტი, მაგრამ არა სავარაუდო!).

ბზ. **ხ-ე-მ-ი** („იქნებ/ალბათ უჭამია“):

**ლაშდღჳლ ეჭლა ხაბჟახ ნიშგჳემიძეყ სჳჭირო, ერე „ერია-ბუასდ ესერ ქა ლეჭჳდჳლი ხარ, ეშჳნჳ დძარ ხემი“** (სვ. პრ. ტ. I 1939: 8,31) – „ქელეხის სუფრა („სამარხი“) იმიტომ მიაჩნიათ ჩვენში საჭიროდ, რომ „საიქიოშიო დასარიგებელი აქვს, ვისი პურიც კი იქნებ უჭამია (ანუ „ექნება ნაჭამი“) რამქვეყნად“;

ბზ. **ხ-ე-მგერ-ი** („ალბათ/იქნებ გაუგია, სმენია = ექნება განაგები, გაგებული“):

**ამკჳლიბ დინას როქჳუ ხჳეთხელი მი ი ეჩი მუთჳრი მაწგხ, ჳ'ჳს მა ხემგერი ეჯ დინჳშ** (იქვე, 146:18:19) – „ამნაირ გოგოს ვეძებ მე და იმისი მასწავლებელი მჭირდება, თუ ვინმეს რამე იქნებ სმენია (ანუ „ექნება გაგონილი“) იმ გოგოსი“;

ბზ. **ხ-ე-დგარ-ოლ** („ალბათ მოეკლა=ექნებოდა მონაკლავი“):

**ტარიელს აშირთეჳი ღჳაშ ჩუ ხედგაროლ** – ტარიელს ასამდე ჯიხვი ალბათ მოეკლა („ეყოლებოდა მოკლული, ექნებოდა ნაკლავი“);

ბქ. **ხ-ე-ცხუბ-იჳ** („ალბათ რმოეტაცებინა = ექნებოდა მონატაცები“): **არზომან გურჩიანს ერჳემდ სიმაქ ეჯღჳ ხეცხუბიჳ, ამნოშ ქამეკჳჳე ლჳსჳ** – „არზომან გურჩიანს ოცი ასული მაინც ალბათ მოეტაცებინა („ეყოლებოდა მონატაცები“), ამით განთქმული იყო“.

აღნიშნულ ფორმებს ასევე თავისუფლად აწარმოებენ მედიოაქტივები (resp. ავტოაქტივები):

ბზ. **ხ-ე-ბერგ-იელ-ი** („უჭიდავია ალბათ“):

**მახობჳი ალ მარა ხჳნჳ ხებერგდელი** – „ახალგაზრდობაში („ახლობაში“) ამ კაცს ბევრი უჭიდავია ალბათ ხოლმე“;

ბქ. **ხ-ე-ზელ-ჳლ-იჳ** („ევლო ალბათ“):

**ბანჩას მიჩა დრეჳჳი თანდიარქა მასარდ ხეზელჳლიჳ!** – „ბანჩას თავის დროზე უღელტეხილებზე ბევრი ევლო ალბათ ხოლმე!“

შეგნიშნავთ, რომ საანალიზო ზმნები ფორმით დინამიკური ე-პრეფიქსიანების ანმყოფი მონაცემთა იდენტურიცაა, რადგანაც თავად სტატიკურ და დინამიკურ ზმნათა ფორმები ემთხვევა სხვადასხვა მწკრივში ერთმანეთს; შდრ.:

დინამიკ. ანმყოფი: **ხეტაჟი** „ეხატება ის მას“ – სტატიკ. მყოფადი: **ხეტაჟი** „ეხატება ის მას, მისთვის იქნება დახატული მომავალში“;

დინამიკ. უწყვეტელი: **ხეტაჟოლ||ხეტაჟოლდა** (ბზ.), **ხეტაჟიჟი** (ბქ.) – „ეხატებოდა ის მას“ – სტატიკ. პირობითურული: **ხეტაჟოლ** (ბზ.), **ხეტაჟიჟი** (ბქ.) – „ეხატებოდა ის მას, მისთვის იქნებოდა დახატული“. ამგვარი ფორმოზომიერი თანხვედრები ქართულშიც არაერთია ცნობილი – მყოფადი: **დაუხატავს ის მას** – I თურმეობითი: **დაუხატავს მას ის**; II კავშირებითი: **დაემალოს ის მას** – III კავშირებითი: **დაემალოს მას ის...** ამასთან, ცნობილ მოსაზრებათა თანახმად, III სერიაში „ყოველი ზმნა ან ვნებითის სახეობას წარმოგვიდგენს, ან საშუალო ვნებითისას თუ საშუალოსას: ეკლა, ეწერა, უწერის, უქმნიეს, უკლავს, უდგამს“ (ჩიქობავა, 1968:143). „ინვერსიის საფუძველზე ხდება შესაძლებელი ამ ფორმათა მოქცევა გარდამავალი ზმნის უღვლილების პარადიგმაში, მხოლოდ სემანტიკური გადააზრიანება იძლევა ამის შესაძლებლობას“ (ჯორბენაძე, 1983:93).

საანალიზო მონაცემები კი სემანტიკით სწორედ სტატიკურ ზმნათა ზემოთ აღნიშნულ მწკრივებს (მყოფადი, პირობითი) ენათესავებიან.

მათ პრევერბიანი ფორმები არა აქვთ; ამიტომაც, გარკვეულწილად, დიურატიულობას გამოხატავენ. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ბუნების მოვლენების აღმნიშვნელ ზმნათა ფორმები: **შდუჟი** „თოვს“ – **ხეშდუჟი** „უთოვია ალბათ“; **ხეშდუჟოლ** (ბზ.), **ხეშდუჟი** (ბქ.) „ეთოვა ალბათ“. მსგავსი სემანტიკის ზმნებში უფრო გამოკვეთილია მოქმედების დიურატიულობა და გამორიცხულია მომენტობრიობა. ცნობილია, რომ „ძველი ქართული ზმნის უღვლილების სისტემისთვის ნიშანდობლივია დაპი-

რისპირება მომენტობრივი (ერთბაში) და განგრძობითი (დიურატიული) ასპექტისა. მომენტობრივი ასპექტი, იმავე დროს, ერთგზისიც არის. დიურატიული ასპექტის ზოგ ნაკვეთს მრავალგზისი მოქმედების გამოხატვაც შეუძლია“ (მაჭავარიანი 1974:129), თუმცა ითვლება, რომ „ხოლმეობითი, როგორც გრამატიკული კატეგორია, დღევანდელ სვანურში აღარ გვაქვს, (სწორედ ხოლმეობითის ბადალ მწკრივს უწოდებდნენ სვანურში ვარლამ თოფურიაშვილმა პირობითი, რაც ამ მწკრივის სპეციფიკური სემანტიკის გათვალისწინებას უნდა გამოენიჭოს), მაგრამ ძველად უნდა გვექონოდა. ხოლმეობითის ნაკვეთი დღემდე შემოგვინახა აკნ-ი „ხნავს“, აშხ-ი „ხნავს“ ტიპის ზმნებში“ (ჩიქობავა 1948:102-103); საანალიზო ფორმებში **ნიუანსურად** სწორედ პირობითობა-ხოლმეობითობის სინთეზია. მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ, **ერთი მხრივ**, ნათქვამის მიმართება სინამდვილისადმი ვარაუდის, შესაძლებლობის, დაუზუსტებლობის გამოხატველია, ევიდენციალურია. ქართულში მსგავს ვითარებაში მოდალური სიტყვები მოიშველიება, ზანურში მეშველზმნიანი ფორმები გამოიყენება, სვანურში კი, როგორც დავრწმუნდით, აღნიშნული სემანტიკა სინთეზურ ფორმებშია ჩადებული. მათი აღწერითი ვარიანტები თავად სვანურში უდრის **I და II შედეგობითის ფორმები** + ნანილაკი **მგრეს** (ბზ.), **მაჟუჟლი** (ბქ.) „აღბათ“:

**ხედგარი** = **ხოდგარა მგრეს** – „მოუკლავს აღბათ [ხოლმე]“; **ხეტმჟარი** = **ხოტმჟარა მგრეს** „უტყავებია აღბათ [ხოლმე]“, თუმცა გადმოქართულებისას, კონტექსტის გათვალისწინებით, ზოგჯერ სხვა მოდალურ ლექსემებსაც („იქნებ“, „ეგებ“, „ნეტავ“, „ვინ იცის“, „შესაძლოა“...) მოირგებს:

**ალას ლადი მამგჟეუ ხემი** (ბზ.) – „ამას დღეს არაფერი უჭამია აღბათ“, შდრ. **ალას ლადი მამგჟეუ ხემია?** (ბზ.) – „ამას დღეს არაფერი უჭამია ნეტავ?“

**ალ ლეზიას მაზუ ხეფუი, ვნჯაბიჟმოუ?** (ბქ.) – ამ ლობოს რამდენი უდულია ნეტავ, მოიხარებოდა? – შეკითხვა რიტო-



რიკულია; ფაქტის სიზუსტის (და არა პირობითობის) შემთხვევაში მას შეცვლის ნამყოსრული:

**ალ ლეზიას მაზუ ხოფუა?** (ბქ.) – „ამ ლობიოს რამდენი უდუღია (||რამდენი იდუღა)?“

**სერთხი ნონას დეშომა ხებერგი ი დეშ ადბერგისგ?! (ბქ.)** – „ვაითუ ნონას არასდროს [იქნებ] უთოხნია და იქნებ ვერ გა-თოხნოს?!“ შდრ. I შედეგობითი: **ხობერგა** „უთოხნია“;

**ალექსანდრეს დემეგ ხეჭუდიჭ, ეჭუიშ ლაზარ დემეგ წუნადა** (ბქ.) – „ალექსანდრეს რომ არ წაეკითხა (არ ჰქონოდა წაკითხუ-ლი), ისეთი წიგნი არ არსებობდა („არსად ჩანდა“);“ შდრ. II შე-დეგობითი: **ხოჭუდან** „წაეკითხა“.

**მეორე მხრივ**, ეს ფორმები ხოლმეობითობის შთაბეჭდი-ლებას ტოვებს და არა მხოლოდ სემანტიკურად. გ. მაჭავარიანი მიიჩნევს, რომ „სვანური მყოფადუსრულის მანარმოებელ სუ-ფიქსები (უნ-ი, გ-ნი, ინ-ი) შედგენილია და -ი, ეჭვს გარეშეა, იგივე მონაცემი უნდა იყოს, რაც ანმყოს -ი, წარმოშობით ხოლმეობითის სუფიქსი“ (მაჭავარიანი, 1974:138). ა. არაბულის აზრით, „ძველ ქართულში ხოლმეობითი III ფორმოზრევად წარ-მოადგენს შესაბამისი ენიანი ვნებითის II ხოლმეობითს, მის ინ-ვერსიულ სახეს, ანუ III ხოლმეობითი II თურმეობითთან ისეთ-სავე მიმართებაშია, როგორც ხოლმეობითი II ნამყო ძირითად-თან“ (არაბული, 1984:73). ჩვენ არ ვიცით იყო თუ არა II ხოლ-მეობითი სვანურში (ასეთი მონაცემები ჯერჯერობით არ ჩანს), თუმცა კი, ჩვენი საანალიზო ფორმების სემანტიკა (ფორმაც!) ძალიან მოგვაგონებს ძველი ქართულის III ხოლმეობითს: **ე-თეს-ი-ს**: „მოიმკის, სადაცა იგი ეთესის“, შდრ. **ხ-ე-ლჷშ-ი** „უთესია (მას ის) იქნებ ხოლმე“ ანუ „დანათესი ექნება“; **ე-ვნ-ი-ს**: „ხოლო უძღურისა მისგან, რომელსა არა ევნის მისდა, პირი გარემი-იქცის“, შდრ. **ხ-ე-მჷინ-ი** „უვნია იქნებ ხოლმე“ ანუ „ნავნები აქვს“, **ხ-ე-მჷინ-ი-ჷ** „ვენო იქნებ ხოლმე“ ანუ „ნავნები იქნე-ბოდა“... ასევე ხევსურულ დიალექტში დადასტურებულ (ა. ჭინ-ჭარაული, ა. არაბული) შესაბამის ფორმებს (**ეთქვის, ეუბნის, ეჩოლაგის, ეკვეხინის, ეჭამის, მეძახინიან...**);

შდრ.: **მეძახინნიან** „მითქვამს ხოლმე თურმე“ (ა. არაბული)  
– **მექვი** „იქნებ /აღბათ მითქვამს ხოლმე“: ბზ.: **მიშგუა გეზაღდ**  
**მი მრამ მქეჭი, ეჯკალი მამგუეშ სიდ, მარე ეში მამ იჩო ნაქტს!** –  
„ჩემი შვილისთვის („შვილისად“) მე რომ არ მეთქვას („მითქვამს  
ხოლმე“ ან „მექნება ხოლმე ნათქვამი“, ისეთი არაფერია დარჩე-  
ნილი, მაგრამ მაინც არ მიჯერებს („არ შვრება ნათქვამს“)!

„პერფექტულ ფორმებში მოქმედების შედეგი სტატიკურა-  
დაა წარმოდგენილი, ის წინარეწარსულში იშლება და იქვე წყდე-  
ბა, დროულად შემოსაზღვრული ხდება; ამკარაა, რომ III ხოლმე-  
ობითი მხოლოდ გზისობის ნიუანსით უპირისპირდებოდა ნამყოს  
სხვა ნაკვთებს (ნამყოსრულს, II თურმეობითს). მასში შეიძლება  
ხოლმეობითობასთან ერთად თურმეობითობა, უნახაობაც გამო-  
იხატოს, როგორც ეს პერფექტული ნაკვთებისთვისაა დამახასი-  
ათებელი“ – აღნიშნავს ავთანდილ არაბული (იქვე:173); იქნებ პი-  
რობითობაც (ვარაუდი, შესაძლებლობა)? რა თქმა უნდა, იმის-  
თვის, რომ განსახილველ ზმნებს სვანურში III ხოლმეობითის კვა-  
ლიფიკაცია მიეცეთ, ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაო საკმა-  
რისი არ არის. ეს მხოლოდ საკითხის დასმაა. შემდგომმა კვლევამ  
(თუნდაც, ამ კუთხით ძველი სვანური სიმღერების ენის დამა-  
ტებით შესწავლამ) შესაძლოა, გარკვეულ საფუძვლიან მსჯელო-  
ბამდე მიგვიყვანოს.

ამ ეტაპზე კი ვთვლით, რომ ვინაიდან ზმნათა აღნიშნულ  
ფორმებს გამოკვეთილი სემანტიკა და საკუთარი წარმოება  
აქვთ, ამიტომაც ორივე მათგანს მწკრივის კვალიფიკაცია უნდა  
მიეცეს. რაც შეეხება მწკრივთა დასახელებას, მხედველობაში მი-  
საღებად მიგვაჩნია შემდეგი ფაქტორები:

ა) საანალიზო ფორმათა პირველი რიგი – **ხემწარი** (ბზ.), **ხე-  
მწარი** (ბქ.) „უმზადებია აღბათ“ ან „უმზადებია აღბათ ხოლმე“ –  
პერფექტულობაში გათვალისწინებულ დროთა მიხედვით (ნამყო:  
ანმყო) I შედეგობითს ეკედლება, მეორე რიგი კი – **ხემწაროლ**  
(ბზ.), **ხემწარიჟ** (ბქ.) „ეგებ ემზადებინა“ ან „ეგებ ემზადებინა  
ხოლმე“ (ნამყო : ნამყო) – II შედეგობითს;

ბ) სემანტიკურ განსხვავებას I და II შედეგობითა და აღნიშნულ ფორმათა შორის პირობითობა ქმნის;

გ) საანალიზო მონაცემებში მოქმედების აქტის ნიუანსი (უნახაობა) გათვალისწინებული არ არის. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ტერმინოლოგიური სახელდებისას პირობითობასთან ერთად უმჯობესია, შედეგობითობა ფიგურირებდეს და მათ პირობით-შედეგობითი I (ან ანმყოს პირობით-შედეგობითი) და პირობით-შედეგობითი II (ან ნამყოს პირობით-შედეგობითი) ეწოდოს.

თუ შევაჯამებთ ზემოთქმულს, სვანურში III სერიაში ხუთი პერფექტული დრო გამოიყოფა, პარადიგმა კი ასეთ სახეს მიიღებს:

#### **შედეგობითი I**

**ხომხა** „უნვაეს მას ის“, **ხომნ/არა** „უმზადებია“ **ხომდრნ/ალა** „ეთამაშია“

#### **პირობით-შედეგობითი I**

**ხეშხი** „უნვაეს ალბათ მას ის“, **ხემშ/არი** „უმზადებია ალბათ“ **ხემდრნ/ალი** „ეთამაშია ალბათ“

#### **შედეგობითი II**

**ხომხნ/ან** „და<sup>1</sup>ენვა მას ის“ **ხომარნნ/ხომარა/ან** „ემზადებინა“, **ხომდრნლნ/ხომდრალა/ან** „ეთამაშა“

#### **პირობით-შედეგობითი II**

**ხემხლ/-იჷ** „და<sup>1</sup>ენვა ალბათ მას ის“ **ხემარლლ/ხემარიჷ** „ემზადებინა ალბათ“ **ხემდრნლლ/ხემდრალიჷ** „ეთამაშა ალბათ“

#### **კავშირებითი III**

**ხომხენ/ენს** „და<sup>1</sup>ენვას მას ის“, **ხომარენს/ხომარენეს** „ემზადებინოს“, **ხომდრნლენს** „ეთამაშოს“

## ლიტერატურა

- ა. არაბული 1984 – ავთანდილ არაბული, მესამე სერიის ნაკვეთელთა წარმოება და მნიშვნელობა ძველ ქართულში, თბილისი, 1964.
- ვ. თოფურია 1967 – ვარლამ თოფურია, შრომები, I, სვანური ენა I, ზმნა, თბილისი, 1967.
- გ. მაჭავარიანი 1974 – გივი მაჭავარიანი, ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, თბილისი, 1974.
- დ. მელიქიშვილი 2001 – დამანა მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბილისი, 2001.
- სვანური პროზაული ტექსტები 1939 – სვანური პროზაული ტექსტები, ტ. I, (ბალსზემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ), თბილისი, 1939.
- არნ. ჩიქობავა 1948 – არნოლდ ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბილისი, 1948.
- არნ. ჩიქობავა 1968 – არნოლდ ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, თბილისი, 1968.
- ზ. ჭუმბურიძე 2007 – ზურაბ ჭუმბურიძე, სვანური ენა, თბილისი.
- ბ. ჯორბენაძე 1983 – ბესარიონ ჯორბენაძე, ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბილისი, 1983.

**Ketevan Margiani-Subari**

### TOWARDS THE INTERRELATION OF PERFECTNESS AND IMPERFECTNESS IN SVAN TRANSITIVE VERBS

#### Summary

The Svan language confirmed the verb forms which had not been attested in a conjugation system among the screeves (of tenses and moods) known to this day. The mentioned data involves active verbs of synthetic origin which are perfective: they express a static result of past conjectural, unspecified action either in present-future (*x-e-g-i* „Probably, he/she has built it“) or in past (*xegǎl* – Probably, he/she built it).

I believe, that the analytical forms are of reinterpreted, inversed forms of Future imperfect (I form) and Conditional Imperfect (II form), since semantics also indicates to their relation to the mentioned screeves.

All relative transitive and medio-active absolute verbs have the mentioned forms. Their real subject always creates a nominative construction in the I Series and ergative one – in the II Series. Perfectness of these verbs is expressed either in a static result of a past action in present (I form) or in past (II form). Accordingly, the analytical verbs are of either I or II Resultative and at the same time they confront them (I and II Resultative) with the semantics of doubtfulness and conjecturalness. On the other hand, these forms give the impression of imperfectness.

In my mind, the abovementioned screeves should be qualified as screeves (possessing two essential conditions for this: form and semantics) and should be deployed in III Series of verbs paradigm. From terminology standpoint, they belong to I and II Conditional-Resultative in my opinion.

### შუშანიკი – ვარდანი თუ ვარდანდუხტი?!

საკუთარ სახელთა, კერძოდ, ანთროპონიმთა შესწავლის მნიშვნელობასა და მის აუცილებლობას, ვფიქრობთ, არც კი ღირს, ვრცელი მსჯელობა დავუთმოთ. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ადამიანთა სახელების, როგორც არსებით სახელთა ქვეჯგუფის, არქაულობა (რომელიც, უპირველესად, ბრუნვათა სისტემაში მათსავე ფორმას ეტყობა როგორც ძველ, ისე – ახალ ქართულში) საკმარისია იმისათვის, რომ მკვლევარს ანთროპონიმთა ძიებისადმი განსაკუთრებული ინტერესი გაუჩნდეს, რადგან თითოეული მათგანი ჩვენი ერის რელიგიური წარმოდგენებისა თუ ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა ფენის, სხვადასხვა შრის ამსახველ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ; ზოგჯერ მეზობელ კულტურათა გავლენას მივანეროთ და მათში ეპოქები ამოვიკითხოთ. როგორც ზ. ჭუმბურიძე შენიშნავს: „...ქრებოდა ძველი სახელები, ჩნდებოდა ახალი, იცვლებოდა სახელის დარქმევის წეს-ჩვეულებანი. ამ წეს-ჩვეულებათა შესწავლა, პიროვნულ სახელთა ისტორიის გაცნობა, მათი წარმომავლობისა და მნიშვნელობის დადგენა მრავალმხრივ არის საინტერესო“ (ზ. ჭუმბურიძე, 1982:6).

ახლა ჩვენ სწორედაც რომ სახელის დარქმევის ერთ უაღრესად ძველ ჩვეულებასა და ენობრივ საშუალებას შევეხებით (არა მხოლოდ ქართულარეალურს) და ამასთანავე ადრეული ეპოქების მნიშვნელოვან ტენდენციას გამოვყოფთ.

ქართული საისტორიო წყაროები აჩვენებს, რომ V საუკუნის საქართველოში ირანული პოლიტიკისა და, შესაბამისად, სპარსული ენის გავლენით ადამიანთა სახელდებებში სისტემურ მოვლენას წარმოადგენს ენობრივი ფაქტი, რომელიც შემდეგნაირად შეიძლება ფორმულირდეს: დიდგვაროვან ქალთა სახელები მამის

სახელების იდენტურნი არიან; ამით კი, ერთი მხრივ, უშუალო წინაპრის, ანუ მამის ხაზიდან წარმომავლობა ფიქსირდება, რაც მათ დინასტიურ ეთნოგენეზს უსვამს ხაზს, ხოლო, მეორე მხრივ, იმისათვის, რომ მათ შორის, ანუ მამასა და ქალიშვილს შორის, განსხვავებულობა თვალნათელი იყოს, ქალიშვილის შემთხვევაში -duxt საშუალირანული ფუძე აქვს დართული, რომელიც [მზია ანდრონიკაშვილის განმარტებით] „ნიშნავს ასულს (საშ სპ. -duxt ‘ასული’... ახ. სპ. duxtar, დიალექტური ფორმა -duxt“ (მ. ანდრონიკაშვილი, 1966:458). ამ გზით მიღებულ სახელებად მიიჩნევა: მირანდუხტი („მი[თ]რდატის ასული“), გურანდუხტი („გურამის ასული“), ბაკურდუხტი („ბაკურის ასული“) და, რა თქმა უნდა, საგდუხტი'ც.

ჯუანშერის თხზულების – „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ – ერთ ადგილას ცნობილი ხდება, რომ „ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა ათისა“ ოვსთა ლაშქარმა შემუსრა კასპი ქალაქი „და წარიყვანეს დაა ვახტანგისი **მირანდუხტ**, სამის წლის ქალი... და განვლეს კარი დარუბანდისა ... და შევიდეს ოვსეთს გამარჯვებულნი“ (ჯუანშერი, 1955:145-146); მოგვიანებით ვახტანგი ახერხებს ოვსთა ხელიდან საკუთარი დის გამოხსნას და „მისცა სპარსთა მეფესა დაა მისი ვახტანგ მეფემან ცოლად, **რომელსა ერქუა მირანდუხტ**, რომელი წარტყუენულ იყო ოვსთაგან და გამოეანსა ვახტანგს“ (ჯუანშერი, 1955:185).

ვახტანგ გორგასლის მამის სახელი, იმავე ჯუანშერის ცნობით, არის **მირდატი** („ესუა ძე არჩილს, და უწოდა სახელი მისი მირდატ“ (ჯუანშერი, 1955: 140), ძე არჩილ I-სა, მეფე ქართლისა – მირდატ V [მზ. ანდრ.]. ძველი ირანული Mitradata „მითრას მოცემულს“ ნიშნავს (მ. ანდრონიკაშვილი, 1966: 478). ეჭვგარეშეა, რომ ანთროპონიმ მირან-დუხტ'ის, რთული შედგენილობის სახელის, პირველი ფუძე სპარსული „მირდატი“ ქართულ ენობრივ არეალში ხშირ შემთხვევებში შემოკლებული, მხოლოდ „მირ“ ფუძითაც გამოიყენებოდა („სახელი მიჰრ//მირ წარმოადგენს საშ. სპარსული Mihr-ის გადმოცემას, ფალაურში დადასტურე-

ბულია ფორმები“ მითრ და უფრო მოგვიანო იპრ ... მითრა „სინათლის, მზის ღმერთი“, საშ. და ახალ სპარსულში სიტყვამ მიიღო „სიყვარულის მნიშვნელობა“ (მ. ანდრონიკაშვილი, 1966:474). მაშინ, როცა ჯუანშერი მურვან ყრუს [735 წ.] შემოსევებზე იწყებს საუბარს, იტყვის: „მეოცდასამე მეფე, **მირ**, ძე სტეფანოზ მთავრისა, ხოსროიანი“ (ჯუანშერი, 1955: 233). მითრა-ს ღვთაების კიდევ ერთ ენობრივ ვარიანტს ქართულ წყაროებში დადასტურებული ფორმა მირიან'იც წარმოადგენს, რომელშიც -ana სუფიქსის გამოყოფა კვლავ ძვ. ირანული ენის დონეზე ხდება (Mitra + -ana); (მ. ანდრონიკაშვილი, 1966:481).

ვახტანგ გორგასლის დის, მითრდატის ასულის, მირანდუხტად მოხსენიება სხვა არაფერზე მიანიშნებს, თუ არა იმაზე, რომ ხოსროიანთა დინასტიურ სახელებში მირ'ი, მირიანი და მითრდატი//მირდატი ერთმანეთს ენაცვლება, ხოლო, სავარაუდოდ, მათსავე ქალიშვილთა სახელებში ერთადერთ ენობრივ ვარიანტად მირანდუხტი ჩანს (და არა: \*მითრანდუხტი//\*მითრდუხტი, \*მირდუხტი და სხვ.); ეს უკანასკნელი კი ენობრივად „მირ[ი]ან“ ფუძეზე დაყრდნობით არის მიღებული და თანხმოვანფუძიანი სახელიდან ა-ხმოვანფუძიან ანთროპონიმად არის ქცეული მოგვიანებით -[დ]უხტ ფუძისეული ფონემების მოკვეცის შედეგად (მირან-დ-ა).

რაც შეეხება საგდუხტ'ს: „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით საგდუხტი არის სახელი ვახტანგ გორგასლის სპარსი დედისა. როგორც მ. ანდრონიკაშვილი აღნიშნავს: საგდუხტ მოდის ირანული სახელიდან Sahakduxt 'საჰაკის ასული'... Sahakduxt > სააკ-დუხტ > საგდუხტ (ჰ დაიკარგა ხმოვანთა შორის, შდრ. სააკ, სააკადე, ხოლო კ გამჟღერდა დ-ს წინ). ამ სახელში ირანულია მხოლოდ მეორე ნაწილი duxt 'ასული', ხოლო საჰაკ-ი იგივეა, რაც ბერძნ. ისააკ'ი, ებრაული ისხაკ'ი [Isxaq], „ფორმა **საგდუხტ** დასტურდება სომხურშიც“ (მ. ანდრონიკაშვილი, 1966: 494). თუკი – დუხტ ფუძეთა დართვის საერთო ტენდენციას გავითვალისწინებთ, ვახტანგის დედა საჰაკის ასული გამოდის, რაც, ერთი



შეხედვით, ენინაალმდეგება ქართულ საისტორიო წყაროებში დაცულ ცნობას, რომლის მიხედვითაც ვახტანგის პაპა, დედის მხრიდან, არის **ბარზაბოდ**'ი, ერისთავი რანისა და მოვაკნისა: „მაშინ არჩილ მეფემან აღუსრულა ნება მისი. წარგზავნა მოციქული **ბარზაბოდისსა**, და ითხოვა ასული მისი. ცოლად ძისა თვისისა“ (ჯუანშერი, 1955: 142). საქმე ის არის, რომ ასევე ირანული კომპოზიტი „ბარზაბოდი“ ავესტური წარმოშობისაა და ნიშნავს: „მაღალი შეგნების ან გრძნობის მქონე“, გონიერ, ჭკვიან, ადამიანს (მ. ანდრონიკაშვილი, 1966:447). აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ „ბარზაბოდ-ი“ ვახტანგის პაპის მეტსახელი უფროა, ვიდრე – საკუთარი სახელი. როგორც ჩანს, რანისა და მოვაკნის ერისთავის – „ბარზაბოდ-ის“ – საკუთარი სახელი „საჰაკ-ი“ > „სააკ-ი“ იყო, სხვაგვარად ყოველგვარ ლოგიკას სცილდება ვახტანგის დედის საგდუხტის, ანუ \*„სააკის ასულის“, სახელით მოხსენიება. უკანასკნელ შემთხვევაში უნდა დაეუშვათ, რომ რან-მოვაკნელ ერისთავთა ერთ-ერთ ძირითად დინასტიურ სახელს სწორედ საჰაკი წარმოადგენდა.

მამა-[ქალი]შვილის სახელთა ერთგვაროვნებასთან გვაქვს საქმე „შუშანიკის წამების“ ტექსტში, რომელშიც ჰერეთის წამებული დედოფლის შესახებ ვკითხულობთ: „და ცოლად მისა [ვარსქენისა] იყო **ასული ვარდანისი** სომეხთა სპაიპეტისაჲ, რომლისათჳს ესე მივწერე თქუენდა, **მამისაგან სახელით ვარდან და სიყუარულით სახელი მისი შუშანიკ**“ („შუშანიკის წამება“, 1946:34).

შუშანიკის ვინაობა-წარმომავლობის შესახებ კ. კეკელიძე აკონკრეტებს: „შუშანიკი იყო ასული სომეხთა სპასპეტის ან მხედართმთავრის **ვარდანისა**, რომელიც ცნობილი ისტორიული პირია, მამიკონიანთა საგვარეულოდან, სომეხთა კათალიკოსის საჰაკ დიდის შვილიშვილი, ტარონიდან“ (კ. კეკელიძე, 1980:113). ვფიქრობთ, ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას თავად მამიკონიანთა საგვარეულო წარმომავლობის შესახებ. სიმონ ჯანაშია შრომების იმ ნაწილში, რომელშიც „ნან“//„ჭან“//„სან“//„ზან“ ფუძეთა

საერთო წარმომავლობას განიხილავს, იტყვის: „... აქ გასათვალისწინებელია, ლიტერატურაში მრავალგზის განხილულ-კომენტირებული, გარდმოცემა ძველი სომხური მწერლობისა ნახარარ მამიკონიანების წარმოშობის შესახებ. ამ გადმოცემით, **მამიკონიანები შთამომავლობით ჭენ-ები არიან, ამ ფეოდალურ საგვარეულოს წინაპარი სომხეთში მამგუნი ჭენ-ია, „ჭენ-გვარის, ანუ „ჭენ-თესლისა“.**<sup>1</sup> თუმცა უეჭველია, რომ ამ გადმოცემის უშუალო მომთხრობელთ „ჭენ“ აქ ესმით, როგორც „ჩინ“-ი და ეს ფუძე ძველ სომხურ მწერლობაში მართლაც ჩინეთსა და ჩინელზე მიუთითებს, მაგრამ საფუძვლიანი უნდა იყოს ლიტერატურაში არაერთგზის გამოთქმული მოსაზრება, რომ ეს მნიგნობრული კონსტრუქციაა, სადაც ხალხური თქმულების რეალური „ჭანი“ შეცვლილია „ჭენ“//„ჩინ“-ით, რისთვისაც, დავეუმატებთ ჩვენ, იქნებ ხელი შეეწყოს „ჭან“-ის ადგილობრივს ცოცხალ ვარიანტს „ჭენ“-საც. მამიკონიანები რომ მართლაც წარმოშობით ჭანები იყვნენ, ეს სავსებით სარწმუნოა: ამას გვარის სახელის ფუძის **მამიკის** (« მამა + კნინობითი სუფიქსი) გარდა დაბოლოება – **ონ**, ჭანურ-მეგრული აფიქსი, ადასტურებს (ს. ჯანაშია, 1959:33) [ს. ჯანაშია აქვე იტყვის, რომ „ეს ფუძე ქართველური წარმოშობისად და მამიკონიანებიც ჭანებად მოჩნეულია, მაგ., ნ. ადონცის მიერ“-ო; იქვე:33]. მართლაც, ფუძე „მამ-იკ“-ში აშკარაა, ერთი მხრივ, ქართული წარმომავლობის კნინობითის –იკ სუფიქსი, ხოლო, მეორე მხრივ, ჭანური –ონ'ი; რაც, ჩვენი აზრითაც, უცილობლად წარმოადგენს ენობრივ მტკიცებულებას მამიკონიანთა არასომხური წარმოშობის შესახებ.

მთავარ სათქმელს დავუბრუნდეთ: სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ „ბიოგრაფიული ცნობები იაკობის შესახებ არ მოგვეპოვება; ვიცით მხოლოდ, რომ ის იყო კარის ხუცესი ან მღვდელი, მოძღვარი შუშანიკისა“ (კ. კეკელიძე, 1980:114); ჰაგიოგრაფიული თხზულების მთელ მანძილს კი იაკობის ანტი-

<sup>1</sup> **დამატება:** მითითებულია სომხური ტექსტი მ. ხორენელისა, გვ. 99; 221-223, 227.

სპარსული განწყობილება და ამ განწყობილებით გამონვეულ-მოტივირებული პასაჟები გასდევს. როგორც სარწმუნოებრივად, ისე პოლიტიკურად სპარსული ორიენტაციის მონინალმდეგე აგიოგრაფი მწერალი პიტიახშის სასახლეში დატრიალებულ დრამას მხოლოდ სარწმუნოებრივ ქრილში განიხილავს, თუმცა პოლიტიკური სინამდვილე (ჰაგიოგრაფიის ჟანრობრივი მახასიათებლის გამო – გადმოსცეს სინამდვილე) ვერ იმალება.

ნ. (ლაშა) ჯანაშია ვარსქენის შეუზღუდველ ძალაუფლებას ირანის ვერაგული პოლიტიკით ხსნის და ამბობს: „[ვარსქენის] სრული შეუვალობა, ალბათ, მნიშვნელოვანწილად ეყრდნობოდა ირანელების ძალას. ირანელები, ჩანს, ქართლის მეფეს უპირის-პირებდნენ ვარსქენსა და მის მსგავს ფეოდალთა კლასის უძლიერეს წარმომადგენლებს. უეჭველია, ვარსქენი მეფის ოპოზიციაში მდგომი ფეოდალების ერთ-ერთი ბელადი იყო“ (ნ. ჯანაშია, 1986: 40). ანტისპარსული პოლიტიკის მონანილე სომეხ დიდგვაროვანთა შორის მამიკონიანებს წამყვანი პოზიცია უპყრიათ; ამ თვალსაზრისით სწორედ ისინი იკავებენ გამორჩეულ ადგილს სპარსელთა წინააღმდეგ მიმართულ აჯანყებებში. 482-484 წ.წ-ში ვარსქენის სიკვდილის შემდგომ ვახტანგმა აჯანყება დაიწყო, აქ მას **ვაჰან მამიკონიანი** ეხმარება; ის ეუბნება სომხებს: „თქვენც გიცნობთ ჩემი გამოცდილებით, თუ როგორ მიგიციათ ფიცით ალთქმა ჩვენი მამებისათვის და მოგიტყუებიათ... მაგრამ ყველაზე მეტად თქვენი თავისა გეშინოდეთ, რადგან ცრუ და არასანდო ხალხი ხართ“-ო (ლაზარე ფარპეცი, 1962:246). თავად წყაროს შემქმნელის – ლაზარე ფარპეცის – შესახებ კი სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ის „დაიბადა 440-443 წ.წ. შორის, ხოლო თავისი ცნობილი „წერილი ვაჰან მამიკონიანს“ 488-491 წლებში შეუქმნია (ლ.-ნ. ჯანაშია, 1962:15). ამრიგად, 571 წლის ირანელების წინააღმდეგ მიმართულ აჯანყებაში სომხეთის მხარეს წინამძღოლობს **ვარდან მამიკონიანი**, ხოლო ქართლს – ქართლისავე I ერისმთავარი – გუარამი, მამით ბაგრატიონი, და

დედით – გორგასლიანი (ვახტანგ გორგასლის ქალიშვილის შვილი).

მამიკონიანთა სპარსთმოდულობა, რაც უპირველესად მათ-სავე პოლიტიკურ ორიენტაციასა და ქრისტიანობისადმი ერთ-გულებაში გამოიხატებოდა, კარგად არის ცნობილი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, რაც, თავის მხრივ, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ცხადდება. მაგალითად, ერთგან ვკითხულობთ: „450 წელს სომხეთსა და ალბანეთში აჯანყებამ იფეთქა. სომხეთში სახალხო მოძრაობას ირანელთა წინააღმდეგ **ვარდან მამიკონიანი** ჩაუდგა სათავეში. იგი გმირულად დაიღუპა 451 წლის 26 მაისს ავარაირის ბრძოლაში, ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაეცა მისი ძმაც ჰმაიკ მამიკონიანი“ (ზ. სარჯველაძე, კ. დანელია, ე. გიუნაშვილი, 1986: 37). ჰმაიკი არშუშას ქვისლი იყო, ვარსკენის ბიძა (ჰმაიკის ცოლი – ძვიკი და ვარსკენის დედა დები იყვნენ; ხოლო ძვიკის სამი ვაჟი – ვაჰანი, ვასაკი და არტაშესი ირანელთა ტყვეობაში მოხვდნენ, რომლებსაც 455 წელს საბოძვარის გაღებით გამოიხსნის არშუშა პიტიახში და ქართლში წამოიყვანს). ზ. ალექსიძე სომხურ წყაროზე, კერძოდ, ლაზარე ფარპეც'ზე, დაყრდნობით დაწერს: „455 წელს [ჰმაიკის შვილები] ჯერ კიდევ მცირეწლოვანები იყვნენ. მათ შორის უმცროსი, **ვარდ'**ი, ისეთი პატარა იყო, რომ რომ ტაოში ძიძასთან დატოვეს“ (ზ. ალექსიძე, 1978:17). ნათლად ჩანს, რომ ვარდან'ი//ვარდ'ი მამიკონიანთა საფეოდალო სახლისათვის ერთ-ერთი ის სახელია, რომელიც დასახელებულ დიდაზნაურთა [//ნახარართა] გვარში თაობიდან თაობას გადაეცემა. სომხურ-ქართული წყაროები (იგულისხმება ფარპეცი და „შუშანიკის წამება“) აჩვენებს, რომ ვარდანი, ანუ ვარდი, უწოდებიათ შუშანიკისათვისაც და მისი ღვიძლი ბიძაშვილისთვის, ჰმაიკის უმცროსი ვაჟისათვისაც.

ახლა საკითხი ასე დავსვათ: მაშინ, როდესაც იაკობ ხუცესი აშკარად ერიდება სპარსი კაცისა და ჯოჯიკის ცოლის სახელებით მოხსენიებას (გამორიცხულია, რომ შუშანიკის პირადმა მოძღვარმა მათი სახელები არ იცოდეს; ან ამგვარი დამოკიდებულება ტექსტის შემოკლება-რედაქტირებას მივანეროთ) და ეს ყველაფერი, სავარაუდოდ, სწორედ მათი სპარსელობა-მაზდეანობით უნდა ავხსნათ, მაშინ აქვე ვიკითხოთ: „შუშანიკის წამების“ ავტორი ამ შემთხვევაშიც შეგნებულად ხომ არ არიდებს თავს ირანული – დუხტ’ის გამოყენებას და მას ქართული „ასულით“ [„ასული ვარდანისი“] ანაცვლებს?

საინტერესოა, რა ხდება ამ თვალსაზრისით სომხურ რედაქციებში. ილ. აბულაძე ქართული და სომხური რედაქციების შედარებისას ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას ეყრდნობა და შენიშნავს: „წამებათა წიგნების (ვრცელთა) შინაარსობლივისა და კომპოზიციური მხარეების გამხილვის შემდეგ ჩვენი მკვლევარი [იგულისხმება ივ. ჯავახიშვილი – ი.ს.] იმ დასკვნამდის მივიდა, რომ ნაწარმოების თავდაპირველ დედნად ქართული აღიარა, ხოლო სომხური მის მერმინდელ გადაკეთებად მიიჩნია“ (ილ. აბულაძე, 1978: 020).

უნდა ითქვას, რომ სომხური რედაქცია არსებითად იმეორებს ფრაზას „**ასული ვარდანისი**“, შემდგომ კი აზუსტებს შუშანიკის წარმომავლობას და გაცილებით მეტს გვეუბნება მისი სომხური შტოს შესახებ: „და ცოლად მისა იყო **ასული ვარდანისი** სომეხთა სპაპეტისა, მამიკონიანისი, ასულის წული წმიდისა საჰაკ პარტევისა და სომეხთა მამამთავრისა ასულისაგან მის საჰაკანუშისა, მამა-დედათაგან სახელით **ვარდენი** და სიყუარულით მერმე სახელი [მისი] შუშანიკ“ (ილ. აბულაძე, 1978:3-4).

ამრიგად, სომხურ ვრცელ რედაქციაში დამონმებული ვარდან//ვარდენი ქართული რედაქციის იდენტურია; თუმცა – მცირეოდენი სხვაობით. ქართულში დამონმებული ფრაზა: „**მამი-**

**საგან სახელით ვარდან**“ ქართული რედაქციის დედნობაზე უნდა მიანიშნებდეს, რადგან სწორედ ამ უკანასკნელით ფიქსირდება, რომ შუშანიკს საკუთარი სახელი „ვარდან“<sup>1</sup> მემკვიდრეობით, სწორედაც რომ, მამისეული ხაზით აქვს მიღებული და არა – დედისეულით; განსხვავებული მდგომარეობაა სომხურ რედაქციაში, რომელსაც ჩამატების კვალი ეტყობა [ფრაზიდან: „ასულის წული... / ფრაზამდე: ... საჰაკუნუშისა“]; გადაკეთებულია შესიტყვებაც: ქართ. „მამისაგან სახელით ვარდან“; სომხ. „მამა-დედათაგან სახელით ვარდანი“. ფაქტია, რომ სომხური რედაქციის ავტორი შუშანიკის დედისეული წარმომავლობის წარმოჩენასაც ცდილობს და პრინციპში სწორად არც ესმის ქართულ დედანში მოცემული ფრაზა (ან: შეგნებულად აკეთებს); ხოლო იაკობ ხუცესი, როგორც ამბის თანამდროვე, თვითმხილველი და შუშანიკის მესაიდუმლე, სავარაუდოდ, შუშანიკის ოჯახში დატრიალებული ტრაგედიის გამზიარებელი, ტექსტის თითოეულ ადგილს უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდება და თავისი სათქმელის რეალიზაციის პროცესში შეცდომებს არ უშვებს.

ამრიგად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, V საუკუნის საისტორიო წყაროები ცხადყოფს, რომ ამ ეპოქის ირანულ-ქართულ და, სავარაუდოდ, სომხურ ენობრივ არეალში, რა თქმა უნდა, ირანულისავე გავლენით ქალის სახელებში ქალ-მამაკაცის საზიარო ანთროპონიმებს – დუხტ ირანული ფუძე ემატებოდა; ეს კი, ფაქტობრივად, სისტემურ ხასიათს ატარებდა; ამიტომ, გამომდინარე აქედან, არ უნდა გამოირიცხოს, რომ შუშანიკი ოფიციალურ წრეებში, სწორედაც რომ, **\*„ვარდანდუხტის“// \*„ვარდუხტის“** სახელით იყო ცნობილი და არა მხოლოდ – ვარდანისა.<sup>1</sup>

<sup>1</sup> **დამატება:** „ვარდან – (ირან.) „გმირი“, ან: „მოქალაქე“. ქართულში შესაძლოა შემოსული იყოს სომხურიდან, სადაც იგი უფრო გავრცელებულია. ეს სახელი ერქვა, მაგალითად, წამებული შუშანიკ დედოფლის მამას – ვარდან მამიკონიანს (V ს.). მისგან ნაწარმოები გვარებია: ვარდანაშვილი, ვარდანიძე“ (ზ. ჭუმბურიძე, 1982: 83); ზ. ჭუმბურიძე ქალის ანთროპონიმ „ვარდო“-სთან დაკავშირებით კი შენიშნავს: „ვარდო (ქართ)“ (ზ. ჭუმბურიძე, 1982: 128).

ვფიქრობთ, ამგვარ ენობრივ ფორმებს მოგვიანებით უნდა მოეცა ქართულში ანთროპონიმი „ვარდო“, ხოლო სომხური ანთროპონიმები – „ვართ-[-უმ]-ა“//„ვართან-[-უმ]-ა“, რომლებშიც ფუძისეული „დ“ მჟღერის „თ“-ყრუ-ფშვინვიერ ვარიანტში გადასვლა ფიქსირდება – ასევე უნდა წარმოადგენდნენ „ვარდან“ ფუძის –ან (შდრ. შუმ-ან-ა//სუს-ან-ა) ფორმანტმოკვეცილ ვარიანტებს (ვარდ-ან → ვართ-ან → ვართ-უმ-ა; შდრ. საჰაკან-უმ’ი).

### ლიტერატურა და წყაროები

1. ილ. აბულაძე, 1978 – ილ. აბულაძე, ქართულ და სომხურ მარტვილობათა წიგნების ტექსტობრივი ურთიერთობა, „მარტვილობაა შუშანიკისი“ [რედ. ელ. მეტრეველი], ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ილ. აბულაძემ, თბილისი, 1978.
2. ზ. ალექსიძე, 1978 – Яков Цуртавели, Мученичество Шушаник, пер. В. Д. Дондуа. Введение и примечания З. Н. Алексидзе, Тбилиси, 1978.
3. მ. ანდრონიკაშვილი, 1966 – მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966.
4. კ. კეკელიძე, 1980 – კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1980.
5. ლაზარე ფარპეცი, 1962 – ლაზარე ფარპეცი, „სომხეთის ისტორია“, თბ., 1962.
6. ზ. სარჯველაძე, კ. დანელია, ე. გიუნაშვილი, 1986 – ზ. სარჯველაძე, კ. დანელია, ე. გიუნაშვილი, იაკობ ხუცესი, შუშანიკის წამება (რედ. ე. გაბიძაშვილი), თბ., 1986.
7. შუშანიკის წამება, 1946 – „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი“, კრებული: „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“ (შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ), თბ., 1946.

---

ქართულ საისტორიო წყაროებში სახელით ვარდანი იხსენიება დადიანი, რომელსაც თამარის მეფობის პერიოდის სამეფოში (XII ს.) „დარბაზის რიგის“ მოხელეთა შორის ჩუხჩარხის თანამდებობა ეკავა (ვარდან დადიანს გიორგი III-მ ჩუხჩარხობა უბოძა).

8. **ზ. ჭუმბურიძე, 1982** – ზ. ჭუმბურიძე ზ., რა გქვია შენ? [მესამე შევსებული გამოცემა], თბილისი, 1982.
9. **ს. ჯანაშია, 1959** – ს. ჯანაშია, შრომები, ტ. III, თბ., 1959.
10. **ნ. – ლ. ჯანაშია, 1962** – ნ. – ლ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962.
11. **ნ. ჯანაშია, 1986** – ნ. ჯანაშია, ისტორიულ წყაროთმცოდნეობითი ნარკვევები, თბილისი, 1986.
12. **ჯუანშერი, 1955** – „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, „ქართლის ცხოვრება“, (ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ), ტ. I, თბ., 1955.

**Inga Sanikidze**

### **SHUSHANIKI – VARDANI OR VARDANDUKHTI?!**

#### Summary

In general, the archaism of the (given) persons' names as those of the subgroup of the Nouns, is sufficient for the researcher to be particularly interested in the search of the anthroponymes so as each of them should be considered as a phenomenon describing the religious imaginations of our nation or the various layers, various strata of the mode of life of our nation; to be ascribed sometimes to the influence of the neighboring culture and read out the epochs in them.

The Georgian historical sources show that in the V century giving names to the people under the influence of the Iranian (Persian) politics and, relatively, to Persian language the systematic phenomenon is the lingual fact which can be formulated as follows: the names of the noble women are identical to the names of their fathers; and this way, on the one hand, the origin from the direct ancestor is fixed, e.i. from the father's line which underlines their dynastic ethnic-genesis, and on the other hand, it is aimed at making the vivid difference between them, father and daughter. In the case of a daughter the –dukhti [daughter in Iranian] has a middle-Iranian stem (root) attachment. The names received this way are as follows: Mirandukhti (“Daughter of Mi[t]rdati”), Gurandukhti („daughter of Guaram“), Bakurdukhti (“Daughter of Bakur”) and, of course, Sagduht, as well. We deal here



with the homogeneity of the names of fathers- [female] children in the text of “Martyrdom of Shushaniki”, as well.

S. Janashia, relying upon the historical sources will declare that the Mamikonians are the Chens by posterity, the ancestor of this feudal patrimonial is Mamgun Chen, “of the Chen family name”, e.i. “of the Chen-seed” in Armenia. The hatred towards the Persians by the Mamikonians, that has been expressed in their political orientation and their devotion to Christianity, is well known in the Georgian literature, which is stated on the basis of historical sources, as well.

Let’s put the question this way: is it possible that, when Jacob the Priest evidently avoids to mention the Persian man and Jojik’s wife by names and all this, presumably should be explained by the very Persianity-Mazdeanity, than we shall spell the question thus: Is it the fact that the author of “The Martyrdom of Shushanik” does not avoid consciously the use of the Iranian – Dukht substituting it by the Georgian “Daughter? რღს”.

The approved Varden/Vardeni in the Armenian vast edition is identical to the Georgian one as well, though – with some difference. The phrase approved in Georgian **‘With the name of Vardan from father** apparently should indicate the originality of the Georgian edition so as by this very last one it is fixed that Shushanik obtained her proper name “Vardan” hereditary, yes, rightfully received from the father’s line and not – from the mother’s line.

The historical sources of the V century point clearly to the fact that in the Iranian-Georgian and supposedly in the Armenian lingual areal of the period, under the strong Iranian influence on female names to the sharing anthroponymes –the Iranian stem “dukht” is added; And this actually bore a systematic character; That is why, as a consequence, it should not be excluded that Shushanik in the official circles was really known under the name of **“Vardandukht// Vardukht”** and not only – that of Vardani. We think that similar lingual forms lately should have produced the Georgian the anthroponyme „vardo“, and the Armenian anthroponymes – “VarT-[ush]-a” //”VarTan-[ush]-a”, in which there is fixed the transmission of stem “d” voiced into”T”-deaf version – in the same way they represented the formant-cut version of –an of `Vardan’ stem (com. Shu-an//Sus-an-a) (Vard-an-> Vart-ush-a; com. saHakan-ush’).

**მორფოსინტაქსური კონსტრუქციებისა და  
სიღრმისეული სემანტიკის ურთიერთობის საკითხი  
ქართულ ზმნაში**

ქართული ზმნის რთული ფორმა გრამატიკული კატეგორიების სიმრავლით განისაზღვრება, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია გვარი და გარდამავლობა.

აკ. შანიძის ცნობილი თეორიის მიხედვით ქართულში სამი გვარია: მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი. ვნებითი ორგვარია: დინამიკური და სტატიკური. საშუალი გვარის ზმნებში კი ორი ქვეჯგუფია: მედიოაქტივი და მედიოპასივი. ზმნის უღლების ოთხი ტიპი გამოიყოფა. მათი კლასიფიკაციის საფუძველია გვარის კატეგორია.

I ტიპი – მოქმედებითი გვარის ზმნები;

II ტიპი – დინამიკური ვნებითები;

III ტიპი – მედიოაქტივები;

IV ტიპი – მედიოპასივები და სტატიკური ვნებითები.

მოქმედებითი გვარის ზმნათა უღლებას უპირისპირდება დინამიკური ვნებითის ზმნათა უღლება. ამ უკანასკნელთა უღლებაც არ არის ერთგვარი. აქ ცალკე დგას მედიოაქტივი ზმნები და ცალკე მედიოპასივი. ამას გარდა, მედიოპასივ ზმნებთან ერთად არის სტატიკური ზმნები (ა. შანიძე, 1953, 488). მოცემულ კლასიფიკაციაში ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ ზმნის ფორმაზე.

არნ. ჩიქობავას მიხედვით ქართულ ზმნაში ორი გვარი გამოიყოფა: მოქმედებითი და ვნებითი. უღლების ტიპებს კი დინამიკურობა და სტატიკურობა განსაზღვრავს. ზმნის უღლების I და II სქემაში მოცემულია მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნები, ხოლო III სქემაში – სტატიკური ზმნები (არნ. ჩიქობავა, 1950:063-074).

დ. მელიქიშვილმა ქართული ზმნის უღლებად ფორმათა კლასიფიკაციას საფუძვლად დაუდო მორფო-სინტაქსური კრიტერიუმი და გამოყო გრამატიკული კატეგორიის, „დიათეზის“, „სამი ჯგუფი, რომელთაგან თითოეულს აერთიანებს მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური კონსტრუქციის ერთიანობა“ (დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა“, 2001). მისი განმარტებით, „დიათეზა არის გრამატიკულად მარკირებული, სტრუქტურისა და კონსტრუქციის ერთიანობით განსაზღვრული კატეგორია, რომლის სემანტიკური ნიშნით განსაზღვრული ქვესახე არის გვარი“ (დ. მელიქიშვილი, 2010; 2013, გვ. 209).

ბ. ჯორბენაძე ვარაუდობს, რომ გვარი, როგორც ზმნის კატეგორია, ქართულში შედარებით გვიან ჩამოყალიბდა და მისი ფორმირების პროცესი დღესაც არ არის დასრულებული (ბ. ჯორბენაძე, 1975:31). გვარის ფორმები ყალიბდება გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების ურთიერთდაპირისპირების ფორმათა საფუძველზე. ბ. ჯორბენაძეს მიაჩნია, რომ ქართულში მხოლოდ აქტიური და პასიური, მხოლოდ მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნები გამოიყოფა, რადგან ქართულში ქვემდებარის აქტიურობის მიხედვით გაჭირდება მოქმედებითი და საშუალო გვარის ზმნების ერთმანეთისაგან გამიჯვნა (ბ. ჯორბენაძე, 1975:35). როგორც ცნობილია, ა. შანიძე მოქმედებით და საშუალო გვარს ერთმანეთისაგან პირდაპირი ობიექტის ქონა-არქონის მიხედვით ასხვავებს, ანუ იმის გათვალისწინებით, „მოქმედება სხვა პირზეა დამართული, თუ არა,“ (ა. შანიძე, 1980: 280). გვარის განსაზღვრისას პირდაპირ ობიექტზე მითითება ბ. ჯორბენაძეს არ მიაჩნია მიზანშეწონილად. რადგან ასეთი განმარტებისას იმლება ზღვარი გვარსა და გარდამავლობას შორის. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ბ. ჯორბენაძის მოსაზრებას. გვინდა აღვნიშნოთ, რომ არსებობს ენები, რომლებსაც აქვთ გარდამავლობის კატეგორია, მაგრამ არ აქვთ ჩამოყალიბებული გვარის კატეგორია. ასეთი შემთხვევები გვხვდება მთის კავკასიურ ენებში.

საყურადღებოა, რომ ა. შანიძე ქართულში გვარის დეფინიციის დროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევს კონვერსიას. გვარის ფორმები ერთმანეთის მიმართ კონვერსიულ დამოკიდებულებაში არიან. ქართულში კარგად უპირისპირდება ერთმანეთს მოქმედებითი და ვნებითი, ურთიერთობა აქტივსა და პასივს შორის ისეთია, რომ ერთი წარმოადგენს მეორის მობრუნებულ სახეს (ა. შანიძე, 1980:281). კონვერსიის აუცილებელი პირობაა, რომ კონვერსიული წყვილი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდეს პირთა რაოდენობის მხრივაც. რაც გამოწვეულია აქტიური სუბიექტური პირის დაკარგვის შედეგად. მოქმედებითი და ვნებითი გვარი გაიაზრება, როგორც ორი განსხვავებული ფორმა. ამავე დროს, როგორც უკვე აღნიშნული იყო, მათ შორის არსებობს კონვერსია, რაც არის ნიშანი იმისა, რომ ეს ორი ფორმა ერთმანეთს უპირისპირდება გვარის კატეგორიის მიხედვით. აქტიური სუბიექტის გაქრობის შემდეგ პირდაპირი ობიექტი იკავებს სუბიექტის ადგილს. შესაბამისად იცვლება კონსტრუქცია და ზმნის ფორმაც. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთდროულად ორ პროცესთან, რომლებიც ერთმანეთის პარალელურად მიმდინარეობს. გარდამავალი ზმნა ხდება გარდაუვალი, რადგან იკარგება აქტიური სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი იკავებს სუბიექტის ადგილს, ანუ ის აღარ არის პირდაპირი ობიექტი და ზმნა ხდება გარდაუვალი. ამავე დროს, კონვერსიის წესებიც დაცულია, ხდება პირის კლება და მოქმედებითი გვარის ზმნის გადასვლა ვნებითში. კონვერსიის საკითხი არსებითად ორი პირის საკითხია. სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტისა (ა. შანიძე, 1980:281). აღნიშნული პირებით განისაზღვრება გარდამავლობაც. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ კონვერსია არ შეიძლება განხორციელდეს ვნებით და საშუალო გვარის ზმნებს შორის. მათ არ გააჩნიათ პირდაპირი ობიექტი, ე.ი. ეს ორი გვარი ერთმანეთის მიმართ არასრულფასოვან დამოკიდებულებაშია.

ამგვარად, კონვერსია ახასიათებს არა ყველა გვარის ზმნას, არამედ მხოლოდ მოქმედებითსა და ვნებითს, ხოლო მათი კონვერსიის დროს ხდება სწორედ გარდამავალი ზმნის გადასვლა გარდაუვალში.

როგორ ავხსნათ ის შემთხვევები, როდესაც საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნები გვაძლევს ვნებითებს, ეგ. წ. კონვერსიის შედეგად?

მაგ., თინა სწავლობს უნივერსიტეტში (საშუალ-მოქმედებითი, გარდაუვალი).

თინა სწავლობს ფრანგულს უნივერსიტეტში (საშუალ-მოქმედებითი, გარდამავალი).

ფრანგული ისწავლება უნივერსიტეტში (ვნებითი გვარი, გარდაუვალი).

ჩვენი აზრით, სწავლობს არის გარდამავალი ზმნა, ხოლო ისწავლება მისი გარდაუვალი ნყვილი. როგორც ცნობილია, ამ ტიპის ზმნები: თამაშობს, ანგარიშობს, ქირაობს, ცეკვავს, სადილობს, ნანობს, ფიქრობს და მრავალი სხვა. ა. შანიძის მიხედვით მიდიაქტივებია.

მათ აგრეთვე ნახევრად გარდამავალ ზმნებს უწოდებენ ან კიდევ ფსევდოგარდამავალ ზმნებს, რადგან ისინი ყოველმხრივ იზიარებენ გარდამავალი ზმნის მახასიათებლებს. მაგრამ ფსევდოგარდამავალ ზმნებში სრულყოფილად ვერ გამოიხატებოდა გვარის, ქცევის და სხვა გრამატიკული კატეგორიების მნიშვნელობები (თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, 2011:478). ა. შანიძის კლასიფიკაციის მიხედვით საშუალი გვარის კატეგორიაში ორი გვარია გამოყოფილი: აქტიური და პასიური, რაც, თავის მხრივ, ვფიქრობთ, არათანმიმდევრულია.

ჩვენს მაგალითში „თინა სწავლობს“, – ობიექტი არ ჩანს. ხოლო: „თინა სწავლობს ფრანგულს“, „ფრანგული“ – პირდაპირი ობიექტია. ასევე: „თამარი ტირის“, – ობიექტი არ ჩანს. ხოლო წინადადებაში: „თამარმა ისე იტირა დედამთილი, გამიკვირდა“, – ობიექტი სახეზეა. ამ ტიპის ზმნებში პირდაპირი ობიექტი ზოგ-

ჯერ ამოდის ზედაპირზე, ზოგჯერ – არა. მაგრამ მისი არსებობა სხვა მაგალითებითაც შეიძლება დაფუძვალთ. მაგ.: „ეკა კივის (კივილს)“, „ეკამ იკივლა (კივილი)“. კივილი – არ ჩანს, მაგრამ წინადადებაში: „კივილი არ შემოძლია“, კივილი- წინადადების სრულფასოვანი წევრია. ან კიდევ: „ნიკო იძინებს (ძილს)“, „ნიკომ დაიძინა (ძილი)“. „ძილი – არ ჩანს. მაგრამ წინადადებაში: „ნიკოს ძილი უყვარს“, ძილი – წინადადების სრულფასოვანი წევრია. ამგვარ შემთხვევებში პირდაპირი ობიექტი სიღრმისეული სემანტიკის დონეზე მოიაზრება, ამიტომ ასეთი ტიპის ზმნებს ჩვენ ვუწოდებთ პოტენციურად გარდამავალ ზმნებს, რადგან მათ აქვთ გარდამავალი ზმნის კონსტრუქცია და ყველა ის ნიშანი, რაც გარდამავალ ზმნებს ახასიათებს.

გარდამავლობას გარკვეული გარეგნული ნიშნები აქვს: ნამყო ძირითადადში (რა ქნა?) ობიექტი სახელობითში დაისმის. სუბიექტი – მოთხრობითში. გარდა ამისა, ახალ ქართულში ნამყო ძირითადის მრავლობითის მესამე პირში გარდამავალ ზმნებს -ეს ბოლოსართი მოუდის (არნ. ჩიქობავა. 2007, 58). აღნიშნულს დავამატებდით შემდეგს: გარდამავალი ზმნები ანმყოს მწკრივში, ძირითადად, მთავრდება თემის ნიშნებით და იქ, სადაც თემის ნიშანი არა გაქვს, ზმნის ფუძე მთავრდება თანხმოვანზე. ანმყოს მესამე პირში სუბიექტური პირის ნიშანია -ს. აღნიშნული ზმნები მესამე სერიას აწარმოებს ინვერსიული ფორმებით ისევე, როგორც ეს არის მოქმედებითი გვარის ზმნებში.

ქართული ენის ანალიზის დროს, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ერთი ფაქტი: ენა ორ სისტემას წარმოადგენს. ეს არის მორფო-სინტაქსური კონსტრუქცია: ცვლადი და არაცვლადი. ცვლადია ეგ. წ. ერგატიული კონსტრუქცია, როდესაც ზმნასთან შეწყობილი აქტანტები (S და O პირ) ბრუნვაცვალეზადია სერიების მიხედვით, რისი განმსაზღვრელიც, როგორც აღვნიშნეთ, გარდამავლობაა, მეორეა ეგ. წ. ნომინატიური, არაცვლადი კონსტრუქცია, როდესაც ზმნასთან შეწყობილი აქტანტები ბრუნვაცვალეზადია სერიების მიხედვით.

ამრიგად, ჩვენი აზრით, ქართული ზმნის მორფო-სინტაქსურ კონსტრუქციებს გარდამავლობა განსაზღვრავს. გარდაუვალი ზმნებისათვის დამახასიათებელია გარკვეული ყალიბი: -ები/-ება დაბოლოება (რამდენიმე ზმნას აქვს -ევი/ევა და -ობი/ობა დაბოლოებები). ზმნების ნაწილს აღნიშნული დაბოლოება აქვს ანმყოში, ხოლო ყველა დანარჩენს მყოფადში ჩაენაცვლება ფორმები, რომლებსაც ექნებათ აღნიშნული დაბოლოება და მოხდება მათი გაერთმნიშვნელობა.

მაგ., აფენია – (და) ეფინება ან უყვარს – ეყვარება

ავალია – ევალება	აქვს – ექნება
უკავია – ეკავება	ჰყავს – ეყოლება
უკეთია – ეკეთება	ღირს – ეღირება
კიდია – ეკიდება	სძინავს – ეძინება

გვაქვს ასეთი პარალელური ფორმები:

სტატიკური ზმნები	დინამიკური ზმნები
ვდგავარ – ვიდგები	ვდგები – ავდგები
ვზივარ – ვიჯდები	ვჯდები – დავჯდები
ვწევარ – ვინვები	ვწვები – დავწვები

მნიშვნელობა არ აქვს, აღნიშნული ფორმა საუღლებელი ზმნისთვის საკუთარია თუ ნასესხები. მთავარია, რომ -ები/-ება დაბოლოების მქონე ზმნებს აქვს არაცვლადი კონსტრუქცია, თუნდაც სამპირიანი ზმნა იყოს. არსებობს ერთი და იმავე ძირის მქონე ზმნები, რომლებიც არის ორპირიანი ცვლადი კონსტრუქციით და იმავე ძირის სამპირიანი – არაცვლადი კონსტრუქციის, რომელსაც აქვს -ები / -ება დაბოლოება.

მაგ., ნიკო თამაშობს ბურთს, მაგრამ ნიკო ეთამაშება ბურთს ამხანაგს.

ნიკომ ითამაშა ბურთი, ნიკო ეთამაშა ბურთს ამხანაგს.

მაშასადამე, ზმნები, რომლებსაც არა აქვთ **-ები /-ება** დაბოლოება, ცვლადი კონსტრუქციისაა – გარდამავალია. აქ იგულისხმება (ა. შანიძის მიხედვით) ყველა მოქმედებითი გვარის ზმნა და საშუალო-მოქმედებითები. ამ უკანასკნელთა გააზრებაში, სიღრმისეულ სემანტიკაში, იძებნება პირდაპირი ობიექტური, რომელიც ზოგჯერ ამოდის ზედაპირზე, ზოგჯერ – არა, ამიტომ ვუნოდებთ მათ პოტენციურად გარდამავალს.

ამრიგად, ქართული ზმნის უღლების სისტემა ორ ძირითად კონსტრუქციას გვიჩვენებს: ცვლადს და არაცვლადს.

ჩვენი მიზანია საკითხი განვიხილოთ არა ცალკეული ფორმის ან კატეგორიის მიხედვით, არამედ მთლიანობაში, მთელი კონსტრუქციის გათვალისწინებით, რაც არის ენის სისტემის საფუძველი.

### **ლიტერატურა**

1. თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, 2011.
2. **დ. მელიქიშვილი, 2013** – „მეთოდოლოგიური პრობლემები ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში და მათი გადაჭრის გზები“ (ქართველური მემკვიდრეობა, XVII, 2013).
3. **ა. შანიძე, 1953** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1953.
4. **არნ. ჩიქობავა, 2008** – არნ. ჩიქობავა, ქართულ ენის ზოგადი დახასიათება: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, თბ., 2008.
5. **ბ. ჯორბენაძე, 1975** – ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975.



**Meri Nikolaishvili**

**RELATION OF MORPHOSYNTACTIC CONSTRUCTIONS AND  
DEPTH SEMANTICS ISSUE IN GEORGIAN VERB**

Summary

The compound form of Georgian verb is determined with variety of grammatical categories, where the most important are the voice and transitivity. The majority of the researchers divide verb conjugation types according to the voice category, which in our opinion is incorrect. There are two clearly defined systems, two morphosyntactic constructions in the language: changeable and unchangeable constructions and they are defined, in our opinion, by the transitivity category.

### **რომ** კავშირის პოლისემიურობისათვის

ცნობილია, რომ კავშირები ქართულ ენაში მონოგრაფიულადაა შესწავლილი პროფ. შოთა ძიძიგურის მიერ. მის ნაშრომში მართებულად ესმის ხაზი იმ გარემოებას, რომ „კავშირები . . . რთული წინადადების გრამატიკული დახასიათებისათვის საყრდენს წარმოადგენს“ (შ. ძიძიგური, 1969:6). პროფ. შ. ძიძიგურმა ისტორიულ ასპექტში შეისწავლა ეს საკითხი. როგორც თავადაც შენიშნავს, ენობრივი მასალის მასშტაბმა მოიცვა ქართული სალიტერატულო ენის ყველა საფეხური (მოყოლებული V-VI საუკუნეებიდან) და ცოცხალი მეტყველება, ე.ი. ყველა ძირითადი დიალექტური ერთეული.

კავშირთა ფუნქციური ანალიზისას გაირკვა, რომ ერთსა და იმავე კავშირს სხვადასხვა სემანტიკა აქვს, სხვადასხვა ტიპოლოგიის კავშირია და წინადადების სხვადასხვა კონსტრუქციაში მონაწილეობს (შ. ძიძიგური, 1969: 8-9). ნაშრომში აღნიშნულია ისიც, რომ ამ გარემოებისათვის ჯერ კიდევ 1885 წელს მიუქცევია ყურადღება ანტონ კათალიკოსს, რომელიც თავის „ქართულ ღრამატიკაში“ შენიშნავდა, რომ ერთი და იგივე კავშირი სხვადასხვა ფუნქციის მატარებელია (შ. ძიძიგური, 1969:17).

პროფ. შ. ძიძიგურის მონოგრაფიაში განხილულ კავშირთაგან პოლისემიურობით გამოირჩევა **რომ** კავშირი, რომელიც საშუალო ქართულის ადრინდელ ძეგლებში უკვე დასტურდება.

თედო ჟორდანიას აზრით („ქართული გრამატიკა“, 1889), ეს კავშირი მომდინარეობს **რომელ** ნაცვალსახელისაგან: **რომ** და **რო** მისი შემოკლებული ვარიანტებია. ამ თვალსაზრისს იზიარებს პროფ. შოთა ძიძიგურიც, რომელიც კავშირის სახეცვლილების ასეთ გზას გვთავაზობს: **რომელ** (ოთხმოცდასამი წელიწად-

დია, *რომელ* სუიანი ხელმწიფე ვარ„: „ვისრამიანი“,324, 12), *რომე* („ამა ადგილსა *რომე* ვიმყოფები, უწინდელი ჩემი სამკვიდრო არ არის“: „ქილილა და დამანა“,49), *რომ* („მე *რომ* თქვენ გნახე ედემისა ხე მართ სამოთხისა მიახლებულად, ღონე ვიცადი... „თამარიანი“, XII, 10,11. შ. ძიდიგური, 1969:19).

*რომ* კავშირის ფუნქციები მონოგრაფიაში ამგვარადაა განსაზღვრული: „1. სუბიექტური, 2. ობიექტური, 3. განსაზღვრებითი, 4. მიზნითი, 5. პირობითი, 6. დროულობის, 7. მიზეზობითი, 8. ვითარებით-შედეგობითი, 9. გამორიცხვითი, 10. სივრცითი“ (შ. ძიდიგური, 1969:425).

ჰიპოტაქსურ კონსტრუქციათა ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ თანამედროვე ქართულში *რომ* კავშირი პრაქტიკულად ყველა სახის ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში დასტურდება. წარმოგიდგინო ნიმუშებს:

ქვემდებარულდამოკიდებულიანი: ეს კი უდაოა, *რომ* ბურაბი პატიოსანი კაცი ყოფილა (მ. ჯავახ.); როგორ იქნება, *რომ* ჩემი ხმა შენ ვერ მოგივიდეს (კ. გამსახ.); უკვე ყველასათვის აშკარა იყო, *რომ* ქალების დარაჯობას ორი კბილებამდე შეიარაღებული ჯარისკაცი არ სჭირდებოდა (ო. იოსელი.); ჩემს ყვირილზე უფრო მეტად იმან გააცოფა, *რომ* ბურთი კარს ათი მეტრით მაინც ააცილა (გ. ფანჯ.); უცებ გამახსენდა, *რომ* აქ ... გერმანელი მწერალი უნდა შემხვედროდა (გ. რჩეულ.).

პირდაპირდამატებითდამოკიდებულიანი: ის ლანძღვა უფრო იმას იმსახურებს, *რომ* არ უპასუხო (ვ. ჭელ.); ახლა გავიგე, *რომ* თურმე ჩემი ბატონი გამოსასყიდ თანხას ... თამაშით აკეთებდა (ჭ. ამირეჯ.); ბიჭმა არ იცოდა, *რომ* ზღვა და ცა მართლა ჰგავდნენ ერთმანეთს (თ. ბიბილ.); მაუნყებს იგი, *რომ* არსებობს სულთა კავშირი მარადიული (ანა კალანდ.); აკაკიმ იცოდა, *რომ* ამქვეყნად ყველაზე ძვირფასი რამ დედაენაა (თ. ჭილ.).

ირიბდამატებითდამოკიდებულიანი: ყველანი მიხვდნენ, *რომ* რალაც უნდა გამოეცხადებინა (გ. ფანჯ.); ცეცხლიან ყვავილებში მოჩვენება წითელი ცხელი ცეცხლით ელის, *რომ* ქვეყნის

ამღერება იქნება მზის ნადიმი (პ. იაშვი.); ეს კაცი ხვდება, **რომ** სიჩუმის დრო მორჩა (თ. ბიბილა.); მოველი იმას, **რომ** ამეყრება წოდება (ჭ. ამირეჯ.); იმასაც მიაქციეთ ყურადღება, **რომ** გვემული დედოფალი „ანტიოქიის პალეკარტს“ არ იშორებს.

უბრალოდამატებითდამოკიდებულიანი: და ვრწმუნდებოდი, **რომ** ვერასდროს ვერ მოვინახავდი საჭირო სიტყვას (ო. ჭელი.); შენ დაიბრუნე შენი იმით, **რომ** უარი თქვი სხვისაზე (ო. იოსელი.); კაცობრიობა დაუცხრომლად მუშაობს იმაზე, **რომ** სახელმწიფო ნამდვილი სიკეთის წყაროდ აქციოს (ჭ. ამირეჯ.); ესოდენ იშვიათი სიკვდილი იმით აღინიშნა, **რომ** ქელეხმა ნაშუალამემდე გასტანა (რ. ინანი.).

განსაზღვრებითდამოკიდებულიანი: არის ბუნების ძალი, ხმელსაც **რომ** შეიქმს ნედლადა (მ. ლებანი.); მამის მონაცოლი სრულებითაც არ ჰგავდა იმ ზღაპრებს, სამი ქალი მორიგეობით **რომ** უყვებოდა (ო. ჭილა.); კლდეზედ აშენებს მეფე სიმაგრეს, საუკუნენი **რომ** ვერ დასძრავენ (გ. ლეონ.); მერე გამახსენებ... თაყვანისმცემლებს, ...გარს **რომ** შემორტყმოდნენ აღტაცებულ ნათიას (ედ. ყიფ.); ეს გაუმარჯოს მშვენიერ ქალებს, ჩვენ **რომ** ვუყვარდით (გ. ტაბ.).

ადგილისგარემოებითდამოკიდებულიანი: ჩემი შვილი სწორედ იქ მიდის, სოფლის ბევრ ჭაბუკს **რომ** არ ღირსებია მისვლა (თ. ბიბილა.); მალე ჰანსმა იქ, ადრე კლაუსი **რომ** იჯდა, რალაც მსუბუქად დადო (ო. იოსელი.); დანგრეული ჯებირი **რომ** ჩანს, იქიდან გადავეშვებოდით წყალში და გავდიოდით გაღმა (დ. კვიცარი.); წელან ქვა **რომ** დაგორდა, ისევ იქით მიაპყრო მზერა (ო. იოსელი.).

დროისგარემოებითდამოკიდებულიანი: ამას **რომ** წერდა, ზამთარი იყო, ავდარი იყო სითბორეული (მ. ლებანი.); შუალამე გადასული იყო, საქმეს **რომ** მორჩა (გ. ფანჯ.); ბიძაშვილები **რომ** გაიქცნენ, ქალიშვილიც სწრაფი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან (ო. იოსელი.); ფლავი **რომ** დაინახა, ხუცესს სამოციქულო დაა-

ვინცდაო (ანდ.); ქალაქში **რომ** ჩამოხვალ, იქაურ მამლებს უნდა გაჩხუბო (მ. ჯავახ.).

ვითარებისგარემოებითდამოკიდებულიანი: გარეთ კი ქარი ისე მღეროდა, **რომ** ზრიალებდნენ სარკმლის მინები (ო. ჭილ.); შაშვი ისე გაგიტყუებს სხვაგან, **რომ** სულ აგიბნევს გზა-კვალს (გ. ფანჯ.); ჰანსმა წამოიჩოქა ისე, **რომ** დაჭრილი ძირს არ დაუშვია (ო. იოსელ.); დედა ისე წაიქცა, **რომ** არც ერთ შვილს არ ატკინა (პ. იაშვი.); ახლა ეს სურვილი ისე მოეძალა, **რომ** კინალამ ადგა და მოშორდა ტაბლას (თ. ბიბილ.).

მიზეზისგარემოებითდამოკიდებულიანი: იმიტომ არის ვეშაპი წყალში, **რომ** თევზი ფხიზლად იყოს (ანდ.); დრო კი ბრაზობდა და გადიოდა მხოლოდ იმიტომ, **რომ** ვერ ვამჩნევდი (ო. ჭილ.); კინალამ გული გაუსკდა, აპარატურა ასე უგზოუკვლოდ **რომ** დაკარგა (ო. იოსელ.); გვადის ბაზრობა იმიტომ უყვარდა, **რომ** უცნობ ხალხში ტრიალი განსაკუთრებულ სიამოვნებას ჰგვრიდა (ლ. ქიაჩ.).

მიზნისგარემოებითდამოკიდებულიანი: იარე კელაპტრით ხელში, **რომ** მოგაშურონ და შენკენაც ვიდოდნენ ბნელში (მ. ლეზან.); შენ ილოცებ, **რომ** აღმაცერი მისი სხივები კვლავ შეეხონ ნანვიმარ ფოთლებს (ა. კალანდ.); ის მოვიდა, **რომ** მტრის სისხლიანი ურდოები დაეღენა (ა. კალანდ.); ბევრი კი მხოლოდ იმიტომ (უნდა იყოს იმისთვის. ლ.გ.) მოდის, ამდენი ოქრო **რომ** ნახოს ერთად (ო. ჭილ.); კვლავ შენ გნატრულობ, **რომ** მკერდზე სიცოცხლის წყარო მასხურო (ლ. ასათ.); მან დაფლეთილი ბრეზენტი მალლა აკეცა, **რომ** გამოქვაბულში სინათლე შესულიყო (ო. იოსელ.).

პირობითდამოკიდებულიანი: ეს კაცი **რომ** ცოცხალი გავუშვათ, უეჭველად დაგვაბეზლებსო (მ. ჯავახ.); ერთი დღით **რომ** სადმე წახვიდე, სამი დღის საგზალი უნდა წაილოო (ანდ.); ნაცარში **რომ** ფეხი ჩაჰკრა, მტვერი მოგედინებაო (ანდ.); ცა **რომ** ჩამოინგრეს, ფეხებით დავიჭერო (ანდ.); გლახა **რომ** ერთი იყოს ყველა ქვეყანაში, ყოველდღე ერბოკვერცხს შეჭამდო (ანდ.).

დათმობითდამოკიდებულიანი: კიდობანი პურით სავსეც *რომ* იყოს და კოკა – ნყლით, ობოლს მაინც შია და სწყურიაო (ანდ.); მთელი ქვეყანა მტრადაც *რომ* გადამეკიდოს, შენს თავს მაინც არავის დავუთმობ (თ. ბიბილ.); თათრის ქალი ორჯერ *რომ* მონათლო, მაინც თათარი დარჩებაო (ანდ.); კუპრი რომც დიდხანს ადულო, თაფლად მაინც არ იქცევაო (ანდ.).

შედეგობითდამოკიდებულიან წინადადებაში *რომ* კავშირს რთული *ასე რომ* კავშირის შემადგენლობაში ვხედავთ: მის ფესვებს ნიადაგი შემოსცლოდა, ალაგ-ალაგ მიწა ჩაქცეულიყო, ...*ასე რომ* ბერმუხის ვაგლახად დაღრეკილი ფესვები თვალსაჩინო გამხდარიყვნენ (კ. გამსახ.).

*რომ* კავშირი არ გვხვდება მხოლოდ მთავრის მიმართ დამოკიდებულ წინადადებაში: ამ სახის ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში დამოკიდებულს მთავართან ერთადერთი კავშირი – მიმართებითი ნაცვალსახელი *რაც* აკავშირებს (სხვადასხვა ბრუნვის ფორმით): ადიდებულმა მდინარემ წისქვილი წაიღო, *რამაც* მთელი სოფელი საგონებელში ჩააგდო.

წარმოდგენილ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში *რომ* კავშირს სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, კერძოდ: *რომ* კავშირი მხოლოდ მაქვემდებარებელი კავშირის ფუნქციითაა გამოყენებული ქვემდებარულდამოკიდებულებიან, ყველა სახის დამატებითდამოკიდებულებიან და ვითარებისგარემოებითდამოკიდებულებიან რთულ ქვენყობილ წინადადებაში. ოდენ მაქვემდებარებელი კავშირის ფუნქცია აქვს *რომ* კავშირს მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაშიც, სადაც იგი *რათა* კავშირის მონაცვლედ გამოდის: მთაზე უბელო ცხენს მოვაჭენებ, *რომ მოგანონო* თავი, ბებერო (ო. ჭილ.). შდრ.: უბელო ცხენს მოვაჭენებ, *რათა მოგანონო* თავი; ან კიდევ: ის იბადება, *რათა ქმნიდეს* მშვენიერებას (მ. ლებან.). შდრ.: ის იბადება, *რომ ქმნიდეს* მშვენიერებას.

პირობით წინადადებაში *რომ* კავშირს *თუ*-ს ფუნქცია აქვს. შდრ.: *თუ* დედაკაცმა *გაინია*, ამირანს აითრევსო (ანდ.); კაცს

**რომ** ბედი ჰქონდეს, მოზვერიც დაუმაკდებო (ანდ.). ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ის, რომ პირობით წინადადებაში **რომ** კავშირს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია **თუ**-ს მნიშვნელობის გადმოცემა, როდესაც მასთან კავშირებითი კილოს მქონე ზმნა დგას (ძიდიგური, 1969,372): ქოფაკმა ძაღლმა **რომ** კურდღელი **მოვიბრუნოს** (=თუ **მოვიბრუნებს**), დაჭერაში ჩამოერთმევო (ანდ.); ღორის ტილი **რომ** ფეხზე **დაისვა** (=თუ **დაისვა**), თავზე აგაცოცდებო (ანდ.); ღორს **რომ** რქებიც **ჰქონდეს** (=თუ **ექნება**), მთელ ქვეყანას გადააბრუნებსო (ანდ.); ერთი **რომ თქვა** (=თუ ერთს **იტყვი**), მეორეც უნდა თქვაო (ანდ.).

დანარჩენი სახის ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში **რომ** კავშირი სხვადასხვა წევრ-კავშირის მნიშვნელობას იძენს. კერძოდ:

განსაზღვრებითდამოკიდებულიან რთულ ქვენწყობილ წინადადებაში **რომ** კავშირს **რომელიც** მიმართებითი ნაცვალსახელის მნიშვნელობა აქვს: კაცი იმ ტოტს ჭრიდა, ფეხი **რომ ედგაო** (ანდ.); ფეხი **რომ ედგაო** = ფეხი **რომელზედაც ედგაო**; ეს ახალი სახლებია, რომ ანთებენ შარას (პ. იაშვ.): **რომ ანთებენ** = **რომლებიც ანთებენ**; უცებ იმ უცნაურმა გრძნობამ შეიპყრო, პირველ დღეს რომ დაეუფლა (გ. ფანჯ.): პირველ დღეს **რომ დაეუფლა** = **რომელიც** პირველ დღეს **დაეუფლა**; იმ მეზობლის ჭირიმე, კვერცხზე მარილს რომ მომიყრისო (ანდ.): მარილს **რომ მომიყრის** = **რომელიც** მარილს **მომიყრის**; ისეთი ტყუილი უნდა თქვა, ფეხები რომ ჰქონდესო (ანდ.): ფეხები **რომ ჰქონდეს** = ფეხები **რომელსაც ექნებაო** და ა.შ. აღსანიშნავია, რომ მიმართებითი ნაცვალსახელის მნიშვნელობით გამოყენებული **რომ** ძალიან იშვიათად იწყებს დამოკიდებულ წინადადებას; **რომელიც** წევრ-კავშირის მონაცვლე **რომ** ჩვეულებრივ დამოკიდებულ წინადადებაშია მოქცეული და ზმნასთან ქმნის სინტაგმას. მაგ.: ისევ ესროლეს იმ ქვას, ხელით რომ ეჭირა (ო. იოსელი): ხელით **რომ ეჭირა** = **რომელიც** ხელით **ეჭირა**; იმ ქალის შვილი, გალავანთან რომ იდგა, თავალერილი ელოდა მცველების გამოსვლას (თ. ბიბილ.): გალავანთან **რომ იდგა** = **რომელიც** გალავანთან **იდგა...**

ადგილისგარემოებითდამოკიდებულიან ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში **რომ** კავშირი ეკვივალენტია **სადაც** მიმართებითი ზმნიზედისა (ნევრ-კავშირისა): სახლი რომ ეგულეობდა, იქ მხოლოდ ყორე და ქვების გროვალა დახვდა (თ. ბიბლ.); სახლი **რომ ეგულეობდა** = **სადაც** სახლი **ეგულეობდა**; მალე იქ წაგიყვან, შენ **რომ** გინდა (რ. ინან.): **შენ რომ გინდა** = **სადაც შენ გინდა**.

დროისგარემოებითდამოკიდებულიან რთულ ქვენყობილ წინადადებაში **რომ** კავშირი **როდესაც** მიმართებითი ზმნიზედის მნიშვნელობითაა გამოყენებული: ჭამას რომ მორჩა, ჯილაური ისევ ბალახზე გადაწვა და თვალი მილულა (თ. ბიბილ.): **ჭამას რომ მორჩა** = **როდესაც ჭამას მორჩა**; ხევში გადამალულ ცხენებთან რომ ჩავიდნენ, ...გზას ამხედრებულნი გაჰყვნენ (ო. იოსელ.). **ცხენებთან რომ ჩავიდნენ** = **როდესაც ცხენებთან ჩავიდნენ**; ყმანვილს **რომ** კაკალს **მისცემ** (=როდესაც **მისცემ**), იმის გასატეხიც უნდა გააყოლოო (ანდ.); ცხვარი **რომ მობრუნდება** (=როდესაც **მობრუნდება**), კოჭლი წინ მოექცევაო (ანდ.); წყალი **რომ დაგუბდება** (= **როდესაც დაგუბდება**), აყროლდებაო (ანდ.) და ა.შ.

მიზეზისგარემოებითდამოკიდებულიან რთულ წინადადებაში **რომ** შეიძლება **რადგან** / **რადგანაც** მიმართებითი ზმნიზედის მონაცვლედ შეგვხვდეს: იგი ვერ ისვენებდა, ბიჭს რომ უწყლობა სტანჯავდა (ო. იოსელ.); ბიჭს **რომ** უწყლობა **სტანჯავდა** = **რადგან** ბიჭს უწყლობა **სტანჯავდა**; გული დასწყდა, ბეზიას დასაფლავებას რომ ვერ დაესწრო (გ. ფანჯ.); დასაფლავებას **რომ ვერ დაესწრო** = **რადგან(აც)** დასაფლავებას **ვერ დაესწრო...** მაგრამ, თუ მიზეზისგარემოებითდამოკიდებულიან რთულ ქვენყობილ წინადადებაში კორელატი **ამიტომ** / **იმიტომ** წარმოდგენილია, **რომ** ყოველთვის ვერ ითავსებს **რადგან(აც)** ნევრ-კავშირის მნიშვნელობას, ე.ი. ძირითადად ოდენ მაქვემდებარებელი კავშირია: ძრწოლვით შევცქეროდი იმიტომ, რომ ამაზე ფიქრს ბედავდა (თ. ბიბილ.); დრო კი ბრაზობდა და გადიოდა მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ ვამჩნევდი (ო. ჭილ.); იქნებ რუსეთში იმიტომაც წავიდა,-



რომ ცოდნა პრაქტიკულად გაელრმავებინა (გ. ფანჯ.); ისინი პა-  
ექრობდნენ იმიტომ, რომ ეს პაექრობა ხალხს მოსწონდა (ი. გრი-  
შაშ.)... თუმცა შედარებით იშვიათად **ამიტომ / იმიტომ** კორელა-  
ტიანი ქვეწყობისას **რომ** შეიძლება შეგვხვდეს **რადგან** კავშირის  
მნიშვნელობითაც: მუდამ რომ ბზუის ფუტკარი, თაფლიც მიტომ  
აქვს ტკბილიო (ანდ.). მუდამ **რომ ბზუის** ფუტკარი = **რადგან** მუ-  
დამ **ბზუის** ფუტკარი. დამოკიდებული წინადადების პრეპოზიცი-  
ულობა გადამწყვეტი არ ჩანს, რადგან ეს მნიშვნელობა გამო-  
რიცხული არც მისი მომდევნო პოზიციის შემთხვევაშია: თაფ-  
ლიც მიტომ აქვს ტკბილი, მუდამ რომ ბზუის ფუტკარი...

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ მაქვემდებარებელი  
**რომ** კავშირი, გარდა დამოკიდებულის მთავრისადმი დაქვემდე-  
ბარებისა, განხილულ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში მიმართე-  
ბითი ნაცვალსახელისა (**რომელიც...**) და მიმართებითი ზმნიზე-  
დების (სადაც, **როდესაც**, **რადგანაც**) მნიშვნელობასაც ითავე-  
სებს. **რომ** კავშირის ამა თუ იმ ფუნქციას, გარკვეულწილად, და-  
მოკიდებულ წინადადებაში მისი ადგილიც განაპირობებს; დამო-  
კიდებული წინადადების თავკიდურ პოზიციაში მდგარი **რომ** კავ-  
შირი ძირითადად დამოკიდებულის მთავრისადმი დაქვემდებარე-  
ბას ემსახურება, ნევრ-კავშირის ეკვივალენტის მნიშვნელობის  
მქონე **რომ** კავშირი კი თავკიდურ პოზიციაში ძალზე იშვიათად  
დგას; ის დამოკიდებულ წინადადებაშია მოქცეული და, ჩვეუ-  
ლებრივ, წინ უსწრებს ზმნას, რომელთანაც იგი სინტაგმას ქმნის.  
ეს ეხება პირობით წინადადებაში **თუ**-ს მნიშვნელობით ხმარე-  
ბულ **რომ** კავშირსაც, რომელიც თავკიდურ პოზიციაში თითქმის  
არ გვხვდება.

### ლიტერატურა

**შ. ძიძიგური, 1969** – შ. ძიძიგური, კავშირები ქართულ ენაში, თბი-  
ლისი, 1969.

საილუსტრაციო მასალა ამოკრებილია ქართველი მწერლების –  
ჭ. ამირეჯიბის, ლ. ასათიანის, თ. ბიბილურის, კ. გამსახურდიას,

ი. გრიშაშვილის, პ. იაშვილის, რ. ინანიშვილის, ო. იოსელიანის, ა. კალანდაძის, დ. კვიციანიძის, მ. ლებანიძის, გ. ლეონიძის, გ. რჩეულიშვილის, გ. ტაბიძის, გ. ფანჯიკიძის, ლ. ქიაჩელის, ედ. ყიფიანის, ვ. ჭელიძის, თ. ჭილაძის, ო. ჭილაძის, მ. ჯავახიშვილის – თხზულებებიდან. საანალიზო მასალად გამოყენებულია ანდაზებიც: თედო სახოკია, ქართული ანდაზები, თბილისი, 1967.

**Leila Geguchadze**

### **THE POLYSEMY OF THE CONJUNCTION რომ**

#### Summary

1. As is well-known, the conjunctions of the Georgian language have been studied by prof .Sh. Dzidziguri in his monography *The Conjunctions in the Georgian Language*. The main focus is that one and the same conjunction has a broad variety of semantics as well as the constructions it is used in. Of all the conjunctions რომ is distinguished for its polysemy which goes back to Middle Georgian. The monography embraces the functions of the given conjunction as well.

2.The study of examples shows that in Modern Georgian the conjunction რომ is virtually used in all types of complex sentences (hypotaxis): subject clauses (ქალი შეაშინა იმან, რომ ბიჭი ხელში აკვებოდა), direct object clauses (და ისიც ვიცო, რომ დროზე ადრე არა აქვს ფასი არც ცრემლს, არც სიცოცხლს), indirect object clauses (ის ხვდებოდა, რომ მისი სიცოცხლის აზრი მხოლოდ ეს ბიჭი იყო), the so-called simple object clauses (ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ კოლეგაზე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა), relative clauses (შენი სუნთქვაა ლურჯი ბალახი, ფეხს რომ უკოცნის ლამაზ ხათუნებს), adverbial clauses: of place (ძველი ციხის ნანგრევები რომაა, იქით მიმინევდა გული), time (ვარდთ რომ დათოვეს მინა ყამირი, ბაღლებს ტიროდა თურმე ნიზამი), manner (ასანთი ისე გადაუგდო, რომ სავარძლიდან წელი არ წამოუნეცია), cause (გული შიშით ეწურებოდა, რომ დაკაცებული

შვილი ყველაფერს სხვა თვალთ შებედავდა), condition (ხელი რომ გაეწოდებინა, არ ჩამოართმევდა), concession (ხატზეც რომ დაიფიცოს, მაინც არავინ დაუფერებს) The conjunction რომ never occurs only in a subordinate clause referring to the main clause as the parts of this type of hypotaxis can only be linked by the relative pronoun რაც (in the required case-form).

3. The conjunction რომ can function only as a subordinating conjunction in subject clauses, in all types of object clauses, in adverbial clauses of manner and in conditional clauses where it has the function of the conjunction თუ: ასე რომ არ მოქცეულიყო (=თუ ასე არ მოქცეოდა), დაილუპებოდა; also რომ is used in adverbial clauses of purpose when it has the meaning of the conjunction რათა: მოვედი, რომ მეთქვა = მოვედი, რათა მეთქვა;

However, in relative clauses, in the adverbial clauses of place, time, cause it acquires the meaning of a conjunctive word: რომელიც, სადაც, როდესაც, რადგანაც: არის ბუნების ძალი, ხმელსაც რომ შეიქმს ნედლად (=რომელიც ხმელსაც შეიქმს ნედლად); სახლი რომ ეგულეობდა (=სადაც სახლი ეგულეობდა), იქ...ქვეების გროვალა დახვდა; მამა უმეტესად მაშინ წერდა, ჩვენ რომ გვეძინა (=როდესაც ჩვენ გვეძინა); ერთ ადგილზე დგომა რომ აღარ შეგვეძლო (=ერთ ადგილზე დგომა რადგან აღარ შეგვეძლო), ამიტომაც გავრბოდით. The meaning of the conjunction რომ is also determined by its place in the subordinate clause.

### კვლავ მესამე სერიისა და ინვერსიის შესახებ

სამპირიანი ზმნის უღლებისას მესამე სერიის ფორმებში გაჩენილი ე. წ. უფუნქციო ქცევის ნიშნების ანალიზისას ჩვენ აღვნიშნეთ, რომ რამდენადაც ქართულში ქცევის კატეგორიისათვის პირველადია ორგანოზომილებიანი მოდელი, ანუ ქცევიანი და უქცეო ფორმები (თ. მახარობლიძე, 2005:62) ქცევა, ძირითადად, არის ირიბი ობიექტის კატეგორია და მესამე სერიაში, როდესაც ეს ირიბი ობიექტი გადის ზმნიდან, ეს უკანასკნელი ცდილობს დესტინაციური შინაარსის შენარჩუნებას და ირჩევს „თვის“-თანდებულებიან ფორმებს, რომელთაც აქვთ დანიშნულებითობის შინაარსი. მაინც რჩება გარკვეული უკმარისობის შეგრძნება დესტინაციის გამოხატვის თავალსაზრისით და ამის შესავსებად პარალელურად ჩნდება ქცევის ნიშნები. ფაქტობრივად, შენარჩუნებულია სემანტიკა და შეცვლილია მორფოლოგია. მესამე სერიაში დესტინაციის სემანტიკა სხვა მორფოლოგიურ ფორმებს მიმართავს, მაგრამ იგი მთლიანად არ გადის ზმნიდან და იქ ტოვებს თავის რეფერენტებს, რომლებიც შესაბამისი ირიბი ობიექტის გარეშე უკვე უფუნქციოდ მოიაზრება.

დიაქრონიული სურათი ასეთია: სტატიკური ფორმიდან „უნერია“ – მას (კაცს – O ind.) ის (სიტყვა – S) წიგნზე. მივიღეთ III სერიის ფორმა „(მი)უნერია“ მას (კაცს – S) სიტყვა (O ind.) [დედისთვის], ე. ი. აქ ისტორიული ირიბი ობიექტი გახდა სუბიექტი და სუბიექტი კი ობიექტად მოგვევლინა – ამიტომ გასაგებია, რატომაც გვაქვს ინვერსია. ამ ფორმათა ახლებური გააზრებისას შემოდის ახალი ირიბი ობიექტი სულ სხვა, ახალი აქტანტი (დედისთვის), რომელიც კანონიერი და ერთადერთი ირიბი ობიექტია პირველ-მეორე სერიაში. მესამე სერიაში კი ზმნაში არის მხოლოდ ისტორიული ირიბი ობიექტი (კაცს), რომელიც ბრუნვასაც

კი ინარჩუნებს, ობიექტის ნიშნებითაა ასახული ზმნაშიც და სახელშიც (თუმცა სუბიექტადაა ქცეული). მეორე ირიბი ობიექტი (პირველისა და მეორე სერიათა კუთვნილება) ამ მესამე სერიაში ზმნამ უკვე აღარ მიიღო და გარეთ გაიტანა. მივიღეთ ე. წ. უბრალო დამატება, რომელიც რიგ ენებში პრედიკატის არგუმენტია. საერთოდ, ქართულ ზმნას იშვიათ შემთხვევებში შეუძლია ორი ირიბი ობიექტის ქონა (მიჭმე, მისმე ფორმებში – მე და მას ორი ირიბია); მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აქ სხვა – კაუზატიური ტიპის ურთიერთობაა ასახული.

თავის მხრივ, სტატიკური ზმნები განასხვავებენ ქცევას – გვაქვს: წერია – უწერია – აწერია (ა. შანიძე, 1980:342), რადგანაც ყოფილი ირიბი ობიექტის სემანტიკა იყო ხაზგასასმელი, ამიტომაც მესამე სერიის ფორმათა წარმოებამ შესაბამისი რეფერენცირებული, დადებითი ანუ სასხვისო ქცევის ნიშნიანი ფორმები ამოირჩია სტატიკურ ზმნათა არსებული ვარიანტებიდან. სინქრონულ დონეზე კი ეს ნიშნები უფუნქციო რეფერენტებად გაიზარება, რადგანაც, როგორც აღვნიშნეთ, ირიბი ობიექტი ზმნაში აღარ არის და სასხვისო ქცევა კი ირიბი ობიექტის გარეშე ვერ იქნება.

უდავოა, რომ ვერსიის ნიშნები უშუალოდ მიემართება პირის ნიშნებს ამ კატეგორიათა ურთიერთგადამკვეთი სემანტიკური არსის მიხედვით. ამდენად, დესტინატი, ფაქტობრივად, ორმაგი რეფერენცირებითაა წარმოდგენილი, ანუ ირიბი ობიექტის ნიშნებითა და ქცევის ნიშნით. ეს მოვლენა უფრო მკვეთრადაა ასახული ბასკურში. ქართული გარდამავალი ზმნის უღლებისას III სერიაში ისტორიული ირიბი ზმნაში ტოვებს შედარებით სუსტ რეფერენტს – ქცევის ნიშანს.

ჩვენ ვერ გავიზიარებთ იმ მკვლევართა მოსაზრებას, რომლებიც თვლიან, რომ ინვერსია არ არსებობს, რადგანაც ტრადიციულ ენათმეცნიერებაში გავრცელებული შეხედულების საპირისპიროდ, III სერიის გარდამავალი ზმნის სუბიექტად მიჩნეულია ობიექტი. ასეთი მიდგომა მთლიანად არღვევს უღლების პა-

რადიგმას იერარქიის ყველა დონეზე. ამ მოსაზრების მიხედვით გამოდის, რომ ფლექსიურ პარადიგმაში პირველსა და მეორე სერიაში სხვა გრამატიკული სუბიექტია და მესამეში კი – სხვა. აქ ირღვევა ფლექსიური პარადგმის ძირითადი არსი და ვიღებთ მორფოლოგიურ, სინტაქსურ და სემანტიკურ შეუსაბამობას.

რაც შეეხება პროფესორ დამანა მელიქიშვილის შეხედულებას ინვერსიის შესახებ, ჩვენ ნაწილობრივ ვიზიარებთ მას. ცხადია, III სერიის ინვერსიულ ფორმათა ანალიზისათვის ამოსავალი უნდა იყოს სემანტიკური მიდგომა. მაგრამ დ. მელიქიშვილი წერს, რომ პოლიპერსონალიზმი თითქოს გარკვეულ ბიძგს აძლევს ინვერსიას (დ. მელიქიშვილი, 2001:19). ასეთი დასკვნებისათვის, ჩვენი აზრით, საჭიროა პოლიპერსონალურ სტრუქტურათა ფართო სპექტრის ანალიზი. ჩვენთვის ცნობილ სხვა პოლიპერსონალურ ენებში (როგორცაა ბასკური, კავკასური, რიგი ავსტრალიური და ამერიკელ ინდიელთა ენების ნაწილი) ინვერსიის მოვლენა არ დასტურდება. რა თქმა უნდა, ინვერსიისათვის საჭიროა მორფოლოგიურად გამოხატული ერთზე მეტი ზმნური აქტანტი, რომელთაც უნდა გაცვალონ მორფოლოგიური ინვენტარი. აქ შეგვიძლია გამოვყოთ **ცალმხრივი, სტატისტიკური, იმპლიკაციური ლინგვისტური უნივერსალია – ინვერსიის მოვლენა მხოლოდ პოლიპერსონალურ ზმნათა კუთვნილებაა.** ეს გულისხმობს, რომ იქ სადაც გვაქვს ინვერსია, იქ აუცილებელია პოლიპერსონალიზმი, მაგრამ არა პირიქით. პოლიპერსონალიზმისათვის სულაც არ არის აუცილებელი ინვერსიის მოვლენა. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ კატეგორიულად ვერ დავეთანხმებით ი. მელიქიშვილისა და რ. ასათიანის მოსაზრებას ინვერსიის შესახებ, სადაც ეს მოვლენა გაიაზრება, როგორც მორფო--სინტაქსური მოვლენა და რატომღაც არის მცდელობა, რომ იბერიულ-კავკასიური ზმნური მოდელები ხელოვნურად იქნეს მიბმული ინდოევროპულთან. ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი უნივერსალია, ცხადია, გულისხმობს კონკრეტულად ზმნის მორფოლოგიასა და მის მორფო-სემანტიკას. იქ, სადაც არ არის ასეთი

მდიდარი მორფოლოგია, რა თქმა უნდა, მთლიანად მორფო-სინ-ტაქსზე იქნება მეტი დატვირთვა. გაუგებარია ამ თემის შესახებ ი. მელიქიშვილის მიერ გამოთქმული დაუსაბუთებელი მოსაზრებანი მ-ანის რიგის არამარკირებულობის შესახებ, რომ ეს აქტანტები არავითარ როლს არ თამაშობს წინადადების სინტაქსურ-/ლოგიკურ და ინფორმაციულ სტრუქტურაში, ზმნაში პირის აღმნიშვნელი მარკერისა და ბრუნვითი გაფორმების განსაზღვრაში (ი. მელიქიშვილი, 2005:145). ეს გახლავთ პოლიპერსონალური სტრუქტურების სრული იგნორირება, რაც, ცხადია, პოზიტიური ვერ იქნება კვლევის შედეგებისა და დასკვნების თვალსაზრისით. ამ მსჯელობას მოჰყვება ხელოვნური დასკვნები: რომ აქტიური სტრუქტურიდან მოხდა ერგატიულზე გადასვლა და პირველი სერია არის რატომღაც არამარკირებული (?). ასეთი მიდგომა ჩვენთვის სრულიად მიუღებელია, რამდენადაც სალიტერატურო ენის ისტორია საესეებით ცალსახად ადასტურებს მეორე სერიის პირველადობას. ხოლო პირველ სერიას კი ორმაგი მარკირება გააჩნია (მწკრივის ნიშნებითა და თემის ნიშნებით). ჩვენთვის ასევე მიუღებელია „მიცემითბრუნვიან ზმნებზე“ საუბარი (რ. ასათიანი, 2005:12) და ქცევის სემანტიკის მხოლოდ პოსესიურობასთან დაკავშირება დესტინაციისა და დესტინატის სრული უგულებელყოფა (ი. მელიქიშვილი, 2005:142-143) და რატომღაც მეორე სუბიექტური პირის ნიშნად მხოლოდ „ხ-“ პრეფიქსის წარმოჩენა (ი. მელიქიშვილი, 2005:151). სამართლიანობა მოითხოვს, რომ პირდაპირი სემანტიკური მარკირების საკითხი აფექტური ტიპის ზმნებში მივიღოთ ერთ-ერთ სერიოზულ და საინტერესო მიდგომად. თუმცა ანალიზისას მიუღებელია მხოლოდ დედუქციური განხილვა და ქართველური მასალის ხელოვნური ტიპოლოგიზაცია.

ინვერსიის თემასთან დაკავშირებით აქვე შევეხებით „მიყვარს“, „მიჭირს“ ტიპის ზმნათა საკითხს და აღვნიშნავთ, რომ ამ ტიპის ზმნათა ინვერსიულობას ვერ დავეთანხმებით. ბუნებრივია, საერთოდ ენაში არის ზოგადი ტენდენცია, რომელიც პირველ-მეორე პირებს და საერთოდ, ადამიანის სემანტიკურ კატეგორიას გარკვე-

ულ ლინგვისტურ უპირატესობას ანიჭებს. ზოგჯერ ფლექსიურ ფორმათა გამარტივებითაც კი. ხშირად ასეთი მორფოლოგიური ერთეულები მოიაზრება წამყვან აქტანტებად. გასაკვირი არ გახლავთ, რომ ეს საგრძნობი ტენდენცია „მიყვარს“, „მიჭირს“ ტიპის ზმნებშიც აისახებოდეს. მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ სწორი ლინგვისტური ანალიზი ორმხრივ მიდგომას ვარაუდობს. ორიოდ ნლის წინ გამოქვეყნდა ჩვენი შეხედულება და წამოვნიეთ ახალი ფუნქციო--ფორმალური თეორია, რომელიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში კიდევ ერხთხელ ადასტურებს თავის თავს.

**ახალი ფუნქციოფორმალური რაციონალური მეთოდური მიდგომის თეორიის მიხედვით, ესა თუ ის ენობრივი მოვლენა ხან ფორმიდან, ხან კი ფუნქციიდან გამომდინარე აიხსნება.** ერთი შეხედვით, ასეთი მიდგომა თითქოს არ არის ერთგვაროვანი და, როგორც მეთოდი, მიუღებელიც ჩანს, მაგრამ გავიხსენოთ თუნდაც ენათმეცნიერებისათვის უკვე ცნობილი კლასიფიკაციის კომბინირებული პრინციპის სქემა. ერთგვაროვნების პრინციპის დაცვა აუცილებელია ერთი კონკრეტული მიდგომის დროს, მაგრამ მოვლენათა ტიპოლოგიური განზოგადებისათვის და მისი საბოლოო ზოგადენობრივი მოდელის გასააზრებლად აუცილებელია თავად ენის მრავალმხრივობის გათვალისწინება, რაც, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს ენის ფორმისა და ფუნქციის ურთიერთმიმართების საკითხში. ენაში ფორმა და ფუნქცია ერთობას ქმნის. ამდენად, ცხადია, ეს ერთობა კვლევისთვისაც მნიშვნელოვანი იქნება. სათქმელი, აზრი, არსი ანუ **ფუნქცია არის პირველადი ამოსავალი, მაგრამ რიგ შემთხვევებში, როდესაც უკვე შექმნილია ენობრივი სისტემა, იგი უკვე დამოუკიდებლად, სისტემის კანონების შესაბამისად, ენობრივი ინერციით მუშაობს.** ასეთ დროს ყალიბდება ფორმალური ერთეულები, რომლებიც საკმაოდ დაცილებულია ფუნქციურ სანყისს. ასეთ შემთხვევაში ფორმალური მიდგომა იქნება სწორი (საერთოდ, არ შეიძლება გენერატიული ლინგვისტიკის რიგი ზოგადი მოდელების აპრიორულ დებულებებზე უარის თქმა). ასეთი



ტიპის ფუნქციას დაცლებული ფორმების ისტორიულ განვითარებას დიაქრონიული ტიპოლოგია გაარკვევს.

ბუნებრივია, რომ სინქრონიულად ფორმა და ფუნქცია ენაში თანაბარ შესაბამისობაში ვერ იქნება. რიგ შემთხვევებში ფუნქცია ახსნის ფორმას, ზოგან კი ფორმა ახსნის ფუნქციას. თუ ეს ორივე თანაბრად არ გავითვალისწინებთ, მაშინ სრულყოფილი ვერ იქნება ამა თუ იმ ენობრივი მოვლენის კვლევა. ასეთი მიდგომით ჩვენ ვაერთიანებთ ორ ინტერესს: ერთი მხრივ, ლინგვისტი თეორეტიკოსების ინტერესს ფორმალური ინვენტარისადმი და, მეორე მხრივ, ინტერესს ენობრივი ფაქტების ფუნქციური ახსნისადმი.

თუ „მიყვარს“, „მიჭირს“ ტიპის ზმნებში პირველი პირი ჩაითვლება სუბიექტად, ანუ ამოსავალი იქნება ცალმხრივი, მაშინ დგება რიგი პასუხგაუცემელი საკითხები: რომელი ობიექტია აქ და რა ბრუნვაში? თუ ფორმიდან ამოვალთ, გამოდის, რომ ზმნა გარდამავალია? პირდაპირი ობიექტი სახელობით ბრუნვაშია I სერიაში? ამ ტიპის ზმნები ინდოევროპულ ლინგვისტურ სივრცეშიც კი გარდაუვალია. აქ გარდაუვალი ზმნის ირიბი ობიექტი სახელობითია? და ა. შ.

ვფიქრობთ, რომ სისტემური თვალსაზრისით III სერიასა და ინვერსიის საკითხებთან დაკავშირებით ქართულ ტრადიციულ ენათმეცნიერებაში მიღებული მოსაზრების არსებითი, ძირითადი ნაწილი აბსოლუტურად არ მოითხოვს გადაფასებას.

### ლიტერატურა

1. **რ. ასათიანი, 2005** – რ. ასათიანი, აფექტურ ზმანთა კონცეპტუალური სტრუქტურა. ტიპოლოგიური ძიებანი, V საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, თბილისი, 2005.
2. **მ. მაჭავარიანი, 1987** – მ. მაჭავარიანი, ქცევის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკა, მეცნიერება, თბილისი, 1987.
3. **თ. მახარობლიძე, 2005** – თ. მახარობლიძე, დესტინაციურ სისტემათა ტიპოლოგია, თბილისი, 2005.

4. **დ. მელიქიშვილი, 2001** – დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბილისი, 2001.
5. **ი. მელიქიშვილი, 2005** – ი. მელიქიშვილი, პირდაპირი სემანტიკური მარკირება, როგორც ქართველურ ენათა მორფოლოგიური განმსაზღვრელი პრინციპი და პირის ნიშანთა ინვერსიის პრობლემა. ტიპოლოგიური ძიებანი, V საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, თბილისი, 2005.
6. **თ. უთურგაიძე, 2002** – თ. უთურგაიძე, გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისთვის ქართულ ზმნაში, თბილისი, 2002.
7. **ა. შანიძე, 1980** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. I, მორფოლოგია: თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბილისი, 1980.

**Tamar Makharoblidze**

#### **ONCE AGAIN ON THE THIRD SERIES AND INVERSION**

##### Summary

The markers of version in three-personal transitive verbs lost their function in the third series of conjugation. The indirect object stays out of verb and it tries to keep its destinational/versional content exposing indirect object with post-position „for“ and with the markers of version. Diachronically these forms of conjugation are originally from the static verbs and of course these static verbs had marked and unmarked forms of version. But only the marked forms of versions of these static verbs became the basic for the newly-produced forms third series.

We disagree with the linguists, who consider, that there is no fact of inversion in the third series and the verbal person exposed by the subject markers is the subject and the verbal person with the object markers is the object. In our opinion in the third series the inversion is a fact. We can't agree

with the idea that the subject can be changed inside the paradigm of conjugation. As a matter in fact it may change the markers.

The rational principle of functional-formal analysis, which we exposed a few years ago, proves itself in the best of light. We should explain the language facts taking into consideration both: their functional and formal levels at the same moment. The function is very important – it's the origin for any linguistic form. But when the language system is already formed, very often it acts independently by the force of inertia. Then the language creates the units, which are far from the functional origin. Such cases must be investigated by formal point of view.

In our opinion the traditional systematic attitude to the abovementioned item (the inversion in the verbal forms of the III series) – doesn't need to be revised.

**„არაძირითადი“ პოლიტიკური ლექსიკურ-  
ფრაზეოლოგიური ერთეულები თანამედროვე  
ქართულში**

ქვეყნის ლინგვისტური და სოციალურ-პოლიტიკური სურათის შესაქმნელად პოლიტიკური ლექსიკის შესწავლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. ცნობილია, რომ ლექსიკა მყისიერად უპასუხებს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს და, ამავე დროს, მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ქვეყნის კულტურული, ყოფითი ცხოვრების, ისტორიული პროცესების და ა. შ. შესასწავლად. ქართული პოლიტიკური ლექსიკა (და, განსაკუთრებით, უკანასკნელი ათწლეულებისა) ჯერჯერობით საგანგებო კვლევის საკითხი არ გამხდარა. ბუნებრივია, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ქვეყანაში განხორციელებული კარდინალური სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები მის ლექსიკურ შემადგენლობაშიც აისახა, რაც ბუნებრივად განაპირობებს ლექსიკის ამ ფენის შესწავლის აუცილებლობას.

თავისთავად, პოლიტიკური ლექსიკა რთულია თავისი ბუნებისა და გამოყენების მრავალფეროვნების გამო, რადგან, საყოველთაოდ გავრცელებული აზრის მიხედვით, პოლიტიკა საქმიანობის ის სფეროა, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა კლასს, ეროვნებას, სოციალურ ჯგუფს შორის ურთიერთობასთან, ხოლო მისი საქმიანობის უმთავრესი მიზანი საკუთარი იდეოლოგიის გავრცელება და სახელმწიფო მმართველობის მოპოვება, შენარჩუნება და გამოყენებაა, სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობაა. პოლიტიკური მიზნების განხორციელება გამოირიცხებულია სხვადასხვა, მრავალ დაინტერესებულ პირთან, პარტიასთან, ორგანიზაციასთან, მოძრაობასთან, მასმედიასთან ურ-

თიერთობის გარეშე. ეს არასრული ჩამონათვალიც კი ნათელს ხდის, თუ რამდენად მოცულობითი და არაერთგვაროვანი შეიძლება იყოს პოლიტიკური ლექსიკა და რა სირთულეების წინაშე შეიძლება დადგეს მისი მკვლევარი.

ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანია შევისწავლოთ ის ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომელთა გაჩენა და ენის ლექსიკურ ბაზაში დამკვიდრება შედარებით ახალი მოვლენაა, ქრონოლოგიურად უკავშირდება საბჭოთა კავშირის დაშლას და საქართველოს დასავლური პოლიტიკური ორიენტაციის არჩევას. ვფიქრობთ, მოცემული მასალა საინტერესო ინფორმაციას იძლევა როგორც ლინგვისტური, ისე სოციოკულტურული თავისებურებების ასახსნელად და შესასწავლად.

### **ენობრივი კლიშეები და შტამპები**

ვინაიდან პოლიტიკური ლექსიკა ფართოდ გამოიყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში, ბუნებრივია, ჩნდება ტენდენცია მათი ნაწილის ენობრივ კლიშედ ან შტამპად ქცევისა ცნობილია, რომ კლიშედ და შტამპად, როგორც წესი, იქცევა ხოლმე სიტყვები, სიტყვათა შეთანხმებები (ზოგჯერ მთელი წინადადებები), რომლებიც წარმოიშობა როგორც სტილისტურად ექსპრესიული ერთეულები, მაგრამ ზედმეტად ხშირი გამოყენების გამო კარგავს თავის პირველ გამომსახველობით ძალას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ე. წ. „მოდური“ სიტყვებისა და გამოთქმების შაბლონურ მეტაფორებად ქცევის პროცესი. ამ თვალსაზრისით უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ქართულ ენობრივ სინამდვილეში დამკვიდრდა ანგლო-ამერიკული ენობრივ-კულტურული სამყაროდან ნასესხები ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც აშკარად ავლენს კლიშეებად/შტამპებად ქცევის ტენდენციას. ეს პროცესი განსაკუთრებით თვალნათელია, როდესაც რეალობასა და ენაში არსებულ ერთეულს შორის საგრძნობი შეუსაბამობა ან გარკვეული აცდენაა. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის შტამპებს ყველაზე ხშირად წინასაარჩევნო/სააგიტაციო გამოსვლებში ვხვდებით და, როგორც წესი, დაპირების

მიცემის დროს: **დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესება; მიზნების მიღწევა; სოციალური პრობლემების მოგვარება; ბრძოლა ადამიანის უფლებებისათვის** და ა. შ.

პოლიტიური ენობრივი კლიშეების ერთი ნაწილის სტრუქტურა შემდეგი სახისაა: ჩვეულებრივ, ყოფით ლექსიკურ ერთეულს (**საკითხი; ამალღება; ამოცანა...**) ემატება ტრაფარეტული შინაარსის ერთეული: (**პოლიტიკური საკითხი; პირველი რიგის ამოცანა სისტემური მარცხი...**).

როგორც ცნობილია, კლიშე სამეტყველო სტერეოტიპია, მზა ენობრივი მონაცემია, რომელიც გარკვეულ (ჩვენს შემთხვევაში პოლიტიკურ) კონტექსტში ინარჩუნებს თავის სემანტიკას. პოლიტიკურ დისკურსში ამ ტიპის კლიშეების გამოყენება არც ისე იშვიათია. ვფიქრობთ, მისი ხმარების სიხშირეს რამდენიმე ლინგვისტური ფაქტორი უნდა განაპირობებდეს: 1) ვინაიდან კლიშე სტერეოტიპულ გამოთქმათა რიგს მიეკუთვნება, ის გზავნილის ავტორს, ანუ მის მომხმარებელს, სთავაზობს უკვე არსებულ ფორმულას და არ მოითხოვს მისგან განსაკუთრებულ ძალისხმევას საკომუნიკაციო მიზნის მისაღწევად; 2) ამავე დროს, ამცირებს რისკს, რომ გზავნილის/ინფორმაციის ავტორის შეტყობინება არასწორად იყოს აღქმული ან ინტერპრეტირებული, რადგან კლიშეს/შტამპისათვის დამახასიათებელია, რომ ის მნიშვნელობის უცვლელი ენობრივი ერთეულია, რომელიც ერთსა და იმავე ინფორმაციას ატარებს ზოგადად და, განსაკუთრებით, ერთი ტიპის საკომუნიკაციო სიტუაციაში.

კლიშეს კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს შემდეგ ენობრივ-ფრაზეოლოგიურ ერთეულებს: **მაღალი რანგის სტუმარი; უმაღლესი დონის შეხვედრა; მოლაპარაკებების მაგიდა.**

პოლიტიკური ტექსტების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ენობრივი შტამპების, ე. წ. „მკვდარი მეტაფორების“ მაღალი სიხშირით გამოყენება. ამ ტიპის ლექსიკური ერთეულების გამოყენება პოლიტიკურ დისკურსში გამოცდილი ხერხია და სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებებთან ერთად ადვილად ტრან-

სფორმირდება, ერგება ახალ მოთხოვნებსა და საჭიროებებს ან წარმოიქმნება ახალი ერთეულები. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ წყვილებს, რომელთა პირველი წევრები სოციალისტური პერიოდის ქართულისათვის იყო დამახასიათებელი, ხოლო წყვილის მეორე წევრი პოსტსოციალისტური ეპოქის შემონატანია. წინდანივე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ერთეულები მხოლოდ კონტექსტისდა მიხედვით შეიძლება კვალიფიცირდნენ „მკვდარ მეტაფორებად“, ენობრივ შტამპებად, რაც არ გამორიცხავს მათი პირდაპირი, პირველადი მნიშვნელობით გამოყენებას. ამგვარ ერთეულებად მიგვაჩნია:

*საბჭოთა ხალხის* ნაცვლად – *ქართველი ერი; კომუნისტური მშენებლობის* ნაცვლად – *დემოკრატიის მშენებლობა* ან *დემოკრატიზაციის პროცესი; ინტერნაციონალიზმის* ნაცვლად – *ინტეგრაცია, კოაბიტაცია და მშვიდობიანი თანაცხოვრება; მოძმე რესპუბლიკები* – *მეგობარი სახელმწიფოები. უფასო განათლება და ჯანდაცვა* – *დასავლური სტანდარტების განათლება და ჯანდაცვა.*

### **პოლიტიკური ევფემიზმები**

ზოგადად, ევფემიზმების გამოყენების მოტივი კომუნიკაციური დისკომფორტისა და კონფლიქტის თავიდან აცილებათ. სამეცნიერო ლიტერატურაში პოლიტიკური ევფემიზმების გამოყენების მრავალი მიზეზია აღწერილი. უმთავრესი, რაც პოლიტიკურ დისკურსში მათ ჩართვას განაპირობებს, არაპოპულარული პოლიტიკის ნამდვილი მიზნების შენიღბვა და/ ან შერბილებაა (ქ. გოჩიტაშვილი, 2007:64).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფენ პოლიტიკური ევფემიზმების გამოყენების შემდეგ სფეროებს, რომელზე დაყრდნობითაც ქართული ენის ლექსიკურ ფონდში არსებული ერთეულების გათვალისწინებით შესაძლებელია შემდეგი ჯგუფების გამოყოფა:

1) მმართველობის ორგანოები და მათი საქმიანობა (*მართული დემოკრატია; ზემოდან ქვემოთ მართვა*);

2) სამხედრო ქმედებები და მათი მონაწილეები: *ტერიტორიის გასუფთავება; სამხედრო ოპერაცია – ბრძოლის, ომის მნიშვნელობით; ლიკვიდაცია – მოკვლის, ფიზიკური განადგურების მნიშვნელობით; დაკონსერვებული კონფლიქტები – სიტუაცია, რომელიც წარმოშობილია საომარი მოქმედებების შემდგომ და რომლის გადაჭრასაც ქვეყანა დიდი ხნის განმავლობაში ვერ ახერხებს;*

3) ეკონომიკური მეთოდები, პროცესები: *ფასების ლიბერალიზაცია; ლარის კურსის გამყარება – გულისხმობს ფასების ზრდას. ინვესტიციების მოზიდვა – მნიშვნელოვანი ობიექტების მიყიდვა სხვა ქვეყნის კომპანიების ან კერძო პირებისათვის;*

4) საგარეოპოლიტიკური ხასიათის მოვლენები: *ერთპოლუსიანი სამყარო – ნაცვლად რომელიმე ქვეყნის დიქტატისა* (გ. ზავარზინა, 2006:54-57).

ამ ოთხი ჯგუფის გარდა, ზავარზინას კლასიფიკაციაში გვხვდება ევფემიზმების მეხუთე ჯგუფი, რომელიც სხვადასხვა ნაციონალურ ან სოციალურ ჯგუფს მოიცავს, თუმცა ქართულ მასალაში შესაბამისი ერთეულების არარსებობის გამო მისი გამოყოფა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. სამაგიეროდ, ქართულ პოლიტიკურ დისკურსში ხშირად ვხვდებით სოციალურ-პოლიტიკური შინაარსის ევფემიზმებს, რომლებსაც 2 ჯგუფად დავყოფთ:

1) დემოგრაფიულ საკითხებთან დაკავშირებული ევფემიზმები: *მიგრაციის გაზრდილი ტემპი – მოსახლეობის მიერ ქვეყნის დატოვება, როგორც წესი, არასასურველი სოციალური ან პოლიტიკური ფონის გამო.*

*დემოგრაფიული ვითარების გაუარესება – შობადობის შემცირება და სიკვდილიანობის ზრდა.*



2) უმუშევრობასა და დასაქმებასთან დაკავშირებული ევფემიზმები: *კადრების ოპტიმიზაცია – ადამიანების სამუშაო ადგილებიდან დათხოვნა, გათავისუფლება; საავადმყოფოების/სკოლების... ოპტიმიზაცია – გულისხმობს ამ ტიპის დანებსებულების გაუქმებას ან გაერთიანებას, რასაც მოჰყვება სამუშაო ადგილების შემცირება.* ვინაიდან ამ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ნაწილი იდეოლოგიემბსაც წარმოადგენს, მათ შესახებ ქვემოთაც გვექნება საუბარი.

### **რეალიები**

როგორც ცნობილია, რეალიები მხოლოდ ამა თუ იმ კულტურისათვის/ხალხისათვის დამახასიათებელი მატერიალური კულტურის ნიშუში, ისტორიული ფაქტია, რომელსაც სხვა კულტურასა და ენაში ანალოგი არ გააჩნია. მათ შორის, ბუნებრივია, უნდა განვიხილოთ სახელმწიფო-პოლიტიკური ინსტიტუტები, ეროვნული გმირები, რომლებმაც ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე ზეგავლენა მოახდინეს. როგორც წესი, რეალიებს სხვა ენებში ეკვივალენტი არ გააჩნიათ და მათი გაგება/აღქმა სათანადო სოციოკულტურულ კომპეტენციას მოითხოვს. თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ ლექსიკაში ამ ტიპის ერთეულებად შეიძლება განვიხილოთ:

*პრეზიდენტის ავლაბრის სასახლე; ქუთაისის პარლამენტის შენობა; 1921 წლის კონსტიტუცია; დამოუკიდებლობის აქტის აღდგენა; 1991 წლის რეფერენდუმი; ვარდების რევოლუცია და ა. შ.*

### **ნეოლოგიზმები**

ერთი გზა პოლიტოლოგიური ტერმინების დასამკვიდრებლად გარკვეული ტერმინების გამოყენების არის გაფართოება და ამ გზით ნეოლოგიზმების შექმნა. ათწლეულების განმავლობაში საქართველოში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებების კვალად პოლიტიკურ ლექსიკაში გაფართოვდა ისეთი ლექსიკური ერთეულების გამოყენება, რომლებიც მანამდე მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრისათვის იყო გასაგები. ლექსიკურ ერთეულთა აბ-

სოლუტური უმრავლესობა პირდაპირ სესხებას წარმოადგენს. ასეთ ერთეულთა შორის შეიძლება დავასახელოთ: **კონსენსუსი; იმპიჩმენტი; ფედერაციის სუბიექტი; ქარიზმატული ლიდერი; შეღავათების მონეტიზაცია, კოაბიტაცია**, რომლებიც თანამედროვე ქართული ენის ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური სისტემის საყოველთაო გამოყენების ერთეულებად იქცნენ.

ვფიქრობთ, საინტერესოა პოლიტიკური ლექსიკური ერთეულების კვდომის ან, უფრო ზუსტად, პოლიტიკური ისტორიის სპეციალურ ტერმინებად ქცევის პროცესი: ხმარებიდან თითქმის გამოვიდა **კომუნისტური შრომის დამკვერელი; უმაღლესი საბჭო; პარტკომი**. მათ ნაცვლად კი აქტიურ ხმარებაში დამკვიდრდა ისეთი ტერმინები, რომლებიც საბჭოეთის დროს წინა ფორმაციებთან ან უცხო ქვეყნების სინამდვილესთან იყო ასოცირებული: **(მანდატური; დეპარტამენტი; გუბერნატორი; პრემიერ-მინისტრი** და ა. შ.). ეს უკანასკნელი მოვლენა ძალიან საინტერესოა ენობრივი თვალსაზრისით: პოლიტიკური ლექსიკის გარკვეული ნაწილი ისტორიის გარკვეულ ეტაპზე არქაიზმი გახდა (პოლიტიკური სისტემის, იდეოლოგიის ზეგავლენით), ხოლო შემდეგ კვლავ მოხდა მისი აქტივიზაცია და „გათანამედროვეობა“.

#### **იდეოლოგიები**

როგორც ცნობილია, იდეოლოგემა სიტყვაა, რომლის შინაარსიც შეიცავს იდეოლოგიურ კომპონენტს, შინაარსს. ბუნებრივია, რომ იდეოლოგიები პოლიტიკური ლექსიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფენას წარმოადგენს. <http://ru.wiktionary.org/wiki/идеологема>.

იდეოლოგიების დამახასიათებელი ნიშანია, რომ მისი შინაარსი სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებების მქონე პირების მიერ განსხვავებულად აღიქმება. ამ განსხვავების გამომწვევ მიზეზთა შორის ერთ-ერთი უმთავრესი სიტყვის ემოციური შეფერილობაა, რომელზეც გადადის შესაბამისი მოვლენის შეფასება. თუკი გავადევნებთ თვალს ისეთ იდეოლოგიებს, როგორებიცაა, მაგალითად, **ბურჟუაზია, დემოკრატია; კაპიტალიზმი, კომუ-**

**ნიშმი, ხალხი, პროლეტარიატი, თავისუფლება, სოციალიზმი**  
მე-20 საუკუნის დასაწყისიდან დღემდე, თვალნათელი გახდება ის ცვლილებები, რომლებიც ამ იდეოლოგიებმა განიცადა ერთი საუკუნის განმავლობაში. სოციალისტური სისტემის დროს პო-ზიტიურად აღქმული იდეოლოგიები (**პროლეტარიატი; სოცია-ლიზმი...**) დღეს ან ნეიტრალურია ან უარყოფით შინაარსს ატა-რებს და დაცლილია ემოციური დატვირთვისაგან.

იდეოლოგიების ერთ ჯგუფს ქმნიან ლექსიკურ-ფრაზეო-ლოგიური ერთეულები, რომლებსაც მხოლოდ გარკვეული პოლი-ტიკური ჯგუფების მიმდევრები იყენებენ. ამის თვალნათელი მა-გალითია საბჭოთა პერიოდში ფართოდ გავრცელებული იდეო-ლოგიები **სოციალისტური თანამეგობრობა** ან **მსოფლიო სო-ციალისტური სისტემის ქვეყნები**. ორივე მათგანი გამოხატავ-და საბჭოთა კავშირის იდეოლოგიურ მოკავშირე ქვეყნებს. ამის პარალელურად, ამავე სახელმწიფოების მიმართ გამოიყენებოდა პოლიტიკური ტერმინი **სატელიტი სახელმწიფოები** (კომუნის-ტური იდეოლოგიების მოწინააღმდეგეების მიერ), რომელიც „სა-მოქალაქო განათლების ლექსიკონში“ შემდეგნაირადაა განმარ-ტებული:

„ძველ რომში ამ ტერმინით მოიხსენიებდნენ პირად მცვე-ლებს, რომლებიც მუდამ თან ახლდნენ პატრონს. აქედან ტერ-მინმა თანმხლების, თანამგზავრის მნიშვნელობა შეიძინა. პოლი-ტიკურ ლიტერატურაში ტერმინი უმთავრესად გამოიყენება იმ სახელმწიფოების აღსანიშნავად, რომლებიც, მართალია, ფორმა-ლურად დამოუკიდებლები არიან, მაგრამ ფაქტობრივად ემორჩი-ლებიან სხვა, უფრო გავლენიან სახელმწიფოს. ცივი ომის პერი-ოდში ე. წ. სოციალისტური ბანაკის აღმოსავლეთ ევროპის სა-ხელმწიფოები საბჭოთა კავშირის სატელიტები იყვნენ“ (სოცია-ლურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, 2004:351).

საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო და პოსტსაბჭოთა პე-რიოდში საქართველოში (სხვა საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ქვეყ-ნების მსგავსად) გავრცელდა იდეოლოგიები, რომლებიც თავ-

დაპირველად სსრკ-ში მიმდინარე პროცესებს ახასიათებდა: **ახალი აზროვნება; ბიუჯეტის ოპტიმიზაცია; კადრების ოპტიმიზაცია; ადამიანური ფაქტორი; დანესებულების/საწარმოს რეორგანიზაცია** და ა.შ. ბუნებრივია, ეს იდეოლოგია, ხშირ შემთხვევაში, მმართველი კლასის იდეოლოგიის ვერბალიზებას წარმოადგენდა, ზოგ შემთხვევაში კი რეალობის შენიღბვას ემსახურებოდა (მაგალითად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კარგად გვახსოვს, რომ ბიუჯეტის ოპტიმიზაცია, რეალურად, დაფინანსების შეკვეცას ნიშნავდა, ხოლო დანესებულების რეორგანიზაცია – გაყიდვა/გასხვისებას, რასაც ბუნებრივად მოჰყვებოდა ხოლმე კადრების ოპტიმიზაცია (სამსხურიდან გათავისუფლება).

უკანასკნელ წლებში ქართულ სამეცნიერო პრაქტიკაში ფართოდ ვრცელდება დასავლური პოლიტიკურ-კულტურული სივრციდან შემოსული იდეოლოგიები. მათი გამოყენება დაკავშირებულია სწორედ განვითარებული დასავლური ქვეყნებისაქენ სწრაფვით, მათ პოლიტიკურ არეალში დამკვიდრების სურვილით და, რაც მთავარია, მზარდი პოლიტიკური კავშირებით. ჩვენში ეს იდეოლოგიები, როგორც მრავალ სხვა შემთხვევაში, ანგლო-ამერიკული მოდელის მიხედვით არის ნაწარმოები და ადვილად აიხსნება ამერიკული პოლიტიკის მსოფლიო ლიდერობით. თანამედროვე ქართულში ამ გზით შემოსული და დამკვიდრებული იდეოლოგიები ძირითად აქცენტს დემოკრატიულობასა და სამართლიანობაზე აკეთებს: **დემოკრატიული ფასეულობები; სამართლებრივი სახელმწიფო; ადამიანის ფუნდამენტური უფლებები; სოციალური სამართლიანობა** და ა. შ., რომლებიც საქართველოში არსებული პოლიტიკური კონტექსტის შესაბამისია.

ქართულ ენაში შედარებით ახალ წარმოქმნილ ან დამკვიდრებულ იდეოლოგიებს, რომელთა შესახებაც უკვე ვისაუბრეთ, ერთი მხრივ, შემოქმედ ახალი ცნებები ან გვთავაზობენ არსებული ფაქტების ახალ დასახელებას, ხოლო, მეორე მხრივ, ასახავენ გარკვეულ პოლიტიკურ შეხედულებებს, გარკვეულ იდეოლოგიურ ზემოქმედებას ახდენენ.

### პოლიტიკური კორექტულობა

თანამედროვე პოლიტიკური დისკურსი, ენა წარმოუდგენელია პოლიტიკორექტულობის წესების დაცვის გარეშე. ტრადიციულად, პოლიტიკური კორექტულობა არის ისეთი გამოსატვის ფორმის ან ქცევის თავიდან აცილება, რომელიც აღიქმება ადამიანთა გარკვეული ჯგუფების იზოლაციის, მარგინალიზაციის ან შეურაცხყოფის ხელშემწყობად (<http://www.thefreedictionary.com/political+correctness>). რასაკვირველია, ეს ძალიან მოკლე განმარტება სრულად ვერ აღწერს პოლიტიკორექტულობის რთულ (და, ამავე დროს, წინააღმდეგობრივ) ბუნებას, თუმცა, ვინაიდან ეს მოვლენა არ არის ჩვენი ამჟამინდელი შესწავლის საგანი, შევხებით მეტყველებაში გამოყენებულ პოლიტიკურად კორექტულ პოლიტიკურ ერთეულებს. იმთავითვე აღვნიშნავთ, რომ პოლიტიკური მნიშვნელობის ყველა ეს სიტყვა პირდაპირი ნასესხობაა ინგლისურიდან:

მაგალითად, ცნობილია, რომ ინგლისურ ენაში თითქმის აღარ იხმარება სიტყვა *Negro* და მას მთლიანად ჩაენაცვლა *African American*. სწორედ ინგლისურის გავლენაა ქართულ მეტყველებაში დამკვიდრებული იგივე სიტყვა: „*ამერიკის პირველი აფრო-ამერიკელი პრეზიდენტი მუშაობას შეუდგა*“ (<http://arqivi.net/News-siaxleebi/24090/amerikis-pirveli-afro-amerikeli-prezidentimuSaobas-Seudga.html>).

მართალია, ქართულ ენაში ფართო გავრცელება ჯერ არ მოუპოვებია, თუმცა გაჩნდა *Native American*-ის ქართული ანალოგი *ადგილობრივი ამერიკელი*-ს სახით: „2000 წლის აღწერის მიხედვით ფრედერიკსბურგში ცხოვრობს 19.279 ადამიანი, 8.102 კომლი და 3.921 ოჯახი. მოსახლეობის 73,18% არის თეთრკანიანი მოსახლეობა, 20,41 შავკანიანი, 0,34% ადგილობრივი ამერიკელი (ე.წ. ინდიელები)“, ([http://ka.wikipedia.org/wiki/frederiksburgi-\(virginia\)](http://ka.wikipedia.org/wiki/frederiksburgi-(virginia))).

ცხადია, ტერმინის გვერდით ფრჩხილებში მოცემული განმარტება მისი ბუნდოვანების თავიდან აცილებას ემსახურება და

მიუთითებს, რომ შეიძლება ის ჯერ კიდევ არ იყოს გასაგები ქართულ ენაზე მოსაუბრეთათვის.

### **ანტონომაზია**

ქართულში პოლიტიკური ლექსიკის შევსების ერთ-ერთი გზა ანტონომაზია, ანუ საკუთარ სახელთა საზოგადო სახელების ფუნქციით გამოყენებაა. როგორც წესი, ხდება იმ რეალური პიროვნების სახელების განზოგადება, რომლებმაც ქვეყნის ან მსოფლიოს ისტორიაში ხელშესახები როლი შეასრულეს. ქართულენობრივ სინამდვილეში წარმოჩნდება ტენდენცია, რომ მოხდეს როგორც უარყოფით ისტორიულ პირთა ანტონომაზია: **შაჰ-აბაზი; მურვან-ყრუ, ფალავანდიშვილები; ლიპარიტ ბალვაფ-ში; მუსოლინი; ჰიტლერი; ჰებელსი; სტალინი**, ისე დადებითი ისტორიული პირებისა: **ალმაშენებელი; თამარ მეფე**.

გვხვდება შემთხვევა, როდესაც ზოგადდება ლიტერატურული პერსონაჟის სახე: **ყვარყვარე თუთაბერი** პოლიკარპე კაკაბაძის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მთავარი გმირია. ქართულ პოლიტიკურ ლექსიკაში ის მედროვე, პოლიტიკურად არამყარ, მლიქვნელ ადამიანს აღნიშნავს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ქართულ ენაში უკანასკნელ ხანებში გავრცელებულმა დასავლური ტიპისა და ღირებულებების გამომხატველმა პოლიტიკურმა ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურმა ერთეულებმა მთლიანად ჩაანაცვლა საბჭოთა კავშირის დროს არსებული ერთეულები.

ჩვენი მომავალი კვლევის ობიექტად კი პოლიტიკური ნასესხობები, სლენგი და ჟარგონი გვესახება.

### **ლიტერატურა**

1. **ქ. გოჩიტაშვილი, 2007** – ქ. გოჩიტაშვილი, ახალი ტიპის მეტაფორები და ევფემიზმები ქართულ ენაში; თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის I სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისი, 2007

2. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი. თბილისი, 2004.
3. გ. ზავარზინა, 2006 – Г. А. Заварзина, Эвфемизмы как проявление «политической корректности». Москва, 2006.
4. <http://ru.wiktionary.org/wiki/идеологема>.
5. <http://www.thefreedictionary.com/political+correctness>
6. <http://arqivi.net/News-siaxleebi/24090/amerikis-pirveli-afro-amerikeli-prezidenti-muSaobas-Seudga.html>
7. [http://ka.wikipedia.org/wiki/ფრედერიკს\\_ბურგიდ\\_\(ვირჯინია\)](http://ka.wikipedia.org/wiki/ფრედერიკს_ბურგიდ_(ვირჯინია)).

**Ketevan Gochitashvili**

**NON-PRIMARY POLITICAL-PHRASEOLOGICAL UNITS IN MODERN  
GEORGIAN LANGUAGE**

Summary

In this paper we are discussing the lexical-phraseological units, which are characteristic for Modern Georgian Language and could be labeled as a “Secondary” or “Non-primary”. To be more precise, we are exploring language clichés, political euphemisms, denotations of political realities, “ideologems”, modernisms/neologisms, political correctness in language, antonomasia etc.

The lexical units presented in this article were spread in Georgian after the collapse of the Soviet Union. It was the period, when the new (western) political tendencies started to infiltrate into political and social language. This fact explains the tendency of substituting old (words and phrases motivated by Soviet Political system have been changed with the new, western type units). The process of substitution is obvious and illustrated with language data.

## ლიტერატურის მუზეუმის ხელნაერთა კოლექციაში დაცული ოთხთავის შესახებ

ლიტერატურის მუზეუმის ხელნაერთა კოლექციაში 12854-x ნომრით დაცულია ოთხთავის ხელნაერი, რომელსაც XII საუკუნით ათარიღებენ. მისი ისტორია ათონის ქართველთა სავანეს უკავშირდება<sup>1</sup>. ქართველ მეცნიერთა ინტერესის საგანს ყოველთვის წარმოადგენდა საზღვარგარეთის ქართული კულტურის კერებში დაცული ხელნაერები. ამ კუთხით გამონაკლისს არც ათონის ივერთა მონასტერი წარმოადგენს. სხვადასხვა დროს ქართულ სიძველეთა აღნუსხვის მიზნით ათონის მთაზე იმყოფებოდნენ ქართველი მოღვაწეები: XVIII საუკუნის 50-იან წლებში დ ტიმოთე გაბაშვილი, 1836 წელს დ ილარიონ ხუცესი (სოლომონ II-ის სულიერი მოძღვარი), 1849 წელს – პლატონ იოსელიანი. მათ არქივებში სხვა სიძველეებთან ერთად გვხვდება ცნობები ქართული ხელნაერების შესახებაც.

როგორც ცნობილია, ათონის ივერთა მონასტრის ქართული ხელნაერების ერთ-ერთი უძველესი და შედარებით სრული აღწერილობა ეკუთვნის ალექსანდრე ცაგარელს, რომელიც 1886 წელს გამოიცა.<sup>2</sup> მის შემდგომ, 1898 წელს, ათონზე იმყოფებოდა ნიკო მარი. იგი, ძირითადად, ალ. ცაგარლის კატალოგით ხელ-

---

<sup>1</sup> ლიტერატურის მუზეუმის ოფიციალურ ვებგვერდზე (<http://www.literaturemuseum.ge/index.php?option=comcontent&view=category&layout=blog&id=13&Itemid=19>) მითითებულია, რომ ათონური ოთხთავი ათონის ივერთა მონასტერშია გადაწერილი XII საუკუნეში.

<sup>2</sup> Цагарели А. А., Сведения о памятниках Грузинской письменности, выпуск I, Санктпетербург, 1886.



მძღვანელობდა, რომლის არაერთი შეცდომაც გაასწორა.<sup>1</sup> მოგვიანებით, 1932 წელს, ათონური კოლექცია აღწერა ამერიკელმა ქართველოლოგმა, რობერტ ბლეიკმა,<sup>2</sup> მან ხელნაწერებს ახალი ნუმერაცია მიანიჭა. მისი აღწერილობა ბევრად სრულია, მასში გასწორებულია ალ. ცაგარელის მიერ დაშვებული უზუსტობანი და გათვალისწინებულია ნიკო მარის შენიშვნები.

არცერთ ზემოთ დასახელებულ მეცნიერს ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციაში 12854-x ნომრით დაცული ოთხთავი<sup>3</sup> ნახსენები არ აქვს.

რობერტ ბლეიკის აღწერილობის მიხედვით, ათონის კოლექციაში სულ 86 ქართული ხელნაწერია. წლების განმავლობაში ქართველ სპეციალისტებს ხელი მიუწვდებოდათ ათონში დაცულ მხოლოდ რამდენიმე<sup>4</sup> ხელნაწერზე. მათ შორის იყო: ათონის ბიბლია, რომელიც 1849 წელს პლატონ იოსელიანმა ათონიდან ჩამოიტანა და საქართველოში დაამზადებინა ორი პირი. ეს პირები დღეს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება (A471 და S422); ოპიზის სახარება 913 წლისა, რომელიც 1898 წელს ათონის მთაზე სამეცნიერო ექსპედიციის დროს იპოვა ნ. მარმა<sup>5</sup>. ოპიზის სახარების მათესა და მარკოზის თავები 1909-11 წლებში გამოსცა

---

<sup>1</sup> ქარულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, I, 1986, გვ. 7.

<sup>2</sup> Robert P. Blake, Catalogue des Manuscrits Georgiens de la Bibliothèque de la laure D'Ivion au mont antos, I, Paris, Librairie auguste picard, 82, Rue Bonaparte, 1932.

<sup>3</sup> ვინაიდან ამ ხელნაწერს სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე ათონური ოთხთავის სახელით მოიხსენიებდნენ, ქვემოთ ჩვენც ასე ვუწოდებთ მას.

<sup>4</sup> ზურაბ სარჯველაძე და კორნელი დანელია „ქართულ პალეოგრაფიაში“ წერენ, რომ ქართველ მეცნიერებს 12 ათონურ ხელნაწერზე მიუწვდებოდათ ხელი. გვ. 166.

<sup>5</sup> პოვნას იმიტომ ვამბობთ, რომ ნიკო მარი, ძირითადად, ალ. ცაგარელის კატალოგით ხელმძღვანელობდა, ალ. ცაგარელს კი ოპიზის ოთხთავი ნანახი არ ჰქონდა და, შესაბამისად, არ აღუწერია.

ვლადიმერ ბენეშევიჩმა ტბეთის ოთხთავთან (995 წლის, ლენინგ. K212) ერთად. ოთხი ათონური ხელნაწერი (A1101 d ასკეტიკონი 1047 წლისა; A1103 d გრიგოლ ჰრომთა პაპის დიალოგონი და სხვ. XI ს.; A1104 – აგიოგრაფიულ-ასკეტიკური კრებული XI ს; A1105 d მამათა ცხოვრება XI ს.) მღვდელმონაზონმა ილია ფანცულაიამ<sup>1</sup> ჩამოიტანა საქართველოში, ზოგიერთისა კი პირი გაუკეთებია (არქ. ხელნ. 176 d ანდრია კრიტელის თხზულება, A1054 d ბასილი კესარიელი, ფსალმუნთა თარგმანება 1906 წ.; A1142 d ასკეტური კრებული 1915 წლის, გადანერილი 977 წლის დედნიდან, A1144 დ გიორგი ალექსანდრიის პატრიარქი, იოანე ოქროპირის ცხოვრება, 1915 წლის).

1952-53 წლებში საერთაშორისო პროექტის „ბერძნული ახალი აღთქმა“ ფარგლებში ამერიკელმა ე.უ. სინდერზმა ათონის მთაზე დაცულ ბერძნულ, სომხურ, არაბულ და სირიულ ხელნაწერებთან ერთად გადაიღო 4 ძველი ქართული ხელნაწერი (42, 62, 78, 83). ამ ხელნაწერების მიკროფირები ამჟამად ვაშინგტონში, კონგრესის ბიბლიოთეკაში, ინახება ნომრით 5042<sup>2</sup>.

ქართველ მეცნიერებს მხოლოდ მას შემდეგ მიეცათ ათონზე დაცული ქართული ხელნაწერების სრული კოლექციის შესწავლის საშუალება, რაც 1982 წელს კინორეჟისორმა გურამ პატარაიამ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ თანამშრომელმა ავთანდილ მიქაბერიძემ მოახერხეს ათონის

---

<sup>1</sup> ილია სიმონის ძე ფანცულაია (ათონელი) (გარდ. XX სდის 30დიან წ.) დ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირი, მღვდელმონაზონი. საქართველოში მოღვაწეობამდე იგი წლების განმავლობაში ათონის მთაზე, ივერონის მონასტრის ტერიტორიაზე მდებარე ელია წინასწარმეტყველის კელიაში ცხოვრობდა. 1920 წელს სხვა ქართველ ბერებთან ერთად მასაც მოუხდა ათონიდან სამშობლოში დაბრუნება.

<sup>2</sup> A Descriptive Checklist of Selected Manuscripts in the monasteries of mount athos, 1957.

ივერთა მონასტერში დაცული ყველა ქართული ხელნაწერის მიკროფირთა გადაღება და საქართველოში ჩამოტანა.<sup>1</sup>

ათონის ქართული ხელნაწერების ფოტოპირები და მიკროფირები ამჟამად ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული. 86 ხელნაწერიდან ექვსში ოთხთავის ქართული თარგმანის ტექსტია დაცული. ესენია: Ath. 15; Ath. 53; Ath. 62; Ath. 67; Ath. 75; Ath. 83. ექვსივე ხელნაწერი აღწერილი აქვს ალ. ცაგარელსაც და რ. ბლეიკსაც. მხოლოდ ერთი წარმოდგენს გამონაკლისს, ტპ. 83, ე.წ. ოპიზის ოთხთავი, რომელიც ალ. ცაგარელს არ უნახავს. ექვსივე ხელნაწერი საინტერესოა პალეოგრაფიული თვალსაზრისით, რამდენადაც კალიგრაფიის, სტილის მიხედვით განსხვავებულ სურათს აჩვენებენ. ოთხთავის ეს ხელნაწერები საინტერესოა ტექსტუალური თვალსაზრისითაც, რადგან მათში სახარების ქართული თარგმანის სხვადასხვა რედაქციაა დაცული.

ამ ექვსი ოთხთავის საერთო კონტექსტში ლიტერატურის მუზეუმში დაცული ათონური ოთხთავი არ განხილულა. ქვემოთ შევეცდებით დავასაბუთოთ, რომ ამის საჭიროება არც არსებობს. სანამ ამ საკითხს უშუალოდ განვიხილავდეთ, წარმოვადგენთ ხელნაწერის აღწერილობას.

ლიტერატურის მუზეუმში 12854-ხ ნომრით დაცული ხელნაწერი შეიცავს 244 ფურცელს. დაუნერელი გვერდები: 1r, 6v, 7v, 75r-v, 76r-v, 114r-v, 180v, 228v. ფურცლის ზომა: 7(9 სმ., სვეტების რაოდენობა: 2, სვეტებს შორის მანძილი: 1 სმ., სვეტების ზომა: 3 (7 სმ, სტრიქონების რაოდენობა: 26. მასალა – ეტრატი. ხელნაწერი ჩასმულია ტყავგადაკრულ ხის ყავისფერ ყდაში.

ტექსტი გადაწერილია მწყოზრი ნუსხურით, შავი ფერის მელნით. საზედაო ასოები და სათაურები გამოყვანილია სინგურით, მაგრამ მოგვიანებით ისინი ოქროსფერი მელნით არის გაცხოველებული, ნაწილობრივია გაცხოველებული ზანდუკში

---

<sup>1</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, I, 1986, გვ. 9.

გამოყენებული სინგური. რვეულებრივი პაგინაცია, თითოეულ რვეულში 6 ფურცელია. პაგინაცია გაკეთებულია მთავრული ასოებით რვეულის დასაწყისში ზედა შუა აშიაზე, ხოლო რვეულის ბოლოს დ ქვედა აშიაზე. ხელნაწერში დაცულია მახარებლების: მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს მინიატურები (7r, 77r, 115r, 180r). მინიატურები შესრულებულია ქალაღზე, როგორც ჩანს, ისინი გვიან არის ჩაკერებული. თითოეული სახარების დასაწყისში გაკეთებულია კამარის მსგავსი თავკაზმულა (8r, 78r, 116r, 181r).

ათონურ ოთხთავში ოთხივე სახარება სრულადაა წარმოდგენილი: მათეს სახარება (8r-73v), მარკოზის სახარება (78r-111v), ლუკას სახარება (116r-179v), იოანეს სახარება (181r-227v). თითოეულ სახარებას უძღვის თავთა საძიებლები: მათეს d 3r-6r, მარკოზს d 74r-v, ლუკას d 111v-113v, იოანეს დ 179r-v.

ოთხთავს დასაწყისში დართული აქვს ეპისტოლე ევსები კარპიანეს მიმართ (1ვ-3რ). ჩვეულებრივ, ოთხთავის ხელნაწერებში ეპისტოლეს ევსები კარპიანეს მიმართ მოსდევს კამარებში ჩასმული კანონები ევსებიოს კესარიელი ეპისკოპოსისა, თუმცა ჩვენს საკვლევ სახარებას ამგვარი კანონები არ ახლავს. ზოგიერთ ხელნაწერში კი ტაბულების გამარტივებული ვარიანტი ფურცლის ქვედა ნაწილში, აშიაზეა მოცემული. ათონური ხელნაწერის შემთხვევაში არც ამგვარი გამარტივებული ტაბულება წარმოდგენილი.

ხელნაწერს ბოლოში დართული აქვს „ზანდუკი სახარებისა საძიებლისაჲ საწელიწდოჲ...“ (229r-244v).

ხელნაწერს არ ახლავს გადამწერის ანდერძი, შესაბამისად, არ ვიცით მომგებელისა და გადამწერისა ვინაობა. მითითებული არ არის არც გადამწერის თარიღი.

ხელნაწერის აღწერისას აღვნიშნეთ, რომ წითელი ფერის მეღნით შესრულებული საზედაო ასოები და სათაურები მოგვიანებით ოქროსფერი მეღნით არის გაცხოველებული. სწორედ ამ

ოქროსფერი მელნით მათეს სახარების დასაწყისში (8v) გაკეთებულია ერთი საინტერესო მინანერი ნუსხურად: „*ხახლისა ღვთისმშობელი, შეინყალე ბატონიშვილი თეკლა, ამენ. უფალო ღმერთო, მფარველ ექმენ ორსავე შინა ცხოვრებასა*“. საქართველოს ისტორიაში ცნობილია ერთი თეკლა ბატონიშვილი, ერეკლე II-ის ასული, რომელიც რომანტიკოსი პოეტი ქალი იყო. ზემოთ აღნიშნული მინანერი და აგრეთვე საგულდაგულოდ გაცხოველებული სინგური საზედაო ასოები და სათაურები გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია ეს ოთხთავი გარკვეულ დროს თეკლა ბატონიშვილის მფლობელობაშიც ყოფილიყო (ქვემოთ ვნახავთ, რომ ეს ხელნაწერი მეოცე საუკუნის დასაწყისამდე ათონზე არ ინახებოდა).

იმავე ოქროსფერი მელნით, ამჯერად უკვე მხედრულით და არაბული ციფრებით, ხელნაწერის ბოლო ფურცელზე (244v) გაკეთებულია მინანერი: „*246 ფურცელი*“. მხედრულით ანბანით შესრულებული ეს მოკლე მინანერი ადასტურებს, რომ თეკლა ბატონიშვილის მოსახსენებელი ნუსხური მინანერიც გვიანდელი უნდა იყოს და, შესაძლოა, მასვე ეკუთვნოდეს.

63ვ-ზე მარცხენა აშიაზე გაკეთებულია მინანერი: „*არცა ძემან: ესე სიტყუჲ სამთა სახარებათა არა ეწერა და არცა მე დავწერე*“.<sup>1</sup>

92r-ზე მარკოზის სახარების მე-8 თავის მე-10 მუხლის, „...და წარვიდა ადგილთა მაგდალოესათა“, გასწვრივ დანერილია „*დალმანუთაჲსათა*“.

---

<sup>1</sup> ამ მინანერის შესახებ იხილეთ: ეკა კვიციანი, სახარების ოქროსფერი ხელნაწერის (ათონ. 62) ერთი მინანერის შესახებ, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, II, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2011, გვ. 188–197.

161v-ზე ლუკას სახარების მე-18 თავის 25-ე მუხლის, „უადვილეს არს მანქანისა საბელი...“, გასწვრივ აშიაზე მიწერილია „აქლეში“.

239v-ზე, რომელზეც საწელიწადო სახარების საძიებელი, იგივე ზანდუკია განთავსებული, აშიაზე ჩამატებაა გაკეთებული.

ათონურ ოთხთავს გადამწერისვე ხელით აგრეთვე დართული აქვს გიორგი მთაწმინდლის ცნობილი ანდერძი. ეს ანდერძი, რომელიც მან ბერძნულთან მესამედ შედარების შემდეგ ჩამოყალიბებულ ტექსტს დაურთო, ჩვენამდე ორი, A და B, რედაქციითაა მოღწეული. მათ შორის სხვაობს ორი ადგილი, კერძოდ: ანდერძის დასაწყისში A რედაქციის ხელნაწერებში წერია: „ესე წმიდაჲ ოთხთავი ახლად გვთარგმნია“, B-ში კი — „ესე წმიდაჲ ოთხთავი არა ახლად გვთარგმნია“; ანდერძის ბოლო ფრაზაზე — „გლახაკისა გიორგისთვის ლოცვა ყავთ“ – A-ში დამატებულია ფრაზა: „რომელმან ესე ვთარგმნე“. როგორც ვხედავთ, A ვარიანტის მიხედვით, გიორგი მთაწმინდელი ოთხთავის ხელახალი მთარგმნელია, B ვარიანტის მიხედვით კი, მხოლოდ რედაქტორი. ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილის, აკაკი შანიძის,<sup>1</sup> ივანე იმნაიშვილის,<sup>2</sup> დარეჯან თვალთვაძის და სხვათა მოსაზრებით, გიორგი მთაწმინდელს არ შეუქმნია ოთხთავის ახალი თარგმანი, მან უკვე არსებული სახარების ტექსტის რედაქტირება მოახდინა, მაქსიმალურად დაუახლოვა იგი ბერძნულ დედანს. გვიანდელმა გადამწერმა ანდერძის ის ნაწილი, სადაც გიორგი სახარების მხოლოდ რედაქტორად სახელდება, შეცვალეს, სავარაუდოდ, იმიტომ, რომ უკეთ წარმოეჩინათ მთაწმინდელის ღვაწლი

<sup>1</sup> აკ. შანიძე, უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო, თხზულებანი, II ტომი, 1981 წელი, გვ. 284.

<sup>2</sup> ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა, თბ., 1979. გვ. 55.

და გაემყარებინათ მისეული რედაქციის ვულგატად აღიარების ფაქტი.<sup>1</sup>

ათონურ ოთხთავში გიორგი მთაწმიდლის ანდერძი შემდეგი რედაქციითაა წარმოდგენილი: „ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ესე ნმიდაჲ ოთხთავი **ახლად ვთარგმნია** ფრიადთა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთაჲთა და ბერძულთა სახარებათადა შეგკნამებია ფრიდითა გამონულილვითა. და ვინცა ვინ დასწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ, თუ ამისგან ჯერ გიჩნდეს დაწერაჲ, ღმრთისათჳს, სიტყუათა ნუ სცვალეზთ, ვითარცა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ. და თუ არა რაჲმე გაშუნდეს, ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან ნმიდად თარგმნილნი არიან და კეთილად, ხანმეტნიცა და საბანმიდურნიცა, მუნით დაწერეთ და ღმრთისთჳს ერთმანეთს ნუ გაჰრევთ და გლახაკისა გიორგისთჳს, **რომელმან ესე დიდითა ლუანლითა ვთარგმნე, ლოცვა ყავთ**“<sup>2</sup>

როგორც ვხედავთ, ათონურ ოთხთავში გიორგი მთაწმიდლის ანდერძის A რედაქციის ტექსტია დაცული, თუმცა კი აქამდე ცნობილისაგან ვარიანტული სხვაობით, კერძოდ, „რომელმან ესე დიდითა ლუანლითა ვთარგმნე...“<sup>3</sup> „დიდითა ლუანლითა“, ჩვენი აზრით, დამატებულია, რათა კიდევ უფრო მეტად გაემყარებინათ გიორგი მთაწმიდლის ლუანლი ქართული ოთხ-

<sup>1</sup> დ. თვალთვაძე, ქართული ოთხთავის ათონური რედაქციის ჩამოყალიბების ისტორიიდან, საქართველო და ევროპული სამყარო, ფილოსოფიურ-კულტურული დიალოგი, I ტომი, თბ., 2009, გვ. 129-141.

<sup>2</sup> ამის შეახებ იხ. აკ. შანიძე, უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო, თხზულებანი, II ტომი, 1981, გვ. 284.

<sup>3</sup> ანდერძის ეს ვარიანტი წარმოდგენილია აგრეთვე სანკტ-პეტერბურგის რუსეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცულ XII-XIII საუკუნის რუსუდან დედოფლის ოთხთავში. დანვრილებით იხილეთ: ვაჟა კიკნაძე, რუსუდან დედოფლის ოთხთავი პეტერბურგიდან, საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, IX, თბილისი, 2008, გვ. 54-57.

თავის კანონიკური ტექსტის ჩამოყალიბების საქმეში და შერყვნისაგან დაეცვათ წმინდა წერილი.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მღვდელმონაზონი ილია ფანცულაია ერთ-ერთი უკანასკნელი მოღვაწე იყო ათონზე, იგი ელია წინასწარმეტყველის კელიაში ცხოვრობდა. 1920 წელს სხვა ქართველ ბერებთან ერთად მასაც მოუხდა ათონიდან სამშობლოში დაბრუნება. ამ პიროვნებას გარკვეული წვლილი მიუძღვის ქართული ხელნაწერების მოვლა-პატრონობის საქმეში. მან ოთხი ათონური ხელნაწერი ჩამოიტანა საქართველოში, ზოგიერთისა კი პირი გააკეთა. ორი ხელნაწერი d A1140 და A1141 d არის მღვდელმონაზონ ილია ფანცულაიას მიერ შედგენილი ათონის ივერთა მონასტრის ქართულ ხელნაწერთა კატალოგი, რომლებშიც 15-მდე ხელნაწერია აღწერილი. უბრალოდ დასახელებული – ბევრად უფრო მეტი.

ცნობილია მღვდელმონაზონ ილია ფანცულაიას პირადი მიმოწერა მოსე ჯანაშვილთან, სარგის კაკაბაძესთან. ეს წერილები „ლიტერატურულ მატრიანეშია“ დაბეჭდილი.<sup>1</sup> ამ მიმოწერიდან ჩვენთვის საინტერესოა ორი მათგანი, რადგან ისინი ათონური ოთხთავის თავგადასავალს შეეხება. ორივე წერილის ტექსტს უცვლელად მოვიყვანთ: „ს. კაკაბაძეს, ამასთანავე გააბლებთ ტყავზე ნაწერ პატარა სახარებას, რომელიც მე მოტანილი მაქვს ძველ ათონიდან, რადგანაც ძალიან გაჭირვებაში ვარ, გთხოვთ მომიხერხოთ ამ სახარების განაღდება რომელიმე დაწესებულებაზე. მღვდელმონაზონი ილია სიმონის ძე ფანცულაია. 4/1.1929 წელი“.<sup>2</sup> როგორც ვხედავთ, წერილი 1929 წელს არის დაწერილი და ამ დროს მღვდელმონაზონი ილია ფანცულაია თბილისში იმყოფება, მას ათონიდან ჩამოტანილი სახარებაც თან აქვს და მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო ხელნაწერთა

<sup>1</sup> ლიტერატურული მატრიანე, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1986 წელი, გვ. 164-168.

<sup>2</sup> წერილები გამოსცა სირა ჭიჭინაძემ, ლიტერატურული მატრიანე, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1986 წელი, გვ. 168.



შემგროვებელი რომელიმე დანესებულებისათვის მისი მიყიდვა განუზრახავს. 15 წლის შემდეგ, 1944 წლის 17 ოქტომბერს, სარგის კაკაბაძემ ლიტერატურის მიზეუმის მაშინდელ დირექტორს, გიორგი ლეონიძეს, შემდეგი შინაარსის წერილი მისწერა: „*გთხოვთ შეიძინოთ ტყავზე დაწერილი სახარება დ ოთხთავი ფერადიანი მინიატურებით ჩამოტანილი ათონიდან მღვდელმონაზონ ილია სიმონის ძე ფანცულაიასაგან, რომლისაგან მე ეს სახარება შევიძინე 1929 წელს. ხელნაწერს თან აქვს გაკეთებული იარლიკი ზ1 (ათონის მონასტრის წიგნსაცავისა). სახარება მიეკუთვნება დაახლ. მე-13 საუკუნეს და წარმოადგენს ერთ-ერთ მეტად საინტერესო ხელნაწერს ქართული ოთხთავისას. თავისი ტექსტით ის უდგება ეგრეთ წოდებულ ჯრუჭისეულ მე-11 საუკუნის ხელნაწერს*“.<sup>1</sup> როგორც ჩანს, 1929 წელს სარგის კაკაბაძემ თავად შეიძინა ეს სახარება ილია ფანცულაიასაგან და მხოლოდ 1944 წელს გადასცა იგი ლიტერატურის მუზეუმს. ბუნებრივია, რობერტ ბლეიკს, რომელმაც 1932 წელს აღწერა ათონზე დაცული ქართული ხელნაწერები, სახარების ეს მანუსკრიპტი ნანახი არ ექნებოდა.

სარგის კაკაბაძე გიორგი ლეონიძისადმი მიწერილ წერილში აგრეთვე აღნიშნავს, რომ ათონურ ოთხთავს ახლავს იარლიკი ზ1 ათონის მონასტრის წიგნსაცავისა. ეს იარლიკი ამჟამად ხელნაწერზე არ არის. თუმცა 1986 წელს ათონური ოთხთავის შესახებ გამოქვეყნებულ სტატიაში ავტორი სირა ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ ამ ხელნაწერის „*არსებობა ათონის მონასტერში დადასტურებულია საუკუნეების მანძილზე და მის ყუაზე ათონის მონასტრის წიგნსაცავის იარლიკია მოთავსებული პირველი ნომრის აღნიშვნით*“.<sup>2</sup>

<sup>1</sup> ლიტერატურული მატინე, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1986 წელი, გვ. 168.

<sup>2</sup> სირა ჭიჭინაძე, ათონის ქართული კულტურის კერის ისტორიისათვის, ლიტერატურული მატინე, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1986 წელი, გვ. 216.

სარგის კაკაბაძე გიორგი ლეონიძისადმი მიწერილ წერილში ვარაუდობს, რომ „თავისი ტექსტით ის (ათონური ოთხთავი d ე. კ.) უდგება ეგრეთ წოდებულ ჯრუჭისეულ მე-11 საუკუნის ხელნაწერს“. თუკი სარგის კაკაბაძე მეათე საუკუნის ჯრუჭის სახარებას (936 წლის, H-1660) გულისხმობს, დღეისათვის დადგენილია, რომ მასში წინათონური, ოპიზის, იგივე ჯრუჭ-პარხლის რედაქციის ტექსტია დაცული.

ჩვენ საგანგებოდ შევისწავლეთ ათონურ ოთხთავში დაცული მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს სახარებების ტექსტები. ისინი გიორგი ათონელის რედაქციის ოთხთავის ტექსტის იდენტურია. როგორც ჩანს, სარგის კაკაბაძის ზემოთ აღნიშნული ვარაუდი ტექსტოლოგიურ კვლევას არ ეფუძნება.

მიუხედავად ჩვენამდე მოღწეული წერილებისა, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ, ათონური ოთხთავის წარმომავლობის საკითხი მაინც ბუნდოვანი რჩება. პასუხგაუცემელია კითხვები: გადაიწერა თუ არა ეს ხელნაწერი ათონის ქართველთა სავანეში? თუკი მანუსკრიპტი ათონზე გადაწერეს და 1920 წლამდე იქ ინახებოდა, საიდან გაჩნდა მასზე თეკლა ბატონიშვილის მოსახსენებელი მინაწერი? თუკი იქ არ გადაწერილა, როგორ მოხვდა ათონზე? ამ კითხვებზე პასუხი რომ მოგვეძიებინა, გადავწყვიტეთ, საგანგებოდ შეგვესწავლა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მღვდელმონაზონ ილია ფანცულაიას შედგენილი ორი კატალოგი (A1140 და A1141), რომლებშიც მის მიერ გაკეთებული ათონურ ხელნაწერთა აღწერილობაა დაცული. მათგან A1141-ში აღწერილია ხელნაწერები და ნაბეჭდი წიგნები, რომლებიც ინახება ათონის წმინდა ელია წინასწარმეტყველის ეკლესიაში ივერიის მონასტრის ტერიტორიაზე. პირველივე ნომრად მას სწორედ ჩვენთვის საინტერესო ათონური ოთხთავი აქვს აღწერილი. რასაკვირველია, მას ათონური ოთხთავის სახელით არ მოიხსენიებს. დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ ილია ფანცულაიას მიერ პირველ ნომრად აღწერილი ოთხთავი ჩვენი

კვლევის საგანი d ათონური ოთხთავია. მის მიერ შენიშნული ყველა დეტალი, მინაწერები, თანხვედბა ჩვენ მიერ გაკეთებულ აღწერილობას. მღვდელმონაზონ ილია ფანცულაიას მიერ აღწერილი ოთხთავის დეტალებს აქ აღარ მოვიტანთ. აღვნიშნავთ მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო ადგილებს. კერძოდ, იგი წერს: „ეს სახარება ჩემდა ბოძებული აქვს ბანძის საზოგადოების სოფელ ვედიდკარის წმიდა მთავარანგელოზთა 2 შტატიანი ეკლესიის ან განსვენებული მღვდლის იოანე ფოჩხუას ძმისწულს, მონაზონს ნატალიას 1911 წელს, 17 ივნისს“. ამ მინაწერის ნაკითხვის შემდეგ ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ მღვდელმონაზონ ილია ფანცულაიას ან საქართველოში მოუპოვებია და თავად ჩაუტანია ათონის მთაზე ე. წ. ათონური ოთხთავი, ან მონაზონმა ნატალიამ გაუგზავნა მას იგი.<sup>1</sup> თავისთავად ცხადია, რატომ არ ჩანს ეს ხელნაწერი 1886 წლის აღ. ცაგარლის აღწერილობაში და რატომ ვერ ნახა 1898 წელს იგი ნიკო მარმა ათონზე ყოფნისას. შესაბამისად, არ გამოვრიცხავთ, რომ ათონური ოთხთავი თეკლა ბატონიშვილის ან სამეფო კარის რომელიმე წევრის მფლობელობაში ყოფილიყო, რისი ვარაუდის საფუძველს ზემოთ დასახელებული ოქროს ვარაყით შესრულებული მინაწერი („ხახულისა ღმრთისმშობლო შეინყაღე ბატონისშვილი თეკლა ა~ი. უფალო ღმერთო მფარველ ექმენ ორსავე შინა ცხოვრებასა“) გვაძლევს.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციაში 12854-ხ ნომრით დაცული ოთხთავის ხელნაწერი უდავოდ ძველია. თუმცა ვარაუდს, რომ იგი ათონზე დაცული ქართული კოლექციის ნაწილი უნდა იყოს, ზემოთ განხილული არგუმენტების საფუძველზე, ვერ გავიზიარებთ.

---

<sup>1</sup> A1140 ხელნაწერზე, რომელშიც მღვდელმონაზონ ილია ფანცულაიას 7 ხელნაწერი აქვს აღწერილი, ბოლოში დაურთავს მისი ათონზე ყოფნის ისტორია. ამ დანართის მიხედვით იგი 1905 წლიდან ჩანს ათონზე.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. დანელია კორნელი, სარჯველაძე ზურაბ, ქართულ პალეოგრაფია, გამომცემლობა „ნეკერი“, 1997 წელი.
2. თვალთვაძე დარეჯან, ქართული ოთხთავის ათონური რედაქციის ჩამოყალიბების ისტორიიდან, საქართველო და ევროპული სამყარო, ფილოსოფიურ-კულტურული დიალოგი, I ტომი, თბ., 2009, გვ. 129-141.
3. კვიციანი ეკა, სახარების ოშკური ხელნაწერის (ათონ. 62) ერთი მინაწერის შესახებ, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, II, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2011, გვ. 188-197.
4. კიკნაძე ვაჟა, რუსუდან დედოფლის ოთხთავი პეტერბურგიდან, საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, IX, თბილისი, 2008, გვ. 54-57.
5. ფანცულაია ილია (ათონელი), წერილები, ლიტერატურული მატრიანე, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1986 წელი, გვ. 164-168.
6. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, I, 1986.
7. ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა, თბ., 1979.
8. შანიძე აკაკი, უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო, თხზულებანი, II ტომი, 1981 წელი.
9. ჭიჭინაძე სირა, ათონის ქართული კულტურის კერის ისტორიისათვის, ლიტერატურული მატრიანე, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1986 წელი, გვ. 212-219.
10. Родригесъ А. А., сААААния о пнмятнихх дружинской писмАности, Аыпускъ I, шнкпАтАрАурА, 1886.
11. Robert P. Blake, Catalogue des Manuscrits Georgiens de la Bibliothèquе de la laure DkIviron au mont antos, I, Paris, Librairie auguste picard, 82, Rue Bonaparte, 1932.
12. A Descriptive Checklist of Selected Manuscripts in the monasteries of mount athos, 1957.

რედაქტორი  
გარეკანის დიზაინი  
კომპ. უზრუნველყოფა

მაია ეჯიბია  
თინათინ ჩირინაშვილი  
ეკატერინე თეთრაშვილი

Editor  
Cover Designer  
Compositor

Maia Ejibia  
Tinatin Chirinashvili  
Ekaterine Tetrashvili

0179 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 1  
1 Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0179  
Tel 995 (32) 225 14 32, 995 (32) 225 27 36  
[www.press.tsu.edu.ge](http://www.press.tsu.edu.ge)